კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

# სამეცნიერო შრომების კრებული №8
# COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS

კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა
CAUCASUS UNIVERSITY PUBLISHING HOUSE

თბილისი
2017

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

# სამეცნიერო შრომების კრებული № 8

# Collection of Scientific Works

კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა

Caucasus University Publishing House

თბილისი

2017

UDC (უაკ) 378.4 (479) (063)

კ – 144

კრებულში წარმოდგენილია როგორც კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების, ასევე პარტნიორი უნივერსიტეტების სხვადასხვა თაობის მკვლევართა გამორჩეული სტატიები.

The collection unites Caucasus University, as well as partner universities students and various generation researchers' distinct articles.

**სარედაქციო კოლეგია:**

პროფ. შალვა მაჭავარიანი (მთავარი რედაქტორი), პროფ. გურამ ლეჟავა, პროფ. ნუგზარ სხირტლაძე, პროფ. თეიმურაზ ხუციშვილი, პროფ. ინდრეკ იაკობსონი, პროფ. ვახტანგ სურგულაძე, თათია ღერკენაშვილი (რედაქტორის მოადგილე).

**Editorial Board:**

Prof. Shalva Machavariani (Editor-in-Chief), Prof. Guram Lezhava, Prof. Nugzar Skhirtladze, Prof. Teimuraz Khutsishvili, Prof. Indrek Jakobson, Prof. Vakhtang Surguladze, Tatia Gherkenashvili (Essociate editor).

გამოიცემა ნაბეჭდი და ელექტრონული სახით.
Both printed and el. versions of publication will be accessible.

კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა
Caucasus University Publishing House

თბილისი, 2017

**ISSN 1987 – 8869**

# შინაარსი


წინათქმა ........................................................................................................................... 5

*შალვა მაჭავარიანი,* საქართველოში ინოვაციური პოტენციალის ზრდის ხელშემწყობი პირობები ........................................................................................................................... 7

*ნუგზარ სხირტლაძე,* ევოლუციური განტოლებების ავტომოდელური ამონახსნების აგების ერთი ალგორითმის შესახებ ........................................................................................ 17

*გურამ ლეჟავა, ბორის ლეჟავა,* გაზნევის მრუდეების გამოყენება საზოგადოებაში სოციალურ ეკონომიკური პროცესების ანალიზისას ........................................................................................ 31

*მედეა ზურაბიშვილი,* საქართველოს საგადახდო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები ........................................................................................................................... 46

*ლავრენტი ჯანიაშვილი,* ტრადიციული და თანამედროვე ტენდენციები ქართულ მევენახეობა - მეღვინეობაში ........................................................................................................... 59

*ეკატერინე შუბითიძე,* გარემოსდაცვითი გადასახადები, დაბეგვრის ობიექტის ძირითადი ასპექტები ............................................................................................................................. 69

*ნინო შალამბერიძე,* ფრენშაიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი მხარე და სახეები ........................................................................................................................................ 79

*მაია მხატვრიშვილი,* საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებები „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'' საქართველოს კანონის მიხედვით ........................................ 86

*ვლადიმერ წითლაური,* აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა ................................ 96

*ამირ ჰოსეინ ამირხანი, ჰამედ სადრი, ალი მოჰამად ნაგელიანი,* ორგანიზაციული პასუხისმგებლობის და სამუშაო მდგრადობის გავლენის დადგენა ორგანიზაციის ეფექტიანობაზე ....................................................................................................................... 107

*ინგა კობახიძე,* სახელმწიფო მმართველობის ფორმა - შედარებითი კვლევა ..................................... 118

*სოფო ამისულაშვილი,* რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში განათლების გავლენა სტუდენტი-ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე ........................................... 133

*ზურაბ ბრაგვაძე,* კოლხეთი და ეგეოსური სამყარო ბრინჯაოს ხანაში ............................................. 141

*ტერეზა ჯაფარიძე,* „ტრადიცია - ეს მე ვარ" პიუს IX-ს სილაბუსი ..................................................... 149

*გიორგი კვინიკაძე,* გეოეკონომიკური კოლიზია ქეისი: რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობები ................................................................................................................................. 163

*თამარ ქობულაძე,* მოდერატორი და მედიატორი: თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები ................................................................................................. 176

*ლალი ეზუგბაია, მარიამ მანჯგალაძე, რატი სხირტლაძე, თედო უთურგაიძე,* ქართული ენის მოდელირების თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივა ............................ 189

*ნინო პოპიაშვილი,* მიგრაცია, როგორც ლიტერატურული რეცეფცია თანამედროვე ქართულ პროზაში ........................................................................................................................ 198

*თათია ღერკენაშვილი,* უმაღლესი განათლების ხარისხი როგორც საქართველოს მომავალი განვითარების გარანტი ..................................................................................................... 209

# Content

**Preface** ........ 5

***Shalva Machavariani,*** Innovative Potential Improvement Conditions in Georgia ........ 7

***Nugzar Skhirtladze,*** One Algorithm for Constructing Auto-model Solutions of Evolution Equations ........ 17

***Guram Lezhava, Boris Lezhava,*** Use of Scattering Curves for the Social-economic Process Analysis in the Society ........ 31

***Medea Zurabishvili,*** Development Trends of Georgian Payment Market ........ 46

***Lavrenti Janiashvili,*** Traditional and Modern Trends in Georgian Viticulture and Winemaking ........ 59

***Ekaterine Shubitidze,*** Environmental Taxation, Main Aspects of Tax Object ........ 69

***Nino Shalamberidze,*** Legal Aspects and Types of Franchising Agremeent ........ 79

***Maia Mkhatvrishvili,*** The Rights and the Duties of the Ombudsman within the Law of Georgia "On the Elimination of All Forms of Discrimination" ........ 86

***Vladimer Tsitlauri,*** The Essence of Restorative Justice and Significance Introduction ........ 96

***Amir Hosein Amirkhani, Hamed Sadri, Ali Mohammad Nagelyani,*** Investigating the Influence of the Organization Onus and Workshop Fixation on Organizational Excellence ........ 107

***Inga Kobakhidze,*** Forms of Government – Comparative Research ........ 118

***Sopho Amisulashvili,*** The Influence of Reproductive Health Education on Health of Youth-Students ........ 133

***Zurab Bragvadze,*** Colchis And Aegean World in the Bronze Age ........ 141

***Tereza Japaridze,*** „Tradition – It is Me" Syllabus of Pius IX ........ 149

***Giorgi Kvinikadze,*** Geo-Economic Collisions, Briefcase: Russia-China Relations ........ 163

***Tamar Kobuladze,*** Moderators and Mediators: Theoretical and Methodological Principles ........ 176

***Lali Ezugbaia, Mariam Manjgaladze, Rati Skhirtladze, Tedo Uturgaidze,*** Current State, Problems and Perspectives of Georgian Language Modeling ........ 189

***Nino Popiashvili,*** Migration as a Literary Reception in Modern Georgian Prose ........ 198

***Tatia Gherkenashvili,*** Higher Education Quality as Future Development Guarantee of Georgia ........ 209

# წინათქმა



უმაღლესი განათლების დონე დიდწილად განპირობებულია საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარებით, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ინტეგრირების ხარისხით. ვინაიდან კვლევა მოიაზრება ახალი ცოდნის მიღების წინაპირობად, დღეს წარმოუდგენელია კრეატიული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება კვლევით საქმიანობაში მისი ჩართულობის გარეშე. სწორედ ამ მიზეზით, კავკასიის უნივერსიტეტში კვლევები ხორციელდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ფართო მონაწილეობით, მიღებული შედეგები განიხილება საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე, ბიზნესის წრეებთან ერთად ჩატარებულ სემინარებზე.

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომების კრებული აერთიანებს როგორც კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების, ასევე პარტნიორი უნივერსიტეტების სხვადასხვა თაობის მკვლევართა გამორჩეულ სტატიებს. გასულ წლებში გამოცემული კრებულების მსგავსად, ნაშრომები მოიცავენ გამოყენებითი და ფუნდამენტალური მეცნიერების დარგებს. განხორციელებული კვლევების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია: ქვეყნის საინოვაციო პოტენციალის ამაღლების შესაძლებლობა, საზოგადოების სოციო-ეკონომიკური პროცესების ანალიზი, ევოლუციური განტოლებების ავტომოდელური ამონახსნები, გარემოსდაცვითი გადასახადების დაბეგვრის ობიექტი, აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა, კოლხეთისა და ეგეოსური სამყაროს ბრინჯაოს ხანის ისტორია, სახელმწიფო მმართველობის ფორმები, მოდერატორისა და მედიატორის ურთიერთმიმართებები, რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობები, ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის პრობლემები, საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებები, ფრენშაიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი მხარეები, განათლების გავლენა სტუდენტი ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში, ორგანიზაციის ეფექტიანობის დადგენის საშუალებები, თანამედროვე ქართულ პროზაში მიგრაციის რეცეფციის საკითხები, ქართული ენის მოდელირების თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივა, რომის კათოლიკური ეკლესიის ტრადიციები, საქართველოს საგადასახადო ბაზრის განვითარების ტენდენციები, საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლების შესაძლებლობები.

სტატიების ავტორებს ვუსურვებ შემდგომ წარმატებულ და ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას.

***პროფესორი კახა შენგელია***

*კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი*

# Preface

Quality of higher education is largely stipulated by the development of university science and the level of education and research components integration. Since research is considered to be a prerequisite for acquiring new knowledge, nowadays it's inconceivable to prepare creative, competitive specialist without involving in Think Tank activities. This is why studies are being carried out with the participation of a wide variety of academic staff and students, the results are reviewed at the local and international scientific conferences and at seminars conducted with business circles.

Presented scientific collection unites Caucasus University, as well as partner universities students and various generation researchers' distinct articles. Like previous publications it includes applied and fundamental scientific fields. The research topics are quite diverse: The country's innovation raising potential, Socio-economic process analysis, Auto-model solutions of evolution equations, Tax object of environmental taxation, Essence and significance of restorative justice, Colchis and the Aegean Bronze Age history, The forms of governance, The moderator and mediator interactions, Russia-China relations, Georgian traditional viticulture-winemaking problems, The rights and the duties of the ombudsman within the law of Georgia, Legal aspects and types of franchising agreement, The influence of reproductive health education on health of youth-students, Remedies for investigating the organizational excellence, Migration as a literary reception in modern Georgian prose, Current state, problems and perspectives of Georgian language modeling, The Roman catholic church traditions, Development tendencies of Georgian payment market, Higher education quality raising opportunities in Georgia.

I wish the authors further successful and fruitful scientific-pedagogic career.

***Professor Kakha Shengelia***

*Caucasus University President*

# საქათველოში ინოვაციური პოტენციალის ზრდის ხელშემწყობი პირობები



**შალვა მაჭავარიანი**

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

ინოვაცია, როგორც კრეატიული იდეების პრაქტიკაში დანერგვის შედეგი, დღეს განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, ვინაიდან მიმართულია პროგრესისა და გარკვეული უპირატესობის მისაღწევად. მენეჯმენტის კლასიკოსის, პიტერ დრუკერის თვალსაზრისით ინოვაცია მიიჩნეულია ბიზნესის განვითარების უმთავრეს ინსტრუმენტად (Drucker Peter F. 1999). ინოვაციების ხელშეწყობა ევროპაში აღიარებულია სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედად,[1],[2] რადგან ქვეყნის წარმატებას დღეს განაპირობებს მისი მრავალკომპონენტიანი ინოვაციური პოტენციალი. ამ მხრივ, მიზეზთა გამო, საქართველოში მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა, რასაც ცხადყოფს 2015-2016 წლების ”გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში”, რომლის თანახმად, ინოვაციური შესაძლებლობებით საქართველოს უკავია 121-ე ადგილი[3] (149 ქვეყანას შორის). ეს მონაცემი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია:

ა). უმაღლესი განათლების ხარისხით (101-ე ადგილი იმავე ანგარიშის შესაბამისად);

ბ). ქვეყანაში წარმოებული კვლევების ხარისხით (119-ე ადგილი);

გ). მეცნიერებაში ნიჭიერი კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების შესაძლებლობით (117-ე ადგილი);

დ). საუნივერსიტეტო მეცნიერების არასაკმარისი დაფინანსებით (133-ე ადგილი);

ე). კომპანიების მიერ დაკვეთილი კვლევების მოცულობით (127-ე ადგილი);

ვ). უნივერსიტეტებისა და წარმოებების თანამშრომლობის ინტენსივობით (128-ე ადგილი).

შექმნილი ვითარება ყალიბდებოდა უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში. სამოქალაქო ომი, ნგრევა, დაკარგული ტერიტორიები, რუსული აგრესია, სახელმწიფოს გაუაზრებელი,

---

[1] Research and Entrepreneurship: A New Innovation Strategy for Europe, 2008, http://www.eirma.org/sites/www.eirma.org/files/doc/external/080708-Toulouse/080701-guillecsachwald.pdf

[2] Research and Entrepreneurship: A New Innovation Strategy for Europe, 2008, http://www.eirma.org/sites/www.eirma.org/files/doc/external/080708-Toulouse/080701-guillecsachwald.pdf

[3] The Global Competitiveness Report 2015-2016, http://www3.weforum.org/docs/gcr/2015-2016/Global_Competitiveness_Report_2015-2016.pdf

ქაოტური მართვა, მოჩვენებითი კეთილდღეობის შექმნის მცდელობა და მრავალმა სხვა "აქტიობამ", საქართველო მიიყვანა არასახარბიელო მდგომარეობამდე, როცა ქვეყნის პროგრესის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებლის მიხედვით - ინოვაციური პოტენციალით, საქართველო დღეს ბევრ ქვეყანას ჩამორჩება, მათ შორის თავის უშუალო მეზობლებსაც (ცხრ.1).

საქართველოს მეზობელი ქვეყნების "ინოვაციური პოტენციალის" რეიტინგი

ცხრ. 1

| ქვეყანა | რეიტინგი |
|---|---|
| საქართველო | 121 |
| აზერბაიჯანი | 53 |
| სომხეთი | 87 |
| რუსეთი | 84 |
| თურქეთი | 83 |

არსებული პრობლემა ატარებს კომპლექსურ ხასიათს. ზემოთ აღწერილი ფაქტორების გარდა, ქვეყნის "ინოვაციურობა"-ზე გავლენას ახდენს აგრეთვე განვითარების ერთიანი სტრატეგიის უქონლობა. სისტემური მიდგომის გამოყენებით შემუშავებული ქვეყნის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი უნდა იყოს ინოვაციური პოტენციალის ამაღლების ხანგრძივადიანი პროგრამა, რომელშიც შეფასებული იქნება განვითარების ხელშემწყობი და ხელშემშლელი მოვლენები, არსებული ძლიერი და სუსტი მხარეები, მამოძრავებელი ძალები, ბაზრების კონიუქტურა, მმართველობითი სახის საკითხები და ა.შ. გრძელვადიანი პერიოდისათვის განისაზღვრება მეცნიერების განვითრების ძირითადი პრინციპები, პრიორიტეტული მიმართულებები, მოსაზიდი რესურსის საჭირო რაოდენობა და ხარისხი, უნივერსიტეტებში კვლევებისა და სწავლების ინტეგრირების პროცესის განხორციელების შესაძლებლობა, სტრატეგიის რეალიზაციის პირობები და მათ შორის ინოვაციური პოლიტიკის წარმართვა, უნივერსიტეტებში პერსპექტიული კადრების მოზიდვა, ინტელექტუალური საქმიანობისათვის კომფორტული საორგანიზაციო გარემოს შექმნა და მრავალი სხვა საკითხი, რომლებიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. განვითრების სტრატეგია ორიენტირებული იქნება არსებული შესაძლებლობების გამოსაყენებლად და ნაკლოვანებები აღმოსაფხვრელად, როგორიცაა მაგალითად:

**მეცნიერებაზე გამოყოფილი სახსრების სიმცირე**

საქართველოში განათლებაზე გამოყოფილი თანხა თითქმის 17-ჯერ აღემატება მეცნიერების დაფინანსებას. ერთ ადამიანზე გადაანგარიშებით, 2015 წელს საქართველოში სამეცნიერო კვლევებზე

7,8 აშშ დოლარი იხარჯებოდა, მსოფლიოში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 18,6 დოლარს შეადგენდა, ხოლო განვითრებულ ქვეყნებში საშუალოდ 60%-ით მეტს. 2015 წელს, საქართველოში განხორციელებული კვლევების ღირებულების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან შეადგენდა 0,16 და ამ მხრივ ძალზე ჩამორჩებოდა მრავალი ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს[4] (ილუსტ. 1). აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, ევროკავშირის მოთხოვნის თანახმად,




ილუსტრ. 1 ქვეყნების მიხედვით კვლევებზე დანახარჯების შეფარდება მშპ-სთან (%-ში)

ევროკავშირის ქვეყნებში კვლევებსა და განვითარებაზე დახარჯული სახსრების შეფარდება მთლიან შინა პროდუქტთან უნდა იყოს არანაკლები 3%-სა[5].

### უნივერსიტეტებში კვლევებსა და სწავლებას შორის ინტეგრირების დაბალი ხარისხი

საქართველოში არქიმედეს ფონდის ხელშეწყობით, 2006-2007 წლებში განხორციელებული პროექტის (Archimedes Foundation Project, 2007), აგრეთვე 2010-2013 წლებში ევროკავშირის პროექტის Project “IncoNet CA/SC”[6] ფარგლებში შეფასდა საუნივერსიტეტო სწავლებისა და მეცნიერების ურთიერთდაკავშირების ხარისხი და მისი გავლენა ბიზნესისათვის მიწოდებული ინოვაციური იდეების ტრანსფერის მოცულობაზე. აღინიშნა კვლევებსა და სწავლებას შორის ძალზე სუსტი

[4] Gross Domestic on R&D total % of GDP https://data.oecd.org/rd/gross-domestic-spending-on-r-d.htm#indicator-chart

[5] Europe 2020 indicators - research and development. http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Europe_2020_indicators_-_research_and_development#Further_Eu

[6] Seventh Framework Programme, Project “IncoNet CA/SC”, Grant agreement #244417, 2010-2013

კავშირის მიზეზები: ნაკლოვანი სასწავლო პროგრამები, რომლებშიც არასათანადოდაა გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი, მოძველებული ინფრასტრუქტურა, საუნივერსიტეტო კვლევების არასაკმარისი დაფინანსება, სწავლების ხარისხის შეფასების არასრულყოფილი მეთოდიკა, წარსულიდან ინერციით გადმოყოლილი სხვა ფაქტორები. მსგავსი შეფასება მოცემულია განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის 2013 წლის გამოცემაში ”უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში”[8].

**ბიზნესთან ძალზე სუსტი კავშირი**

საქართველოში ბიზნესის განვითარება მნიშვნელოვანწილად იზღუდება კვლევითი სექტორიდან მიწოდებული ინოვაციების ნაკლებობის გამო, ხოლო ბიზნესის მხრიდან დაკვეთების სიმცირის მიზეზით, ვერ ხერხდება საუნივეტრსიტეტო მეცნიერების სათანადოდ დაფინანსება. 2006-2009 წლებში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პირობების შესასწავლად, განხორციელდა ევროკავშირის სამეცნიერო პროგრამა (INTAS Project-SCRIPTS, 2006-2009). დადგინდა, რომ სუსტ კავშირს განაპირობებს ქვეყანაში ინოვაციური სტრატეგიის უქონლობა, მაღალტექნოლოგიური ორგანიზაციების სიმცირე[9], ბიზნეს-აქსელერატორების არ არსებობა, ჩამოუყალიბებელი ინფრასტრუქტურა, კვლევების სუსტი კოორდინაცია, ინოვაციებზე მიმართული მუშაობის არასათანადოდ დაფინანსება, კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფელი სისტემების გაუმართაობა (საჭირო სტრუქტურების, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, ტესტირების, სტანდარტიზაციის და სხვა), კვლევებისა და ინოვაციების შესახებ სამართლებრივი ბაზის არასრულყოფილება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის თანამედროვე ინფრასტრუქტურის ნაკლოვანება (შალვა მაჭავარიანი და სხვები, 2015). აღსანიშნავია, რომ მეცნიერების გამოყენებითი დარგები თავიანთ სასწავლო პროგრამებში თითქმის არ ითვალისწინებენ რეალური ბიზნესის მოთხოვნებს. ამ მიზეზით სტუდენტები მოკლებულნი არიან კვლევებს ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე, რაც ხელს უშლის სწავლების ხარისხის ამაღლებას და სტუდენტების კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ჩამოყალიბებას[10].

**გ. პერსპექტიული კადრებით უნივერსიტეტების არასათანადო დაკომპლექტება**

”უმაღლესი განათლების შესახებ”[11] საქართველოს კანონის თანახმად, უმაღლესი სასწავლებლებისათვის სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად გათვალისწინებულია ე.წ. მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. ზალცბურგის რეკომენდაციების თანახმად “სადოქტორო

[8] უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, http://erasmusplus.org.ge/files/publications/Strategic%20Development%20of%20HE%20and%20Science%20in%20Georgia%20-%20ge.pdf

[9] Oleg Shatberashvili. EU Eastern Partnership Programme and Innovative SMEs. ERENET PROFILE, ISSUE 28, Vol. VII, No. 4, 2012, pp.30-42 (ISSN 1789-624X

[10] Knowledge and Research Issues http://www.jstor.org/discover/10.2307/3250961?uid=2&uid=4&sid=21101070482013

[11] https://www.tsu.ge/data/file_db/PR/kanoni-umaglesi-ganatlebis.pdf

განათლების მიზანია კვლევაზე ორიენტირებული აზროვნების კულტივირება; მოქნილი აზროვნების, კრეატიულობისა და ინტელექტუალური ავტონომიურობის აღზრდა/მხარდაჭერა ორიგინალური, კონკრეტული კვლევითი პროექტის მეშვეობით“[12]. პერსპექტიული მკლევარები დოქტორანტურის დასრულებისა და სამეცნიერო ხარისხის დაცვის შემდეგ იღებენ ერთგვარ ”საშვს” უნივერსიტეტებში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად და სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად. რამდენად სრულფასოვნად ხორციელდება სადოქტორო პროგრამები და რა ხარისხის შევსებას იღებენ უმაღლესი სასწავლებლები, დიდ კითხვის ნიშანს აჩენს, ვინაიდან გამოყენებით დარგებში დაცული დისერტაციების შედეგები თითქმის არ არის გამოყენებული ბიზნესის მიერ და მათი, როგორც სამეცნიოერო ნაშრომების ციტირების კოეფიციენტი ძალზე დაბალია. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან: ა. სახელმწიფოს მიერ არასაკმარისი სახსრებია გამოყაფილი სადოქტორო დისერტაციების მოსამზადებლად (ცხრ. 2), მაგ. 2008 წლიდან 2015 წლამდე კვლევასა და განვითარებაზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არ შეიცვალა, ხოლო დოქტორანტების რიცხოვნება გაიზარდა თოთქმის 240%-ით. ბ. სადოქტორო დისერტაციების თემები (განსაკუთრებით გამოყენებით დარგებში) არ არიან ორიენტირებულები ბიზნესის წინაშე მდგარი რეალური პრობლემების გადასაწყვეტად, რის გამოც არ ხდება ბიზნესის მხრიდან ამ თემების დაფინანსება, ვ. შეინიშნება ტენდენციები, როცა სადოქტორო დაცვები ძირითადად წარიმართება დისერტანტის პიროვნული ამბიციების დასაკმაყოფილებლად და ნაკლებადაა გათვალისწინებული აქტუალური სამეცნიერო საკითხების კვლევა.

საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტიური დანახარჯები დოქტორანტურაში სამეცნიერო კვლევების შესასრულებლად[13,14]

ცხრ. 2

| დასახელება | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2015 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| %-ი მშპ -თან | 0,16 | 0,22 | 0,18 | 0,09 | 0,07 | 0,12 | 0,16 |
| დოქტორანტების რაოდენობა | 1588 | 2988 | - | 4266 | 3040 | 3213 | 3765 |

**არაკომფორტული საორგანიზაციო გარემოს არსებობა**

კვლევების ეფექტიანობა, ანუ ღირებული ინტელექტუალური პროდუქციის შექმნა დიდწილად დამოკიდებულია თანამშრომლებისთვის *კომფორტული სამუშაო გარემოს არსებობაზე* (Matteo Mura,

[12] Salzburg II recomendations. 2010, EUA. www.eua.be
[13] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=205&lang=geo
[14] სამეცნიერო კვლევების ბიუჯეტიდან დაფინანსება https://www.osgf.ge/files/2014/publications/Integration_of_Research_and_Study_at_HEI_-_Lali_Bakradze.pdf

Emanuele Lettieri და სხვები, 2012), რასაც ქართულ სინამდვილეში არასათანადო ყურადღება ექცევა. კომფორტული სამუშაო გარემო ძირითადად დამოკიდებულია: ”თანამშრომლების მორალური განვითარების სტადიაზე”, საქმიანობის ხასიათზე და ლიდერობის დამკვიდრებულ სტილზე:

*ა. ”თანამშრომლების მორალური განვითარების სტადიის” გავლენა ლიდერობის სტილზე.* იმ შემთხვევაში, როცა თანამშრომლების ქცევა განპირობებულია მხოლოდ კერძო ინტერესებით და ორგანიზაციაში არსებული მკაცრი წესებით, ხოლო პიროვნების მოქმედება ძირითადად გამოწვეულია დასჯის შიშით, ორგანიზაციაში უმთავრესად ინერგება ავტორიტალური მართვის სტილი (ილუსტ. 2). ცნობილია ავტორიტარული სტილის ორი ნაირსახეობა:

*ექსპლორიტარულ-ავტორიტარული* და *კეთილგანწყობილ-ავტორიტარული.* *პირველი* დამახასიათებელია ავტოკრატი ხელმძღვანელისათვის, რომელიც ერთპიროვნულად, მკაცრი მეთოდების გამოყენებით მართავს თანამშრომლებს. ეს სტილი შეესაბამება დევიდ მაკგრეგორის “X“ თეორიის დებულებებს. *კეთილგანწყობილ-ავტორიტარული სტილი* აქვთ ხელმძღვანელებს, რომლებსაც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აინტერესებთ თანამშრომლების თვალსაზრისი. მართვისას თანამშრომლებს ისინი აძლევენ შეზღუდულუფლებებს და ასეთი მიდგომით უქმნიან მათ მოტივაციას შესასრულებელი დავალების მიმართ. ლიდერობის ამ სტილის მქონე ადამიანებს ახასიათებთ ქარიზმატულობა,




ილუსტ. 2 თანამშრომლის მორალური განვითარების სტადიისა და ხელმძღვანელის მართვის სტილის ურთიერთდამოკიდებულება

მიდრეკილება ერთპიროვნულად ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისადმი და დეტალური კონტროლის განხორციელების სურვილი. კეთილგანწყობილ-ავტორიტატული სტილი

გარკვეულწილად ”დაძრულია” დევიდ მაკგრეგორის “X“ თეორიით განსაზღვრული პირობებიდან (McGregor, D., 1960), მაგრამ ძალზე შორს არის “Y“ თეორიის მოთხოვნებთან.

საზოგადოების ”განვითარების საწყისი სტადიის” შემთხვევაში, თანამშრომლების ეფექტიანი მართვისათვის საჭიროა ავტორიტარული სტილის მქონე ხელმძღვანელის შერჩევა (Kohlberg L. 1995).

”განვითარების ძირითადი სტადიის” პირობებში, როცა ადამიანები მოქმედებენ გარემოცვის მოლოდინის შესაბამისად და კეთილსინდისიერად ასრულებენ სოციალური სისტემის მიერ ”დაკისრებულ მოვალეობებს”, საჭიროა თანამშრომლების მართვა დემოკრატიული ლიდერობის სტილის მქონე ხელმძღვანელის მიერ, ვინაიდან ლიდერობის დემოკრატიული სტილით გამორჩეული ხელმძღვანელი მეტ ყურადღებას იჩენს თანამშრომლების აზრის მიმართ, ისმენს და აანალიზებს მათ რჩევებს და იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს. აღნიშნულის გარდა აძლევს თანამშრომლებს მოქმედების მეტ თავისუფლებას. ლიდერობის დემოკრატიული სტილი, დევიდ მაკგრეგორის “X“ და “Y“ თეორიებით განსაზღვრულ კონტინიუმზე იკავებს შუალედურ პოზიციას.

”განვითარების შემდგომი სტადია” ითვალისწინებს პიროვნების მოქმედებას სიკეთისა და სამართლიანობის მისეული პრიმციპების მიხედვით, შესაბამისად ადამიანი ეძებს ეთიკური დილემის გადაწყვეტის გზებსა და მეთოდებს. იცავს ბალანსს საკუთარ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. აღნიშნულ პირობებში, თანამშრომლების ოპტიმალური მართვისათვის, მისაღებია ლიდერობის ტრანსფორმაციული სტილის მქონე ხელმძღვანელი. ლიდერობის ტრანსფორმაციული სტილი ხელს უწყობს ორგანიზაციაში თანამშრომლობის მაღალ ხარისხს, ურთიერთნდომასა და პატივისცემას, თანამშრომლების სრულფასოვან ჩართულობას მართვის პროცესში და გადაწყვეტილებების მიღებას სათანადო კომპეტენციის მქონე თანამშრომლებთან მოთათაბირების შედეგად (Yukl G.A., 2004). *ბ. საქმიანობის ხასიათის გავლენა ლიდერობის სტილზე.* სიტუაციური ლიდერობის თეორიებიდან გამომდინარე (Hersey P., 1985), შესასრულებელი საქმიანობის თავისებურება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ხელმძღვანელის ლიდერობის სტილს. ორგანიზაციაში, განმეორებადი, რუტინული ხასიათის სამუშაოს შესასრულებლად უთუოდ გამოდგება როგორც ავტორიტარული, ასევე დემოკრატიული ლიდერობის სტილის მქონე ხელმძღვანელი. რაც უფრო შინაარსიანია სამუშაო, მის შესასრულებლად საჭირო ხდება თანამშრომლების მხრიდან მეტი შემოქმედებით მიდგომის გამოვლენა და პროცესების სათანადო მართვისათვის ჩნდება ე.წ. ”ტრასფორმაციული” ლიდერის თვისებების მქონე ხელმძღვანელის საჭიროება (ილუსტ. 3). ტრანსფორმაციული ლიდერი ადექვატურად აფასებს თანამშრომლების შესაძლებლობებს, კარგად გრძნობს მათ მოთხოვნებს და საქმიანობის სრულფასოვნად შესრულებისათვის შეუძლია თითოეულს შეუქმნას სათანადო მოტივაცია. ამყარებს თანამშრომლებთან პარტნიორულ ურთიერთობებს, აქვს სიახლის შეგრძნების არაჩვეულებრივი

უნარი. აღნიშნული თვისებები ხელს უწყობენ ლიდერს პრობლემის მრავალმხრივ შეფასებაში, შეწონილი და ამავდროულად ინოვაციური გადაწყვეტილების მიღებაში. ტრანსფორმაციული ლიდერების ძალისხმევა მიმართულია ორგანიზაციებში თვისობრივი გარდაქმნების განსახორციელებლად, რაც პირველ რიგში გულისხმობს თანამშრომლების განწყობის სათანადოდ შეცვლას და მათი ძალისხმევის წარმართვას საჭირო საქმიანობის შესასრულებლად. ტრანსფორმაციული ლიდერები უძღვებიან ცვლილებების მთელ პროცესს, დაწყებული მისიისა და მიზნების ფორმირებით, საორგანიზაციო კულტურისა და სტრუქტურის ჩამოყალიბებით, ინოვაციური იდეების განხორციელებითა და პროდუქციის დამზადება-რეალიზაციით დასრულებული. ტრანსფორმაციული ლიდერები, თავიანთ საქმიანობას წარმართავენ არსებულ კანონებისა და წესების დაცვით. ამავდროულად, მმართველობითი საქმიანობის შესასრულებლად იყენებენ ნოვატორულ მიდგომებს. ტრანსფორმაციული ლიდერის ახლებური ხედვა, თანამშრომლებისათვის ქმნის ერთგვარ მოტივაციას შემდგომი საქმიანობის განსახორციელებლად.




| ავტოკრატიული | დემოკრატიული | ტრასფორმაციული |
| --- | --- | --- |
| ლიდერობის სტილი | | |

ილუსტ. 3 ლიდერობის სტილის დამოკიდებულება საქმიანობის ხასიათზე

აღნიშნულის გარდა, ნდობაზე აგებული ურთიერთობა თანამშრომლებში აღძრავს დამატებით ძალისხმევას, ხელს უწყობს მათი სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულებასა და ტრანსცენდენტული მიზნების მიღწევას (MacGregor J. Burns D, 2012). დადგენილია, რომ ტრანსფორმაციული ლიდერობა მიმართულია თანამშრომლების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენასა და შინაგანი ანაზღაურების მისაღებად. აღნიშნული თვისებების გამო ლიდერობის ტრანსფორმაციული სტილით დაინტერესება საკმაოდ დიდია განვითარებული ქვეყნების საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში (Barnett, McCormick, 2004), (Bogler, 2002), (Yu, 2000), (Darling, 1990), (Koh W. L., Steers R. M., Terborg J. R., 1995) და ა.შ.. მრავალი თანამედროვე მკვლევარის მტკიცებით სწორედ შერჩეულ ლიდერობის სტილს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტებში მეცნიერების განვითარებისა და ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შესაქმნელად (Cross Stephen E., 2012), (Goodall Amanda H., McDowell John M., Singell Larry D., 2014), (Middlehurst Robin, 2012).

## გამოყენებული ლიტერატურა

Archimedes Foundation, (2007), Report of the Project: "Analysis of existing Georgian key technologies";

Barnett, K., McCormick J., (2004). Leadership and individual principal-teacher relationships in schools. *Educational Administration Quarterly* 40 (3): pp 406–434;

Bogler, R. (2002). Two profiles of schoolteachers: A discriminative analysis of job satisfaction. *Teaching and Teacher Education* 18 (6): pp. 665–673;

Darling S. K., (1990), A study to Identify and Analyze the Relationship Between (1) Trans formational Leadership and Collaboration and (2) Transactional Leadership and Collaboration in Selected Minnesota Elementary Schools. UMI Dissertation Services: Ann Arbor, MI.

Drucker Peter F. (1999), Management Challenges for the 21st Century. R&I Enterprises Int., New York;

Goodall Amanda H., McDowell John M., Singell Larry D., (2014), Leadership and the Research Productivity of University Departments, Discussion Paper No. 7903, The Institute for the Study of Labor (IZA), http://ftp.iza.org/dp7903.pdf;

Cross Stephen E., (2012). A Leadership Model for the Research University, Published by Elsevier Ltd. Selection and/or peer-review under responsibility of the 3rd International Conference on Leadership, Technology and Innovation Management. pp.1-12; https://pdfs.semanticscholar.org/3598/03ddb6de74ba5e2b3951c3a32d7289439d83.pdf

INTAS Project, (2006-2009). NO:06-1000017-8811 South-Caucasian Republics: Research and Development of Science, Technology and Innovation Policy (SCRIPTS);

Kohlberg L., (1995). Moral Stages and Moralization: The Cognitive-Developmental Approach, in "Moral Developmental and Behavior", Business Ethics Quarterly 5, no. 1, pp. 43-54;

Koh W. L. K., Steers R. M., Terborg J. R., (1995). The effects of transformational leadership on teacher attitudes and student performance in Singapore. *Journal of Organizational Behavior* 16 (4): pp. 319–333.;

McGregor, D. (1960). The Human Side of Enterprise, New York, McGrawHill;

McGregor D., Burns J., (2012). Leadership, Open Road Media;

Middlehurst, R. (2012). Leadership and Management in Higher Education: A Research Perspective, Maastricht School of Management's research seminar on Leadership and Management in Higher Education. ftp://ftp.repec.org/opt/ReDIF/RePEc/msm/wpaper/MSM-WP2012-47.pdf;

Mura Matteo, Lettieri Emanuele, Spiller Nicola and Radaelli Giovanni (2012), Intellectual Capital and Innovative Work Behaviour: Opening the Black Box, in International Journal of Engineering Business Management, vol.4, pp. 39-49 http://cdn.intechopen.com/pdfs/40944.pdf;

Carlsson Håkan, Kettis Åsa, Söderholm Anders, (2014), Research Quality and the Role of the University Leadership, The Swedish Association of Higher Education (SUHF)/ Experts´Committee on Quality, Elanders Sverige AB, Stockholm, https://gupea.ub.gu.se/bitstream/2077/27835/4/gupea_2077_27835_4.pdf;

Yukl G.A., (2004). Leadership in Organizations, Prentice-Hall, Upper Saddle River, NJ.;

Yu H., (2000). *Transformational Leadership and Hong Kong Teachers' Commitment to Change.* Unpublished doctoral dissertation, University of Toronto: Toronto, Canada;

მაჭავარიანი, შ. და სხვები (2015). *საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითადი ხელშემწყობი პირობები,* ფრიდრიხ ებერტის ფონდის და კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობები, თბილისი;

# საქათველოში ინოვაციური პოტენციალის ზრდის ხელშემწყობი პირობები

*შალვა მაჭავარიანი*
პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი
კავკასიის უნივერსიტეტი

## ანოტაცია

კვლევის მიზანია საქართველოში დაბალი ინოვაციური პოტენციალის გამომწვევი ძირითადი მიზეზების დადგენა და არსებული პრობლემის დაძლევის გზების წარმოდგენა.

კვლევისას გამოყენებულია მსოფლიო ბანკის, ეუროსტატისა და საქსტატის მონაცემები, გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში, თეორიული ნაშრომები, ქართველ და უცხოელ ავტორთა პრაქტიკული რეკომენდაციები. კვლევა განხორციელდა შედარებითი ანალიზისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდებით. სისტემური მიდგომის დახმარებით გამოიკვეთა საქართველოში დაბალი ინოვაციური პოტენციალის გამომწვევი ძირითადი მიზეზები: ინოვაციური პოტენციალის ამაღლების ხანგრძივვადიანი პროგრამის უქონლობა, უნივერსიტეტებში კვლევებისა და სწავლების ინტეგრირების დაბალი ხარისხი, ბიზნესთან მეცნიერების ძალზე სუსტი კავშირი, უნივერსიტეტებში პერსპექტიული ახალგაზრდა მკლევარების სიმცირე, ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა და კვლევებისთვის კომფორტული საორგანიზაციო გარემოს ჩამოუყალიბებლობა.

დასაბუთდა სისტემური მიდგომის გამოყენების საჭიროება ქვეყანაში ინოვაციური პოტენციალის ასამაღლებლად.

# Innovative Potential Improvement Conditions in Georgia

*Shalva Machavariani*
Professor, PhD
Caucasus University

## Abstract

Research aim is to determine the root causes of law innovative potential in Georgia and to represent ways for overcoming existing problem.

For survey there was used World Bank, Euro Stat and National Statistics Office of Georgia data, Global Competitiveness Report, theoretical papers and local and foreign authors' recommendations. The survey was carried out with comparative and statistical analysis. With the support of Systematic approach the following basic causes for law innovative potential in Georgia have been revealed: not existing the innovative potential raising long term program, the law quality of research and teaching integration at universities, very weak linkage between business and science, the lack of perspective researchers, infrastructural disorder and not established comfortable organizational environment for researches. The usage of systematic approach for innovation potential raising has been substantiated.

## ევოლუციური განტოლებების ავტომოდელური ამონახსნების აგების ერთი ალგორითმის შესახებ



**ნუგზარ სხირტლაძე**

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

მეცნიერებისა და ტექნიკის წინაშე მდგარი თანამედროვე პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას შესასწავლი მოვლენის თუ პროცესის მათემატიკური მოდელირება წარმოადგენს სწრაფმოქმედი კომპიუტერების გამოყენებით [1]. თვით მათემტიკური მოდელის აგების ერთ-ერთი მიდგომა პირობითად სამ ციკლად შეიძლება დაიყოს. პირველია, შესასწავლი ობიექტის აღმწერი ესკიზური მათემატიკური მოდელის აგება, მეორე - მისი ყოველმხრივი გამოკვლევა ადეკვატურობის, იერარქიულობის და სხვა კრიტერიუმების თვალსაზრისით, მათ შორის განზომილებათა ანალიზის საშუალებით [2] და მესამე, ე.წ. ავტომოდელური ამოანხსნების საფუძველზე თავდაპირველი ესკიზური მოდელის დაზუსტება [3]. სქემატურად ეს ალგორითმი დანართშია მოცემული. აქვეა მითითებული თითოეული ციკლის შემადგენელი ნაბიჯები.

მათემატიკური მოდელების ასეთი აგება - დაზუსტების მეთოდიკა განსაკუთრებით ეფექტურია ისეთი მოვლენებისა და პროცესების შესსწავლისას, რომელთა განვითარებაც (ევოლუცია) დროის მიხედვით წარმოებს.

სამგანზომილებიან სივრცეში მათი აღმწერი ესკიზური (პირველადი) მათემატიკური მოდელი შეიძლება კერძო წარმოებულებიანი განტოლებების შემცველი შემდეგი ზოგადი სახის ეცოლუციური თანაფარდობით წარმოვადგინოთ:

$$\Psi\left( t; r; u; A; \alpha; \frac{\partial u}{\partial t}; \frac{\partial^2 u}{\partial t^2}, ..., \frac{\partial^k u}{\partial t^k}; \frac{\partial u}{\partial x_1}, \frac{\partial u}{\partial x_2}, \frac{\partial u}{\partial x_3}; \frac{\partial^2 u}{\partial x_1^2}, \frac{\partial^2 u}{\partial x_2^2}, \frac{\partial^2 u}{\partial x_3^2}, ... \frac{\partial^m u}{\partial x_1^{k_1} \partial x_2^{k_2} \partial x_3^{k_3}} \right) = 0, \quad (1)$$

სადაც $t$ არის დრო, ათვლილი პროცესის (მოვლენის) დასაწყისიდან,

$r = (x_1, x_2, x_3)$ - რადიუს-ვექტორი,

$u = (u_1, u_2, ...u_n)$ - საძიებელი ფუნქციები,

$A = (A_1, A_2, ...A_N)$ -განტოლებებში კოეფიციენტების სახით, საწყის და სასაზღვრო პირობებში შემავალი მუდმივი განზომილებიანი (სახელდებული) პარამეტრები და

$\alpha = (\alpha_1, \alpha_2, ...\alpha_\ell)$ - უგანზომილებო (განყენებული) მუდმივები.

$k_1 + k_2 + k_3 = m$ არის კერძო წარმოებულებიანი განტოლებების რიგი.

ევოლუციური განტოლებების სისტემის მაგალითად განვიხილოთ გაზური დინამიკის ერთგანზომილებიანი პირველი რიგის განტოლებები, რომლებიც აღწერენ დგუშის მოძრაობით გაზში განვითარებულ პროცესებს, როცა გაზის თავდაპირველი სიმკვრივე განაწილებულია სივრცის მიხედვით და როცა მოქმედებს მასის წყაროები ან ჩამჭერები [4].

$$\frac{\partial \rho}{\partial t} + v\frac{\partial \rho}{\partial r} + \rho\frac{\partial v}{\partial r} + \frac{\nu}{r}\rho v = \Phi, \qquad (2)$$

$$\frac{\partial v}{\partial t} + v\frac{\partial v}{\partial r} + R\frac{\partial T}{\partial r} + \frac{RT}{\rho}\frac{\partial \rho}{\partial r} = 0, \qquad (3)$$

$$\frac{\partial T}{\partial t} + v\frac{\partial T}{\partial r} + (\gamma - 1)T\frac{\partial v}{\partial r} + \frac{\nu(\gamma-1)}{r}T_v = (\gamma - 1)\frac{\Phi T}{\rho}, \qquad (4)$$

$$\Phi = -\lambda_0 \rho^{n_1+n_2} T^{n_1}. \qquad (5)$$

სადაც t არის დრო, r - სივრცითი კოორდინატი, ρ - გაზის სიმკვრივე, T - ტემპერატურა, v - სიჩქარე, Φ - მასის წყაროების ხვედრითი სიმძლავრე, R- გაზური მუდმივა, γ - პოლიტროპის მაჩვენებელი, ν=0,1,2, შესაბამისად - ბრტყელი, ცილინდრული და სფერული სიმეტრიებისათვის.

საწყისი პირობები:

$$\rho(r,0) = \rho_0 r^{\ell}, \; v(r,0) = \; T(r,0) = 0; \qquad (6)$$

სასაზღვრო პირობა დგუშზე:

$$v[r_*(t),t] = v_0 t^{n_0}. \qquad (7)$$

ზოგადი (1) სახით, (2)-(7) გაზური დინამიკის ევოლუციური მათემატიკური მოდელი ასე ჩაიწერება:

$$\Psi\left( r, t, R, \lambda_0, \rho_0, v_0, \nu, n_0, n_1, n_2, \ell, \gamma, \rho, v, T, \frac{\partial \rho}{\partial t}, \frac{\partial v}{\partial t}, \frac{\partial T}{\partial t}, \frac{\partial \rho}{\partial r}, \frac{\partial v}{\partial r}, \frac{\partial T}{\partial r} \right) = 0 \qquad (8)$$

ანუ $u = (\rho, v, T);\quad A = (R, \lambda_0, \rho_0, v_0);\quad \alpha = (\nu, n_0, n_1, n_2, \ell, \gamma).$

უზოგადესი სახით (8) თანაფარდობა ასე გადავწეროთ:

$$\Psi\left( t; r; A; \alpha; u_1, u_2, u_3; \frac{\partial u_1}{\partial t}; \frac{\partial u_2}{\partial t}; \frac{\partial u_3}{\partial t}; \frac{\partial u_1}{\partial r}; \frac{\partial u_2}{\partial r}; \frac{\partial u_3}{\partial r} ... \right) = 0, \qquad (9)$$

სადაც

$$A = (A_1, A_2, ... A_N) \quad \alpha = (\alpha_1, \alpha_2, ... \alpha_n) \qquad (10)$$

ასე დასმული ამოცანის ამოხსნა ნიშნავს ვიპოვოთ შემდეგი ფუნქციონალური დამოკიდებულებები

$$
\begin{aligned}
u_1 &= u_1\left(r, t, A_1, A_2, \ldots A_N, \alpha_1, \alpha_2, \ldots \alpha_n\right), \\
u_2 &= u_2\left(r, t, A_1, A_2, \ldots A_N, \alpha_1, \alpha_2, \ldots \alpha_n\right), \\
u_3 &= u_3\left(r, t, A_1, A_2, \ldots A_N, \alpha_1, \alpha_2, \ldots \alpha_n\right).
\end{aligned} \tag{11}
$$

გადავიდეთ განზომილებათა ანალიზისა და მსგავსების თეორიის საფუძველზე ავტომოდელური ამონახსნების მოძებნაზე [3].

მართალია, ევოლუციური განტოლებების კლასი, რომლებისთვისაც ავტომოდელური ამონახსნები აიგება არც თუ ფართოა, მაგრამ თვით პროცესი გარდა იმისა, რომ მივყავართ ამ ამონახსნებამდე, იძლევა საშუალებას დაზუსტდეს თვით თავდაპირველი ჰიპოტეტური - ესკიზური მათემატიკური მოდელი მასში მონაწილე უგანზომილებო პარამეტრების გადარჩევის და დაზუსტების გზით.

შევნიშნოთ რომ, ავტომოდელური ამონახსნების აგების მეთოდი შეიძლება განხილული იქნას როგორც ცვლადთა განცალების მეთოდის განზოგადოება.

ცნობილია, რომ თუ ერთ სივრცით $r$ კოორდინატზე და $t$ დროზე დამოკიდებული საძიებელი $u(r,t)$ ფუნქციები, აკმაყოფილებენ კერძო წარმოებულებიან დიფერენციალურ ევოლუციურ განტოლებათა რომელიმე სისტემას და ისინი შეიძლება წარმოვადგინოთ

$$u(r,t) = f(r) \cdot \varphi(t) \tag{12}$$

სახით, მაშინ ეს სისტემა შეიძლება დავიყვანოთ $r$ და $t$ ცვლადების მიმართ შესაბამის ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებზე [3].

$f$ და $\varphi$ ფუნქციებს შეიძლება (12) წარმოდგენაზე უფრო რთული სახე ჰქონდეთ, შეიძლება ცალ-ცალკე $r$ და $t$-ზე კი არ იყვნენ დამოკიდებული, არამედ მათ გარკვეულ კომბინაციებზე ანუ მაგალითად, ჰქონდეთ ერთ-ერთი შემდეგი სახეთაგანი:

$$u(r,t) = f\left(\frac{r}{M(t)}\right) \cdot \varphi(t), \tag{13}$$

$$u(r,t) = f(r) \cdot \varphi\left(\frac{t}{L(r)}\right), \tag{14}$$

და ა.შ.

(13) და (14) ფორმულებში $M(t)$, $\varphi(t)$, $L(r)$ სიდიდეები შეიძლება იყოს თავისი არგუმენტის ხარისხოვანი ფუნქციები, ექპონენციალური ფუნქციები ან ჰქონდეთ კიდევ უფრო რთული სახე.

ტერმინი „ავტომოდელობა“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „თავისავე მსგავსს“. ჩვეულებრივ, ამ ცნებაში ჩადებულია ის აზრი, რომ დროზე დამოკიდებული სიდიდეების სივრცეში განაწილებები ერთმანეთთან დაკავშირებულია დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების გაზომვის მასშტაბების რაღაც გარდაქმნებით. ამიტომ მიღებულია, რომ ავტომოდელური ვუწოდოთ ისეთ ამონახსნებს, რომლებიც მიიღება განზომილებათა თეორიის გამოყენებით. ამას მივყავართ

საძიებელი ფუნქციების (13) ან (14) სახით წარმოდგენამდე, სადაც $M, \varphi, L$ და $f$ თავის არგუმენტების ხარისხოვანი ფუნქციებია, ანუ

$$M(t) = M_0 t^{n_M}, \qquad \varphi(t) = \varphi_0 t^{n_\varphi}, \tag{15}$$

$$L(r) = L_0 r^{n_L}, \qquad f(r) = f_0 r^{n_f}, \tag{16}$$

სადაც $M_0, \varphi_0, L_0$ და $f_0$ განზომილებიანი, ხოლო $n_M, n_L, n_\varphi$ და $n_f$ უგანზომილებო მუდმივებია.

პროცესებს (მოვლენებს), რომლებიც ავტომოდელური ამონახსნებით აღიწერება, ავტომოდელური პროცესები ან ავტომოდელური რეჟიმები ეწოდებათ.

განზომილებათა ანალიზის ყველა გამოყენება ორ თეორემას ეფუძნება.

პირველია თეორემა ფიზიკური სიდიდის განზომილების ფორმულის შესახებ და მეორე ე.წ. Π-თეორემა, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ბაკინგემის[1] თეორემასაც უწოდებენ.

პირველი თეორემის არსი შემდეგში მდგომარეობს.

ყოველი ფიზიკური სიდიდისათვის დამოუკიდებელი საზომი ერთეულის შემოღების ნაცვლად, გამოიყენება გარკვეულ პრინციპზე აგებული ერთეულთა სისტემა. ამ პრინციპს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ ფიზიკურ სიდიდეებს შორის არსებობს სრულიად გარკვეული კავშირები. თუ რამდენიმე მათგანს პირობითად ავარჩევთ ძირითად (პირველად) სიდიდედ, მაშინ დანარჩენი ფიზიკური სიდიდეები იქნებიან მათგან წარმოებული (მეორადი) სიდიდეები.

ფიზიკური სიდიდის საზომი ერთეული შეიძლება ნებისმიერად იყოს არჩეული, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების გაადვილების მიზნით ყოველთვის ცდილობენ მსოფლიო თანამეგობრობის მიერ მიღწეული შეთანხმებული ერთეულებით სარგებლობას. რამდენიმე ფიზიკურ სიდიდეს ირჩევენ *ძირითადად* და მათთვის ადგენენ ერთეულებს, დანარჩენი ფიზიკური სიდიდეების ერთეულები კი მათი მეშვეობით გამოითვლება და ამიტომ ამ დანარჩენებს *წარმოებულ ფიზიკურ სიდიდეებს* უწოდებენ.

თუ მოცემული დარგის ფიზიკურ სიდიდეთა რაოდენობა N-ის ტოლია და მათ შორის $K$ არის ძირითად სიდიდეთა რაოდენობა, მაშინ დანარჩენი $N-K$ წარმოებული სიდიდიდან თითოეულის ერთეულის ძირითად ერთეულებზე დამოკიდებულების განმსაზღვრელ გამოსახულებას წარმოებული ფიზიკური სიდიდის *განზომილება* ეწოდება და აღინიშნება კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიდიდის სიმბოლოთი. მაგალითად, $G$ ფიზიკური სიდიდის განზომილება იქნება $[G]$.

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური სიდიდის განზომილება არ განაპირობებს მისი ერთეულის სიდიდეს. ის მხოლოდ ამყარებს სხვადასხვა ფიზიკური სიდიდეების ერთეულებს შორის კავშირს. განზომილება იძლევა წესს, თუ როგორ იცვლება წარმოებული ფიზიკური სიდიდის ერთეული

[1] Buckingham, E. "On physically similar systems; illustrations of the use of dimensional equations". Physical Review 4 (4): 345–376, 1914.

ძირითადი ერთეულების მასშტაბების ცვლილებისას. მათემატიკური ფორმულის სახით ჩაწერილ ამ წესს განზომილების ფორმულა ეწოდება.

მტკიცდება, რომ განზომილების ფორმულას ძირითად ფიზიკურ სიდიდეებთან მიმართებაში აქვს ხარისხოვანი ერთწევრის სახე თუ ძირითად სიდიდეებად არჩეულია მაგალითად სიგრძე, დრო და მასა, $LM\tilde{T}$ ერთეულთა ძირითად სისტემაში, ნებისმიერი ფიზიკური სიდიდის განზომილება მოიცემა ფორმულით

$$[G] = L^{g_L} M^{g_M} \tilde{T}^{g_{\tilde{T}}}, \tag{17}$$

სადაც L -სიგრძეა, M - მასა, $\tilde{T}$ - დრო, $g_L, g_M, g_{\tilde{T}}$ - განყენებული მუდმივი რიცხვებია.

(17) ფორმულა ნიშნავს, რომ თუ სიგრძის, მასის და დროის ერთეულებს შესაბამისად α-ჯერ, β-ჯერ და γ-ჯერ შევამცირებთ, მაშინ წარმოებული ფიზიკური G სიდიდის ერთეული $\alpha^{g_L}\beta^{g_M}\gamma^{g_{\tilde{T}}}$ -ჯერ შემცირდება და მაშასადამე მისი რიცხვითი მნიშვნელობა ამდენჯერვე გაიზრდება.

შემოვიღოთ დამოუკიდებელი განზომილების ცნება. როცა გვაქვს რამდენიმე ფიზიკური სიდიდის განზომილება, მაშინ მათ დამოუკიდებელი ეწოდებათ, თუ ერთის გამოხატვა დანარჩენით შეუძლებელია ხარისხოვანი ერთწევრის სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში განზომილებებს დამოკიდებელი ეწოდებათ. ასე მაგალითად, სიგრძის, სიჩქარის და აჩქარების განზომილებები: L, L/T, L/T$^2$ დამოკიდებელი განზომილებებია, რადგან ყოველი მათგანი შეგვიძლია გამოვხატოთ დანარჩენი ორის გარკვეული ერთწევრით; მართლაც,

$$L = \left(\frac{L}{\tilde{T}}\right)^2 \frac{\tilde{T}^2}{L}, \frac{L}{\tilde{T}} = \left(L\frac{L}{\tilde{T}^2}\right)^{1/2}, \frac{L}{\tilde{T}^2} = \frac{1}{L}\left(\frac{L}{\tilde{T}}\right)^2$$

რაც შეეხება სიგრძის, სიჩქარისა და ენერგიის განზომილებებს, ე. ი. L, $L\tilde{T}^{-1}$ და $ML^2\tilde{T}^{-2}$ -ს, ისინი დამოუკიდებელ განზომილებებს წარმოადგენენ. მაგალითად, L-ს ვერასგზით ვერ გამოვხატავთ $L\tilde{T}^{-1}$ და $ML^2\tilde{T}^{-2}$ -ის კომბინაციებისაგან შედგენილი ერთწევრით.

ვთქვათ n+1 განზომილებიან $(a, a_1, a_2, ..., a_n)$ სიდიდეთა შორის ადგილი აქვს ფუნქციონალურ დამოკიდებულებას:

$$a = f(a_1, a_2, ..., a_n), \tag{18}$$

რომელიც არაა დამოკიდებული საზომ ერთეულთა ძირითადი სისტემის არჩევაზე. დავუშვათ, რომ $a_1, a_2, ..., a_n$ განზომილებიან სიდიდეებს შორის პირველი K სიდიდე სასრულია, განსხვავებულია ნულისგან და აქვთ დამოუკიდებელი განზომილებები $(K \le n)$.

მაშინ (18) ფუნქციონალური დამოკიდებულება შეიძლება წარმოვიდგინოთ $n+1-K$ სიდიდეს შორის იგივე შინაარსის მქონე თანაფარდობის სახით

$$\Pi = f(\Pi_1, \Pi_2, ...., \Pi_{n-K}) \quad (19)$$

სადაც თითოეული უგანზომილებო $\Pi$ სიდიდე წარმოადგენს K+1 განზომილებიანი $a, a_1, a_2, ...a_K$ სიდიდის ხარისხოვან შემდეგ კომბინაციას:

$$\Pi = \frac{a}{a_1^{m_1} a_2^{m_2} ... a_K^{m_K}};$$
$$\Pi = \frac{a_{K+1}}{a_1^{p_1} a_2^{p_2} ... a_K^{p_K}}; \quad (20)$$
$$----------$$
$$\Pi_{n-K} = \frac{a_n}{a_1^{q_1} a_2^{q_2} .... a_K^{q_K}}.$$

$\Pi$-თეორემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ განზომილებიან სიდიდეებს შორის ყოველი ფიზიკური თანაფარდობა შეიძლება ჩამოვაყალიბოთ უგანზომილებო სიდიდეებს შორის ისეთივე თანაფარდობის სახით [5].

$\Pi$-თეორემიდან ორი აშკარა შედეგი გამომდინარეობს.

პირველი: $a_1, a_2, ...a_n$ პარამეტრებისგან, რომელთა შორის არაუმეტეს K პარამეტრია დამოუკიდებელი განზომილების მქონე, შეუძლებელია $n-K$-ზე მეტი დამოუკიდებელი უგანზომილებო კომბინაციის შედგენა.

მეორე: თუ ყველა $a_1, a_2, ...a_n$ სიდიდე დამოუკიდებელი განზომილების მქონეა, ე.ი. თუ $K = n$, მაშინ ამ პარამეტრებისგან შეუძლებელია უგანზომილებო კომბინაციების შედგენა და ამიტომ (19) ფუნქციონალური დამოკიდებულება შეიძლება განისაზღვროს უგანზომილებო მუდმივამდე სიზუსტით ანუ (19) ფორმულას ექნება სახე

$$\Pi = C,$$

სადაც C უგანზომილებო მუდმივია და მაშასადამე

$$a = Ca_1^{m_1} a_2^{m_2} .... a_K^{m_K}. \quad (21)$$

იმ შემთხვევაში, როცა დამოუკიდებელ t და r ცვლადებთან ერთად დიდია ევოლუციურ განტოლებაში, სასაზღვრო და საწყის პირობებში შემავალი განზომილებიანი პარამეტრების რაოდენობა, ასე მარტივად შეუძლებელია დამოუკიდებელი განზომილების მქონე პარამეტრების გამოვლენა. არადა, სწორედ მათზეა დაფუძნებული ავტომოდელური ამონახსნების არსებობისა და მოძებნის მეთოდიკა $\Pi$-თეორემის გამოყენებით. სწორედ ეს ეტაპია არსებითი შემოთავაზებულ ალგორითმში.

დავუშვათ ძირითად (პირველად) ერთეულებად არჩეულია $B_1, B_2,....B_K$. მაშინ, ერთეულთა ამ სისტემაში დამოუკიდებელი ცვლადების და განზომილებიანი $A_i$ პარამეტრების განზომილებებს ექნება სახე:

$$[A_i] = B_1^{a_{i1}} B_2^{a_{i2}} ...B_K^{a_{iK}}, \;\; B_K^{a_{iK}}, \;\; K \le N, \;\; i = 1,2,...N. \qquad (22)$$

შევადგინოთ განზომილებათა მაჩვენებლების მატრიცა. სტრიქონებში შევიტანოთ i-ური სიდიდის განზომილების ხარისხების მაჩვენებლები, სვეტებში კი ძირითადი ერთეულები. მაშინ განზომილებათა მატრიცას ექნება სახე:

$$\begin{bmatrix} a_{11} & a_{12} .......a_{1K} \\ a_{21} & a_{22} ......a_{2K} \\ .......................... & \\ a_{N1} & a_{N2} \quad a_{NK} \end{bmatrix}. \qquad (23)$$

ამ $N \times K$ რიგის მართკუთხოვანი მატრიცის r რანგის $(r \le K)$ მიხედვით შესაძლებელია ვიმსჯელოთ წრფივად დამოუკიდებელი სტრიქონების და მაშასადამე, დამოუკიდებელი განზომილების მქონე სიდიდეების შესახებ. ვთქვათ, ასეთი აღმოჩნდა პირველი r სტრიქონი, მაშინ გამოდის, რომ დამოუკიდებელი განზომილების მქონე სიდიდეები ყოფილა $A_1, A_2,...., A_r$.

როგორც უკვე ითქვა, ერთეულთა სისტემის აგებისას ძირითად სიდიდეებად არჩევის გარკვეული თავისუფლება არსებობს: მთავარია ძირითადად მიჩნეულ სიდიდეებს დამოუკიდებელი განზომილებები ჰქონდეთ. აქედან გამომდინარე, თუ ერთეულთა ახალ (მეორად) სისტემას $A_1, A_2,...., A_r$ სიდიდეებზე ავაგებთ მაშინ ყველა დანარჩენი $G = (r, t, A_{r+1}, A_{r+2},...A_N)$ სიდიდის (საძიებელი სიდიდეების და განზომილებიანი პარამეტრების) განზომილებას ექნება სახე:

$$[G] = A_1^{a_1} A_2^{a_2} A_3^{a_3} ....A_r^{a_r} \qquad (24)$$

ხარისხის ახალი $a_1, a_2,...., a_r$ მაჩვენებლების დასადგენად, თითოეული ახალი (მეორადი) განზომილებიანი სიდიდის განზომილება ძირითად (პირველად) სისტემაში შევიტანოთ (24) ფორმულაში

$$
\begin{aligned}
[G] &= \left(B_1^{a_{11}} B_2^{a_{12}} \ldots B_K^{a_{1k}}\right)^{a_1} \times \\
&\times \left(B_1^{a_{21}} B_2^{a_{22}} \ldots B_K^{a_{2k}}\right)^{a_2} \times \\
&\times \left(B_1^{n_1} B_2^{n_2} \ldots B_K^{n_k}\right)^{a_2} = \\
&= B_1^{a_{11}a_1 + a_{21}a_2 + \ldots + a_{N1}a_r} \times \\
&\times B_2^{a_{12}a_1 + a_{22}a_2 + \ldots + a_{N2}a_r} \times \\
&\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots \\
&\times B_K^{a_{1K}a_1 + a_{2K}a_2 + \ldots + a_{NK}a_r}.
\end{aligned} \tag{25}
$$

ახლა ერთმანეთს გავუტოლოთ ერთი და იმავე სიდიდის განზომილების მაჩვენებლები ძველ სისტემაში. მაშინ მივიღებთ K წრფივ ალგებრულ განტოლებათა შემდეგ სისტემას $a_1, a_2, \ldots, a_r$ ხარისხის მაჩვენებლების მიმართ:

$$
\begin{cases}
a_{11} = a_{11}a_1 + a_{21}a_2 + \ldots a_{N1}a_r, \\
a_{12} = a_{12}a_1 + a_{22}a_2 + \ldots a_{N2}a_r, \\
-----------------\\
a_{NK} = a_{NK}a_1 + a_{NK}a_2 + \ldots a_{NK}a_r
\end{cases}. \tag{26}
$$

გამოვწეროთ ამ ალგებრულ განტოლებათა სისტემის მატრიცა:

$$
\begin{bmatrix}
a_{11} & a_{21} \ldots\ldots a_{N1} \\
a_{12} & a_{22} \ldots\ldots a_{N2} \\
\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots & \\
a_{1K} & a_{2K} \quad a_{NK}
\end{bmatrix}. \tag{27}
$$

როგორც ვხედავთ ეს მატრიცა (23) მატრიცის ტრანსპონირებულ მატრიცას წარმოადგენს, და ამიტომ მისი რანგიც r-ის ტოლია და უდრის უცნობთა რაოდენობას. მაშასადამე, კრონეკერ-კაპელის თეორემის თანახმად სისტემას გააჩნია ერთადერთი ამონახსნი. ამ ამონახსნების პოვნის შემდეგ თითოეული განზომილებიანი სიდიდე (24) ფორმულის შესაბამისად უკვე ცხადი სახით ასე წარმოდგება ერთეულთა ახალ სისტემაში

$$
G = \hat{G} A_1^{a_1} A_2^{a_2} \ldots A_r^{a_r}, \tag{28}
$$

სადაც $\hat{G}$ არის G სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობა ერთეულთა ახალ სისტემაში.

დავუბრუნდეთ (11) ევოლუციურ განტოლებას.

დავუშვათ, ზემოთ აღწერილი მეთოდიკით დავადგინეთ, რომ დამოუკიდებელი განზომილების მქონეა $t, A_1, A_2, ....A_K$ $(K < N)$ სიდიდეები და ისინი ავირჩიეთ ახალი (მეორადი) ერთეულთა სისტემის ბაზისად. მაშინ (11) ფორმულებით განსაზღვრულ ყოველ $N+3$ განზომილებიან $u_i; r; t; A_1; A_2;...A_N (i = 1,2,3)$ სიდიდეებს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულება $\Pi$-თეორემის თანახმად დავა შესაბამის $N+3-(K+1)$ ფუნქციონალურ დამოკიდებულებაზე უგანზომილებო სიდიდეებს შორის:

$$\begin{aligned}
\hat{u}_1 &= \hat{u}_1(\pi_1; \pi_2; ....\pi_{N+2-n}; \alpha_1; \alpha_2; ....\alpha_n), \\
\hat{u}_2 &= \hat{u}_2(\pi_1; \pi_2; ....\pi_{N+2-n}; \alpha_1; \alpha_2; ....\alpha_n), \\
\hat{u}_3 &= \hat{u}_3(\pi_1; \pi_2; ....\pi_{N+2-n}; \alpha_1; \alpha_2; ....\alpha_n),
\end{aligned} \tag{29}$$

სადაც $\hat{u}_i (i = 1,2,3)$ არის $u_i$ ფუნქციის რიცხვითი მნიშვნელობა ერთეულთა ახალ სისტემაში და

$$\begin{aligned}
\pi_1 &= \frac{r}{t^{z_1} A_1^{m_1} A_2^{m_2} ...A_K^{m_K}}, \\
\pi_2 &= \frac{A_{K+1}}{t^{z_2} A_1^{p_1} A_2^{p_2} ...A_K^{p_K}}, \\
\pi_3 &= \frac{A_{K+2}}{t^{z_3} A_1^{y_1} A_2^{y_2} ...A_K^{y_K}}, \\
&-------------- \\
\pi_{N+2-K} &= \frac{A_N}{t^{z_{N+2-K}} A_1^{q_1} A_2^{q_2} ...A_K^{q_K}}.
\end{aligned} \tag{30}$$

ავტომოდელური ამონახსნის არსებობისათვის საჭიროა, რომ ამ უგანზომილებო სიდიდეებიდან მხოლოდ ერთი იყოს ცვლადი. ეს ადვილად მიიღება, თუ დავუშვებთ, რომ დროის ხარისხის მაჩვენებლები (30)-ში გარდა ერთი, ვთქვათ პირველისა, არის ნულის ტოლი ანუ

$$z_2 = z_3 = .... = z_{N+2-K} = 0. \tag{31}$$

ესაა სწორედ ე.წ. ავტომოდელობის პირობა.

საზოგადოდ, ხარისხის ეს მაჩვენებლები დამოკიდებულია ამოცანის უგანზომილებო $(\alpha, \alpha_1, \alpha_2, ...\alpha_n)$ პარამეტრებზე და ამიტომ (31) პირობები ფაქტობრივად შეზღუდვებს ადებს α-პარამეტრებს.

ასეთ შემთხვევაში, როცა მხოლოდ $z_1 \neq 0$, $\pi_1$ იქნება ავტომოდელური ცვლადი. იგი s-ით აღვნიშნოთ $(s = \pi_1)$ და იგი ასე გადავწეროთ

$$s = \frac{r}{\overset{\circ}{A}_0 t^{z_1}}, \tag{32}$$

სადაც $\overset{\circ}{A}_0 = A_1^{m_1} A_2^{m_2} \ldots A_n^{m_n}$

მაშინ (29) ფუნქციონალური დამოკიდებულებების თანახმად საძიებელი ფუნქციები ერთი დამოუკიდებელი s ცვლადის ფუნქციები იქნებიან:

$$\hat{u}_1 = \hat{u}_1\left(s, \overset{\circ}{\pi}_1, \overset{\circ}{\pi}_2, \ldots, \overset{\circ}{\pi}_{N+2-K}, \alpha_1, \alpha_2, \ldots, \alpha_n\right),$$

$$\hat{u}_2 = \hat{u}_2\left(s, \overset{\circ}{\pi}_1, \overset{\circ}{\pi}_2, \ldots, \overset{\circ}{\pi}_{N+2-K}, \alpha_1, \alpha_2, \ldots, \alpha_n\right), \qquad (33)$$

$$\hat{u}_3 = \hat{u}_3\left(s, \overset{\circ}{\pi}_1, \overset{\circ}{\pi}_2, \ldots, \overset{\circ}{\pi}_{N+2-K}, \alpha_1, \alpha_2, \ldots, \alpha_n\right),$$

სადაც π-ების თავზე „ ° “ ნიშნაკი აღნიშნავს, რომ ისინი მუდმივებია ავტომოდელობის (31) პირობის თანახმად.

თვით საძიებელი ფუნქციებისათვის გვექნება

$$u_1 = \hat{u}_1(s) A_1^{\beta_{11}} A_2^{\beta_{12}} A_K^{\beta_n} \cdot t^{\gamma_1},$$

$$u_2 = \hat{u}_2(s) A_1^{\beta_{21}} A_2^{\beta_{22}} A_K^{\beta_{2n}} \cdot t^{\gamma_2}, \qquad (34)$$

$$u_3 = \hat{u}_3(s) A_1^{\beta_{31}} A_2^{\beta_{32}} A_K^{\beta_{3n}} \cdot t^{\gamma_3},$$

სადაც განზომილებათა ხარისხის მაჩვენებლები ზემოთ აღწერილი წესით მოიძებნება.

(34)-ში შემავალი მუდმივებისთვის შემოვიღოთ აღნიშვნები:

$$\overset{\circ}{A}_1 = A_1^{\beta_{11}} A_2^{\beta_{12}} A_K^{\beta_{1K}},$$

$$\overset{\circ}{A}_2 = A_1^{\beta_{21}} A_2^{\beta_{22}} A_K^{\beta_{2K}}, \qquad (35)$$

$$----------$$

$$\overset{\circ}{A}_3 = A_1^{\beta_{31}} A_2^{\beta_{32}} A_K^{\beta_{3K}}.$$

მაშინ (34) მიიღებს სახეს:

$$u_1(r_1 t) = \overset{\circ}{A}_1 \, t^{\gamma_1} \hat{u}_1(s),$$

$$u_2(r_1 t) = \overset{\circ}{A}_2 \, t^{\gamma_2} \hat{u}_2(s), \qquad (36)$$

$$u_3(r_1 t) = \overset{\circ}{A}_3 \, t^{\gamma_3} \hat{u}_3(s).$$

მხოლოდ ავტომოდელურ s ცვლადზე დამოკიდებულ $\hat{u}_1(s)$, $\hat{u}_2(s)$ და $\hat{u}_3(s)$ ფუნქციებს შესაბამისი $u_1(r,t)$, $u_2(r,t)$ და $u_3(r,t)$ ფუნქციების „წარმომადგენელი“ ფუნქციები ეწოდებათ.

დასმული ევოლუციური ამოცანის ამოხსნა ახლა „წარმომადგენელი“ ფუნქციების მოძებნაზე დადის, დროზე დამოკიდებულება კი ცხადადაა აღწერილი ხარისხოვანი $t^{\gamma_i}$ ფუნქციის მეშვეობით (i=1,2,3).

ამრიგად, (13) წარმოდგენის შესაბამისად მოხდა ცვლადთა განცალება და ორ, r და t ცვლადებზე დამოკიდებული კერძო წარმოებულიანები ევოლუციური გნატოლებებიდან (32) სახის ერთ s ცვლადზე გადასასვლელად საჭიროა გამოვიყვანოთ r და t ცვლადებით კერძო წარმოებულების s ავტომოდელური ცვლადით გაწარმოებაზე გადამყვანი ფორმულები.

პირველ რიგში ვიპოვოთ თვით ავტომოდელური ცვლადის კერძო წარმოებულები:

$$\frac{\partial s}{\partial r} = \overset{\circ}{A}_0^{\,-1}\, t^{-z_1}, \tag{37}$$

$$\frac{\partial s}{\partial t} = -z_1 s t^{-1}. \tag{38}$$

მაშინ $u_i(r,t)$ $(i=1,2,3)$ ფუნქციების კერძო წარმოებულებისათვის გვექნება:

$$\frac{\partial u_i(r,t)}{\partial t} = \frac{\partial}{\partial t}\left[\overset{\circ}{A}_i\, t^{\gamma_i}\hat{u}_i(s)\right] = \overset{\circ}{A}_i\, t^{\gamma_i-1}\left[\gamma_i \hat{u}_i(s) - z_1 s \frac{d\hat{u}_i}{ds}\right], \tag{39}$$

$$\frac{\partial u_i(r,t)}{\partial r} = \frac{\partial}{\partial r}\left[\overset{\circ}{A}_i\, t^{\gamma_i}\hat{u}_i(s)\right] = \overset{\circ}{A}_i\, \overset{\circ}{A}_0^{\,-1}\, t^{\gamma_i - z_1}\frac{d\hat{u}_i}{ds}(s). \tag{40}$$

თავდაპირველ კერძოწარმოებულებიან განტოლებებში (39) და (40) ფორმულების გამოყენებით დავალთ სწორედ ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებზე s ავტომოდელური ცვლადის მიმართ. სათანადოდ გადაწერილი საწყისი და სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით მიღებული ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების როგორც თვისობრივი ანალიზის, ისე კომპიუტერული ექსპერიმენტების საშუალებით შესაძლებელი ხდება განზომილებიანი და უგანზომილებო პარამეტრების ფართო დიაპაზონისათვის თავდაპირველი ესკიზური მათემატიკური მოდელის დახვეწა-გაუმჯობესება.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. Самарский, А. А., Михайлов А. П. (2003). Математическое моделирование: Идеи. Методы. Примеры. Москва. ФИЗМАТЛИТ.
2. Мышкис А.Д. (1994). Элементы теории математических моделей. Москва: ВО "Наука".
3. Волосевич П.П., Леванов Е.И. (1997). Автомодельные решения задач газовой динамики и теплопереноса. МФТИ, Москва.
4. Схиртладзе, Н.М. (1978). Об автомодельных решениях уравнений газовой динамики с обьемными источниками и стоками. Сообщения Академии наук Грузинской ССР. 90, 549-552.
5. Седов Л.И. (1972). Методы подобия и размерности в механике. Москва, Наука.

*დანართი*



# ევოლუციური განტოლებების ავტომოდელური ამონახსნების აგების ერთი ალგორითმის შესახებ

*ნუგზარ სხირტლაძე*
პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი
კავკასიის უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

კერძოწარმოებულებიანი განტოლებების შემცველი არაწრფივი ესკიზური (ჰიპოტეტური) ევოლუციური მათემატიკური მოდელების თვისობრივი ანალიზის და დახვეწის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია სათანადო ავტომოდელური ამონახსნების აგება. ეს პროცედურა კი ეფუძნება როგორც მათემატიკური მოდელის შემადგენელ დიფერენციალურ განტოლებებში, ასევე სასაზღვრო და საწყის პირობებში შემავალი პარამეტრების განზომილებათა ანალიზს. აქ სირთულეს წარმოადგენს დამოუკიდებელი განზომილების მქონე პარამეტრების გამოყოფა და მათ საფუძველზე ერთეულთა ახალი სისტემის აგება.

წინამდებარე შრომაში შემოთავაზებულია განზომილებათა მაჩვენებლების მატრიცის შედგენის და მისი რანგის მიხედვით დამოუკიდებელი განზომილების მქონე პარამეტრების შერჩევის მეთოდიკა, რასაც მივყავართ ავტომოდელობის პირობების დადგენამდე. ამ პირობებში შესაძლებელი ხდება კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების სივრცით და დროით ცვლადებზე დამოკიდებული ამონახსნების დროზე ცხადად დამოკიდებული ხარისხოვანი ფუნქციის და ე.წ. ავტომოდელურ ცვლადზე დამოკიდებული „წარმომადგენელი“ ფუნქციის ნამრავლის სახით წარმოდგენა. თვით ავტომოდელური ცვლადი კი წარმოადგენს სივრცითი და დროითი ცვლადების ბმულ კომბინაციას. ეს კი შესაძლებელს ხდის ორ, სივრცით და დროით. ცვლადებზე დამოკიდებული კერძო წარმოებულიანი განტოლებებიდან გადავიდეთ ერთ, ავტომოდელურ ცვლადზე დამოკიდებულ ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებზე „წარმომადგენელი“ ფუნქციებისთვის. შრომაში მოცემულია ამ გადასვლისათვის საჭირო გაწარმოების ფორმულები.

მიღებული ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების თვისობრივი ანალიზის და ავტომოდელური ამონახსნების ანუ იგივე „წარმომადგენელი“ ფუნქციების სახის დადგენის შედეგად, მათ შორის კომპიუტერზე გამოთვლითი ექსპერიმენტების საშუალებით, პარამეტრების ფართო დიაპაზონისათვის შესაძლებელი ხდება დაიხვეწოს და დაზუსტდეს თავდაპირველი ესკიზური მათემატიკური მოდელი.

# On one Algorithm for Constructing Auto-model Solutions of Evolution Equations

*Nugzar Skhirtladze*
Professor, PhD
Caucasus University

## Abstract

A construction of auto-model solutions is one of the effective methods of qualitative analysis and improvement of non-liner sketch (hypothetical) evolutionary mathematical models consisting of partial differential equations. This procedure is based on the dimensional analysis of parameters within differential equations of mathematical model as well as within boundary and initial conditions. The difficulty is to separate parameters with independent dimensional and construction a new system of units on their basis.

In the present work, a selection methodology of creating of matrix of dimensions' indices and parameters with independent dimensions according to its rank are offered. This leads us to ascertaining the auto-model conditions. In these conditions, it is possible to represent the solutions of partial differential equations depended on spatial and time variables as a product of power functions explicitly depended on time and of "representative" function depended on so-called auto-model variable. An auto-model variable itself is a connective combination of spatial and time variables. This make possible to reduce partial differential equations depended on two spatial and time variables to ordinary differential equations depended on one auto-model variable for "representative" functions. In the work the required derivation formulas for that reduction are given.

The qualitative analysis of received ordinary differential equations and ascertaining the form of auto-model solutions or so-called "representative" functions, among them by means of computer experiments, it is possible to be improved and to be specified primary sketched mathematical model for broad range of parameters.

## გაბნევის მრუდეების გამოყენება საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზისას



**გურამ ლეჟავა**

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

**ბორის ლეჟავა**

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი



როგორც ცნობილია [1,3,4,5,8,11], გაბნევის მრუდეები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს შემოსავლების (ტექნოლოგიების და მომსახურების) განაწილების უთანაბრობის შესწავლისას, როგორც მსოფლიო გაერთიანების ქვეყნებს, ისე მოსახლეობის ჯგუფებს (სტრატებს) შორის ცალკე აღებულ ქვეყანაში. გაბნევის მრუდეები წარმატებით გამოიყენება  აგრეთვე ე.წ. *ციფრული* (ან სხვა ტექნოლოგიური), ასევე ეკონომიკური *წყვეტის* (დაყოფის) შესაფასებლად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.  გაბნევის მრუდეები წარმოადგენენ სწორედ იმ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას იძლევა *რაოდენობრივად* შეფასდეს ციფრული (ეკონომიკური, ინფორმაციული და სხვა სახის) დაყოფა [3]. უნდა აღინიშნოს, რომ გაბნევის მრუდეების (და განსაკუთრებით მისი პირველი წარმოებულის) მათემატიკური აპარატი არის გადამწყვეტი, მსოფლიო გაერთიანების შიგნით, როგორც ქვეყნების ჯგუფების, ისე ცალკეული ქვეყნების ფარდობითი მდგომარეობის კორექტული შეფასებისთვის (ანუ მათი კორექტული რანჟირებისთვის).

გაბნევის მრუდეები წარმოადგენენ ეკონომიკაში კარგად ცნობილ *ლორენცის მრუდეების* მათემატიკურ ასახვას (დასაბუთებას). ლორენცის მრუდეები კი თავის მხრივ გამოყენებული იყო მე–XX საუკუნის დასაწყისში შემოსავლების განაწილების უთანაბრობის შესასწავლად (ამერიკელი ეკონომისტის ლორენცის მიერ). სწორედ ლორენცის მრუდეებიდან განსაზღვრება ე.წ. *ჯინის კოეფიციენტი,* რომელიც საშუალებას იძლევა ინტეგრალურად (ჯამურად) დახასიათდეს შემოსავლების (ან სხვა რომელიმე პარამეტრის) განაწილების უთანაბრობა.

გაბნევის მრუდეების ცნება შემოტანილი იყო პირველად *კენდელის და სტუარდის* მიერ მათ ფუნდამენტალურ 3–ტომეულში *„მათემატიკურ სტატისტიკაში“* (ტომი 1 – *„განაწილების თეორია“*) [1], სპეციალურად ისეთი შემთხვევითი სიდიდეების სტატისტიკური პარამეტრების საპოვნელად, რომელთაც აქვთ (განსაზღვრულია) მხოლოდ საშუალო მნიშვნელობა (ანუ პირველი ე.წ. საწყისი მომენტი), ხოლო მაღალი რიგის მომენტები დაწყებული მეორედან (ანუ დისპერსიიდან), განუსაზღვრელია, რადგან შესაბამისი ინტეგრალები განშლადია, ე.ი. ვერ გამოისახებიან რაღაც სასრული რიცხვებით. ასეთ შემთხვევით  სიდიდეებს მიეკუთვნება ისეთნი, რომელთა ალბათობის

სიმკვრივე განაწილებულია *კოშის კანონის* მიხედვით. მათ რიცხვში ეკონომიკის ერთ–ერთი ფუნდამენტალური ცნება – *შემოსავლების პარეტოს განაწილება,* ანუ *პარეტოს კანონი* [2]. სწორედ გაბნევის მრუდეები იძლევიან საშუალებას განისაზღვროს შემთხვევითი სიდიდეების კონცენტრაციები ასეთ ექსტრემალურ სიტუაციებში (როდესაც პრინციპში არ არსებობს დისპერსია და სხვა მაღალი რიგის სტატისტიკური მომენტები).

უნდა აღინიშნოს, რომ გაბნევის მრუდეებს (ლორენცის მრუდეებს) აქვთ არსებითი მნიშვნელობა სოციალური პროცესების გააზრებისათვის, რომლებსაც ადგილი აქვთ როგორც ცალკე აღებულ ქვეყანაში, ისე მსოფლიო გაერთიანების შიგნით [3,4,5]. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია გაბნევის მრუდეების მათემატიკური აპარატის გამოყენება ისეთი საკითხების განხილვისას, როგორიცაა მაგალითად: სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ღარიბი ჯგუფებისათვის გასაწევი სოციალური დახმარების ობიექტური შეფასება და დაგეგმვა; ეკონომიკური სუბიექტებისათვის რეალურად არსებული იმ არეების დადგენა (განსაზღვრა), როდესაც ისინი იქნებიან ეკონომიკურად აქტიურები და ინსვეტიციების ჩამდებნი, ან პირიქით ეკონომიკური აპათიის მდგომარეობაში მყოფნი და სხვა.

უწინარესად გამოვიყენოთ ხსენებული მათემატიკური აპარატი დონორული დახმარების ეფექტურობის საკითხის განხილვისას, როდესაც მოსახლეობის (ან ქვეყნების) მდიდარი ნაწილი გაიღებს რა გარკვეულ სახსრებს (ზეგარის, ან დონორული დახმარების სახით). სახელმწიფოს შესაბამისი საგადასახადო პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების განხორციელებით, შესაძლებელი ხდება შემცირდეს მდიდრების და პირიქით გაზარდოს ღარიბების შემოსავლები, ანუ განხორციელდეს შემოსავლების ერთგვარი ხელოვნური - გამიზნული გადანაწილება. მაგალითის სახით, სურ. 1-ზე წარმოდგენილია [6]-დან აღებული შემოსავლების გადანაწილება, რომელიც ასახულია ზემოთხსენებული ლორენცის ორი მრუდით: პირველი - არსებული საგადასახადო სისტემის პირობებში, როდესაც ჯინის კოეფიციენტი $K_G = 0.38$ და მეორე - საგადასახადო სისტემის გამკაცრებისას (ზეგარის გაზრდის კუთხით), როდესაც *ჯინის კოეფიციენტი* $K_G = 0.34$, ანუ შემცირებულია 4%-ით (მრუდი 2 უფრო ახლოა ე.წ. *აბსოლიტური თანაბარი შემოსავლების ხაზთან,* OA დიაგონალის სახით).

ხსენებულ სახელმძღვანელოში [6] მოყვანილია ლორენცის მრუდეების მაგალითები რიგი ქვეყნებისათვის შემოსავლების და სიმდიდრის განაწილების მხრივ (სურ. 2, ა და ბ). როგორც ჩანს სურ. 2,ა-დან განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები (შვედეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი - მაღალი სმშპ-ით) ხასიათდებიან შემოსავლების უფრო თანაბარი განაწილებით მოსახლეობაში, შედარებით იმ ქვეყნებთან (მაგალითად, ბრაზილია), სადაც სულზე მოსული ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) საშუალო დონეზეა, რომ არაფერი არა ვთქვათ დაბალი სმშპ-ს მქონე ქვეყნებზე (მათ შორის საქართველოზე). რაც შეეხება სიმდიდრის (სუფთა მფლობელობაში არსებული

ფინანსური საშუალებებისა და მატერიალური ქონების) განაწილებას, ის უფრო არათანაბარია (სურ. 2,ბ), რადგან სიმდიდრე შეიძლება მემკვიდრეობით გადაიცემოდეს, გროვდებოდეს (კონცეტრირდებოდეს) ვალუტის (მაგალითად დოლარების) დაგროვების ხარჯზე და ა.შ.

შემოსავლებისა და სიმდიდრის არათანაბრი განაწილების მიზეზები უამრავია [6,7 და სხვა წყაროები]. ზოგიერთ მათგანზე საუბარია ხსენებულ სახელმძღვანელოში [6]. ამ სახელმძღვანელოში გაკეთებულია მინიშნება სურ. 2,ა-სთან დაკავშირებით, რომ ლორენცის მრუდი შვედეთის შემთხვევაში იძლევა უფრო თანაბარ შემოსავლების განაწილებას ვიდრე, აშშ-ს შემთხვევაში, რადგან შვედეთში მოქმედებს უფრო მეტი სოციალური პროგრამები ქვეყნის ღარიბი მოსახლეობის დასახმარებლად, ვიდრე აშშ-ში. ამასთან ავტორები აღნიშნავენ შემდეგს [6] (მოგვყავს ამონარიდი):

*„სახელმწიფო, ახორცილებს რა შემოსავლების გადანაწილებას მდიდრებიდან ღარიბ ფენებზე, შეიძლება მიაყენოს ზიანი ეკონომიკურ ეფექტურობას და შეამციროს ის ნომინალური შემოსავლის სიდიდე, რომელიც ხელმისაწვდომია გასანაწილებლად. უმრავლესი გადანაწილების პროგრამები მოქმედებენ ეფექტურობაზე. თუ რომელიმე ქვეყანა ახდენს შემოსავლის გადანაწილებას მდიდარი მოქალაქეების ხარჯზე, მათთვის მაღალი ბეგარის დაწესების გზით, მათი დანაზოგები და სურვილი აქტიური მუშაობის მხრივ შეიძლება შემცირდეს, ან მიიღოს სხვა არაეფექტური სახე (დემოტივაციის გამო). ეს კი საბოლოო ჯამში შეამცირებს ნაციონალური პროდუქტის გამოსავალს (მოცულობას). ამასთან მოსახლეობის მდიდარ ნაწილს შეუძლია დახარჯოს მეტი ფული იმ სპეციალსიტების დაქირავებზე, რომლებიც შეეცდებიან დაბეგვრის, ასე ვთქვათ, „ოპტიმიზაციას“. ან კიდევ უფრო ცუდი, მდიდარი მოსახლეობის ფენა თავს შეიკავებს ინვესტიციების გაღებაზე ინოვაციებზე და წარმოების განვითარებაზე და ა.შ. ამასთან ერთად, თუ საზოგადოება შესძლებს უზრუნველყოს გარანტირებული დახმარება დაბალი შემოსავლების მქონე ფენებისათვის, მოსახლეობის ეს ნაწილი დაიწყებს ნაკლები ინტენსივობით შრომას, გაჩნდება სიზარმაცის გრძნობა და შრომის მიმართ აპათია. მოსახლეობის ასეთი რეაქციები შემოსავლების გადანაწილების პროგრამებზე, გამოიწვევენ რეალური ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობის შემცირებას.“*

ამ სახელმძღვანელოში დაწვრილებით აღწერილია ე.წ. *„გახვრეტილი კასრის“* ეფექტი განხილული ეკონომისტ ა. ოუენის მიერ (სურ. 3). ამ სურათზე კოორდინატებს წარმოადგენს მოსახლეობის ღარიბი და მდიდარი ნახევარის რეალური შემოსავლები. წრფე OE - წარმოადგენს ღარიბების და მდიდრების თანაბარი შემოსავლების ხაზს. OD მონაკვეთის სიდიდე ტოლია მდიდრების ჯამური შემოსავლების. DE წრფე ასახავს ღარიბების და მდიდრების ჯამურ შემოსავალს, იმ პირობით, რომ შემოსავლების გადანაწილებისას არ აქვს ადგილი დანაკარგს. თუ შემოსავლების გადანაწილებისას მივალთ შემოსავლების სრულ ტოლობამდე მდიდრებსა და ღარიბებს შორის, ამ შემთხვევაში საბოლოო წერტილი იქნება E - ანუ OE და DE წირების გადაკვეთა. მაგრამ დანაკარგების გამო (ფუჭი - არაეფექტური დანახარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები ჩინოვნიკებზე და ა.შ.), რეალური ტრაექტორია მიდის AB მიმართულებით და შემდგომ შეიძლება

აღმოჩნდეს Z წერტილში, ან ჩაიწიოს C წერტილში. ე.ი. დანაკარგი შესაძლოა იყოს ძალიან საგრძნობი (90% და მეტი). ამიტომ, მდიდრებს ებადებათ ბუნებრივია კითხვა - ღირს კი დახმარების გაწევა ღარიბებისათვის, თუ ამ დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ აღწევს მიმღებამდე - ადრესატამდე ე.ი. ღარიბებამდე? (ანუ აქ აზრობრივად უნდა დავუბრუნდეთ ზემოთ მოყვანილ ციტირებულ მასალას [6]-დან).

ამგვარად, შემოსავლების გადანაწილება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ *„გახვრეტილი კასრის“* ეფექტს, არ წარმოადგენს უწყინარ ქმედებას. დგება საკითხი: რა დონემდე და როგორ განხორციელდეს ღარიბების სოციალური დახმარება მდიდრების ხარჯზე, ისე რომ შენარჩუნებული იყოს ქვეყნის ეკონომიკური ეფექტურობა და არ გამოვიწვიოთ მდიდრებშიც და ღარიბებშიც *შრომითი აპათია* და შრომის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება.

სწორედ ეს საკითხებია მოცემულია [3,8]-ში, სადაც გარკვეული შეზღუდვების ფონზე, განხილულია გაბნევის მრუდეების მათემატიკური აპარატის გამოყენებით, სათანადო მოდელები, რომლებიც გარკვეულ წილად იძლევიან პასუხს ამ კითხვაზე.

კერძოდ, მოცემულია საზოგადოების დაყოფის ორჯგუფიანი და ე.წ. დუალური მოდელები და *ეკონომიკური ზრდის კოეფიცინეტის* ცნების გამოყენების საფუძველზე, ჩატარებულია შესაბამისი მოდელების ანალიზი - მდიდრებისა და ღარიბების ეკონომიკური აქტიურობისა და პასიურობის (აპათიის) კუთხით, შესაბამისად ინვისტიციების ჩადების მზაობისა და პირიქით უარყოფის სტადიებით.

ამასთან ყველაზე ოპტიმალურად - საზოგადოების ჰარმონიული განვითარების კუთხით, მიიჩნევა დუალური მოდელის შემთხვევაში ე.წ. დაყოფის კოეფიციენტი ρ=0,33, ხოლო ორჯგუფიანი მოდელის გამოყენებისას ცნობილი პარეტოს განაწილებისას α=2 (სადაც α - პარეტოს განაწილების ხარისხის მაჩვენებელია). ამასთან, α-ს და ρ-ს შორის არსებობს შემდეგი მიახლოებითი თანაფარდობები (1):

$$\rho \cong \frac{\alpha - 1}{2\alpha - 1} \text{ და } \alpha \cong \frac{1-\rho}{1-2\rho}, \quad (1)$$

რომლებიც მიიღება საზოგადოების დაყოფის ხსენებული მოდელებისათვის შესაბამისი ჯინის კოეფიცინეტების: $K_G^* \cong E^* = 1 - 2\rho$ და $K_G = 1/(2\alpha - 1)$ ერთმანეთთან გატოლების შემდეგ, სადაც $E^*$ - ე.წ. *უთანაბრობის გრადიენტია* ხსენებული დუალური მოდელისათვის, გაბნევის მრუდეების ე.წ. პოლიგონალური აპროქსიმაციისას (აქ და შემდგომ ტექსტში ნიშანი „* “ შეესაბამება დუალურ მოდელს, ხოლო ინდექსი „ρ“ - პარეტოს განაწილებას).

სურ. 4, ა-ზე წარმოდგენილი გაბნევის მრუდეები, აგებული პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდის (2) განტოლების საფუძველზე, ხასიათდებიან შემდეგი თავისებურებებით:

$$Q_p = Q_p(F) = 1-(1-F)^{\frac{\alpha-1}{\alpha}} \qquad (2)$$

° ხარსხის მაჩვენებლის α-ს მნიშვენელობებისათვის α≈10 და მეტი, პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდი მცირედად თუ განსხვავდება *აბსოლიტური ეკონომიკური თანაბრობის წრფისგან* (დიაგონალი OA, სურ. 4, ა)

° როდესაც $F \to 1$-კენ, ამ განაწილების გაბნევის მრუდეები სულ უფრო უახლოვდებიან ვერტიკალურ ხაზს F=1. ეს ნიშნავს, რომ გაბნევის მრუდის პირველი წარმოებული პარეტოს განაწილებისათვის

$$Q' = \frac{dQ}{dF} = \frac{\alpha-1}{\alpha}(1-F)^{-1/\alpha}, \qquad (3)$$

მიისწრაფვის უსასრულობისკენ, ანუ შემოსავლების სიდიდემ თეორიულად ასეთი განაწილებისათვის შეიძლება მიაღწიონ ძალიან დიდ მნიშვნელობებს, როდესაც $F \to 1$.

სურ. 4,ბ-ზე პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდეების ოჯახზე დატანილია საზოგადოების დაყოფის - ე.წ. *ორჯგუფიანი მოდელისათვის* დამახასიათებელი C *დაყოფის წერტილი,* კოორდინატებით $(F_0, Q_0)$ და ე.წ. *დუალური მოდელის* დაყოფის D წერტილი, კოორდინატებით $Q_1 = \rho$ და $F_1 = (1-\rho)$, სადაც *ρ-დაყოფის კოეფიციენტს* წარმოადგენს. D წერტილზე გატარებული MN წრფე პარალელურია OA დიაგონალის და ორდინატთა ღერძზე ჩამოკვეთს AN=1-2ρ წრფის მონაკვეთს, რომელიც დუალური მოდელისათვის წარმოადგენს უთანაბრობის გრადიენტს $E^*$. შესაბამისად, უთანაბრობის გრადიენტი ორჯგუფიანი მოდელისათვის ტოლია AL მონაკვეთის სიგრძის, ანუ $E = F_0 - Q_0$. ზოგად შემთხვევაში C და D წერტილები არ ემთხვევიან ერთმანეთს (თუმცა ახლო არიან განლაგებული). პარეტოს განაწილებისათვის $F_1 < F_0$ და $Q_1 < Q_0$.

ცხრილში 1, მოცემულია ჯინის კოეფიცინეტის და უთანაბრობის გრადიენტის მნიშვნელობები პარეტოს განაწილების შესაბამისი გაბნევის (ლორენცის) მრუდეებისათვის და მათი პოლიგონალური აპროქსიმაციის დროს, α-ხარისხის მაჩვენებლის და ρ-დაყოფის კოეფიციენტის სხვადასხვა სიდიდეებისას.

*ცხრილი 1*

| α | 1.05 | 1.1 | 1.16 | 1.33 | 1.5 | 2.0 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| $K_G = 1/(2\alpha-1)$ | 0.91 | 0.83 | 0.76 | 0.6 | 0.5 | 0.33 | 0.05 |
| $K_G^* = 1-2\rho$ | 0.83 | 0.74 | 0.55 | 0.43 | 0.36 | 0.25 | 0.06 |
| $E = F_0 - Q_0$ | 0.86 | 0.77 | 0.6 | 0.47 | 0.4 | 0.25 | 0.06 |
| $E^* = 1-2\rho$ | 0.83 | 0.74 | 0.55 | 0.43 | 0.36 | 0.25 | 0.06 |
| $\rho = (\alpha-1)/(2\alpha-1)$ | 0.02 | 0.08 | 0.12 | 0.2 | 0.25 | 0.33 | 0.47 |

ცნობილია, რომ პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდეებისათვის უთანაბრობის გრადიენტის ზუსტი სიდიდე

$$E = F_0 - Q_0 = \left[1-\left(\frac{\alpha-1}{\alpha}\right)^{\alpha}\right]-\left[1-\left(\frac{\alpha-1}{\alpha}\right)^{\alpha-1}\right]=\left(\frac{\alpha-1}{\alpha}\right)^{\alpha-1}-\left(\frac{\alpha-1}{\alpha}\right)^{\alpha}, \qquad (4)$$

ხოლო პარეტოს განაწილებისთვის ჯინის კოეფიცინეტი ზუსტი მნიშვნელობა კი:

$$K_G = 1-2\int_0^1 Q(F)dF = 1-2\int_0^1 \left[1-(1-F)^{(\alpha-1)/\alpha}\right]dF = \frac{1}{2\alpha-1.}. \qquad (5)$$

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სხვაობა $E$ და $E^*$ შორის მცირეა. მაშინ როცა სხვაობა $F_0$ და $F_1$, $Q_0$ და $Q_1$ კოორდინატებს შორის - საგრძნობია (სურ. 4ბ). ეს აიხსნება იმით, რომ C და D წერტილები ძევს გაბნევის მრუდზე მდორე ექსტრემუმის მიდამოში.

ცდომილება ჯინის კოეფიციენტში, პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდეების პოლიგონალური აპროქსიმაციის დროს საკმაოდ დიდია. ის იცვლება 9%-დან (როცა α=1,05) 34%-მდე (α=2). იმავდროულად ცდომილება უთანაბრობის გრადიენტში არ აღემატება 8%(α=1,16). ამგვარად, მიახლოებითი პრაქტიკული გაანგარიშებისას შეიძლება შეიცვალოს პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდეები, გაბნევის მრუდეებით პოლიგონალური განაწილების (აპრიქსიმაციის) შემთხვევისთვის. უნდა აღინიშნოს, პოლიგონალური აპროქსიმაცია პარეტოს განაწილების გაბნევის მრუდეების შემთხვევაში (სურ. 4,ბ), იძლევა მნიშვნელოვანი ცდომილებას ამ განაწილების ხასიათის გამო $F \to 1$ არეში. რადგან გაბნევის მრუდეები პრაქტიკულად „მიწოლილი“ არიან ვერტიკალურ ღერძს. სწორედ, ამ არეში პარეტოს განაწილების პირველი წარმოებული იწყებს მკვეთრ ზრდას და მიისწრაფვის უსასრულობისკენ. რეალურ გაბნევის მრუდეებს აქვთ სასრული პირველი წარმოებული და ამიტომ მათი პოლიგონალური აპროქსიმაცია იძლევა კარგ შედეგებს, როდესაც C და D წერტილები ერთმანეთის მახლობლობაშია).

განვიხილოთ მაგალითის სახით, შემოსავლების განაწილების პარეტოს კლასიკური შემთხვევა. დავუშვათ, თავიდან საზოგადოებისათვის დამახასიათებელია პარეტოს განაწილება (სურ. 4), როდესაც ხარისხის მაჩვენებელი α≈1.16 (ρ≈0.12), ხოლო შემდეგ საზოგადოება გადადის ახალ მდგომარეობაში (მდიდარი მოსახლეობის გაზრდილი დაბეგვრის ხარჯზე), შემოსავლების უფრო თანაბარი განაწილებით, როდესაც α=2 (ρ≈0.33). იხილეთ სურ. 4-ზე წარმოდგენილი პარეტოს განაწილების სათანადო გაბნევის მრუდეები (α=1,16 და 2.0 მნიშვნელობებისათვის) და [8]-ში სურ. 4-ზე მოცემული შესაბამისი წერტილები $P2$ და $P_0$. საანგარიშო მონაცემები თავმოყრილია ცხრილ 2–ში. აქვე მოცემული [8]-ში სურ 4-ზე მონიშნული გამორჩეული წერტილების (P, P1, P3 და P4)

შესაბამისი პარამეტრების მნიშვნელობები, რომლებიც საშუალებას იძლევიან აიგოს სათანადო გრაფიკები (სურ. 5) და ჩატარდეს სავარაუდო სიტუაციების ანალიზი.

*ცნობისათვის: P1 წერტილის შემთხვევაში - მოსახლეობაში ეკონომიკურად აქტიურთა წილი ტოლია მდიდრების წილის, P2-ის დროს - ასეთ აქტიურთა რიცხვი = 0,5, ანუ ტოლია ქვეყნის მთელი მოსახლეობის ნახევრის, P3-ის შემთხვევაში - აქტიურ მდიდრების და აქტიურ ღარიბების რიცხვი ტოლია, P4-ის დროს კი ადგილი აქვს ე.წ. „20/80“-ის წესს.*

მოცემული მაგალითის მიხედვით, საზოგადოების გადასვლამ ერთი მდგომარეობიდან მეორეში, მოსახლეობის მდიდარი ნაწილის 32%–ით მეტი (გაზრდილი) ზეგარის ხარჯზე (რადგან ცხრილი 2-ის მე-6 სტრიქონის მიხედვით განხორციელებული გაზრდილი ზეგარის გამო მდიდართა შემოსავალი საბოლოოდ შემცირდა 0.73-0.5=0.23, რაც შეადგენს საწყისი 0.73 მნიშვნელობის 32%-ს), მოგვცა შემდეგი შედეგები:

1. ღარიბთა წილი შემცირდა 0.15/0.9=17%–ით;
2. ღარიბთა საშუალო შემოსავალი გაიზარდა – 2.2–ჯერ;
3. მდიდართა საშუალო შემოსავალი შემცირდა – 3.65–ჯერ;
4. საზოგადოების აქტიურ წევრთა წილი შემცირდა 0.36/0.86=0.42 (42%)–ით.

*ცხრილი 2*

| პარამეტრები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| [8]-ში სურ. 4-ზე გამორჩეული წერტილები | $P_0$ | P4 | P3 | P2 | P1 | P | 1 და 4 სვეტების შედარება |
| ხარისხის მაჩვენებელი: $\alpha = (1-\rho)/(1-2\rho)$ | 1.16 | 1.3 | 1.6 | 2 | 2.6 | 3.25 | >0.84-ით |
| დაყოფის კოეფიციენტი: $\rho \cong (\alpha-1)/(2\alpha-1)$ | 0.12 | 0.2 | 0.28 | 0.33 | 0.38 | 0.4 | > 0.21–ით |
| ღარიბების შემოსავალი, $Q_0 = 1-[(\alpha-1)/\alpha]^{1-\alpha}$ | 0.27 | 0.357 | 0.44 | 0.5 | 0.541 | 0.56 | >0.23–ით |
| ღარიბთა წილი ქვეყნის მოსახლეობაში $F_0 = 1-[(\alpha-1)/\alpha]^{\alpha}$ | 0.9 | 0.85 | 0.79 | 0.75 | 0.72 | 0.7 | <0.15–ით |
| ღარიბთა საშუალო შემოსავალი, $Q_0 / F_0$ | 0.3 | 0.42 | 0.56 | 0.66 | 0.75 | 0.8 | >2.2–ჯერ |
| მდიდართა შემოსავალი, $(1-Q_0)$ | 0.73 | 0.64 | 0.55 | 0.5 | 0.46 | 0.44 | <0.23–ით |
| მდიდართა წილი ქვეყნის მოსახლეობაში, $(1-F_0)$ | 0.1 | 0.15 | 0.2 | 0.25 | 0.28 | 0.3 | >0.15–ით |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მდიდართა საშუალო შემოსავალი, $(1-Q_0)/(1-F_0)$ | 7.3 | 4.26 | 2.75 | 2 | 1.64 | 1.46 | <3.65–ჯერ |
| მდიდართა და ღარიბთა საშუალო შემოსავლების ფარდობა $\eta=\left(\frac{1-Q_0}{1-F_0}\right):\frac{Q_0}{F_0}$ | 24 | 10 | 4.9 | 3 | 2.2 | 1.82 | <8–ჯერ |
| მოსახლეობაში ეკონომიკურად აქტიურ წევრთა წილი, $1-F_*=\frac{1}{\alpha}=\frac{1-2\rho}{1-\rho}$ | 0.86 | 0.77 | 0.62 | 0.5 | 0.38 | 0.3 | <0.36–ით |

შესაბამისად, *თუმცა ამ ჰიპოტეტურ შემთხვევაში ღარიბთა რიცხვი (წილი) შემცირდა 17%–ით და მათი საშუალო შემოსავალი გაიზარდა 2.2–ჯერ, საზოგადოებამ დაკარგა 0.36/0.86=42% თავისი ეკონომიკურად აქტიური წევრების (რომლებიც მოტივირებული არიან ინვესტიციების ჩადებისა და ეკონომიკური საქმიანობის გაფართოების მხრივ).*

ამიტომ, მოსახლეობის მდიდარი ნაწილის დაბეგვრის საკითხი, დონორული დახმარების მიზნით (ღარიბი მოსახლეობის მიმართ), უნდა ზედმიწევნით (სკურპულოზურად) გააზრებული იყოს, *მთავარია ასეთ დროს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რათა მოსახლეობის ღარიბ ნაწილს საშუალება მიეცეს თვითონ გამოიმუშაონ თავიანთი შემოსავალი და არ იყვნენ მდიდრების გაზრდილი დაბეგვრის იმედით (შემყურე). სახელმწიფოს როლი ამ საკითხში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს პრობლემატიკა სავსებით აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვის.*

ზემოთქმულის დასტურია სურ. 5-ზე წარმოდგენილი გრაფიკები, აგებული ცხრილი 2-ის მიხედვით. ამ სურათზე პარამეტრი α მოცემულია ლოგარითმულ მასშტაბში. გრაფიკები ცხადად გვიჩვენებენ, რომ მიუხედავად ღარიბთა წილის შემცირებისა ქვეყნის მოსახლეობაში (პარამეტრი $F_0$) და მათი შემოსავლის ზრდისა (პარამეტრი $Q_0/F_0$) - α პარამეტრის და შესაბამისად ρ-ს ზრდის კვალობაზე, რაც შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ სათანადო დაბეგვრის მექანიზმების შემოღებით. ამავდროულად საზოგადოება სამწუხაროდ დაკარგავს თავისი ეკონომიკურად აქტიური წევრების მნიშვნელოვან ნაწილს (პარამეტრი $1-F_*$), რაც ნეგატიურად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და წინსვლაზე.

ისმის კითხვა - კიდევ რა ბერკეტი გააჩნია სახელმწიფოს, შემოსავლების უთანაბრობის შესამცირებლად, გარდა სათანადო საგადასახადო და სოციალური პოლიტიკის გატარებისა ისე, რომ არ შემცირდეს და პირიქით, გაიზარდოს კიდეც ქვეყნის ეკონომიკური ეფექტურობა. პასუხი მარტივიც არის და იმავდროულად რთულიც, რათა მოითხოვს დიდ ძალისხმევას და ნებისყოფას, რამეთუ საქმე ეხება *„ჩრდილოვან ეკონომიკასთან“* და *კორუფციასთან* ბრძოლის საკითხებს. ეს მეტ-

ნაკლებად ნიშანდობლივია სხვადასხვა ქვეყნებისთვის - მათ შორის უფრო ხშირად ახალგაზრდა დემოკრატიის და საბაზრო ეკონომიკაზე გადასულის გარდამავალ რეჟიმში მყოფთათვის, აგრეთვე ერთპიროვნული და დიქტატორული მმართველობისას და სხვა. „ჩრდილოვან ეკონომიკაში“ შესაძლოა მოიაზრებოდეს დიდი შემოსავლები (რიგ შემთხვევებში თანაზომადი ქვეყნის მნპ-ის), რომლებიც არ აისახებიან ოფიციალურ სტატისტიკაში და შესაბამისად არც ხდება სათანადო გადასახადების გადახდა. სწორედ ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდნენ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები (რუსეთი, აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიის და დსთ-ს ქვეყნები, მათ შორის საქართველოც).

გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა (მათ შორის, ბევრ შემთხვევაში ფსევდო პრივატიზაციამ, ვაუჩერიზაციამ და სხვა), მოახდინეს მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი დიფერენციაცია და საზოგადოების ფენებად დაშლა - ღარიბების გაღატაკება და მდიდრების სიმდიდრის მკვეთრი მატება. კრიმინალურმა და კორუმპირებულმა ჯგუფებმა, მნიშვნელოვანი ფინანსური საშუალებები და შემოსავლები *გადაქაჩეს „ჩრდილოვან ეკონომიკაში“* და ამდენად, სამწუხაროდ ასეთ ქვეყნებში სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს (სამსახურებს) უწევთ ოპერირება უზუსტო მონაცემებით. ეს კი იწვევს იმას, რომ ოფიციალური სტატისტიკური მასალის საფუძველზე მიღებულ ეკონომიკაში აღიარებული ლორენცის (გაბნევის) მრუდეები და ჯინის კოეფიციენტები, არ შეესაბამებიან რეალურ სიტუაციას და ვეღარ ასახავენ შემოსავლების რეალურ განაწილებას, როგორც ცნობილია *„ჩრდილოვანი ეკონომიკის“* პრობლემები არსებობს აგრეთვე ბევრ განვითარებად ქვეყნებშიც.

ამიტომ, *„ჩრდილოვანი ეკონომიკის“* და *კორუფციის* გამო, რეალური სმშპ ასეთ ქვეყნებში შეიძლება მეტი იყოს ოფიციალურად გაცხადებულ სიდიდეზე. ხოლო შემოსავლების განაწილების უთანაბრობა საგრძნობლად გაზრდილი აღმოჩნდეს. „კარგ“ მაგალითს ამ მხრივ წარმოადგენს ჩვენი დიდი მეზობელი რუსეთი, სადაც რეფორმები ეკონომიკაში დაიწყო 1991-92 წლებში და რასაც მოჰყვა ზემოთხსენებული მოვლენები.

ცხრილში 3, მოყვანილია *გაეროს განვითარების ფონდის* [7] მონაცემები ჯინის კოეფიციენტის თაობაზე აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ს ზოგიერთი ქვეყნის, მათ შორის რუსეთის შესახებ, საიდანაც ჩანს რომ, ჯინის კოეფიციენტი (ანუ, შემოსავლების უთანაბრობა) განხილულ პერიოდში პრაქტიკულად გაიზარდა ორჯერ.

*ცხრილი 3*

| ქვეყანა | 1987/88 | 1993/95 | ზრდა |
|---|---|---|---|
| უკრაინა | 0.23 | 0.47 | 0.24 |
| რუსეთი | 0.24 | 0.48 | 0.24 |
| ლიტვა | 0.23 | 0.37 | 0.14 |
| უნგრეთი | 0.21 | 0.23 | 0.02 |
| პოლონეთი | 0.26 | 0.28 | 0.02 |

სურ. 6-ზე გამოსახულია ლორენცის (გაბნევის) მრუდეები (1,2,3) რუსეთის შემთხვევაში, აღებულია სახსტატის ოფიციალური ცნობარიდან [10], ხოლო ლორენცის მრუდი - 4 კი აღებულია [9] -დან. სურ. 6-დან ჩანს, რომ ეკონომიკური რეფორმების გატარების კვალობაზე, რუსეთში მართლაც ხდებოდა შემოსავლების განაწილების უთანაბრობის ზრდა (მრუდეები 2 და 3 უფრო მარჯვნივ არიან განლაგებული 1-ის მიმართ), თუმცა მთლიანობაში, თუ ვიმსჯელებთ ოფიციალური მონაცემებით, ასეთი ზრდა არ იყო ძალიან გამოხატული.

იმავდროულად, რუსეთში რიგი ოფიციალური პირები (მათ შორის საგადასახადო პოლიციიდან, მასმედია და სხვა) ამტკიცებენ, რომ იმ პერიოდში (და მერეც) *„ჩრდილოვან ეკონომიკაში“* შემოსავალი შეადგენდა თითქმის 40-50% ქვეყნის მთელი შემოსავლიდან.

ხსენებულ ნაშრომში [9] გამოყენებული იყო საექსპერტო-სტატისტიკური მეთოდი, რუსეთის მოსახლეობაში შემოსავლების რეალური განაწილების განსაზღვრისთვის, ფარული შემოსავლების გათვალისწინებით. ამ ნაშრომში აღინიშნება, რომ ქვეყნის მოსახლეობის ხუთ ფენად (სტრატად) დაყოფისას (ე.წ. კვინტალური მოდელი), ყოველ ჯგუფში (ფენაში) არის ფარული შემოსავლები, თუმცა ძირითადად ისინი თავმოყრილია ყველაზე მდიდარ (I და II) ფენებში. მრავალრიცხოვანი საექსპერტო მონაცემების დამუშავების საფუძველზე ეს ნაშრომი აჩვენებს, რომ რეალური შემოსავალი 54%-ით მეტია ოფიციალურზე, რაც აისახება კიდეც მე-4 მრუდით სურ. 6-ზე. ჯინის კოეფიციენტი მისთვის ტოლია $K_G = 0.531$, ანუ გაზრდილია 1.4-ჯერ.

ამგვარად, განხილული მაგალითი ცხადყოფს, რომ *„ჩრდილოვან ეკონომიკას“* და *მთლიანობაში კორუფციას* მივყავართ შემოსავლების განაწილების არათანაბრობის მნიშვნელოვან ზრდასთან, ეს კი საბოლოო ჯამში დაძაბულობის და უკმაყოფილების ბუნებრივი მაპროვოცირებელი წყაროა ქვეყნის საზოგადოებაში. ის, რომ საქართველოში, 21-ე საუკუნის პირველ დეკადაში, მოსულმა მთავრობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია კორუფციასთან ბრძოლას, გადასახადების აკრეფის სათანადო მართვის პრობლემატიკას და ა.შ., შედეგი გამოიღო და ქვეყანამ ამ კუთხით რეგიონში (და არა მარტო) მნიშვნელოვან წინასვლას მიაღწია, რაც ბუნებრივია აისახა მის სათანადო რეიტინგებზე მსოფლიო გაერთიანების ქვეყნებს შორის.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Kendall M., & Stuart A. (1962). The Advance Theory of Statistics. V.1. Distribution Theory – London, G. Griffin & Co.
2. Busino G. (1965). Presentation in “Vilfredo Pareto, Ecritic sur la courbe de la repartition de la riehesse”, Geneva, Librairie Droz.
3. Varakin L.E. (2004). Digital Divide in the Global Information Society. Moscow. Publication of ITA.
4. Lezhava G., & Lezhava B. (2013). The scattering curve and its derivative in the process of

competition study. Tbilisi: Caucasus University's Scientific Papers.
5. Lezhava G. & Butskhrikidze D. (2012). Digital Divide in the Global Information Society and its Measurement with Adequate Mathematical Methods. Tbilisi: Caucasus University`s Scientific Papers.
6. Samuelson P. & Nordhaus W. (2000). "Economics", Irvin & McCrow Hill Co, 16th Edition.
7. UN Development Program. Human Development Report – (2000), N-Y; UNDP, Oxford University Press.
8. Lezhava G., & Lezhava B. (2015). Discussion of Economic Activity and Economic Apathy in the Public by Means of the Mathematical Apparatus of Scattering Curves. Tbilisil Caucasus University's Scientific Papers.
9. Айвазян С. А. (1997). Модель формирования распределения населения России по величине среднедушевого дохода. Экономика и математические методы, Т.33, Вып. 4.
10. Социальное положение и уровень жизни населения России. (1999). Стат. сб. М.: Госкомстат.
11. Varakin L.E. (2006). Information – Economical Law. Moscow. Publication of ITA.

# გაბნევის მრუდეების გამოყენება საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზისას

***გურამ ლეჟავა***
პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი
***ბორის ლეჟავა***
პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი
კავკასიის უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

განხილულია გაბნევის მრუდეების მათემატიკური აპარატის გამოყენების საშუალება საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ისეთი საკითხების შესწავლისას, როგორიცაა მაგალითად: სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ღარიბი ჯგუფებისათვის გასაწევი დონორული დახმარების ეფექტურობის საკითხის ანალიზი, როდესაც მოსახლეობის (ან ქვეყნების) მდიდარი ნაწილი გაიღებს გარკვეულ სახსრებს *(ზეგარის,* ან *დონორული დახმარების* სახით).
ანალიზისთვის გამოიყენება შემოსავლების *პარეტოს განაწილების* კლასიკური შემთხვევა. შესაძლო დონორული დახმარება აისახება ადმინისტრირების (ან სხვა ინსტრუმენტების) გამოყენების შედეგად მიღწეული შემოსავლების უფრო თანაბარი განაწილებით, რაც ადეკვატურია ამ განაწილების α-ხარისხის მაჩვენებლის გაზრდის (მაგალითად, 1.16-დან 2-მდე). მართალია ამ დროს

მოსახლეობის ღარიბთა წილი მცირდება 17%-ით, ხოლო მათი საშუალო შემოსავალი იზრდება 2.2-ჯერ, საზოგადოება ამავდროულად სამწუხაროდ კარგავს თავისი *ეკონომიკურად აქტიური წევრების 42%* (რომლებიც მოტივირებულნი არიან ინვესტიციების ჩადებისა და ეკონომიკური საქმიანობის გაფართოების მხრივ). ეს კი სერიოზული განსჯის საკითხია.

კონკრეტული მაგალითის მოშველიებით, წარმოდგენილია *„ჩრდილოვანი ეკონომიკის“* და *კორუფციის* ზეგავლენა შემოსავლების განაწილების არათანაბრობის მნიშვნელოვან ზრდაზე, რაც საბოლოო ჯამში დაძაბულობის და უკმაყოფილების ბუნებრივი მაპროვოცირებელი წყაროა ქვეყნის საზოგადოებაში.

## Use of Scattering Curves for the Social-economic Process Analysis in the Society

***Guram Lezhava***, Professor, PhD

***Boris Lezhava***, Professor, PhD

Caucasus University

### Abstract

The use of scattering curves for the social-economic process analysis in the society is discussed , particularly when studying the issue of the effectiveness of donor aid, where a richer part of the population (or countries) will assign certain funds (in kind of taxes, or donor aid).

A classic case of Pareto distribution of incomes is used for the analysis. Potential donor aid is reflected in a more equal distribution of income as a result of administration (or other reasons), which is appropriate to increase the $\alpha$- exponent of this distribution (for example, from 1.16 to 2). Although at this time the poorer part of population reduces by 17% and their average income increases 2.2 times, but the society will unfortunately lose 42% of its economically active members (who are motivated in terms of investments and expansion in the economic activity). This is a matter of serious consideration.

Using case studies, there is also discussed the impact of the “shadow economy” and corruption on the significant growth of income distribution inequality, which ultimately is the natural source provoking of tension and discontent in the society inside the country.

*დანართი 1*

სურათი 1,2,3




სურ.1.




სურ.2.




სურ.3.

*დანართი 2*

სურათი 4






*დანართი 3*

სურათი 5,6




სურ. 5.




სურ.6.

# საქართველოს საგადახდო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები



მედეა ზურაბიშვილი

დოქტორანტი

## შესავალი

საქართველოს ფინანსური სისტემის ინტეგრაცია მსოფლიო ფინანსურ სისტემაში, მისი თავსებადობა მსოფლიო ფინანსური სისტემის რეგულირებასთან და კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელია თანამედროვე საგადახდო სისტემების გამართული ფუნქციონირების გარეშე. მისი საიმედო და ეფექტური ფუნქციონირება ხელს უწყობს ეკონომიკის სტაბილურობას. საგადახდო სისტემები ემსახურებიან სხვადასხვა ტიპის ტრანზაქციებს, ეს შეიძლება იყოს როგორც ფიზიკურ პირებს შორის განხორციელებული გადახდები, ისე სასაქონლო და ფინანსურ ბაზრებზე დადებული გარიგებების ანგარიშსწორება. ძალიან ხშირად არსებითი მნიშვნელობა აქვს რამდენად სწრაფად, უსაფრთხოდ და მინიმალური დანახარჯებით ხორციელდება ეს ტრანზაქცია. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასა და საქართველოში საფინანსო მომსახურების დახვეწასთან ერთად გადახდების უსაფრთხოება, საიმედოობა, სისწრაფე და ხელმისაწვდომობა უფრო აქტუალური გახდა.

წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის მიზანია დავადგინოთ როგორ ფუნქციონირებს საგადახდო ბაზარი საქართველოში, რამდენად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს მისი ინფრასტრუქტურა და მომსახურება, აგრეთვე რამდენად დაცულია ამ სისტემების მონაწილეების უფლებები და უსაფრთხოება.

დასახული მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომში კომპლექსურად არის განხილული საქართველოში არსებული საგადახდო სისტემების ფუნქციონირების მექანიზმი, გაანალიზებულია საგადახდო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები.

საგადახდო სისტემა შეიძლება განისაზღვროს, როგორც საგადახდო ინსტრუმენტების, საბანკო პროცედურების, ტექნოლოგიების და ანგარიშსწორების სისტემათა ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს სახსრების მიმოქცევას მომხმარებელთა შორის.

საგადახდო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საფუძველია ერთიანი სტანდარტები (ფორმატები, ტერმინოლოგია, ფონტები და სხვა), რომლებმაც უნდა ასახოს გამოყენებული სისტემის თავისებურებები.

საგადახდო სისტემების მნიშვნელობიდან გამომდინარე, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებული ცენტრალური ბანკების მიერ, ხოლო მოგვიანებით სხვა რეგულატორებისა და მონაწილეების მიერ, დიდი ყურადღება დაეთმო საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემების დიზაინისა და მათი ოპერირების საკითხების შესწავლას.

საგადახდო სისტემების ინფრასტრუქტურის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების განმსაზღვრელს წარმოადგენს საგადახდო და ბაზრების ინფრასტრუქტურის კომიტეტი (Committee on Payments and Market Infrastructures, CPMI)[1], იგი საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის ერთ-ერთი მუდმივმოქმედი კომიტეტია.

საქართველოში საგადახდო ბაზარს კოორდინაციას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი. სწორედ ის უწესებს სისტემის მონაწილეებს ქცევის წესებს, აკონტროლებს მათ და საჭიროების შემთხვევაში დამსჯელ ღონისძიებებსაც ატარებს.

## 1. საგადახდო სისტემების ტიპები

საგადახდო სისტემების ტიპი და სტრუქტურა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, რაც გამოწვეულია როგორც ისტორიული მიზეზებით, ასევე ქვეყნის სამართლებრივი, რეგულატორული და ინსტიტუციური მოწყობით. (ცხრილი № 1)

საქართველოში დღესდღეობით ფუნქციონირებს ფულადი სახსრების საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემები. ეს სისტემები განხორციელებული ტრანზაქციების სიდიდის მიხედვით იყოფა ორ სეგმენტად: მსხვილი ბანკთაშორისი საგადახდო და საცალო გადახდების სისტემები.

თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარება თანდათან მრავალფეროვანს ხდის ეროვნულ საგადახდო სისტემას და ზრდის მასში მონაწილე სუბიექტების რაოდენობას. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს საგადახდო სისტემებში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები როგორც მსხვილი ბანკთაშორისი ანგარიშსწორების მხრივ, ასევე საცალო გადახდების სფეროში.

საგადახდო სისტემის მონაწილე სუბიექტებია: სისტემის ოპერატორი და სისტემის მონაწილეები[2] (პროვაიდერები, ანგარიშსწორების აგენტები და სხვა). სისტემის მონაწილეთა წრე ყოველი კონკრეტული საგადახდო სისტემისათვის განისაზღვრება ინდივიდუალურად, სისტემის წესების მიხედვით.

ბანკებს უფლება აქვთ ბანკთაშორისი ანგარიშსწორება აწარმოონ ერთმანეთთან როგორც საკორესპონდენტო ანგარიშებით, ისე არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების (საანგარიშსწორებო, საპროცესინგო, საკლირინგო დაწესებულება და სხვ.) მეშვეობით, რომლებსაც

---

[1] https://www.bis.org/cpmi/ Committee on Payments and Market Infrastructures (CPMI) - overview

[2] „საგადახდო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, 145/01

აქვთ მონაცემთა გაცვლის ქსელების საშუალებით წვდომა საბანკო სფეროს საგადახდო სისტემებთან. ბანკს შეუძლია ერთდროულად ისარგებლოს რამოდენიმე საგადახდო სისტემის მომსახურებით, შესაბამისად ხელშეკრულებაც უნდა გაფორმდეს თითოეულთან ცალ-ცალკე.

*ცხრილი 1*

| კრიტერიუმი | საგადახდო სისტემების სახეები |
|---|---|
| გადახდის საშუალების მიხედვით | • ფულადი სახსრების საგადახდო სისტემები<br>• ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემები |
| განხორციელებული ტრანზაქციების მოცულობის მიხედვით | • დიდი თანხობრივი მოცულობის საგადახდო სისტემები<br>• საცალო გადახდების სისტემები |
| ფუნქციონირების არეალის მიხედვით | • ლოკალური სისტემები<br>• საერთაშორისო სისტემები |
| სისტემის მფლობელის მიხედვით | • ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული საგადახდო სისტემები<br>• კერძო სისტემები |
| ანგარიშსწორების მოდელის მიხედვით | • დროის რეალურ რეჟიმის პრინციპზე მომუშავე სისტემები<br>• ნეტინგის პრინციპით, კლირინგის პრინციპზე მომუშავე სისტემები |
| გადახდებისთვის გამოყენებული ვალუტის მიხედვით | • მულტისავალუტო საგადახდო სისტემები<br>• ერთვალუტიანი საგადახდო სისტემები |
| მომსახურების მექანიზმის მიხედვით | • სისტემები, რომლებიც მომხმარებლებს სავალდებულოდ უხსნიან ანგარიშებს მომსახურების გაწევისას<br>• სისტემები, რომლებიც მომხმარებლებს ემსახურებიან ანგარიშის გახსნის გარეშე |
| დადებული ხელშეკრულების მიხედვით | • სისტემები, რომლებიც ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე ემსახურებიან მომხმარებელს<br>• სისტემები, რომლებიც ერთჯერადად ემსახურებიან მომხმარებელს |

## 2. საქართველოს საგადახდო ბაზარი

საქართველოში განხორციელებული ტრანზაქციების მოცულობის მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვანი სისტემაა - საქართველოს ეროვნული ბანკის საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემა (**GPSS**), რომელიც მოიცავს დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (**RTGS**) და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (**CSD**) სისტემებს. საქართველოში **RTGS** სისტემა 2001 წლიდან არსებობს. ამ პერიოდისთვის მსოფლიოს მხოლოდ 37 ქვეყანაში იყო დანერგილი ამ ტიპის სისტემა. ამჟამად ფუნქციონირებს ამ სისტემის განახლებული ვერსია, რომელიც დაინერგა 2010 წელს მსოფლიო ბანკისა და USAID-ის მხარდაჭერით, ისევ ამერიკული კომპანია „მონტრანის" მიერ. წინა სისტემასთან შედარებით მონაწილეებისათვის მნიშვნელოვნად

გაუმჯობესდა გადარიცხვების დამუშავების პროცესი, ლიკვიდობის მართვის ინსტრუმენტები, უსაფრთხოება და რეპორტინგი.

აღნიშნული სისტემა წარმოადგენს ჰიბრიდულ სისტემას, რომელიც ამუშავებს არა მხოლოდ მსხვილ გადახდებს, არამედ მცირე თანხობრივი მოცულობის გადახდებსაც. მათი დამუშავება განსხვავებულ რეჟიმში ხდება; კერძოდ, მსხვილი გადახდები (10000 ლარი და მეტი) სისტემას მიეწოდება ინდივიდუალურად, ხოლო მცირე გადახდები ჯგუფდება და დასამუშავებლად სისტემას პაკეტებად მიეწოდება. მიუხედავად ამისა, ყველა გადახდის ოპერაციის ანგარიშსწორება დროის რეალურ რეჟიმში ხდება .

RTGS სისტემით დღეში საშუალოდ 78 ათასი ტრანზაქცია ხორციელდება, თანხობრივი მოცულობის მხრივ საშუალოდ 500 მილიონი ლარის ბრუნვები. საქართველოში განხორციელებული გადახდების საერთო ბრუნვაში თანხობრივი სიდიდის მიხედვით ეროვნული ბანკის RTGS სისტემით დამუშავებულმა ტრანზაქციების წილმა შეადგინა 73%, აღნიშნული სულ მცირე 4-ჯერ აღემატება უნაღდო გადახდებისათვის საქართველოში გამოყენებულ ნებისმიერ სხვა სისტემას/საშუალებას და ამგვარად რჩება ფინანსური რესურსების მოძრაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად.[3]

**RTGS** სისტემა წარმოადგენს დაცულ სისტემას, რომლის დიზაინი შექმნილია საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ სისტემაში გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორებიცაა: სამუშაო საათებში გადახდის სისტემის უწყვეტობა (სისტემაში ინტეგრირებულია ჩიხური სიტუაციების მართვის ავტომატიზებული მექანიზმი. ფაქტიურად, მინიმუმამდეა დაყვანილი საოპერაციო რისკები. სისტემის უწყვეტობის მაჩვენებელი 99,9%-ის დონეზეა); ანგარიშსწორების საბოლოობის უზრუნველყოფა (RTGS სისტემა ტექნიკურად უზრუნველყოფს გადახდების უპირობო და გამოუთხოვად ანგარიშსწორებას უწყვეტად დღის განმავლობაში); სისტემის მონაწილეებისთვის ცენტრალური ბანკების ლიკვიდობის საშუალებების ხელმისაწვდომობა (ბანკებს საშუალება აქვთ ისარგებლონ RTGS სისტემის დღის შიდა ლიკვიდობის საშუალებით, რომლის გამოყენება ხდება CSD სისტემის დახმარებით).

**სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების CSD** სისტემა მოიცავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებს. მოცემული სისტემა მჭიდროდ ინტეგრირებულია RTGS სისტემასთან და „ბლუმბერგის" სავაჭრო სისტემასთან, რაც საშუალებას იძლევა ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე დადებული გარიგებები ავტომატურად გადაგზავნილი იქნას CSD სისტემაში ოპერაციის დასრულებისათვის. „ბლუმბერგის" სავაჭრო სისტემასთან ინტეგრაცია

[3] საქართველოს ეროვმული ბანკი, 2015 წლიური ამგარიში, გვ. 134

ეროვნულ ბანკს საშუალებას აძლევს სასესხო და ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ოპერაციები განახორციელოს ავტომატურად, რაც ამცირებს საოპერაციო რისკებს და ზრდის მონეტარული ოპერაციების ეფექტურობას.

CSD და RTGS სისტემების მესაკუთრე და ოპერატორია საქართველოს ეროვნული ბანკი. მოცემული სისტემები აგებულია ინტერნეტ ტექნოლოგიებზე. სისტემაში ინფორმაციის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ციფრული ხელმოწერის საშუალებით. ამ სისტემების მონაწილეები არიან საქართველოს ეროვნული ბანკი, სახელმწიფო ხაზინა და კომერციული ბანკები. მოცემული სისტემები არ მუშაობს შაბათ-კვირას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სადღესასწაულო დღეებში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

სამწუხაროდ, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემას განვითარების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩება **საფონდო ბირჟის ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა (GSCD).** ამ სისტემის ძირითადი მიზანია მისი მონაწილეების მფლობელობაში მყოფი კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობა და ამ ფასიანი ქაღალდების კლირინგისა და ანგარიშსწორების უზრუნველყოფა.

აღნიშნული სისტემის ოპერატორია ს.ს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“. ანგარიშსწორება ხორციელდება ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების დეპოზიტარის შესაბამის ანგარიშებზე წინასწარ ჩარიცხვის გზით, სადაც ანგარიშსწორების აგენტებად გამოდის საქართველოს 4 კომერციული ბანკი. GSCD არის 4 კომერციული ბანკის (სს „საქართველოს ბანკი“; სს „თიბისი ბანკი“; სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“; სს „ქართუ ბანკი“ ) და საქართველოს საფონდო ბირჟის მფლობელობაში.

GSCD სისტემის ინფრასტრუქტურა მოძველებულია, შესაბამისად გართულებულია, როგორც ვაჭრობა , ისე ანგარიშსწორების პროცესი. პროცესები არ არის ავტომატიზებული, ოპერაციები ხდება ქაღალდის დოკუმენტებით, მაღალია საოპერაციო რისკები და პროცესი არის არაეფექტიანი. შესაძლოა ეს რისკები ბაზრის მცირე ბრუნვის პირობებში არ მატერიალიზდება, თუმცა მოძველებული და გაუმართავი ინფრასტრუქტურა ხელს უშლის ბაზრის განვითარებას, ასრულებს უცხოელი ინვესტორების შემოსვლისათვის დემოტივატორის როლს და ბაზრის გააქტიურების შემთხვევაში სერიოზულ საფრთხეს წარმოშობს.

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და განვითარებულია საგადახდო ბარათების ბაზარზე დანერგილი ანგარიშსწორების სისტემები. დღეისათვის საქართველოს ბაზარზე ოპერირებენ, როგორც საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების ოპერატორები, როგორებიცაა - Visa; MasterCard; AmericanExpress; Union Pay International და სხვა, ისე ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული ოპერატორები - სს „ჯორჯიან ქარდი“; სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“. (დიაგრამა 1)

კომერციული ბანკები და არასაბანკო დაწესებულებები ბარათების იშუინგს, ანუ გამოშვებას ახორციელებენ ამ ოპერატორებთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ამავე დროს საბარათე ტრანზაქციების დამუშავება და მართვა უზრუნველყოფილია საპროცესინგო ცენტრებით.




დიაგრამა 1[4]

ქვეყანაში ფუნქციონირებს 3 ბანკის შიდა საპროცესინგო ცენტრი: ლიბერთი ბანკის, კაპიტალ ბანკის და ბანკი ქართუს, ასევე დამოუკიდებელი საპროცესინგო ცენტრები - სს „ჯორჯიან ქარდი" და სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია" (UFC).

სს „ჯორჯიან ქარდი" სს „საქართველოს ბანკის" შვილობილი კომპანიაა. ის წარმოადგენს საგადამხდელო ბიზნესის სერვისის პროვაიდერს 1997 წლიდან. სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია" (UFC) დაარსდა 1996 წელს და კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო სს „თიბისი ბანკი", ამჟამად, იგი ემსახურება რვა ბანკს, ექვს ფინანსურ ორგანიზაციას და ორ ლოიალობის კომპანიას. საპროცესინგო ცენტრი უზრუნველყოფს სრულ საბარათე მომსახურებას VISA International და MasterCard Worldwide-ის საერთაშორისო რეგულაციებისა და PCI[5] (Payment Card Industry)-ის მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტების მიხედვით.

დღეისათვის საქართველოში მოქმედი შვიდი კომერციული ბანკი ფლობს საერთაშორისო საგადახდო სისტემების ინტერნეტ-ექვაირინგის ლიცენზიას და წარმატებით ემსახურება სავაჭრო და მომსახურების სფეროებს. მათი ელექტრონული სისტემები მუშაობენ მსოფლიოში აღიარებული Verified by Visa და MasterCard Secure Code ტექნოლოგიების მეშვეობით, რაც გულისხმობს ბარათის აუტენტიფიკაციის სამ დონეს (3D Secure).

ბარათების საპროცესინგოთაშორისი გადარიცხვების კლირინგი ხორციელდება ქვეყნის გარეთ, საერთაშორისო საგადახდო სისტემების საკლირინგო ცენტრებში, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება - საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორის ანგარიშსწორების სისტემაში RTGS.

[4] https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2015/annual_geo_2015.pdf
[5] https://www.pcisecuritystandards.org/about_us/

საქართველოში საგადახდო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად დინამიურად ვითარდება საგადახდო მომსახურების სფეროც. გაიზარდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რაოდენობა და უფრო მრავალფეროვანი გახდა მათ მიერ გაწეული მომსახურებაც. პროვაიდერების მომსახურების სფერო ძირითადად მოიცავს გადახდების მიღებას თვითმომსახურების კიოსკების მეშვეობით, საგადახდო ბარათების ემისიას, ელექტრონული ფულის გამოშვებასა და მისი მეშვეობით გადახდის ოპერაციების განხორციელებას.

დღესდღეობით საქართველოს ბაზარზე ოპერირებს 40 საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, მათგან 14 დარეგისტრირდა 2016 წელს. მათ მიერ განხორციელებულმა საგადახდო მომსახურებამ 2015 წლის განმავლობაში 4.3 მლრდ ლარი შეადგინა, რაც კომერციული ბანკების მიერ წარმოებული გადახდების მხოლოდ 2.3%-ია, თუმცა რაოდენობრივი თვალსაზრისით ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მცირე მოცულობის (საცალო) გადახდების განხორციელებაში. 2015 წელს რეგისტრირებული პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდების რეაოდენობამ ჯამური მონაცემებით 500 მილიონი ტრანზაქცია შეადგინა, რაც 28-ჯერ აღემატება იგივე პერიოდში RTGS სისტემის მიერ განხორციელებულ გადახდის ოპერაციების მთლიან რაოდენობას.[6]

საგადახდო სისტემის მონაწილეებმა შეიძლება გადახდები განახორციელონ სხვადასხვა საგადახდო საშუალებებით და ინსტრუმენტებით.

საგადახდო ინსტრუმენტი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: სადებეტო და საკრედიტო. საკრედიტო ინსტრუმენტებია: საკრედიტო გადარიცხვა, ფულადი გზავნილი. სადებეტო ინსტრუმენტებია: პირდაპირი დებეტი, საკრედიტო ბარათები, სადებეტო ბარათები და სხვ.

საგადახდო ინსტრუმენტებიდან წამყვანი ინსტრუმენტია - საგადახდო ბარათები. 2015 წლის ბოლოსათვის საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული ბარათების რაოდენობამ 8.1 მილიონი შეადგინა, ქვეყანაში 10 სულ მოსახლეზე დაახლოებით 22 ბარათია გამოშვებული. რაც შეეხება, საბარათე ინსტრუმენტებით განხორციელებული გადახდის ოპერაციების რაოდენობის წილი მთლიან უნაღდო გადახდებში 62,7% შეადგინა. ასევე მნიშვნელიოვანია ინტერნეტბანკინგის მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციების წილიც, რომელმაც წლის ჯამური შედეგებით შეადგინა 20.1%. აღსანიშნავია, რომ კლიენტის მიერ უშუალოდ ბანკში ქაღალდით წარმოდგენილი საკრედიტო საგადახდო დავალებების წილი უკანასკნელი 5 წლის მანძილზე სტაბილურად მცირდება და 2015 წელს მთლიანი უნაღდო გადახდების 12.6% შეადგინა.

ტრადიციული საგადახდო ინსტრუმენტების პარალელურად ვითარდება დისტანციური საბანკო მომსახურების არხები (ინტერნეტ-ბანკინგი, ბანკი-კლიენტი, სატელეფონო ბანკინგი, მობაილ-

[6] საქართველოს ეროვნული ბანკი, 2015 წლიური ანგარიში, გვ.140

ბანკინგი, SMS ბანკინგი), რომლებიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს საბანკო ოპერაციები განახორციელონ სხვადასხვა ელექტრონული არხის გამოყენებით.

რამდენიმე წლის წინ ბანკების დიდი ნაწილის ძირითად სტრატეგიას ინტერნეტბანკის განვითარება წარმოადგენდა. თუმცა, ბოლო ორი წელია, უპირატესობა მობილური სერვისების განვითარებას ენიჭება. სულ უფრო აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მობილური ტექნოლოგიების მეშვეობით ფინანსური გადახდებისა და ფულადი გზავნილების აწყობაზე. მაგალითად, NFC ტექნოლოგიის მხარდამჭერი მობილური ტელეფონის მფლობელს სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით უკვე შეუძლია მობილურს მიაბას საგადახდო ბარათი და მისი საშუალებით მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში განახორციელოს უკონტაქტო გადახდები.

საქართველოს საგადახდო ბაზარზე მაღალი ტემპით ვითარდება ნაღდი ფულის მიმღები თვითმომსახურების კიოსკების ქსელი, რომლებიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მოხერხებული და ოპერატიული გზით განახორციელოს სხვადასხვა ტიპის გადახდები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბიზნესი ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაზე დგას, ზოგიერთი პროვაიდერის აპარატებში დამონტაჟებულია ბარათების წამკითხველი, რაც მომხმარებელს აძლევს საშუალებას გადახდები ბარათითაც განახორციელოს. ამ ბიზნესზე მოდის საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მთლიანი გადახდების რაოდენობის 48%, ხოლო თანხობრივად 77%. თუმცა 2014 წელთან შედარებით, თვითმომსახურების კიოსკების წილი მთლიან გადახდებში შემცირებულია 6%-ით რაოდენობრივად და 5%-ით თანხობრივად.[7]

ამ ბიზნესში ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა „თიბისი ფეი", რომლის აპარატებში 500-ზე მეტი სერვისია ჩართული. მან მომხმარებელს შესთავაზა ინოვაციური გადახდის საშუალებები, ისეთი, როგორიცაა WAP და Windows ტერმინალი. "თიბისი ფეის" სისტემაში ჩართული ნებისმიერი მობილური ტელეფონი წარმოადგენს გადასახადების მიღების მოსახერხებელ გზას. WAP ტერმინალი შესაძლებელს ხდის მობილური ტელეფონის მეშვეობით, ნებისმიერ დროს და ადგილზე განახორციელოს მომხმარებელმა ელექტრონული გადახდები. ამისთვის საჭიროა მობილური ტელეფონი GPRS ფუნქციით და ვებ ბრაუზერით.

Windows ტერმინალის სერვისი ძალიან ჰგავს ინტერნეტ ბანკინგის მომსახურებას, თუმცა მნიშვნელოვანი სხვაობაც აქვს. ინტერნეტ ბანკინგის შემოთავაზებული სერვისებითა და ფუნქციონალით სარგებლობს მხოლოდ მოცემული ბანკის კლიენტი, თიბისი ფეის შემთხვევაში კი, მნიშვნელობა არ აქვს რომელი ბანკის კლიენტია მომხმარებელი, მთავარია მას მოქმედი სადებეტო ან საკრედიტო ბარათი ქონდეს. მთავარი უპირატესობა მაინც ისაა, რომ ამ სისტემაში გაცილებით მეტი სერვისი და კომპანიაა ჩართული, ვიდრე დღეისათვის ინტერნეტბანკის პლატფორმებშია ხელმისაწვდომი.

[7] საქართველოს ეროვნული ბანკი, 2015 წლიური ანგარიში, გვ, 141

უკანასკნელ პერიოდში მომხმარებელს საშუალება მიეცა ინტერნეტში გადახდა განახორციელოს არა მარტო საბანკო ბარათებით, არამედ ელექტრონული ფულის საშუალებითაც. საქართველოში ფუნქციონირებს ელექტრონული ფულის რამოდენიმე ორგანიზაცია, რომელიც თავის მომხმარებლებს საშუალებას აძლევს კლიენტის ელექტრონული ფულის ანგარიშზე არსებული ნაშთის ფარგლებში განახორციელონ გადახდები ინტერნეტ სივრცეში, სხვადასხვა მომსახურების და პროდუქციის შესაძენად ან გადარიცხონ თანხა სხვა მომხმარებლის ელექტრონული ფულის ანგარიშზე. ერთ-ერთი სერვისი, რომელიც ამ სისტემას გააჩნია, გახლავთ ვირტუალური საბანკო ბარათი. ეს არის სრულიად ჩვეულებრივი სადებეტო ბარათი, რომელსაც ფიზიკური მატარებელი არ გააჩნია. მომხმარებელს სმს-ის სახით ეგზავნებათ ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და უსაფრთხოების სამნიშნა კოდი.

საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში ელექტრონული ფული გადაუცვალოს მას ფულად სახსრებზე. დაუშვებელია ელექტრონული ფულის პროვაიდერის მიერ მომსახურების განხორციელებისათვის მიღებულ ფულად სახსრებზე სარგებლის დარიცხვა ელექტრონული ფულის მომხმარებლის სასარგებლოდ. ამავე დროს, არ შეიძლება საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ მომხმარებლის ფულადი სახსრების კრედიტის/ოვერდრაფტის გასაცემად გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის განმავლობაში ელექტრონული ფულით განხორციელებული ტრანზაქციები თანხობრივად საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდის ოპერაციების 4%-ს შეადგენდა და წინა წელთან შედარებით 3%-ით გაიზარდა.

ზოგიერთი საგადახდო სისტემის მიერ ანგარიშსწორების ინსტრუმენტად გამოყენებულია ვირტუალური ვალუტა (მაგ. Bitcoin, Litecoin, Ripple და სხვ.), ვირტუალური ვალუტა მნიშვნელოვნად განსხვავდება ვირტუალური საბანკო ბარათისაგან. მისი გამოშვება ხორციელდება მხოლოდ ციფრული ფორმით და კერძო ემიტენტების მიერ. ეს ინსტრუმენტები ფულის ფუნქციებს ასრულებენ მხოლოდ მოცემულ ქსელში მხარეთა შეთანხმებით. ვირტუალური ვალუტა ფორმითა და გამოყენების სფეროთი ძალიან გავს ელექტრონულ ფულს, თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავდება მისგანაც. ელექტრონული ფული არის მოთხოვნა მისი გამომშვების მიმართ და მისი გამოშვება ხდება მიღებული ფულადი საშუალებების სანაცვლოდ. ვირტუალური ვალუტა, ეგრეთწოდებული კრიპტოგრაფიული ვალუტა საერთოდ არ რეგულირდება ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ და ამავე დროს, ის წარმოადგენს ისეთ აქტივს, რომლის ღირებულება განისაზღვრება მოთხოვნა-მიწოდებით.

საცალო გადახდების სისტემის ერთ-ერთი სახეობაა ფულადი გზავნილები (Western Union, Zolotaia Korona, Unistream და სხვ.) ფულადი გზავნილების განსახორციელებლად არაა საჭირო ბანკში პირადი ანგარიშის გახსნა. საქართველოში მხოლოდ ფიზიკური პირების ფულადი

გზავნილებით მომსახურებაა დასაშვები. იურიდიულ პირს, როგორც საგადახდო მომსახურების მომხმარებელს, ფულადი გზავნილის მიღება და გაგზავნა ეკრძალება. ფულადი გზავნილები განსხვავდებიან ერთმანეთისგან გადარიცხვის მეთოდებით; ოპერაციის შესრულების სიჩქარით და მომსახურების ტარიფებით. 2015 წლის განმავლობაში განხორციელებული გზავნილების მოცულობამ 25 %-ით მოიკლო წინა წელთან შედარებით.[8]

ადგილობრივი საცალო გადახდების სისტემის დიზაინსა და ფუნქციონირებას დიდი ზეგავლენა აქვს ეროვნული საგადახდო სისტემის უსაფრთხოებასა და ეფექტიანობაზე. საცალო საგადახდო სისტემები ჩვეულებრივ ამუშავებს დიდი რაოდენობის მცირე თანხიან გადახდებს, რომელიც უზრუნველყოფს გადახდების მიმართ მომხმარებლების მრავალფეროვანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობას. უკვე საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ნაღდი ფულიდან ელექტრონულ გადახდის მეთოდებზე გადასვლა ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობია, ამავე დროს ის „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ შემცირებასაც განაპირობებს.[9]
საბანკო სერვისების გაციფრულებით საქართველო რეგიონში მოწინავეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაღდი ფული ისევ მასიურად ტრიალებს მოსახლეობაში. მოსალოდნელია, რომ მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების (ფინანსური განათლება) და მათ მიერ ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენების წახალისების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები დააჩქარებს ქვეყანაში უნაღდო გადახდების ზრდის ტემპს.

## დასკვნა

ბოლო წლებში გატარებულმა მნიშვნელოვანმა ინფრასტრუქტურულმა რეფორმებმა განაპირობეს საქართველოს საგადახდო ბაზრის დინამიური განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ძირითადად წარმოდგენილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა ელექტრონული გადახდებისთვის, მაინც დომინირებს ნაღდი ფულით გადახდები, ამიტომ მნიშვნელოვანია ეფექტიანი ხელშემწყობი სტრატეგიის არსებობა მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებისათვის და მათ მიერ ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენების წახალისებისათვის. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საგადახდო სისტემების ეფექტიან მუშაობას.

საგადახდო სისტემების გამართულ ფუნქციონირებას, რომელიც უზრუნველყოფს ტრანზაქციების უსაფრთხოდ და დროულად დასრულებას, შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკურ შედეგებში. მისი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირება

[8] https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2015/annual_geo_2015.pdf გვ.54
[9] ჭყოიძე ნ. (2014) საგადახდო (გადახდების) სისტემა და მისი მნიშვნელობა, ჟურნალი ეკონომიკა და საბანკო საქმე ტომი 2, N 3,გვ 7

უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსური უსაფრთხოების უფრო მეტად განმტკიცებას და ქვეყნის ინტეგრაციას საერთაშორისო ეკონომიკურ ბაზაში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №8/04, 22.01.2015.
2. კოვზანაძე, ი., კონტრიძე, გ. (2014). თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თბილისი გვ. 267-274.
3. კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №35/04, 13.05.2011.
4. საგადახდო ბარათების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №38/04, 16.05.2011.
5. საქართველოს კანონი, საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ, 25/05/12.
6. ჭყოიძე, ნ. (2014). საგადახდო (გადახდების) სისტემა და მისი მნიშვნელობა, ჟურნალი ეკონომიკა და საბანკო საქმე ტომი 2, N 3, გვ. 6 -16.
7. Abrazhevich, D. (2002). Classification and Characteristics of Electronic Payment Systems, London, England. pp 81-90.
8. Iftekhar Hasan, Tania De Renzis , Heiko Schmiedel , Retail payments and economic growth. (2012). 37 p. ISBN 978-952-462-806-8, online.

https://www.nbg.gov.ge

http://www.georgiancard.ge/

http://www.ufc.ge/

https://www.bis.org/cpmi/info.htm?m=3%7C16%7C29

https://www.pcisecuritystandards.org/about_us/

# საქართველოს საგადახდო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები

*მედეა ზურაბიშვილი*
დოქტორანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

**მიზანი** - კვლევის მიზანია დავადგინოთ, როგორ ფუნქციონირებს საგადახდო სისტემა საქართველოში, რამდენად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს მისი ინფრასტრუქტურა და მომსახურება, აგრეთვე რამდენად დაცულია ამ სისტემის მონაწილეების უფლებები და უსაფრთხოება.

**სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა** - აღნიშნული კვლევა განხორციელდა საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრირებული საგადახდო სისტემის მონაწილეების მაგალითზე. ნაშრომის თეორიული დამუშავების დროს გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, აგრეთვე შედარებითი ანალიზის მეთოდები.

**დასკვნა** - საქართველოში მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა ელექტრონული გადახდებისთვის, მაინც დომინირებს ნაღდი ფულით გადახდები, ამიტომ მნიშვნელოვანია ეფექტიანი ხელშემწყობი სტრატეგიის არსებობა მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებისთვის და მათ მიერ ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენების წახალისებისთვის; ეს კი თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საგადახდო სისტემების ეფექტიან მუშაობას.

**კვლევის შეზღუდვები(ხარვეზები)/გავლენა** - კვლევა უმთავრესად ეყრდნობა ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, მხოლოდ ნაწილობრივ არის შესწავლილი საგადახდო სისტემების მომხმარებელთა პრობლემატიკა. არსებულმა ფაქტორებმა შესაძლოა შეაფერხოს შედეგების განზოგადება.

**სიახლე/ღირებულება** - ნაშრომში კომპლექსურად არის განხილული საქართველოში არსებული საგადახდო სისტემების ფუნქციონირების მექანიზმი და გაანალიზებულია განვითარების ძირითადი ტენდენციები.

# Development Trends of Georgian Payment Market

*Medea Zurabishvili*
PhD Student
Caucasus University

## Abstract

**Purpose** – This study aims to determine how payment systems work in Georgia, how well their infrastructure, customer security and the quality of payment services meet the international standards.

**Design/methodology/approach** – This study used inductive and deductive analyses, comparison analyses and samples of payment systems registered in The National Bank of Georgia.

**Findings** – Contemporary technological developments gradually render the national payment system more diversified and increase the number of member entities. During the past few years, important changes were introduced in Georgian payment systems in terms of both the interbank settlement system as well as the sphere of retail payments. Payment systems in Georgia are dynamically developing and becoming more secure and efficient. This is an indicator of the success of the major infrastructural reforms undertaken in recent years and of the sustainability of the systems introduced.

**Research limitations/implications** – A major weakness is that all of the data in the study is based on official statistical information and partly includes customer issues. Ideally the information would have been collected directly from the organizations which use payment systems in addition to being collected from customers. Because of it characteristics of the present sample may limit the ability to generalize the results.

**Originality/value** – The paper is the first of its kind to compexively reviews payment systems in Georgia and their importance in the economics of the country.

# ტრადიციული და თანამედროვე ტენდენციები ქართულ მევენახეობა - მეღვინეობაში



**ლავრენტი ჯანიაშვილი**

მეცნიერებათა დოქტორი

ქართული ტრადიციული მეღვინეობა ბოლო ხანებში მზარდ პოპულარობას იძენს საერთაშორისო არენაზე. ღვინის დაყენების ქართულ მეთოდს ე.წ. „ქვევრის ღვინოს“ იუნესკომ (UNESCO)2013 წელს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისძეგლის სტატუსი მიანიჭა, რაც ქართული კულტურის ორგანული ნაწილის, მევენახეობა-მეღვინეობის, კიდევ ერთი აღიარებაა.

ქართულმა ყოფამ ღვინის დაყენების უძველეს ტექნოლოგიასთან ერთად შემოინახა ვენახის 500-ზე მეტი ჯიში, ხოლო ვაზის ნაყოფისგან დამზადებული ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების (ღვინო, შუმი ღვინო, სახარჯო ღვინო, ჭაჭის არაყი, ბადაგი, ტკბილი, ძმარი და ა.შ) გარდა მრავალფეროვანი პროდუქცია (ყურძენი, ქიშმიში, ისრიმ-მაყვალი, თათარა, ფელამუში, ტკბილისკვერი, ჩურჩხელა, ჯანჯუხა, ღვინოთბილი, ბოღლიწო, მაჯიგარო და ა.შ) ასევე მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავაშირებული უძველესი ტერმინები, სამეურნეო წესები, რიტუალები, სიმბოლოები, ფოლკლორული გადმოცემები, ინვენტარი და ა.შ.

მევენახეობის პროდუქციის დამუშავებისა და მოხმარებისათვის გამოყენებული სხვადასხვა ინვენტარი დამოწმებულია არქეოლოგიურ ძეგლებში. აღ. საქართველოში (ქვემო ქართლის რეგიონი) აღმოჩენილი არტეფაქტები ქრისტეს შობამდე მე–6 საუკუნეს მიეკუთვნება. ნეოლითურ ეპოქაში ადრეულ მიწათმოქმედთა დასახლებაში (გადაჭრილ გორაზე) პალინოგიური კვლევის შედეგად დადასტურდა იქ კულტურული ყურძნისათვის „*Vitis vinifer*“ დამახასიათებელი მტვრის ნაწილაკების არსებობა. თიხის ჭურჭლების შიგთავსის ორგანული ნაშთების ქიმიური ანალიზის შედეგად დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ თიხის ჭურჭელი გამოიყენებოდა ღვინის შესანახად. (ყვავაძე... :2010) უნდა აღინიშნოს, რომ უფრო გვიანდელი ყურძნის წიპწები, რომლებიც ასევე კულტურული ვაზის ამპელოლოგიური ნიშნებით ხასიათდება, არქეოლოგების მიერ თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. რაც შეეხება მსოფლიოში მევენახეობის სხვა ისტორიულ ცენტრებს, _ საბერძნეთში, იტალიაში, კვიპროსში, იორდანიაში,

დღევანდელ თურქეთსა და შუა აზიაში აღმოჩენილი უძველესი წიპწები ველური ვაზის ფორმებს მიეკუთვნება და ძველი წელთაღრიცხვის მე–4–3 ათასწლეულით თარიღდება (ღლონტი,გოლიაძე, 2000: 10).

გამოთქმულია ვარაუდი, რომ უკვე ნეოლითურ ეპოქაში ღვინო კულტმსახურების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. საკულტო ცერემონიალში უშუალოდ კულტის მიმართ თაყვანისცემის რიტუალიური პროცესი, ღვინის დალევით სრულდებოდა(ჭილაშვილი, 2004:52). ღვინის საკულტო რიტუალებში მოხმარების წესი ქრისტეს შობამდე მე–4 ათასწლეულის ბოლოდან მევენახეობა–მეღვინეობის სხვა ცენტრებშიც (ძველი შუამდინარეთი, ეგვიპტე ) ფიქსირდება (ფრუიძე, 2014).

მეოთხე - მესამე ათასწლეულში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ე. წ. მტკვარ-არაქსის და მეორე ათასწლეულის თრიალეთის კულტურის პერიოდში ღვინოსთან დაკავშირებული ინვენტარი უფრო მრავალფეროვანი გახდა. ყურძნისწიპწიანი და ვერცხლის გარესაკრავიანი ვაზის რქები ხაზს უსვამს ვაზის და ღვინის საკულტო დანიშნულებას, რიტუალებში გამოიყენებოდა სხვადასხვა ზომის კარგად გაფორმებული საღვინე ჭურჭელი (ჭილაშვილი, 2004 : 61–64).

ხანგრძლივ პერიოდში სარიტუალო და ყოველდღიურ ყოფაში გამოყენების ხასიათმა განაპირობა ყურძნის და მისი წვენის დასამუშავებელი ინვენტარის, ღვინის შესანახი, სუფრაზე მისატანი (საწდე) და სასმური ჭურჭლის მრავალსახეობა. ამ ინვენტარის (ქვევრი, საწნახელი, სასმურები, ყურძნის გადასატანი ჭურჭელი, გიდელი, ორშიმო, ხაპერა და ა.შ) ფართო გავრცელება დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში, მისი დამზადების სიმარტივემ და ნედლეულის ხელმისწვდომობამაც განსაზღვრა.

განსაკუთრებით გამორჩეულია მრავალფეროვნებით სასმურები, რომელთა დამზადების ტექნოლოგია, აგებულება და ფუნქციური დატვირთვა გარკვეულად ასახავს მათი განვითარების გზას. ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ შვიდთვლიანი ტალიაქი და მარანი. ტალიაქი იგივე მარანია, მხოლოდ უფრო პრიმიტიული იგი შეგება უძრავი საძირისაგან „შთასადებელი“ და მასში ჩასადები შვიდი სასმურისაგან. შვიდთვლიანი ტალიაქი შვიდი ღვთაების სადიდებელი სადღეგრძელო სასმური იყო. პირველი ჭიქით ადღეგრძელებდნენ მამაღმერთს, მეორეთი _მაცხოვარს, მესამეთი _წმინდა გიორგის, მეოთხეთი_კვირაცხოველს, მეხუთეთი – მთავარანგელოზს, მეექვსეთი _ღვთისმშობელს, მეშვიდეთი _ჯვარცმას (რეხვიაშვილი, 1968:18).


ტალიაქი

მარანი ტალიაქის განვითარებულ სახედ ითვლება, იგი ერთმანეთთან ზიაჭურჭლის პრინციპით დაკავშირებულ, თიხის ჭურჭლებს წარმოადგენს. შედარებით მოზრდილი ერთი ჭურჭელთაგანი, „ჭურულა“, რომელსაც ხშირად ირმის ფორმა აქვს,

აწესრიგებს ღვინის შევსებას და მისგანვე (ცხოველის ტუჩზე დაწაფებით) მიირთმევენ ღვინოს (რეხვიაშვილი, 1968:18).

ღვინის სასმური, საწდე და მოვლა–პატრონობასთან დაკავშირებული ჭურჭლის დამზადების ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანია



საქართველოში ფართოდ გავრცელებული სასმური კულა. ამჟამად იგი მზადდება აყიროსაგან (იმერეთში – მწარე კვახი), ხისაგან, სპილენძის ან სხვა მასალისაგან. კულის საერთო ნიშანთვისებაა სმის დროს „რაკ–რაკის" ხმის გამოცამა. აყიროსაგან დამზადებულ კულას ამ მიზნით ყელში საგანგებოდ ჩაუდგამენ ხოლმე ხის ფირფიტას. ხისა და ლითონის კულაც სფერული მუცლით და გრძელი და ვიწრო ყელით ხასიათდება, და ხშირად მორთულია ვერცხლის ფირფიტებით და გიშრის სადაფებით. სმის დროს კულის ანალოგიურ ხმას გამოსცემს ჭინჭილა, რომელიც ძირითადად თიხისაგან მზადდება და ყარყარა, რომელსაც უფრო ხშირად ვერცხლის ფურცლებისაგან ამზადებენ, ცივი ჭედვით (რეხვიაშვილი, 1968:18–19).

შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ სწორედ მცენარისაგან მიღებული მარტივი სასმური მაგ. აყიროს შუაზე გაჭრის შედეგად მიღებული ნახევარსფეროს ფორმის  სასმური, იქცა დღეისათვის მთელ საქართველოში ფართოდ გავრცელებული თიხის ფიალის პროტოტიპად, რომელმაც თავის მხრივ დასაბამი მისცა სხვადასხვა ზომისა და მასალისაგან დამზადებული მსგავსი სასმურებს: თასს, ჯამთასს, ბადიას, ბარძიმს და სხვა. პარალელურად განივითარდა აყიროს მთლიან ფორმასთან მიმსგავსებული სასმურები: კულა, ჭინჭილა, ყარყარა და ა.შ, რომლებიც ხალხური გამოცდილების საფუძველზე შექმნილ მეტად ორიგინალურ ხმოვანდასალევ სამურთა რიგს განეკუთვნებიან. ამასთანავე, აყიროს ფორმას იმეორებს  საწდე და ღვინის მოვლა–პატრონობისათვის დაკავშირებული ჭურჭელი: სურა, დოქი, კოკა, ჩაფი, თუნგულა, ორშიმო, ქოთანი, ქვევრი, ჭური, ქოცო და ა.შ. სხვათა შორის ამ ვარაუდს ამაგრებს ის ფაქტიც, რომ ქართულ ყოფაში ფართოდაა გავრცელებული უძველესი დროიდან ფართოდ აპრობირებული სასმურების, „ყანწების" (ცხოველის რქის), დამზადება სხვა მასალებისაგან (თიხის, ხის  და ა.შ) თანაც ფუნქციურად ეს სასმურები ერთმანეთის იდენტურია სუფრაზე მათ „განსხვავებულს" უწოდებენ და განსაკუთრებით გამორჩეული სადღეგრძელოსათვის იყენებენ.

ზემოჩამოთვლილთაგან დღეისათვის ყველაზე ცნობილია ქვევრი, რომელიც ღვინის დასაყენებელ და შესანახ უნიკალურ მთიხის ჭურჭლად ითვლება. ქვევრის დღევანდელი ფორმა ძვ. წ. III-II ათასწლეულში ჩამოყალიბდა. ამ პერიოდამდე, ძირითადად, პატარა ქვევრები იყო გავრცელებული, რომლებიც სიმაღლეში 1-1,5 მეტრს არ აღემატებოდა და ჰქონდათ ბრტყელი ძირი და განიერი მუცელი. ამჟამად ყველაზე ფართოდ გავრცელებულია კვერცხისებური ფორმის ქვევრები.

ქვევრის ტევადობა რამდენიმე ასეული ლიტრიდან იწყება და რამდენიმე ტონას აღწევს. განსაკუთრებით დიდი ზომის ქვევრებით კახეთი გამოირჩევა, სადაც შესაძლოა 6-8 ათასი ლიტრის ტევადობის ქვევრების ნახვაც. ყველაზე გავრცელებულია 1-2-ტონიანი ქვევრები.



ქვევრის ღვინო ზოგადად გულისხმობს ყურძნის ტკბილის გარკვეული რაოდენობის ჭაჭასთან დადუღებას, დაღვინებასა და შემდგომ დავარგებას. პირველი და მნიშვნელოვანი წესი ქვევრში ღვინის დაყენებისა არის ქვევრში ღვინის დაყოვნება თავისივე ჭაჭაზე როგორც ალკოჰოლური დუღილის, ისე მის შემდგომ პერიოდშიც (ღვინის ეროვნული საგენტო).

ქვევრი, რომელიც ამჟამად მხოლოდ ღვინოსთან კავშირში მოიაზრება უძველეს ხანაში მრავალფუნქციური იყო და სხვათა შორის სამარხადაც გამოიყენებოდა. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მიცვალებულის ქვევრში ჩასვენება მუცლადღებას წარმოსახავდა, რადგან გარდაცვლილს ემბრიონის ფორმას აძლევდნენ. თავისთავად ჭური მუცლის ტოლფას ღირებულებად მიიჩნეოდ. მუცელი როგორც მოცულობის მქონე სიღრუე ადრევე იყო აქცენტირებული ხელოვნების ძეგლებზე. ბრინჯაოს სარტყლებზე გამოსახულ ცხოველთა კორპუსზე ზოგჯერ ცარიელ ოვალებს ვხვდებით, რაც ალბათ, მუცლის სიცარიელის გადმოცემაა. სხვა შემთხვევებში ცხოვლეს მუცელში უზის ჩანასახი. მუცელი საშოს სინონიმიც უნდა ყოფილიყო, რადგან მუცელღება ჩასახვას ნიშნავდა. მეორე მხრივ, მუცელი საგანთა სიღრუის აღმნიშვნელი ტერმინიცაა, მაგ. ნავის სიღრუეს ნავის მუცელი ეწოდება, დღესაც გამოიყენბა გამოთქმა მუცლიანი დოქი, დერგი, კოკა, ქოთანი და ა.შ.. ასე რომ, ჭურის სიღრუე მუცლის სრულ ასოციაციას ქმნიდა და მასსი დაკრძალული მიცვალებული ალბათ მუცელღებული ებარებოდა ყოველთა წარმომშობ დედურ საწყისს (სურგულაძე, 2003:13).



ღვინო ღვთის შესაწირად ითვლებოდა. როდესაც ოჯახი ვენახს დაკრეფდა ღვინის ერთ ნაწილს ზედაშედ შესაწირ ღვინოდ გაამზადებდა, ამისათვის საგანგებოდ განკუთვნილ ქვევრს გაავსებდა და რომელიმე წმინდანის სახელზე დათქვამდა. ამ ღვინოს ხელს ვერავინ ახლებდა და მხოლოდ ხატობაში დაილეოდა იმ წმინდანის სადიდებლად, რომლის სახელზეც ღვინო მზადდებოდა. ზედაშე შეეწირებოდა სოფლის, საგვარეულოს თემისა და ხევის უზენაეს „პატრონებს" და მფარველებს. დამოწმებულია ზედაშეები – სამღვთო, საკალანდო, სამაისო, საჭაბუკო, სამაგიერო და ა.შ. ყურძნისა და ღვინის კულტის წყალობით სათაყვანებელი გახდა ღვინის შესანახი შენობა, მარანი, და ღია ჭურისთავიც. ეს ადგილი წმინდად ითვლებოდა, იქ კლავდნენ შესაწირავს, აწყობდნენ ქორწილსა და ნათლობას (ზარდაველიძე, 1968:12). გენდერული თვალსაზრისით მკაცრად იყო რეგლამეტირებული ღვინის დაყენებასა და მოვლა–პატრონობასთან დაკავშირებული საქმიანობა. ქალს აკრძალული ჰქონდა ყურწნის დაწურვა, ქვევრის გარეცხვა, ღვინის გადაღება, ქვევრის მოხდა და იქედან ღვინის ამოღება. თუმცა პურობაზე ქალებიც მამაკაცების მსგავსად მონაწილეობდნენ და მათ ღვინის სმა არ ეკრძალებოდათ.

რელიგიურ წესზეა აგებული ქართულ სუფრის რიტუალური მხარეც. სუფრის აუცილებელ პერსონაჟს წარმოადგენს ხელმძღვანელი (თამადა, ტოლუმბაში, ძველი ფორმებია– პურის უფალი, მთვარი ტაძრისაი, მხნის თავი) (იოსელიანი, 2005: 31), რომლის ძირითად ფუნქციას სადღეგრძელოს თქმა_ დალოცვა წარმოადგენს. ხ.იოსელიანის დაკვირვებით, სვანურ სუფრაზე აუცილებლად სათქმელი პირველი სამი სადღეგრძელო პირდაპირ გადმოტანილია ლოცვისაგან, რომელიც ზედაშის, რიტუალური კვერებისა და საკლავის გულღვიძლის შეწირვისას ეკლესიაში ითქმებოდა, თანაც სვანურში ტერმინ თამადის დამკვიდრებამდე იხმარებოდა ტერმინი რომელიც სიტყვა–სიტყვით დამლოცველს„ აღნიშნავდა, ხოლო ქართულ ენაში სადღეგრძელოს თქმა იგივე ლოცვა//დალოცვაა. შეიძლება, თავდაპირველად რელიგიური რიტუალის შემსრულებელი, ლოცვის მთქმელი ნელ–ნელა სუფრის უფროსად და მოთავედ გადაიქცა (იოსელიანი, 2005: 95). ამ მოსაზრების გარკველ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ტრადიციული ქართული პურობა დღესაც მკაცრად რეგლამეტირებულია, სადაც სადღეგრძელოების რიგი მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანამიმდევრობით ითქმება. ყოველდღიურ პურობაზეც კი სასმელის უბრად (სადღეგრძელოს გარეშე) დალევა მიუღებლად ითვლება. აუცილებელია ღმრთის სადიდებელი და

გარდაცვლილების შესანდობარი სადღეგრძელოები. ამასთანავე, დღემდე სასურველ თამადად ლხინის თუ ჭირის სუფრაზე სასულიერო პირი ითვლება. იმავდროულად, სუფრის წარმმართველები ცდილობდნენ დაეცვათ უკვე ჩამოყალიბებული წესები და სადღეგრძელოს ფორმულირებამ დამწყალობება//დალოცვსთან მსგავსება დღემდე შემოინახა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთიანეთში ე.წ. „ღვთაებათა“ სადღეგრძელოები და დამწყალობების რიტუალი ჩვეულებრივ, არქული სასმურით (ყანწით) სრულდება. სადღესაწაულო სუფრაზე (ქორწილი, ნათლობა, დღეობა და ა.შ) ყანწი (განსხვავებული სასმისი) ითვლება განსაკუთრებით საპატიო სადღეგრძელოთა დასალევ სასმურად, რაც გვავარაუდებინებს, რომ ხალხურმა ყოფამ მჭიდროდ დააკავშირა უძველესი სასმური და მისგან შესრულებული საწესო–რელიგიური რიტუალი დამწყალობება//დალოცვა ერთმანეთთან და საერო ყოფაში გადმოიტანა იგი .

ვ. ბარდაველიძის მოსაზრებით მევენახეობას საკუთარი მფარველი ღვთაება „აგუნა–ანგურა“ ჰყოლია (ბარდაველიძე, 1968: 12), რომლის კვალი გასული საუკუნის 70–იან წლებამდე საქრთველოში შემორჩენილ რიტუალში შემოინახა. ყურძნის სიუხვისათვის საგანგებო, უფუარ, ყურძნის ფორმის პურს აცხობდნენ, რომელსაც ოჯახის უფროსი ახალწლის დილით ვენახის რქაზე ჩამოკიდებდა ან ვაზთან გატეხდა. ამ პურს მტევანას ან აგუნას პურს ეძახდნენ. ის გარემოება, რომ პური აუცილებლად უფუარი//ხმიადი უნდა ყოფილიყო რიტუალის არქაულობაზე მიუთითებს. ვ. ბარდაველიძე იმოწმებს, ასევე, რაჭა–ლეჩხუმში გავრცელებულ ვენახის საახალწლო მილოცვის წესს, როდესაც ოჯახის ერთი წევრთაგანი, ვენახში მიდიოდა და მაღალი ხმით შესთხოვდა აგუნას მოსავლის სიუხვეს (ბარდაველიძე, 1968: 13). საინტერესოა, რომ ანალოგიური რიტუალი ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოს სახვა კუთხეებშიც. ზოგან კი მაგ. იმერეთში რიტუალურ პურს მართალია ახალწელს აცხობდნენ, მაგრამ ზემოხსენებული შელოცვა დიდი ხუთშაბათის წინა საღამოს (ჭიაკოკონობა//არული კუდიანები). საინტერესოა, რომ ქრისტიანულ დღესაწაულებზე (აღდგომა, ღვთისმშობლობა, ალავერდობა, ლომისობა და სხვა) გამართული რიტუალური სუფრები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ წინაქრისტიანულ ხანაში რელიგიურ ზეიმებზე გამართულ მასობრივ ნადიმებთან.

გვიან შუა საუკუნეებში ილსმური ქვეყნების კულტურული ესპანსიის შედეგად მნიშვნელოვნად დაკნინდა მევენახეობა; გარკვეული ზიანი მიადგა მას საბჭოთა პერიოდში გამხორციელებული კოლექტივიზაციით. მიუხედავად ამისა, საქართველოს ბარის რაიონებში ოჯახის ეკონომიკური სიძლიერის მთავარ საზომად ვენახი და ყანა, პური და ღვინო ითვლებოდა.

„სიდედრო შავგვრემანობით არ დაიწუნო სიძეა სოფელში მიდი, იკითხე გრძელი ვენახი ვისია“ _ ამბობს ხალხური ლექსი (ხუნდაძე, 1962: 4).

ღვინო ქართველი კაცის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია, მისი დამზადება ოჯახის პირობებში თითქმის ყველა ქართველი მამაკაცისათვის სავალდებულო საქმედ ითვლება. ამიტომ საბჭოთა პერიოდის ქალქურ ყოფაში დასტურდება საცხოვრებელი კორპუსების მახლობლად მაღლარი ვაზის გაშენება, ღვინის დამზადების მიზნით. უნდა ითქვას რომ ღვინის შექება მისი გამკეთელისათვის დიდი პატივად აღიქმება, ხოლო ღვინის დაწუნება, მისთვის ზადის მოდება, პირიქით, შეურაცხყოფაა და ხშირად უსიამოვნობის მიზეზი ხდება.

ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არა მარტო ღვინო (ღუინო, ღინი, გინი, ღუინო–ვინო, ვაინ, ვეინ და ა.შ), არამედ ბახუსის კულტიც ქართული წარმოშობის უნდა იყოს (მეგრელიძე, 1971: 9). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არსებობს საპირისპირო რომლის თანახმად ღვინო, მიგრაციული წინაზიური ტერმინია, რომელიც გვხვდება სემიტურში, ეგვიპტურში, ხეთურში, ქართველურ ენებში, წარმოშობით ინდოევროპულია და სავარაუდოდ უკავშირდება ueino არქეტიპს, რომელიც თავის მხრივ მომდინარეობს uei-ui ძირიდან „ხვევნა, წვნა“. ღვინო–ვენახი–ვაზი ერთი და იმავე ბერძნული სიტყვის ვარიანტებია, ისტორიულ პროცესში თავისებურად გარდაქმნილი და გადაკეთებული; მათში გამოიყოფა ბერძნული ბგერათკომპლექსი „ვი“ , რომელიც აცაბაცას, უსწოროს, ხვოირასა აღნიშნავს (თავდიშვილი, 2015: 63).

ცალკე უნდა აღინიშნოს ქართული ეკლესიის როლი. გარდა იმისა, რომ ეკლესია მონასტრებს საკუთარი ზვრები ჰქონდათ იქ მზადდებოდა და დღესაც მზადდება საუკთესო ღვინოები _ ვაზისა და ყურძნის მტევნების მეტად დახვეწილი ორნამეტებითაა შემკული სვეტიცხოვლის, სამთავისის, წილკნის, ანანურის, ფუძნარის, ბანას, ოშკის, იშხანის, მცხეთისჯვრის, ბაგრატის, ალავერდის, მეტეხის, ბოლნისის სიონის, ერთაწმინდის, ნიკორწმინდის, ტბეთის, ხეოთის, ბარაკონის, მარტვილის, ქორეთის სამება, წეროვნის სამების, ხირსის, წუნდის, ატენის სიონის, აჭის წმინდა გიორგის და სხვა ტაძრები. ეს გასაკვირი არაა თუ გავიხსნებთ ქართულ ჰიმნოგრაფიში ვაზის და ღვთისმშობლის იგივეობის პოსტულატს (შენ ხარ ვენახი). ამით შეიძლება გარკვეული ახსნა მოეძებნოს დღევანდელ ყოფაში მეღვინეობასთან დაკავშირებული ატრიბუტების (მარანი, ქვევრი, ზედაშე და ა.შ.) შენახვასაც.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სუფრის რეგლამენტის ცალკეული ელემენტი, ასევე საუფლო ღვინის, ზედაშის, დამზადების ტრადიცია ყოფაში უკანასკნელ ხანამდე იყო შემორჩენილი. ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ლინგვისტური, არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემები ცხადყოფს, რომ ვაზის კულტურა საუკუნეების მანძილზე ახდენდა გავლენას ქართველი ხალხის ცხოვრების წესზე, რაც მკაფიოდ აისახებოდა მატერიალურსა თუ სულიერ სფეროზე. აღსანიშნავია, რომ მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და დიდ როლს ასრულებს თანამედროვე ყოფაში.

## გამოყენებული ლიტერატურა


ბარდაველიძე, ვ. (1968). აგუნა–ანგურა, ძეგლის მეგობარი, 16;

თავდიშვილი, მ. (2015). ღვინო ვენახი ვაზი, (სიტყვათა ეტიმოლოგიური და კულტუროლოგიული ასპექტები) გამომცემლობა „ჰარმონია“, თბილისი.

მეგრელიძე, ი. (1971). კვლავ დიონისე _ვაკხ_ ბახუს_ აგუნას კულტის შესახებ, ქართული მევენახება–მეღვინეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოხსენების თეზისები თბილისი.

იოსელიანი, ხ. (2005). სტუმარმასპინძლობის ტრადიცია სვანეთში, თბილისი.

ფრუიძე, ლ. (2014). საქართველოს მევენახეობის და მეღვინეობის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი.

რეხვიაშვილი, ნ.(1968). საღვინე ჭურჭელი _ საწდე, სასმური, ძეგლის მეგობარი, 16.

ქვევრის ღვინო, ღვინის ეროვნული სააგენტო, http://georgianwine.gov.ge/geo/text/129/

სურგულაძე ირ. (2003). მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თსუ–ს გამომცემლობა, თბილისი.

ღლონტი, თ., გოლიაძე, ო, გვ. ქართველები, ვაზი და პურ–ღვინო, თბილისი.

ხუნდაძე, არკ. (1962). ვენახი და მევენახეობა ქართულ პოეზიაში, თბილისი.

ჭილაშვილი, ლ. (2004). ვენახი, ღვინო და ქართველობა, თბილისი.

Kvavadze, E., Jalabadze, M., Shakulashvili, N. (2010) Arguments indicating the presence of wine in Neolithic pots from Georgia using the method of palinological and chemical analysis. in: Proceedings of the XXXIIIrd World congress of Vine and Wine and the 8th General assembly of the International organisation of Vine and Wine, 20-25 June 2010, Tbilisi, Georgia, http://www.oiv2010.ge

# ტრადიციული და თანამედროვე ტენდენციები ქართულ მევენახეობა - მეღვინეობაში

*ლავრენტი ჯანიაშვილი*
მეცნიერებათა დოქტორი
თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

## აბსტრაქტი

**მიზანი** - კვლევის მიზანია ქართულმა ყოფაში შემორჩენილი ღვინის დაყენების უძველეს ტექნოლოგიის, ვაზის ნაყოფისგან დამზადებული ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების, მრავალფეროვანი პროდუქციის, მევენახეობა–მეღვინეობასთან დაკავაშირებული უძველესი ტერმინების, სამეურნეო წესების, რიტუალების, სიმბოლოების, ფოლკლორული გადმოცემების, ინვენტარის და ა.შ. გაანალიზება.

**სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა** – ნაშრომში გამოყენებულია ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდოლგია (საველე კვლევის მეთოდი), ასევე საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა (არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოლოგიური, ფოლკლორული და ა.შ.).

**კველვის შეზღუდვები(ხარვეზები)/გავლენა** – კვლევის ძირითად ხარვეზს წარმოადგენს ორიგინალური საველე–ეთნოგრაფიული მასალის სიმცირე რადგან ავტორს საშუალება არ ჰქონდა საგანგებო საველე სამუშაოები ჩაეტარებინა საკითხის შესახებ.

**სიახლე/ღირებულება** - სტატიაში მოცემულია მცდელობა შესწავლილიყო მევენახეობა–მეღვინეობასთან დაკავშირებული ინვერტარის გენეზისი (კულასთან კავშირში); ქართული სუფრის რეგლამენტის ცალკეული ელემენტი (სადღეგრძელოს საკრალური მოტივი), ყოფაში უკანასკნელ ხანამდე იყო შემორჩენილი. ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ლინგვისტური, არქელოგიური და ისტორიული მონაცემები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ვაზის კულტურა საუკუნეების მანძილზე ახდენდა გავლენას ქართველი ხალხის ცხოვრების წესზე და მკაფიოდ აისახებოდა მატერიალურ თუ სულიერ სფეროზე.

## Traditional and Modern Trends in Georgian Viticulture and Winemaking

*Lavrenti Janiashvili*
PhD
Institute of History and Ethnology TSU

### Abstract

**Purpose** – The objective of our study is to analyze the ancient technology of winemaking preserved in Georgia, alcoholic and non-alcoholic *beverages produced from grapes*, the variety of vine products, ancient terminology, agricultural methods, rituals, symbols, folk stories, inventory etc., related to viticulture and winemaking.

**Design/methodology/approach** – The article is based on ethnographic field materials and specialist literature (archeological, historical, ethnological, folklore etc.).

**Research limitations/implications** – The main limitation is the lack of original ethnographic fieldwork material on the topic, because the author had no possibility of carrying out individual fieldwork.

**Originality/value** – The article attempts to investigate the genesis of viticulture-winemaking inventory (in regard to Kula); concrete elements of a traditional Georgian feast supra (sacred motif of a toast) have been preserved in the life until recently. Ethnographic, folklore, linguistic, historical and archaeological data suggest that vine culture in Georgia influenced people's way of life throughout centuries and was distinctly reflected in the material and spiritual spheres.

# გარემოსდაცვითი გადასახადები, დაბეგვრის ობიექტის ძირითადი ასპექტები



ეკატერინე შუბითიძე

დოქტორანტი

## შესავალი

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ბუნებრივი რესურსების მოხმარების ინტენსიურობამ დედამიწაზე ადამიანის კვალი გააღრმავა,[1] შესაბამისად, გარემოს დაცვამ და ბუნებრივი რესურსების მართვამ სამთავრობო ინსტიტუტების პრიორიტეტულ საკითხთა ნუსხაში გადაინაცვლა.[2] ადამიანების პოპულაციის ზრდის და მასთან ერთად მათი ეკონომიკური აქტივობების გახშირების შედეგად მატულობს უარყოფითი ზემოქმედება კლიმატის, წყლის წარმოქმნის, საკვები რესურსების ბუნებრივ სისტემებზე, რომლებიც სულ უფრო ხშირად ფასდება როგორც არამდგრადი.[3] გლობალურ პრობლემად გარემოს დაცვის საკითხი მე-20 საუკუნის დასასრულიდან განიხილება. მიუხედავად რეგულირების მიზნით განხორციელებული ცალკეული ქმედებებისა, ქვეყნების უმრავლესობამ მხოლოდ უახლოეს წარსულში შეიმუშავა კანონმდებლობა, რომელიც აღნიშნულ საკითხს ნორმატიული მოწესრიგების ობიექტად აქცევს.[4]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ბოლო სტატისტიკური პუბლიკაციები[5] ცხადყოფს, რომ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის განმაპირობებელი ფაქტორები (რესურსების მოხმარების ინტენსივობა და მავნე ნივთიერებების გარემოში ჩადინება/გაფრქვევის - დაბინძურების წყაროები) და მათთან სისტემური მიდგომების შემუშავების საჭიროება თანაბრად ზრდადია.

საქართველოს და ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმების[6] თანახმად, საქართველომ იკისრა ვალდებულება განავითაროს და განამტკიცოს თანამშრომლობა გარემოს

[1] European Commission. (2011). Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. A Resource-Efficient Europe – Flagship Initiative under the Europe 2020 Strategy [interactive]. Brussels.

[2] European Commission. Tax Reforms in EU Member States 2013 of European Commission [interactive]. Brussels, 2013 [accessed on 2014-02-14]

[3] Ekins P. & Speck S., Environmental Tax Reform, A policy for Green Growth, Oxford, 2011, Oxford University Press, pg.3.

[4] Kreiser L., Sterling A.Y., Herrera P., Milne J.E. & Ashiabor H., Green Taxation and Envionmental Sustainability, 2012, Cheltenham, Edward Elgar Publishing Limited, pg. 114.

[5] სტატისტიკური პუბლიკაცია საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა, 2015, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

[6] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 18 ივლისის #2495-რს დადგენილებით;

დაცვის საკითხებზე, რითიც წვლილს შეიტანს მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში.[7] საქართველო გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებების/შეთანხმებების მხარეა.

- გარემოს დაცვის შესახებ‖ საქართველოს კანონი გარემოს დაცვის/გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენციის მიზნით მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინსტრუმენტად მოიაზრებს გარემოსდაცვით გადასახადებს, რომელიც -ფასიანი ბუნებათსარგებლობის‖ [8] და -დამბინძურებელი იხდის‖ [9] პრინციპების რეალიზებას ემსახურება.[10] მიუხედავად იმისა, რომ დაბეგვრის ობიექტისა და დასაბეგრი ბაზიდან გამომდინარე ცალკეული გადასახადები (აქციზი, დღგ) ფისკალური ფუნქციის პარალელურად, გადასახადის გადამხდელის ქცევის სტიმულირების მეშვეობით გარკვეულწილად ითავსებს აღნიშნულ მიზნებს, საქართველოს საგადასახადო სისტემისთვის უცნობია -გარემოსდაცვითი გადასახადები‖ [11], როგორიცაა ეკოგადასახადები ბელგიაში, გადასახადი აზოტის ოქსიდის გამოყოფაზე შვედეთში, გადასახადი სასუქებზე დანიაში, გადასახადი ჩამდინარე წყლებზე გერმანიაში, ნახშირბადის გადასახადი ნორვეგიასა და დანიაში, გოგირდის გადასახადი დანიაში და სხვ.[12]

ამრიგად, საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების, ასევე საქართველოს მოსახლეობის წინაშე საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ეროვნული კანონმდებლობით ნაკისრი, ბუნებრივი გარემოს და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ცალკეული სოციალური სიკეთეების უზრუნველყოფის ვალდებულებების შესასრულებლად, მნიშვნელოვანია გარემოს დაცვისა და საგადასახადო სამართლის დარგთაშორისი საკითხების თაობაზე არსებული ცოდნის ღრმა ანალიზი, სხვა ქვეყნების პრაქტიკის შესწავლის, დარგობრივიჯგუფების - საერთაშორისო, რეგიონალური ორგანიზაციების რეკომენდაციების და სამეცნიერო სფეროში არსებული თეორიული სწავლებების გათვალისწინებით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო სისტემაში - გარემოსდაცვითი გადასახადების‖ შემოღების რაციონალურობის და მიზანშეწონილობის თაობაზე მსჯელობა. სამეცნიერო წრეებში ზრდადი ტენდენცია, რომლის ძალითაც სულ უფრო მეტი აზრი და ძალისხმევა ეთმობა დაბეგვრის იმგვარი ობიექტის ძიებას, რომელიც თანაბრად

[7] ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმება, მუხლი 301.

[8] -საქმიანობის სუბიექტისათვის მიწის, წყლის, ტყის, ფლორისა და ფაუნის, წიაღისა და წიაღისეული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა ფასიანია.‖

[9] -საქმიანობის სუბიექტის, ასევე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირის ვალდებულება აანაზღაუროს გარემოსათვის მიყენებული ზარალი.‖

[10] გარემოს დაცვის შესახებ საქათველოს კანონი, 10.12.1996, მუხლი 16,18.

[11] Maatta K., Environmental Taxes, 2006, Cheltenham, Edward Elgar Publishing Limited, pg. 15.

[12] საქართველოს საგადასახადო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 32. 24/07/1997.

დააკმაყოფილებს, როგორც ‑ეკონომიკური ეფექტურობის||, ასევე ‑სამართლიანობის|| კრიტერიუმებს და ნაწილობრივ მაინც ჩაანაცვლებს ‑წარმატებულობის დამსჯელ|| საშემოსავლო/მოგების გადასახადს, გარემოსდაცვითი გადასახადების, როგორც ამგვარი ალტერნატივის, ლობირებას განაპირობებს გადაწყვეტილების მიმღებ პოლიტიკურ წრეებში. ბუნებრივია, რომ მნიშვნელოვან საყრდენს გარემოსდაცვითი გადასახადებისათვის პოლიტიკური ნება შეადგენს, ვინაიდან ევროპული თანამეგობრობის უმეტეს ქვეყნებში მწვანე პარტიის წარმომადგენლები ინტენსიურად მკვიდრდებიან როგორც საკანონმდებლო (წარმომადგენლობით) ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში.[13]

## გარემოსდაცვითი გადასახადები

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება, როგორც იდენტიფიცირებული პრობლემა, მოითხოვს ქმედითი მმართველობითი ღონისძიებების გატარებას. რეგულირების ამგვარ მექანიზმებს მიაკუთვნებენ პირდაპირ რეგულაციებს და ეკონომიკურ ინსტრუმენტებს. პირველი გულისხმობს მმართველობით ღონისძიებებს, რომელიც დამბინძურებლის ქცევაზე პირდაპირ ზემოქმედებს, პროცესების და/ან პროდუქტების რეგულირების, მავნე ზეგავლენის მქონე ნივთიერებების გარემოში გამოყოფის (რაოდენობის/მოცულობის) აკრძალვის და/ან კონკრეტული ქმედებების დროის, ადგილის (მდებარეობის), და სხვ. კრიტერიუმების მიხედვით შეზღუდვის მეშვეობით. ეკონომიკური ინსტრუმენტები არის საოჯახო მეურნეობების და საწარმოების მიერ გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული ხარჯების და სარგებლის შიდა ბიუჯეტში ინტერნალიზების ფისკალური და სხვა წამახალისებელი და/ან დამაბრკოლებელი მექანიზმები.[14] ეკონომიკური ინსტრუმენტები მოქმედებს ეკონომიკური აგენტების ალტერნატიული ქცევის ღირებულება-სარგებელზე, და შესაბამისად გავლენას ახდენს მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. გარემოსდაცვითი გადასახადები, ემისიის კვოტებით ვაჭრობა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების სუბსიდირება, როგორც წესი, ეკონომიკურ ინსტრუმენტებად განიხილება.[15]

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სტატისტიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონით გარემოსდაცვითი გადასახადი განიმარტება, როგორც გადასახადი, რომლის დასაბეგრი ბაზა ფორმირდება ფიზიკური ერთეულისგან/სიდიდისგან (ან მისი შემცვლელისგან) რომელსაც აქვს დადასტურებული სპეციფიური უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე.

გარემოსდაცვითი გადასახადები ოთხ ჯგუფად განიხილება: გადასახადები ენერგო რესურსებზე, გადასახადები ტრანსპორტზე, გადასახადები დაბინძურებაზე და გადასახადები

[13] Sterner Th. & Kohlin G. (2004). Environmental Taxes in Europe. Public Finance and Management. 3 (1), 117-142.
[14] https://stats.oecd.org/glossary/detail.asp?ID=723
[15] Maatta K., Environmental Taxes, 2006, Cheltenham, Edward Elgar Publishing Limited, pg. 6-7.

რესურსების მოხმარებაზე.[16] სტატისტიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონით კიდევ რამდენიმე განმარტება იქნა მიღებული და თითეულის შემთხვევაში მთავარი აქცენტი სწორედ დაბეგვრის ობიექტზე მოდის.[17]

საგადასახადო სამართლის თეორიაში მიღებულია გადასახადების მრავლობითი კრიტერიუმების მიხედვით კლასიფიცირება, თუმცა, არცთუ ხშირად განიხილება გადასახადები მათი ფისკალური და მარეგულირებელი ხასიათიდან გამომდინარე. ფისკალური გადასახადები შემოსავლების გენერირების საშუალებაა. მათი ძირითადი მიზანია საჯარო სექტორის ფუნქციონირებისთვის საჭირო ფინანსური წყაროს ფორმირება. დამატებული ღირებულების და საშემოსავლო/მოგების გადასახადები ფისკალური გადასახადების მაგალითებია. თუმცა, სულ უფრო ხშირად გვხვდება გადასახადები, რომელთა ძირითადი მიზანი არასასურველი ქცევის შეზღუდვაა, რაც ამ ქცევის ღირებულების გაზრდით მიიღწევა.[18] არსებითი მახასიათებელი, რაც განასხვავებს ფისკალურ გადასახადებს მარეგულირებელი გადასახადებისაგან არის მათი ძირითადი დანიშნულება, რაც სახსრების გენერირებაში მდგომარეობს.[19]

გადასახადები მათი იურიდიული შემადგენლობის არსებითი ელემენტების მიხედვით დიფერენცირდება. არსებით ელემენტებად განიხილება: გადასახადის გადამხდელი (გადასახადის სუბიექტი), გადასახადის ობიექტი, გადასახადის საგანი, გადასახადის მასშტაბი, საგადასახადო ბაზის აღრიცხვის მეთოდი, საგადასახადო პერიოდი და ა.შ. [20]

აღნიშნული ელემენტებიდან გადასახადის ფისკალურ ან მარეგულირებელ გადასახადად კლასიფიცირების მიზნით განმსაზღვრელია გადასახადის სუბიექტის და გადასახადის ობიექტის შემადგენლობა.

პრინციპი - დამბინძურებელი იხდის|| მიგვანიშნებს, რომ გარემოსდაცვითი გადასახადის გადამხდელი, უფრო ზუსტად კი საგადასახადო ტვირთის მატარებელი სუბიექტი უნდა იყოს ის პირი, ვინც გარემოზე უარყოფითად ზემოქმედებს და/ან ამგვარ ზემოქმედებას შესაძლებელს ხდის.[21] თუმცა, თუ გარემოსდაცვით გადასახადებს განვიხილავთ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად კლასიფიცირების კონტექსტში,[22] საპირისპირო დასკვნას მივიღებთ.

---

[16] https://stats.oecd.org/glossary/detail.asp?ID=6437

[17] Kreiser L., Duff D., Milne J.E., Ashiabor H., Market Based Instruments, National Experiences in Environmetal Sustainability, 2013, Cheltenham,UK, Edward Elgar Publishing, pg. 46

[18] Maatta K., Environmental Taxes, 2006, Cheltenham, Edward Elgar Publishing Limited, pg. 37

[19] Maatta K., Environmental Taxes, 2006, Cheltenham, Edward Elgar Publishing Limited, pg. 38

[20] როგავა ზ., გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, 2002, თბილისი, ბაკმი, გვ. 26

[21] მაგალითად, ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის მქონე პროდუქციის მწარმოებელი

[22] გადასახადები, როგორც წესი, იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად, იმისდა მიხედვით, თუ ვის ეკისრება გადასახადით დაბეგვრის ტვირთი.

გარემოსდაცვითი გადასახადი არაპირდაპირი გადასახადია, ვინაიდან ... ის ინდუსტრიალიზაციის, წარმოების პროცესს (რესურსების ამოღების, წარმოების ან მოხმარების პროცესები) და/ან მის შედეგს უკავშირდება. შესაბამისად, გადასახადით დაბეგვრის ტვირთი საბოლოო ჯამში გადაიტანება საბოლოო მომხმარებელზე, [23] რომელიც, თანაბარი ალბათობით შეიძლება იყოს როგორც დამბინძურებელი, ასევე პირი, ვინც უარყოფითი ზემოქმედების ობიექტია. ეს უკანასკნელი შეიძლება მიჩნეულ იქნას - გარემოზე ზემოქმედების პასიურ აგენტად||, ვინაიდან, მისი, როგორც მომხმარებლის, გადაწყვეტილება აძლევს სტიმულს - აქტიურ აგენტს|| განახორციელოს, განაგრძოს და შეინარჩუნოს გარემოს დამაბინძურებელი აქტივობა. არსებობს უცნაური უკუკავშირი ინდივიდს, როგორც მომხმარებელს და ინდივიდს, როგორც მოქალაქეს/გადასახადის გადამხდელს შორის. ინდივიდების მხრიდან ინტერესის ნაკლებობა შესაძლოა განპირობებული იყოს ინფორმაციის სიმცირით ან შეზღუდული რაციონალურობით.[24]

გადასახადის სუბიექტის განსაზღვრის შემდგომ, თანაბარმნიშვნელოვნად მიიჩნევა დაბეგვრის ობიექტის განმარტება, ვინაიდან, სწორედ დაბეგვრის ობიექტის არსებობაზეა დამოკიდებული საგადასახადო ვალდებულების წარმოშობა. გადასახადით დაბეგვრის ობიექტი წარმოადგენს იურიდიულ ფაქტს ან იურიდიული ფაქტების (იურიდიული შემადგენლობის) ერთობლიობას, რომლის საფუძველზეც გადასახადის გადამხდელს წარმოეშობა გადასახადის გადახდის ვალდებულება.[25]

გარემოსდაცვითი გადასახადით დაბეგვრის ობიექტია **გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება**.

გარემოსდაცვითი გადასახადების სტრუქტურა (სტრუქტურული ელემენტები) განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, ვინაიდან ფისკალური გადასახადებისგან განსხვავებით, დაბეგვრის ობიექტის და შესაბამისად, დასაბეგრი ბაზის განსაზღვრის მიზნებისთვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ობიექტის კავშირი სოციალურად მავნე ქმედებასთან/ხდომილებასთან.[26] გადასახადი უნდა უკავშირდებოდეს არა პროდუქტის წონას და/ან მოცულობას, არამედ მავნე ზემოქმედების პოტენციალს.[27] განსაკუთრებული სირთულეც იმით არის განპირობებული, რომ დაბეგვრის ობიექტი არამარტო ეკონომიკური და სამართლებრივი ანალიზის, არამედ სამედიცნო, ეკოლოგიური, აგრარული, გეოლოგიური და რიგი სხვა მეცნიერული სწავლებების ერთობლივი მალისხმევით უნდა დგინდებოდეს. ამასთან, შესწავლის საგანად უნდა იქცეს არა მხოლოდ მავნე ზემოქმედების განმაპიროებებლი ფაქტორები, არამედ, მათი

[23] Kreiser L., Duff D., Milne J.E., Ashiabor H., Market Based Instruments, National Experiences in Environmetal Sustainability, 2013, Cheltenham,UK, Edward Elgar Publishing, pg. 45

[24] Deketelaere K., Milne J. E., Kreiser L., Ashiabor H., Critical Issues in Environmental Taxation, International and Comparative Perspectives, 2007, Oxford, Oxford University Press, pg. 17-18

[25] როგავა ზ., გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, 2002, თბილისი, ბაკმი, გვ. 28

[26] - Linkage Principle, according Maatta K., Environmental Taxes, 2006, Cheltenham, Edward Elgar Publishing Limited

[27] Maatta K., Environmental Taxes, 2006, Cheltenham, Edward Elgar Publishing Limited, pg.43

ჩამანაცვლებელი საშუალებები, რომელთა ზეგავლენის მავნებლობის ხარისხი მინიმალურისკენ ისწრაფის.

მიზნობრიობიდან გამომდინარე, როგორც მარეგულირებელი გადასახადი, გარემოსდაცვითი გადასახადის დაბეგვრის ობიექტი უნდა იყოს ზუსტი და ცხადი. ვინაიდან, მარეგულირებელი გადასახადები მიმართულია გადასახადის გადამხდელთა კონკრეტული ქცევის ფორმირებისკენ, მნიშვნელოვანია, რომ გადასახადის ეს ელემენტი განისაზღვროს ზუსტად და ნათლად.[28] როდესაც რეგულირების სუბიექტისთვის არ არის ცხადი მის მიმართ მოქმედი დაბეგვრის სისტემა, მარეგულირებელი გადასახადები თავისი ბუნებით ემსგავსება ფისკალურს, ვინაიდან დაბეგვრის სისტემასთან (ობიექტთან) დაკავშირებული ბუნდოვანება, დიდი ალბათობით, არ გამოიწვევს რეგულირების სუბიექტის ქცევის სასურველ ცვლილებას. ამრიგად, სამართლებრივი სიცხადე აუცილებელი პირობაა, რათა მარეგულირებელი გადასახადების მოქმედებამ სასურველი შედეგი გამოიღოს.[29]

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ გარემოსდაცვითი გადასახადის ობიექტი იყოს ზომიერად მომცველობითი.[30] მაგალითად, გარემოსდაცვითი გადასახადი არის ნაკლებად მომცველობითი თუ ყველა შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შესაბამისი აქტივობა ექვემდებარება დაბეგვრას, და ზედმეტად მომცველობითი - თუ აქტივობები, რომელიც არ იწვევს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას ასევე დაიბეგრება.[31]

## დასკვნა

ეჭვგარეშეა, რომ ჩვენ გარემოს დაცვის სფეროში ინტენსიური აქტივობების ხანას განვიცდით, და სავსებით სამართლიანად.[32] ასევე ეჭვგარეშეა, რომ უკანასკნელი ტენდენციებით პოლიტიკის მესვეურთა გადაწყვეტილებები ეკონომიკური ინსტრუმენტების, განსაკუთრებით გარემოსდაცვითი გადასახადების და ემისიის კვოტებით ვაჭრობის სასარგებლოდ მიიღება.[33] გადასახადები გარემოზე მავნე ზემოქმედების შემზღუდველი ქცევის ეფექტური მექანიზმია …

[28] -Transparency Principle || , according Maatta K., Environmental Taxes, 2006, Cheltenham, Edward Elgar Publishing Limited
[29] Maatta K., Environmental Taxes, 2006, Cheltenham, Edward Elgar Publishing Limited, pg. 38
[30] -Principle of Comprehensiveness || , Maatta K., Environmental Taxes, 2006, Cheltenham, Edward Elgar Publishing Limited
[31] Maatta K., Environmental Taxes, 2006, Cheltenham, Edward Elgar Publishing Limited, pg.42
[32] Westin R.A., Environmental Tax Initiatives and Multilateral Trade Agreements: Dangerous Collisions, 1997, Kluwer Law International, pg.1
[33] Westin R.A., Environmental Tax Initiatives and Multilateral Trade Agreements: Dangerous Collisions, 1997, Kluwer Law International, pg.1

სახელმწიფო აცნობიერებს ინდივიდის კანონშესაბამისი ქცევისაკენ სწრაფვის სტიმულირების უპირატესობას, კანონთან შეუსაბამო ქცევის მიმართ რეპრესიული მიდგომების წინაშე.[34]

ნაშრომის მიზნებისთვის, გამოიკვეთა გადასახადების ფისკალური და მარეგულირებელი ხასიათის მიხედვით კლასიფიცირების მნიშვნელობა. მარეგულირებელი გადასახადების, მათ შორის გარემოსდაცვითი გადასახადების ძირითადი მახასიათებელი, რაც მარეგულირებლისთვის მიუღებელი სოციალური ქცევის/აქტივობის პრევენცია-შეზღუდვაში გამოიხატება[35], განაპირობებს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან ასპექტს: მარეგულირებელ გადასახადებს ახასიათებს ფისკალური პარადოქსი იმ გაგებით, რომ ისინი საგადასახადო შემოსავლების შემცირებისკენ, დასაბეგრი ბაზის, დაბეგვრის ობიექტის შეზღუდვისაკენაა მიმართული.[36]აღნიშნული პარადოქსი გარემოსდაცვით გადასახადებს რეგულირების პროცესის ერთგვარ ინდიკატორად აქცევს: თუ გარემოსდაცვითი გადასახებით გენერირებული შემოსავლები გარკვეული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მცირდება, აღნიშნული დარემოსდაცვითი პოლიტიკის დადებით შედეგებზე მეტყველებს, თუმცა, საპირისპირო მოცემულობა, შესაბამისად, საპირისპირო შედეგზე მიგვითითებს.

ცხადია, რომ გარემოსდაცვითი გადასახადების სტრუქტურული ელემენტების ფორმირება მარტივად გადასაჭრელი საკითხი არ არის, უფრო მეტიც, დაბეგვრის ობიექტის, არაპირდაპირი ბუნების, და რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, მისი, როგორც გადასახადის, მოქმედება, შესაძლოა, არ იყოს სრულად თავსებადი გარემოს დაცვის სფეროში მოქმედ პრინციპებთან (პრინციპების კოლიზია). თუმცა, საკითხის აქტუალობა მის საფუძვლიან შესწავლას და თანადროულ ქმედებებს მოითხოვს, და მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადანაწილდება გარემოსდაცვითი გადასახადის ტვირთი (რაც სამართლიანობის პრინციპის განხილვის საგანს უფრო წარმოადგენს), დაბეგვრის ობიექტის სიცხადის, მომცველობითობის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის სათანადოდ განსაზღვრის პირობებში, გარემოსდაცვითი გადასახადები, ერთ-ერთი იმ ინსტრუმენტთაგანია, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ქმედითი, რაციონალური მექანიზმი გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნებისთვის. ამასთან, ევროპულ თანამეგობრობასთან დაახლოების მისწრაფება დღის წესრში აქცევს რიგი საკითხების (მათ შორის ფისკალური) რეგულირების ჰარმონიზებას. ევროპის პარლამეტის, ევროსაბჭოს, ევროპის ეკონომიკისა და სოციალური და რეგიონების კომიტეტეტების მიმართ კომუნიკაციაში, ევროკომისია უთითებს: -გლობალური მასშტაბი ისეთი გარემოსდაცვითი საკითხებისა, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნება, მიწის რესურსების გამოყენება, გაუდაბნოება, წარმოების და მოხმარების

[34] Kreiser L., Sterling A.Y., Herrera P., Milne J.E. & Ashiabor H., Green Taxation and Environmental Sustainability, 2012, Cheltenham, UK, Edward Elgar Publishing Limited, pg. 115

[35] Maatta K., Environmental Taxes, 2006, Cheltenham, Edward Elgar Publishing Limited, pg.40

[36] Maatta K., Environmental Taxes, 2006, Cheltenham, Edward Elgar Publishing Limited, pg.38

გარეშე ფაქტორები, კონკურენტუნარიანობა, მიწოდების უსაფრთხოება და ხელმისაწვდომობა, ევროკავშირს რესურსების ეფექტური მოხმარების საკითხის ერთა შორის განხილვისკენ და უახლოეს პარტნიორებთან, მათ შორის კანდიდატ და მეზობელ ქვეყნებთან, მჭიდრო თანამშრომლობისაკენ უბიძგებს."[37]

## გამოყენებული ლიტერატურა


როგავა ზ. (2002). გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი. თბილისი: ბაკმი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2015). სტატისტიკური პუბლიკაცია საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა.

ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმება.

გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონი. პარლამენტის უწყებანი 1-2(33-34/7), 22/01/1997.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 32. 24/07/1997.

Maatta K. (2006). Environmental Taxes. Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

Kreiser L., Duff D., Milne J.E., & Ashiabor H. (2013). Market Based Instruments, National Experiences in Environmetal Sustainability. Cheltenham, UK: Edward Elgar Publishing.

Deketelaere K., Milne J. E., Kreiser L., & Ashiabor H. (2007). Critical Issues in Environmental Taxation, International and Comparative Perspectives. Oxford: Oxford University Press.

Westin R.A. (1997). Environmental Tax Initiatives and Multilateral Trade Agreements: Dangerous Collisions. Kluwer Law International.

Kreiser L., Sterling A.Y., Herrera P., Milne J.E. & Ashiabor H. (Eds). (2012). Green Taxation and Environmental Sustainability. Cheltenham, UK: Edward Elgar Publishing Limited.

Kreiser L., Sterling A.Y., Herrera P., Milne J.E. & Ashiabor H. (Eds.) (2012). Carbon Pricing, Growth and The Environment. Cheltenham, UK: Edward Elgar Publishing.

Ekins P. & Speck S. (2011). Environmental Tax Reform, A policy for Green Growth. Oxford: Oxford University Pres.


[37] European Commission. (2011). Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. A Resource-Efficient Europe – Flagship Initiative under the Europe 2020 Strategy [interactive]. Brussels.

European Commission. (2011). Communication from the Commission to the European Parliament the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. A Resource-Efficient Europe – Flagship Initiative under the Europe 2020 Strategy [interactive]. Brussels.

European Commission. (2013). Tax Reforms in EU Member States 2013 of European Commission [interactive]. Brussels. [accessed on 2014-02-14]

Sterner Th. & Kohlin G. (2004). Environmental Taxes in Europe. Public Finance and Management. 3(1), 117-142.

https://stats.oecd.org/glossary/detail.asp?ID=723
https://stats.oecd.org/glossary/detail.asp?ID=6437

## გარემოსდაცვითი გადასახადები, დაბეგვრის ობიექტის ძირითადი ასპექტები

*ეკატერინე შუბითიძე*
დოქტორანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

**მიზანი** - ნაშრომის მიზანია მართებულად შეაფასოს გარემოსდაცვითი გადასახადების მიზნობრივი დატვირთვა და მისგან გამომდინარე, გარემოსდაცვითი გადასახადების იურიდიული შემადგენლობის არსებითი ელემენტების ძირითადი ასპექტები, რაც ამ უკანასკნელთ ფისკალური გადასახადების არსებითი ელემენტებისაგან განასხვავებს.

**სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა** - ნაშრომი ეფუძნება ცალკეული ქვეყნების საგადასახდო სისტემებისათვის მახასიათებელი ერთგვაროვანი მიდგომების თაობაზე არსებული ემპირიული ცოდნის დედუქციურ ანალიზს. ნაწილობრივ გამოყენებულია შედარების მეთოდიც.

**დასკვნები** - ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გარემოსდაცვითი გადასახადებისათვის მახასიათებელი ფისკალური პარადოქსი და გარემოსდაცვითი სამართლის პრინციპებთან თავსებადობის სირთულე.

**კვლევის შეზღუდვები(ხარვეზები)/გავლენა** - ნაშრომის ფორმატისა და საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი გადასახადების დაბეგვრის ობიექტის ასპექტები განხილულია ზედაპირულად, მომიჯნავე ფაქტორების და რეგულაციების ანალიზის გარეშე. შესაბამისად, მიზნებიდან გამომდინარე გარემოსდაცვითი გადასახადების დანერგვის საკითხი საჭიროებს დამატებით, სიღრმისეულ კვლევას ყველა დარგობრივი და დარგთაშორისი ფაქტორის გათვალისწინებით.

**სიახლე/ღირებულება** - იმდენად, რამდენადაც, საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, 2004 წლიდან მოყოლებული, საქართველოში არ მოქმედებს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემზღუდველი ეკონომიკური მექანიზმები (უპირატესობა პირდაპირ რეგულაციებს ენიჭება), ხოლო საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი შიდა სამართლებრივი რეგულირების ევროპულ სამართალთან ჰარმონიზების ვალდებულებებს წარმოშობს, გარემოს დაცვის სფეროში ეკონომიკური მექანიზმების ამოქმედება ერთმნიშვნელოვნად აქტუალური ხდება.

## Environmental Taxes Main Aspects of Tax Object

*Ekaterine Shubitidze*
PhD Student
Caucasus University

### Abstract

**Purpose** – Purpose of the article is to evaluate the aims serving environmental taxes and hence form the main legal constituents of those taxes, essential aspects of which differentiate those from main legal constituents of fiscal taxes as such.

**Design/methodology/approach** – Findings are based on the deduction analysis of empirical evidences constituting uniform approaches within different countries' tax systems.

**Findings** – The article reveals the relevance of fiscal paradox attributed to environmental taxes to base principles of environmental protection policy followed by Georgian legislation.

**Research limitations/implications –** Due to certain factors like complexity and limitations the article highlights only the essential issues related. Superficial discussion leaves aside important factors having influence as adjacent aspects from adjacent fields. Hence to evaluate the issues of implementing certain environmental taxes into Georgian tax/environmental systems every aspect (economic, technological, etc.) has to be considered as part of the detailed research that follows.

**Originality/value –** Particular factors makes the issue of accelerating discussion around economic instruments of environmental protection in Georgia not only in terms of economic efficiency but in connection with the consistency with legal principles as well: after having amended tax regulation in active before 2004, the choice of administrative mechanisms were made in favour of primary regulation instead of economic instruments; though overall tendency of our country towards Green Policy oriented Europe requires intensive inter-field discussions to be held to form up the basis for particular decisions of policy makers.

# ფრენშაიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი მხარე და სახეები



ნინო შალამბერიძე

დოქტორანტი

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ეხება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, საინტერესო და რთულ ინსტიტუტს როგორიცაა ფრენშაიზინგის ხელშეკრულება. წინამდებარე კვლევა აგებულია შედარებითი ანალიზის პრინციპზე სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო სისტემასთან, ასევე განხილულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოცემული რეკომენდაციები, განმარტებები და დოქტრინები ფრენშაიზინგის ხელშეკრულებისა და მისი სახეების შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ ფრენშაიზინგის ხელშეკრულების სწორი აგება არის წინაპირობა ფრენშაიზინგის სისტემის გამართული მუშაობისა, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას, საინტერესოა მისი კომერციული ბუნება ხელშეკრულების სპეციფიკურობასთან ერთად.

## 1. ფრენშაიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

წინამდებარე კვლევის ჩატარების პროცესში გამოვლინდა ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსაკუთრებულობა, კერძოდ, ის რომ იმ ქვეყნებში სადაც აღნიშნული სისტემა კარგად არის განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობა არ არის გადატვირთული ნორმატიული რეგულაციებით ამ სფეროში და უპირატესობა ენიჭება, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებს. ეს ალბათ განპირობებულია იმით, რომ მარტივად მოხდეს ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში და ინვესტორი არ შეშინდეს მრავალრიცხოვანი ნორმების წინაშე, მაგრამ ამასთან ეს შეიძლება ოდნავ შესუსტებულ პოზიციას ანიჭებდეს არა ინვესტორს, არამედ ფრენშაიზინგის მიმღებს.

ცალკე მარეგულირებელი კანონი ფრენშაიზინგის სისტემაში საქართველოში არ არსებობს, ასევე არ არსებობს ცალკე სავაჭრო კოდექსი, შესაბამისად ეს ძალიან რთული ხელშეკრულების მთელი რეგულაცია მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ 8 მუხლს, მართალია არსებობს საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნის, საქართველოს კანონი სამრეწველო საკუთრების შესახებ საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, რომლებიც მეტნაკლებად კავშირში არიან ფრენშაიზინგის ხელშეკრულებასთან, არეგულირებენ ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით გადასაცემი

ობიექტების სამართლებრივ გარემოს, მასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს და ა.შ. მაგრამ უფრო მართებული და ფრენშაიზინგის მიმღების ინტერესების უკეთ დაცვისათვის, საინტერესო იქნებოდა აღნიშნულზე ცალკე კანონის მიღება, როგორც ეს მაგალითად გერმანიაში[1], საფრანგეთში[2] და სხვა არცთუ ცოტა ქვეყანაშია. აღნიშნული არ გულისხმობს ფრენშაიზინგის მარეგულირებელი ნორმების აუცილებლად იმპერატიული ხასიათის დანერგვას და მხარეთა ნების გამოხატვის ავტონომიურობაზე ჩარევის მცდელობას და/ან მათ შეზღუდვას, არამედ დაიცავს ფრენშაიზინგის მიმღებს. ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში ძირითადად ერთი მხარე არის ძალიან ძლიერი, მეორე მხარისგან განსხვავებით, რომელსაც გააჩნია საკუთარი უფლებების რეალიზების მეტი შესაძლებლობა, ბაზარზე ახალად შემოსულ სუბიექტთან შედარებით, შესაბამისად მხარეთა შორის რეალურად არის არათანაბარი პირობები და შანსები. გარდა ამისა, საქართველოსთან მიმართებაში თუ განვიხილავთ, ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ძირითადად არის უცხოელი, მსხვილი, გამოცდილი კომპანია, რომელსაც მარტივად შეუძლია შესთავაზოს ისეთი პირობები ფრენშაიზინგის პოტენციურ მიმღებს, რომელიც მისთვის ხელსაყრელია.

## 2. ფრენშაიზინგის ხელშეკრულების არსი

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება ეს არის ნების გამოვლენა მიმართული სამართლებრივი ურთიერთობის წარმომშობისაკენ. სსკ-ის 607 მუხლის დეფინიციაში მოცემულია ფრენშაიზინგის ხელშეკრულების აღწერილობა, კერძოდ განმარტებულია შემდეგნაირად „ფრენშაიზინგის ხელშეკრულება გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას.“[3]

კანონი იმპერატიულად არ ადგენს ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების შინაარს. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ ხელშეკრულების შინაარსს და თავად ადგენენ უფლება მოვალეობებს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ მხარეთა ავტონომიურობა არის აბსოლუტური. მათი თავისუფლების საზღვრები შეზღუდულია ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების მიხედვით.

საინტერესოა ფრენშაიზინგის ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრასთან მიმართებაში კანონმდებლის პოზიცია, კერძოდ კი, თავად ეცადოს ამომწურავად განსაზღვროს ფრენშაიზინგის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები, თუ გზა დაუთმოს სახელშეკრულებო თავისუფლებას და კონტრაჰენტებს მიანდოს ეს საქმე.

---

[1] http://www.franchiseek.com/Germany/Franchise_Germany.htm
[2] http://www.franchiseek.com/france
[3] სსკ 607-ე მუხლი;

### 3. ფრენშაიზინგის ხელშეკრულების სახეები

სსკ არ აღიარებს ფრენშაიზინგის ხელშეკრულების სხვადასხვა სახის არსებობას და ცნების ერთიანობის იდეას ემხრობა. შეიძლება ერთი შეხედვით 608-ე მუხლის ბოლო ფრაზა „ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას“ - ფრენშაიზინგის ხელშეკრულების სხვადასხვა სახეების გამოყოფის ერთგვარ მცდელობად მოგვეჩვენოს თუმცა ნორმაში უბრალოდ ხელშეკრულების განსხვავებული შინაარსით დადების შესაძლებლობაზეა მითითება. აქედან გამომდინარე ფრენშაიზინგის ხელშეკრულებისთვის არსებობს ერთიანი ცნება და საქონელთან იქნება იგი დაკავშირებული, თუ მომსახურებასთან, გავლენას მოახდენს მხოლოდ მის შინაარსობრივ მხარეზე. ხელშეკრულების შინაარსი ყოველთვის მხარეების მიერ განისაზღვრება და ყოველი კონკრეტული ხელშეკრულებისთვის განსხვავებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების კოდექსისეული მოწესრიგება საქონლისა, თუ მომსახურების შემთხვევაში იდენტური იქნება.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების სახეებს არ გამოყოფენ არც "UNIDROIT"-ის ფრენშაიზინგის შეთავაზების მოდელური ნორმები[4].

ეკონომიკურ და ზოგჯერ იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია ფრენშაიზინგის ცნების დანაწევრების მცდელობა, მაგალითად, უმეტესად გამოყოფილია ფრენშაიზინგის ხელშეკრულების სამის სახე:

1. სასაქონლო და სადისტრიბუციო ფრენშაიზინგი;
2. ფრენშაიზინგი სასაქონლო ნიშანზე;
3. ბიზნესის ფორმატის ფრენშაიზინგი.

აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტი ისტორიულად გამოყოფს ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ორ ტიპს:

1. ტრადიციულ ფრენშაიზინგს (ან სასაქონლო და საფირმო სახელწოდებაზე) და
2. ბიზნეს-ფორმატის ფრენშაიზინგს.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო დებულებებშიც მოცემულია ფრენშაიზინგის ცალკეული სახეები და მათი თავისებურებანი.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებში გამოყოფილია საქმიანი ფორმატის ფრენშაიზინგი, როგორც ფრენშაიზინგის ცალკე ტიპი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს რამდენიმე ქვეტიპს;

1. ფრენშაიზინგი წარმოებაზე;
2. ფრენშაიზინგი მომსახურებაზე;

[4] http://www.unidroit.org/publications/513-unidroit-principles-of-international-commercial-contracts

3. ფრენშაიზინგი საბითუმო ვაჭრობაზე (გასაღებაზე).

არაერთი ქვეყანა განსაკუთრებით კი ისინი, სადაც ნორმატიულ მოწესრიგებას ექვემდებარება წინა სახელშეკრულებო პერიოდი გამოკვეთენ სუბფრენშაიზინგს, როგორც ფრენშაიზინგის სტრუქტურულად განსახვავებულ სახეს. „სუბფრენშაიზინგის" ხელშეკრულება ჩვეულებრივ ფრენშაიზინგის ხელშეკრულებას წარმოადგენს, თუმცა განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ ფრენშაიზის მიმღები, რომელიც იმავდროულად ფრენშაიზის ქვემიმცემიცაა მესამე პირს გადასცემს არა საკუთარ, არამედ ფრენშაიზის მიმცემის მიერ შემუშავებულ სისტემას.

## დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ფრენშაიზინგის სისტემა არის დამწყები ბიზნესისთვის წარმატების ერთ-ერთი ფორმულა, აუცილებელია მისი მყარი და სტაბილური სამართლებრივი საფუძვლით გამაგრება. როგორც თემის კვლევიდან დავინახეთ კონტინენტური სამართლის ქვეყნებში მისი მარეგულირებელი ნორმები მოცემულია, როგორც სამოქალაქო ასევე სავაჭრო კოდექსებში. რიგ ქვეყნებში მიღებული სპეციალური კანონები, რომლითაც რეგულირდება ფრენშაიზინგიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობები, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე, სადაც გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ სსკ-ის რვა მუხლი, სადაც ცალსახად და მკაფიოდ არ არის ფრენშაიზინგის არა თუ მხოლოდ მიმღების უფლებები დაცული, არამედ არ არის დადგენილი წინასახელშეკრულებო ურთიერთობები, ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნები და ასე შემდეგ.

ამდენად იმისთვის რომ საქართველოში ფრენშაიზინგის სისტემამ გამართულად და კიდევ უფრო წარმატებულად იმუშაოს, საჭიროა მისი კიდევ უფრო დეტალური რეგულაცია და როგორც ზემოთ აღვნიშნე წარმატებული ქვეყნების მაგალითზე სპეციალური კანონის მიღება, სადაც მხარეთა უფლება მოვალეობები და მათი დაცვის მექანიზმები უფრო დეტალურად იქნება დარეგულირებული, ყურადღება უნდა მიექცეს ასევე წინარე ხელშეკრულებით გათვალიწინებულ ურთიერთობებს, როგორც ეს მრავალ ქვეყანაშია მათ შორის აშშ-ში, სადაც მხარეები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ და პასუხიმგებლობას კისრულობენ ერთმანეთის წინაშე ჯერ კიდევ მანამ, სანამ მხარეთა შორის მოხდებოდეს ხელშეკრულების დადება. ვინიდან ამ შემთხევაში არსებობს რისკი იმისა, რომ მოხდება კომერციული საიდუმლოების გაცემა, რაც შემდგომში ფრენშაიზინგის გამცემს შეუქმნის რისკს წარმატებული ბიზნეს საქმიანობაში. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო ხაზგასმით, რომ ამ ყველაფრის ფონზე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, ისე სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო, სავაჭრო კოდექსები და სპეციალური კანონები აძლევენ მხარეებს თავისუფლებას დამოუკიდებლად განსაზღვრონ არსებითი პირობები, რა თქმა უნდა სხვისი და ერთმანეთის უფლებების შელახვის გარეშე.

## გამოყენებული ლიტერატურა

**ნორმატიული მასალა**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**იურიდიული ლიტერატურა**


1. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ (1999 წ.)
2. ახვლედიანი, ზ. (2001). ვალდებულებითი სამართალი.
3. ზარანდია, თ. (2002). სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები.
4. ზოიძე, ბ. (2005). ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში.
5. ჩაჩანიძე, თ. (2010). ფრენშაიზინგული ურთერთობების სამართლებრივი რეგულირება.
6. ჭანტურია, ლ. (2000). შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში.
7. ჭანტურია, ლ. და ნინიძე, თ. (2002). მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი.
8. ჯორბენაძე, ს. (1999).ფრენშაიზინგის ხელშეკრულება.

**ინტერნეტ-რესურსები**

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1217 ნახვის ბოლო ვადა 16.01.2017

http://www.franchising.com/ ნახვის ბოლო ვადა 16.01.2017

http://www.epo.org/ ნახვის ბოლო ვადა 16.01.2017

http://www.franchiseek.com/Germany/Franchise_Germany.htm ნახვის ბოლო ვადა 16.01.2017

http://www.franchiseek.com/france ნახვის ბოლო ვადა 16.01.2017

http://www.unidroit.org/publications/513-unidroit-principles-of-international-commercial-contracts ნახვის ბოლო ვადა 16.01.2017

# ფრენშაიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი მხარე და სახეები

*ნინო შალამბერიძე*
დოქტორანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

**მიზანი** - კვლევის მიზანია გამოარკვიოს ფრენშაიზინგიდან გამომდინარე ბიზნეს ურთიერთობა, რომელიც დღევანდელი მსოფლიოს რეალობიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა ქვეყნის ეკონომიკისთვის. მიუხედავად მისი ასეთი აქტუალობისა, ეს თემატიკა ჩვენი ქვეყნის რეალობისთვის ნოვატორულია, მოიცავს ბევრ მნიშვნელოვან დეტალს რომელსაც სამწუხაროდ არათუ საქართველოში ბიზნეს ურთიერთობა იცნობს, არამედ ის უცნობია საქართველოში მოქმედი კანონმდელობისთვის.

**სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა** – ვფიქრობ საინტერესო იქნება ფრენშაიზინგის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების და მოთხოვნების სამართლებრივი ასპექტების სიღრმისეულად წარმოდგენა, სტატისტიკური მონაცემების და სასამართლო დავების გათვალისწინებით.

**დასკვნები** - იმის გათვალისწინებით, რომ ფრენშაიზინგის სიტემა არის დამწყები ბიზნესისთვის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი ფორმულა, აუცილებელია მისი შესაბამისი მყარი და სტაბილური სამართლებრივი საფუძვლით - ხელშეკრულებით გამაგრება.

**კვლევის შეზღუდვები(ხარვეზები)/გავლენა** – ბევრმა მკვლევარმა იწინასწარმეტყველა ფრენშაიზინგის ქსელების ძლიერი ზრდა ახლო მომავალში. თუმცა ასეთი სწრაფი განვითარებისა და გავრცელების მიუხედავად მისი კონცეფცია რჩება ახალი და უცნობი ბევრი კანონმდებლისთვის მსოფლიოს სხადასხვა ქვეყნებში. რეალურად კი, ფრენშაიზინგის ხელშეკრულება რთული შინაარსის გამო ბევრი რამ რჩება გაურკვეველი, მათ შორის: რა არის ფრენშაიზინგი, მისი იურიდიული ბუნება, შეიძლება თუ არა, რომ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება განიხილებოდეს როგორც ეკონომიკური ან სამოქალაქო ხელშეკრულება და სხვა. ამგვარი გაურკვევლობები და ხარვეზები ფრენშაიზინგის სამართლებრივ რეგულირებაში ქმნის სერიოზულ ბარიერებს მისი განვითარების გზაზე.

**სიახლე/ღირებულება** - ეს პირველი სტატიაა, სადაც მოცემულია მისი აქტუალურობა, წამოწეულია ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზები. კვლევაში ფრენშაიზინგის ხელშეკრულება განხილულია ასევე, როგორც კომერციული საქმიანობის მეთოდი და ზოგადად ყველა ის კომპონენტ, რომლსაც მთლიანად მოიცავს ფრენშაიზინგის მთელი სისტემა.

# Legal Aspects and Types of Franchising Agremeent

*Nino Shalamberidze*
PhD Student
Caucasus University

## Abstract

The purpose of the research is to identify the business relationship emanate from franchising which on the basis of reality of today's world has become the most important part of the economy of the state. Despite of its urgency, the above mentioned topic is innovatory for the reality of our country, it includes many significant details unfortunately unknown for business relations of Georgia as well as for effective legislation of Georgia.
I suppose that detailed representation of legal aspects of important terms and requirements of franchising with consideration of statistical data and legal controversies will be interesting enough.
Given that the franchise system is one of the major formulas for success of start-up, it should be strengthened by relevant firm and stable legal basis – agreement.

Many researchers have predicted the strong growth of franchising networks in the nearest future. However, despite of such rapid development and distribution the concept of franchising still remains new and unknown for different legislators of various countries. In fact, many things remain uncertain due to complex content of franchising agreement, including: the subject matter of franchising, its legal nature, whether it is possible to discuss the franchising agreement as economic or civil agreement, etc. Such uncertainties and gaps raise serious barriers within the legal regulations of franchising on its way to development.

This is the first article representing the urgency of franchising, raising the question of uncertainties of Georgian legislation and alternative ways for their settlement. Consideration of franchising agreement within the research is provided as the method of commercial activity and all those components that are included into the whole system of franchising.

# საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებები „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით



**მაია მხატვრიშვილი**

დოქტორანტი

**შესავალი**

ეფექტური ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების რეკომენდაცია, ჯერ კიდევ, ევროპარლამენტის 2011 წლის 17 ნოემბრის რეზოლუციაში აღინიშნა[1]; იგივე რეკომენდაციაა მოცემული ევროპული კომისიის 2013 წლის 15 ნოემბრის ვიზა–ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებულ ანგარიშში, რაც ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოსთვის მომზადდა.[2] შესაბამისად, აღნიშნული კანონის მიღება ვიზა–ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ნაწილს წარმოადგენს. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოების ვალდებულება ასოცირების შესახებ შეთანხმების[3] შემადგენელი ნაწილი იყო. სწორედ აღნიშნული ვალდებულებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო საქართველოს კანონი „დისკიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ"[4]. კანონის განხილვას, როგორც სასულიერო პირების, ასევე, პარლამენტის ზოგიერთი წევრისა და საზოგადოების გარკვეული ფენის მხრიდან საკმაოდ ნეგატიური რეაქცია მოყვა[5]. მიუხედავად ამისა, კანონი მიღებულ იქნა, რაც უდავოდ უნდა შეფასდეს საკმაოდ წინ გადადგმულ ნაბიჯად ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. ხსენებული კანონის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის განხორციელება დაევალა სახალხო დამცველს[6]. აღსანიშნავია, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” კანონის მიღებამდეც სახალხო დამცველს არაერთი რეკომენდაცია აქვს გაცემული დისკრიმინაციის

---

[1] ევროპარლამენტის P7_TA-PROV (2011)0514 რეზოლუცია. ხელ: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=14142&lang=geo [05.07.2016]

[2] REPORT FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT AND THE COUNCIL First Progress Report on the implementation by Georgia of the Action Plan on Visa Liberalisation, Brussels, 15.11.2013 COM(2013) 808 final, ხელ: http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/what-is-new/news/news/docs/20131115_1st_progress_report_on_the_implementation_by_georgia_of_the_apvl_en.pdf [0.07.2016]

[3] 2014 წლის 27 ივნისს ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის <http://www.parliament.ge/ge/gavigot-meti-evrokavshirtan-asocirebis-shetanxmebis-shesaxeb/associationagreement1 > [05.07.2016]

[4] მითითებული კანონი შემდგომში ასევე მოხსენიებულია, როგორც ანტიდისკრიმინაციული კანონი

[5] https://www.youtube.com/watch?v=yCqeUUJN5YE [12.07.2016]

[6] 2014 წლის 02 მაისის საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მე–6 მუხლის 1 პუნქტი ( 12.07.2016 მდგომარეობით).

აღმოფხვრასთან მიმართებით, რომლებიც მის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებშიც არის ასახული. თუმცა სახალხო დამცველის კომპეტენცია დისკრიმინაციის აღმოფხვრის სფეროში კანონის მიღებამდე შედარებით შეზღუდული იყო, რადგანაც მისი მანდატი მხოლოდ საჯარო დაწესებულებების მიმართ ვრცელდებოდა. ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნები კი გავრცელდა საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში.[7] მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიღება დადებითად ფასდება, მაინც არსებობს გარკვეული სახის სამართლებრივი ხარვეზები, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

გამომდინარე იქედან, რომ დისკრიმინაციის აღკვეთა და მის წინააღმდეგ არსებული მექანიზმების ეფექტური გამოყენება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, საინტერესოდ მივიჩნიეთ წარმოდგენილი მცირე კვლევის ჩატარება.

## საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებები „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით

„კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ეს ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც, ზოგადად, გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის.“ [8]

თანასწორობის ხელშეწყობა და ადამიანის უფლებების დაცვა ევროკავშირის ქვეყნების მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს. დისკრიმინაციის აკრძალვაზე მითითებულია არაერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაში[9]. გარდა აღნიშნული ხელშეკრულებებისა, არსებობს ევროკავშირის არაერთი დირექტივა, რომლებიც დისკრიმინაციისგან დაცვას უზრუნველყოფს[10].

---

[7] აქვე აღნიშნულია, რომ ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით, რომელიც შეესაბამება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს.

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II. პ.1

[9] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948; პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წ; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი 1966 წ; საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1965 წ; იუნესკოს კონვენცია განათლების დარგში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 1960; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია 1950წ.; კონვენცია 111 კონვენცია შრომის და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ 1958; კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ 1984წ; ევროპის სოციალური ქარტია 1996წ.; აფრიკის ქარტია ადამიანთა და ხალხთა უფლებების შესახებ 1981წ; ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია 1979წ; კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ 1989წ და სხვა

[10] ევროკავშირის რასობრივი თანასწორობის დირექტივა (2000), Council Directive 2000/43/EC of 29 June 2000 implementing the principle of equal treatment between persons irrespective of racial or ethnic origin; ევროკავშირის დასაქმების სფეროში თანასწორობის შესახებ დირექტივა (2008) და სხვა

ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ქვეყნების ნაწილმა მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, რომლებიც, გარკვეულწილად, ითვალისწინებს აღნიშნულ დირექტივებს.[11] ხსენებული კანონმდებლობის თანახმად, ევროპის უმეტეს ქვეყანაში შექმნილია თანასწორობის ორგანო/ტრიბუნალი, რომელსაც დისკრიმინაციის მსხვერპლს შეუძლია, მიმართოს საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღების ერთ–ერთი მიზანი მანამდე არსებული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის არაეფექტურობა იყო, რადგანაც დისკრმინაციის ამკრძალავი ნორმების უმეტესობა მოიცავდა მხოლოდ დეკლარირებულ მუხლებს და არა დარღვევის სამართლებრივ შედეგებს. კანონპროექტის განმარტებით ბარათში, ასევე, მიეთითა, რომ „კანონპროექტის მიზანია დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად შეიქმნას ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც დისკრიმინაციის მსხვერპლს დარღვეული უფლების აღდგენის რეალურ შესაძლებლობას მისცემს.„[12] შესაბამისად, უნდა განსაზღვრულიყო ის ქმედითი მექანიზმი, რომელიც დისკრიმინაციის მსხვერპლს ეფექტურად დაეხმარებოდა დისკრიმინაციის ფაქტის აღმოფხვრასა და დარღვეული უფლების აღდგენაში. კანონმდებელმა ეს ვალდებულება საქართველოს სახალხო დამცველს დააკისრა.[13] კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში (კანონის მე-3 მუხლი).[14] ასევე, ცვლილება შევიდა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში და დაემატა 14¹ მუხლი, რომელიც დეტალურად მიუთითებს, თუ რა ფუნქციები უნდა განახორციელოს სახალხო დამცველმა საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით; მე-3 მუხლს დაემატა 1¹ პუნქტი, რომლის მიხედვითაც გაფართოვდა სახალხო დამცველის უფლებამოსილების ფარგლები. აქედან გამომდინარე, ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებებით და „ახალმიღებული“ კანონით, სახალხო დამცველის უფლებამოსილება საგრძნობლად გაიზარდა, თუ აქამდე სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევდა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა საქმიანობას, ამის შემდგომ, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად მას, ასევე, დაევალა ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობის ზედამხედველობა. მინიჭებული ფუნქციის უზრუნველსაყოფად, სახალხო დამცველი მოქმედებს შემდეგი მიმართულებებით:

---

[11] ევროკავშირის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ნახვა შესაძლებელია ვებ.გვერდზე: http://legislationline.org/topics/topic/84 [16.07.2016]

[12] საქართველოს კანონპროექტზე „ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ განმარტებითი ბარათი.07.04.2013. ხელ: http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/8189? [16.07.2016]

[13] 2014 წლის 02 მაისის საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მე–6 მუხლის 1 პუნქტი ( 12.07.2016 მდგომარეობით)

[14] აქვე აღნიშნულია, რომ ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით, რომელიც შეესაბამება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს.

- დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლა;
- რეკომენდაციების და ზოგადი წინადადებების გაგზავნა;
- საქმის მორიგებით დამთავრების მცდელობა;
- სასამართლოზე მიმართვა;
- საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება;
- დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა და ყოველწლიური სპეციალური ანგარიშის გამოცემა.

მითითებული ფუნქციის ეფექტურად განხორციელების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი, რომელიც სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს და თავისი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებს სახალხო დამცველის სახელით.[15]

ერთი შეხედვით, ყველა სახის მექანიზმი არსებობს დისკრიმინაციის მსხვერპლისთვის საკუთარი უფლებების დასაცავად, თუმცა, გარდა იმისა, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციას არ აქვს სავალდებულო ძალა, ასევე არსებობს რამდენიმე სამართლებრივი საკითხი, სადაც ხარვეზები მკაფიოდ იკვეთება:

1. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტზე სასამართლოშიც განიხილება დავა. ამასთან, სახალხო დამცველი წყვეტს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო საქმეზე არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება. შესაბამისად, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლმა მიმართა ორივე ორგანოს, მაშინ ის სახალხო დამცველის ინსტიტუტის დახმარებას ვერ იღებს. მივიჩნევთ, რომ ეს ჩანაწერი დისკრიმინაციის სავარუდო მსხვერპლს არ აძლევს შესაძლებლობას, ეფექტურად გამოიყენოს ყველა სახის სამართლებრივი მექანიზმი, კერძოდ კი, მიმართოს ორივე ორგანოს. ასევე, გასათვალისწინებელია სასამართლოზე მიმართვის ვადა, რომელიც 3 თვეს წარმოადგენს. მაშასადამე, თუ დისკრიმინაციის მსხვერპლი საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართავს სახალხო დამცველს და აღნიშნულ საქმეზე ვერ მოესწრება შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება, ხოლო სავარაუდო მსხვერპლი სასამართლოზე მიმართვის ვადის არგაშვების მიზნით შეიტანს სარჩელს სასამართლოში, სახალხო დამცველი შეაჩერებს საქმის წარმოებას. მივიჩნევთ, რომ აღნიშნული ჩანაწერიც, ასევე, შეიცავს ხარვეზს, რადგანაც სახალხო დამცველის მიერ სამი თვის განმავლობაში

[15] http://ombudsman.ge/ge/diskriminaciis-prevenciis-meqanizmi/tanasworobis-departamentis-shesaxeb [12.07.2016]

საქმესთან დაკავშირებით გაწეული სამსახური იქნება, ერთი მხრივ, ფუჭად დაკარგული რესურსი, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლოა, უამრავი საქმე სახალხო დამცველის განხილვის მიღმა დარჩეს.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს[16], სადაც მიუთითა, რომ „საკანონმდებლო ბაზე ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ სახალხო დამცველისა და სასამართლოს ფუნქციები ერთმანეთს არ ფარავდეს და მათი ერთობლივი თანაარსებობა, ურთიერთდახმარების გზით, ორიენტირებული იყოს ადამიანების დისკრიმინაციისგან ეფექტურად დაცვაზე."[17]

2. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნებისმიერი ადმინისტრაციული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (მათ შორის, პროკურატურის, საგამოძიებო, სასამართლო ორგანო) ვალდებულია, გადასცეს სახალხო დამცველს საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალა, საბუთი, ახსნა-განმარტება და სხვა ინფორმაცია მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. რაც შეეხება კერძო პირს, მასთან დაკავშირებით ინფორმაციის მხოლოდ ნებაყოფლობითი გადაცემაა აღნიშნული.

შესაბამისად, კერძო პირს კანონმდებელი არ ხდის ვალდებულს, გადასცეს საჭირო მასალა ომბუდსმენს, რაც, თავისთავად, აფერხებს უფლების დაცვას. თუ სახალხო დამცველი ვერ მოიპოვებს საქმის განხილვისათვის საჭირო დოკუმენტაციას, თავისთავად ეფექტური რეაგირება ვერ მოხდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა, აგრეთვე, მიმართა საქართველოს პარლამენტს და მიუთითა, რომ „მართებული იქნება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონში ისეთი ჩანაწერის გაკეთება, რომელიც კერძო პირსა თუ საჯარო დაწესებულებას, დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის შესახებ გონივრული ვარაუდის შემთხვევაში, ყველა საჭირო მასალის გადაცემის ვალდებულებას დააკისრებს."[18]

3. ანტიდისკრიმინაციული კანონის მე–6 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველი უფლებამოსილია, როგორც დაინტერესებულმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მის რეკომენდაციას არ უპასუხებს ან არ გაიზიარებს და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს; ვინაიდან კერძო პირთან

[16]http://www.ombudsman.ge/ge/news/antidiskriminaciuli-meqanizmis-gaumdjobesebistvis-aucilebeli-sakanonmdeblo-cvlilebebis-shesaxeb-2015-wlis-saparlamento-angarishshi.page [08.28.2016]
[17]http://www.ombudsman.ge/ge/news/antidiskriminaciuli-meqanizmis-gaumdjobesebistvis-aucilebeli-sakanonmdeblo-cvlilebebis-shesaxeb-2015-wlis-saparlamento-angarishshi.page [08.28.2016]
[18]http://www.ombudsman.ge/ge/news/antidiskriminaciuli-meqanizmis-gaumdjobesebistvis-aucilebeli-sakanonmdeblo-cvlilebebis-shesaxeb-2015-wlis-saparlamento-angarishshi.page [08.28.2016]

დაკავშირებით არანაირი აღნიშვნა არ არის, ამდენად, კერძო პირთან მიმართებაში მსგავსი სახის მიმართვას სახალხო დამცველი ვერ გააკეთებს.

4. კანონმდებელი არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებულ პირებს სხვა დაწესებულებაში დასაქმებულთაგან განსხვავებით. კანონით, სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლს აქვს შესაძლებლობა, უფლების დაცვის მიზნით მიმართოს სახალხო დამცველს ან სასამართლოს; რაც შეეხება სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებულ 143 პირს, მათ მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე ერთ ორგანოში, მხოლოდ სასამართლოში გასაჩივრების უფლება აქვთ. აქვე აღსანიშნავია, რომ 2016 წლის განმავლობაში[19] დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნით სახალხო დამცველის სამი თანამშრომლის სარჩელი შევიდა დამსაქმებლის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში. ხსენებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებები მიღებული ჯერ არ არის.

ვფიქრობთ უნდა განხორციელდეს რამდენიმე სახის საკანონმდებლო ცვლილება:

1. მნიშვნელოვანია, შეიქმნას თანასწორობის უფლების დამრღვევის დაჯარიმების სისტემა. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით მომზადდა კანონპროექტი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა თანასწორობის დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტის შემოღებას. ეს უკანასკნელი აღჭურვილი იქნებოდა დაჯარიმების დაკისრების მექანიზმით[20], ფიზიკური პირის შემთხვევაში 100–დან 500 ლარამდე, ხოლო იურიდიული პირის - 500–დან 2500-მდე.[21] მოქმედი კანონის ფარგლებში, გონივრული იქნება, რომ სახალხო დამცველს მიეცეს უფლება, მიმართოს სასამართლოს დამრღვევის დაჯარიმების მოთხოვნით.

2. სასამართლოზე მიმართვამ არ უნდა შეაჩეროს სახალხო დამცველის აპარატში საქმის წარმოება.

3. სახალხო დამცველისათვის დოკუმენტაციის მიწოდების ვალდებულება უნდა დაეკისროს კერძო პირებსაც.

4. სახალხო დამცველს უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, როგორც დაინტერესებულმა პირმა, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება კერძო პირის მიმართაც.

5. სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებულთათვის მნიშვნელოვანია, არსებობდეს სასამართლოს გარდა კიდევ სხვა ინსტიტუტი, სადაც შეძლებენ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის გასაჩივრებას. მიზანშეწონილია, რამდენიმე უწყების წარმომადგენლისაგან შეიქმნას კოლეგიური ორგანო, სადაც შესაძლებელი იქნება ფაქტის გასაჩივრება.

---

[19] 20.08.2016 ის მდგომარეობით
[20] http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/312 [16.07.2016]
[21] http://netgazeti.ge/news/23478/ [16.07.2016]

## დასკვნა

„თანასწორობის ძირითადი უფლება სხვა კონსტიტუციური უფლებებისგან იმით განსხვავდება, რომ ის არ იცავს ცხოვრების რომელიმე განსაზღვრულ სფეროს. თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში.“[22]

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია ამ მექანიზმის ეფექტური განხორციელება და ყველა პირის უფლების თანაბარი დაცვა. კანონმდებლობა ადამიანებს არ უნდა აყენებდეს განსხვავებულ მდგომარეობაში. მაგალითად, საჯარო სექტორში დასაქმებულის მიმართ სახალხო დამცველს არ უნდა გააჩნდეს უფლების დაცვის მეტი მექანიზმი, კერძო ორგანიზაციაში დასაქმებულთან შედარებით.

შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა ზემოაღნიშნული რეკომენდაცია, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სახალხო დამცველს საქმიანობის ეფექტურად განხორციელებაში, ხოლო მეორე მხრივ, დისკრიმინაციის სავარუდო მსხვერპლიც მეტად იქნება დაცული სამართლებრივი მექანიზმებით. ყოველივე ამის შედეგი იქნება ადამიანის უფლებების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტის დამკვიდრება, რაც ცივილიზებული სამყაროს უმთავრესი პრიორიტეტია.

## გამოყენებული ლიტერატურა

**ნორმატიული მასალა:**

1. 2014 წლის 02 მაისის საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.

2. 1996 წლის 16 მაისის საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“.

3. 1997 წლის 14 ნოემბრის საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“.

4. 1999 წლის 23 ივლისის საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“.

5. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948;

6. პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წ;

[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II. პ.4

7. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი 1966 წ;

8. საერთაშორისო კონვეცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1965 წ;

9. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია 1950წ.;

10. კონვენცია 111 კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ 1958;

11. კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ 1984წ.

12. ევროპის სოციალური ქარტია 1996წ.;

13. აფრიკის ქარტია ადამიანთა და ხალხთა უფლებების შესახებ 1981წ.;

14. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია 1979წ.;

15. იუნესკოს კონვენცია განათლების დარგში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 1960;

16. კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ 1989წ;

17. 2014 წლის 27 ივნისს ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის

18. ევროკავშირის ქვეყნების ანტიდისკმინაციული კანონმდებლობა ნახვა შესაძლებელია ვებ.გვერდზე: http://legislationline.org/topics/topic/84 [01.09.2016]

**მასალები სასამართლო პრაქტიკიდან:**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

**ინტერნეტ რესურსები–პუბლიკაციები:**

www.matsne.gov.ge [01.09.2016]

www.parliament.ge [01.09.2016]

http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/8189? [01.09.2016]

http://ombudsman.ge/ge/diskriminaciis-prevenciis-meqanizmi/tanasworobis-departamentis-shesaxeb [01.09.2016]

http://www.ombudsman.ge/ge/news/antidiskriminaciuli-meqanizmis-gaumdjobesebistvis-aucilebeli-sakanonmdeblo-cvlilebebis-shesaxeb-2015-wlis-saparlamento-angarishshi.page [01.09.2016]

- Confidence should be supported between the organization members. They should be treated with respect and goodwill. The leader or master should act in some manner that al member has confidence on him/r. confidence means as expectations and beliefs which the people don't like to show each other in a predictable way and not only about their own revenue. We are sorry to say that nowadays confidence has got very low and palled especially in state organizations (Avatefi, Monfared and teammates2013). Researches about organizational confidence are much. But one of the most important cases of this researches that can be hand of the masters in developing confidence, has been done by Mac Cally and kanert. This two found that the variants related to job such as cooperation in making decision, independence, feedback, supervisor protective behavior, and communications, have a very important role in confidence description to management (**Mccauley & Kuhnert 1992**). Aloen 2005 showed that enhance of organizational confidence influences on organizational cooperation, information sharing, flexibility, and organizational onus (Shirazi and teammates2013).
- Organizational environment should be transformed into a kindly, sympathetic place to work. Sympathetic behavior is one of 4 main dimensions of moral behavior in Lenik and Kill division. Compassion means to care actively of others and points to ones respect to others too.
- The organization should create a space to the members where they can do kindly, gracious jobs relative to their members and other social organizations whereas to result in members moral intelligence development which will have positive outcomes. Moral behavior gets the human direction and motivation. Moral intelligence supports proper behavior and is able to provide life constancy along time (Esma'eel and teammates). The chief point about compassion is its reciprocal impact which facilitates the job activities to cultivate compassion culture in organization.
- Another factor of creating excellent organizations is integrating the organization which necessitates the masters do their best to develop solidarity and integration in the organization. One of these factors climes is developing honesty and loyalty in the organization.
- The excellent organization should be a gracious organization. An organization which forgives slips and mistakes (sure in a realistic manner and about unwitting ones) and helps to learn experience of organizational wrongs and errors. In fact nowadays the organizations and organizational

masters reached to this point that according to Edmondson (1996), Homsoma and teammates2009, and Ven Dic 2000, the mistakes and organizational breakdown although leading to negative results occurrence such as losing time, producing incorrect productions, and accidents in one hand, but in other hand they'll get positive results such as learning, innovations and flexibility, with themselves to the organization too. The results of Madson and Desay 2010 and Raspin 2011 researches shows that although success and breakage both lead in organizational learning, but the insight obtained of breakage will less be wasted versus success(Moradi and teammates2013). Obviously having such viewpoint, we can pass through the personal and public mistakes and make a gracious organization.

## List of applied literature


1. Avatefi monfared ehsan, mehrdad ali, mirjafari seyd ahmad, the relations between moral leadership and workshop psychological healthy on organizational onus,
2. Babaian ali seyed taghavi mirali, alizade hosein, poorgholami mohamadreza
3. Bahadori jafar, hashemi turaj, jalilbabapur kheir o din, the relations between psychological asset and social asset of the collegian, Tabriz University.
4. Danayifard hasan, alvani seyed Mehdi, azar adel, psychological quantity research in management, a complete attitude,
5. Danayifard hasan, amrolahi nahid, fani ali asghar, reza'ian ali, an investigation about the effective
6. Eisakhani ahmad, fani ali asghar, danayeefard hasan, expressing the relations between work fixation and organizational onus, universal management researches,
7. Esma'eili Zahra, beheshtifar malike, esma'eili hamide, the relations between moral intelligence with the confidence level of the managers
8. Fani ali asghar, eisakhani ahmand, danayifard hasan, expressing the effective happens on fixation and its effect on organizational onus,
9. Farhangi ali akbar, hoseinzade ali, the new attitudes about organizational onus
10. happens on forming organizational excellence, Universal management researches
11. Moradi mahmood, abdolahian farzane, safardoost atie, investivating the capacity to knowledge absorb role on the relations between learning of organizational errors
12. Shirazi ali, khodaverdian elham, na'imi mohamad 1391 the effect of organizational onus on organizational behavior outbreaking, study subject of north khorasan gas co,
13. The effect of psychologic asset on naja martial men compliment.

# Investigating the Influence of the Organization Onus and Workshop

Granted to

***DR Amir Hosein Amirkhani***

Author

***Hamed Sadri**, Masters Degree Collegian*

Text Translation

***Ali Mohammad Nagelyani**, Masters Degree Collegian*

## Abstract

The only subject in psychology to be attention in the past was making theories and researches about tending to be positive. But nowadays researches relating their subjects to it, have acceded to the organizational studies. Using of positive tending psychology in the organizations is called positive psychology. There are 2 major aspects at the field which called positive skewed organizational behavior and positive organization researches. At the recent years, most of the researches in this field have been more focused on organizational behavior. In this research the influence of organizational excellence on fixation and onus of the personnel has been investigated. The present research is useful by the end and its method is padding. The statistical group of the research contains the personnel of collusion of Rasht and the instruments are the standard excellent organization, fixation, and onus questionnaires. The results of data analysis accept the conceptual model. The results of the research also show a positive and meaning full influence of excellent organization on onus and fixation and also a positive influence of fixation on onus at a level about 95 percent.

# სახელმწიფო მმართველობის ფორმა - შედარებითი კვლევა



**ინგა კობახიძე**

მაგისტრანტი

## შესავალი - მმართველობის ფორმა, პოლიტიკური აზროვნების სათავეებთან

„არაფერია იმაზე უფრო უტყუარი, ვიდრე ის, რომ ადამიანებს აუცილებლად ესაჭიროებათ მმართველობა; ასევე უდაოა ისიც, რომ სადაც და როგორც უნდა იყოს იგი დაფუძნებული, ხალხმა მას უნდა ჩააბაროს თავისი ბუნებრივი უფლებების ნაწილი, რათა მთავრობა აუცილებელი ძალაუფლებით აღიჭურვოს,“[1] აღნიშნულის აქტუალიზაცია თანამედროვე დემოკრატიების ისტორიაში დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციონალიზმის კონცეფციაზე მსჯელობისას, რაც სახელმწიფო მმართველობის ფილოსოფიური ასპექტების სიღრმეების გააზრების თავდაპირველი მცდელობა იყო. ჰამილტონის, მედისონის, ჯეის „ფედერალისტის წერილები“ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოებრივი ფილოსოფიური მოტივებით დეტერმინირებული ნააზრევის კრებულია, სადაც პირველად წარიმართა მოსახლეობის მენტალურ მზაობაზე, განმანათლებლურ იდეებზე და ინსტიტუტების მნიშვნელობაზე ქადაგება - გამოიკვეთა ყველაზე დადებითი ტენდენცია- „ხალხის“, როგორც მმართველი ინსტიტუტის ჩამოყალიბება, მისი მენტალიტეტის განვითარება-როგორც სახელმწიფო მმართველობის კონცეფციის ფორმირების მყარი ფუნდამენტი, ერთგვარი იდეების გენერატორი, რომელიც გვკარნახობს ორიენტირებს მმართველობაზე. შესაბამისად, ყველაზე ჯანსაღია მიდგომა - საფუძველი ეყრებოდეს საზოგადოებრივ განწყობას მოსალოდნელი და მისაღები მმართველობის შესახებ, რათა ღირსეული ელექტორატი გამოვიდეს „ჭკუით აღჭურვილი“ კონტროლიორის როლში და რეალიზებული იქნეს არჩევნების-როგორც ტესტის ინსტიტუტი-აღნიშნული კვლევა ეძღვნება ამ საკითხის განვრცობასა და პრობლემური საკითხების წარმოჩენას. ჰამილტონია აზრით,“ის, რომ ადამიანები მინიჭებულ სახელისუფლებო ძალაუფლებას თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ, სხვას რას უნდა მოწმობდეს, თუ არა იმას, რომ მათ ბევრი ნაკლოვანებები, კომპლექსები აქვთ?-ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანები ანგელოზები არ არიან და რომ ხანდახან მათ დემონებზე მეტი ნაკლოვანებები აქვთ.

[1] THE FEDERALIST PAPERS-“PUBLIUS”(NEW YORK NEWSPAPER 1787-1788) federalist # 2 John jay 31October 1787

დამეთანხმებით, ადამიანები ანგელოზები რომ იყვნენ, მათ არ დასჭირდებოდათ ხელისუფლება. აი ანგელოზები რომ იყვნენ ხელისუფლებაში მაშინ მათი კონტროლიც არ იქნებოდა საჭირო"[2].

მიზანი სახალხო მენტალობის ფორმირებისა, უპირველესად გამოიკვეთა ევროპელ განმანათლებელთა (ჯონ ლოკი-„ხელისუფლების დანაწილება", მონტესკიე-„კანონთა გონი", ჟან-ჟაკ რუსო-„საზოგადოებრივი ხელშეკრულება") ნაშრომებში. აქ წმინდა გაგებით მოხდა იდეების გენერირება მმართველობითი წესრიგის დახვეწის მხრივ. ჯ. ლოკმა, რომელმაც შეაჯამა რევოლუციის გამოცდილება, რამდენიმე თაობას გაუსწრო სახალხო ნების დოგმატის აღიარებაში, როდესაც ამბობდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხალხიდან მომდინარეობს. ხალხი უთმობს ხელისუფლებას სახელმწიფოს ხელშეკრულების მეშვეობით და ამ შეთანხმებით განსაზღვრულ ორგანოებსაც გადასცემს მას, მაგრამ მისი აზრით „ხალხს მაინც რჩება ნიშა-მართლზომიერი კონტროლის შედეგად შეცვალოს ან გააუქმოს მმართველობის ორგანოები, როგორც კი ჩათვლის, რომ ამ უკანასკნელმა გამოცხადებული ნდობა არ გაამართლა".[3] 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა დეკლარაციაში ჯერ კიდევ იგრძნობა ერთგვარი გაუბედაობა, მაგრამ აბატ სიეიესის გენიალურმა „გამოგონებამ" ხალხი სუბიექტად აქცია: „სუვერენიტეტის წყარო, არსებითად ერშია" (მე-3 მუხლი). დეკლარაციის მიხედვით, უშუალო და წარმომადგენლობითი კანონმდებლობა თანაბარმნიშვნელოვანია (მე-6 მუხლი). 1791 წლის საფრანგეთის კონსტიტუცია კი უშაულო დემოკრატიას დაუშვებლად მიიჩნევს. ხალხს, რომელიც ყოველგვარი ხელისუფლების ერთადერთი წყაროა, ამ ხელისუფლების განხორციელება მხოლოდ წარმომადგენელთა მეშვეობით შეუძლია "(კარი III #2)[4]. დოქტრინალური ლოგიკური მიზეზ-შედეგობრიობით დატვირთული მიდგომები დაეხმარა კაცობრიობას საიმისოდ რომ მიეკვლია რაციონალური გადაწყვეტითვის. მოხდა ახალი პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირება. როგორც ვნახეთ, ამოსავალი წერტილი სადაც თითქმის ყველა მოაზროვნე ჯერდება ისაა, რომ აუცილებელია არსებობდეს საზოგადოებრივი ინტერესის რეალიზების საშუალება და სწორედ ესაა „ქველობის" ერთ-ერთი გაგება. [5]

ჯერ კიდევ მაკიაველის იდეაზე მდგარი პროცესი შემდეგის თქმის საფუძველს იძლევა- „სახელმწიფოს რეალური საყრდენი მოქალაქეთა პლურალური ინტერესებია, რაც განვითარების

[2] THE FEDERALIST PAPERS-"PUBLIUS"(NEW YORK NEWSPAPER 1787-1788) federalist # 6 Hamilton 1987

[3] John Locke, "The Second Treatise of Government" in Two Treatises of Government, Ed
Peter Laselett, (Cambridge: Cambridge University Press, 1991), $149.

[4] András Sajó - LIMITING GOVERNMENT An Introduction to Constitutionalism (1999) by Central European University Press, p:141-156

[5] Jean-Jacques Rousseau - Émile, ou De l'éducation (1762)

საშუალებას აძლევს დემოკრატიას."[6]იდეების მოდერნიზების პროცესმა, ისტორიულმა გამოცდილებამ, ღერძი მაინც უცვლელად შეინარჩუნა, ღერძი რომელიც მომავალი მეცნიერების ნააზრევშიც მოტორული მნიშვნელობისაა. ამას ადასტურებს სოციოლოგ **რალფ დარენდორფის** პოსტულატები-„იმისათვის, რომ დამკვიდრდეს კონსტიტუციური დემოკრატია და მმართველობის მოდელირების ფორმატმა მიაღწიოს წარმატებას, აუცილებელია გავყვეთ ევოლუციის სამსაფეხურიან პროცესს (1950-იანი წლები), რათა მივიღოთ სახელმწიფო ჯანსაღი და მმართველობის სისტემა შემდგარი: 1.კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, ეს არის „იურისტების საათი"; 2. საბაზრო ეკონომიკის შექმნა, სოციალური უსაფრთხოების ურუნველყოფა; 3. სამოქალაქო საზოგადოების, ანუ „ხელისუფლების ძირითადი წყაროს" შექმნას სახელმწიფოს გარეთ და უფრო ხშირად, სახელმწიფოს წინააღმდეგ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს არჩევნების როგორც მმართველობის ტესტის გამოყენება, როგორც თავდაცვის ბერკეტის.[7]მხოლოდ ამ შემთხვევაში სამართლებრივი პროცესის სრულყოფაზე დაყრდნობით ხდება სამოქალაქო კულტურული ფასეულობების წინა პლანზე წამოწევა, რაც საბოლოო ჯამში გვაძლევს იმას, რომ სახელმწიფო აცხადებს მზადყოფნას დაიცვას ადამიანის უფლებები, დემოკრატია, სამართალი და კანონი, კონსტიტუციონალიზმი და სამართლებრივი სახელმწიფო-ზოგადსაკაცობრიო და ინდივიდუალური ფასეულობები, ამ ღირებულებათა კანონიერ მფლობელს კი ცხადია უჩნდება ჯანსაღი ამბიცია მოითხოვოს ხელისუფლებისგან მათი უპირობო დაცვა, განახორციელოს კონტროლი მთავრობის საქმიანობაზე თუ რამდენად აღასრულებს ის უზენაესი კანონის პრეამბულასა და პრინციპებში დაფიქსირებული ჯანსაღი ნების ყოველდღიურობაში იმპლემენტაციას."[8]

**ძირითადი ნაწილი**

I. ***მმართველობის ფორმების ძიება და მსჯელობა ღირებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე- კანონებისა და ინსტიტუტების როგორი ნაზავი მოერგება ქვეყნის დემოკრატიზებას? (მოდელირების წარმატებულობა)***

თანამედროვე პოლიტიკური სისტემების იურიდიული ასპექტების გააზრება გვაძლევს საფუძვლიან მიზეზს ვიფიქროთ, რომ დემოკრატიზაციის მზარდი პროცესის ტენდენცია ისევ და უფრო მეტადაც მიმზიდველი, ერთგარი მიზნობრივი ორიენტირია სახელმწიფოთათვის. სწორედ აღნიშნულის მისაღწევად, ალტერნატიული კონსტიტუციური მოწყობების და ფორმების ძიება, საფრთხეებისა და უპირატესობების გააზრებით, წინარე გამოცდილებისა და ისტორიული

[6] Niccolò Machiavelli – "The prince" (1550 edition)

[7] ვ.შვარცი - კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში/ მთარგმნ:ქეთევან ალექსიძე; (თბილისი, 2004წ.) - გვ.115 და შემდგომნი

[8] „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები" (ნაწ. I) - რედაქტორები: ასბორნ ეიდე, კატარინა კრაუზე, ალან როსა. თარგმანი-ნანა ჯაფარიძე-ჭყოიძე - მე-2 განახლ. გამოცემა-(თბ.,2006წ.)

პერსპექტივების გათვალისწინებით, პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში მუდმივი განხილვის საგანია.[9] სწორი ანალიტიკური მუშაობის შედეგად შესაძლებელია შეირჩეს კლასიკური, ან ჰიბრიდული-სხვადასხვა ელემენტებით მოდიფიცირებული კონსტიტუციური მმართველობის მოდელი, რომელიც დაისახება სახელმწიფოს არქეტიპული მემკვიდრეობის, შედარებითი საზოგადოებრივი განვითარებულობის ხარისხის, ქვეყნის ზოგადი კურსის, სამართლებრივი ორიენტირების, პოლიტიკური კულტურის გათვალისწინებით. უნდა არსებობდეს საფუძვლიანი ვარაუდის მიღმივი ფიქციური სტანდარტი,[10] რომ აღნიშნული გაამართლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში დგება ცვლილების საჭიროება, რის წინაშეც საქართველო არაერთხელ დადგა.

მმართველობის მოდელებზე საუბარი იმ ვითარებაში იჩენს თავს, როდესაც დგება სახეზე იდეური შეუთავსებლობა სახელმწიფოებრიობასა და ელექტორატის კონცეპტუალურ არჩევანს შორის. ისტორიული გამოცდილებით (დაწყებული კონსტიტუციონალიზმის საფუძვლებიდან 1789/91/93 წლები საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია), ადამიანის უფლებათა დაცვის ლოზუნგით იწყება და ზოგადად ეროვნულ-გამანთავისუფლებელი, ხან ანტიტოტალიტარული-ანტიკომუნისტურია (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარი). დასავლური სახელმწიფო-ესაა იდეალი, რაც თანამედროვე საზოგადოებებს ესახებათ. ეროვნული, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აღდგენა ან შექმნა ფაქტობრივად საერთო-ეროვნულ პოლიტიკურ დოქტრინად იქცევა ხოლმე.

ხშირად მოვლენათა მიმდევრობა ცხადყოფს, რომ საზოგადოება მისი არჩევანის რეალიზაციისათვის მოუმწიფებელი და მოუმზადებელია. ძირითადად, კლასიკურ მმართველობის რეჟიმებთან შეუთავსებლობის მაღალი ხარისხით ხასიათდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (მეტ-ნაკლები თავისებურებებით), სადაც რუკის პოლიტიკური გადანაწილების გამო 200 წლის განმავლობაში ვერ განვითარდა სამოქალაქო ცნობიერება და ჯეროვნად ვერ ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი მოთხოვნილება დემოკრატიულ სახელმწიფო ინსტიტუტებზე.[11] XX საუკუნის 80-იანი წლებიდან გააქტიურებული სწრაფვა ეროვნული დამოუკიდებლობისა და პიროვნული თავისუფლებისაკენ გამოიხატებოდა არასასურველი პოლიტიკური რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობაში და არ გულისხმობდა რაიმე კონკრეტული სასურველი პოლიტიკური სისტემის შექმნას. იგულისხმებოდა, რომ რაც არასასურველს შეცვლიდა, ის სასურველი აღმოჩნდებოდა.[12]

[9] ჟურნალი სოლიდარობა #1 (22) - ხუან ხოსე ლინცი, დონალდ ჰოროვიცი, სეიმურ მარტინ ლიფსეტი. „აქვს თუ არა ინსტიტუტებს მნიშვნელობა?“ (Liberum arbitrum) გვ. 17-39

[10] ევროპული კომისია „დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით“ CDL (2010) 028, 15-16 ოქტომბერი 2010წ. www.venice.coe.int

[11] კონსტანტინე კანდელაკი, ვახტანგ ხმალაძე და სხვები (ავტორთა კოლექტივი) – “კონსტიტუციური სისტემები და კონსტიტუციური პროცესი საქართველოში (1995-2009წწ.) მისი განვითარების პერსპექტივა” – (თბილისი, 2010წ.) გვ.10 და შემდგომნი

[12] ჰ.შვარცი - კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში/ მთარგმნ:ქეთევან ალექსიძე; (თბილისი, 2004 წ.)

ხელისუფლების სადავეებისაკენ მომავალი ყოველი ახალი პოლიტიკური ლიდერისგან საზოგადოება მოითხოვდა ძველი, არასასურველი რეჟიმის დანგრევას და არ აყენებდა რამდენადმე მკაფიო მოთხოვნებს ახალი რეჟიმის თუნდაც კონტურების შესახებ. შესაბამისად საკუთარ უფლებებში თუ შესაძლებლობებში არასაკმარისად გათვითცნობიერებული ხალხი გამოთიშული აღმოჩნდა სადამფუძნებლო კონსტიტუციური პროცესიდან, თუ როგორი სახელისუფლებო მოდელით უნდა იმართებოდეს ქვეყანა და რითი უნდა იყოს უზრუნველყოფილი დემოკრატიული მმართველობის შეუქცევადობა და ადამიანის უფლებათა დაცვა. მრავალი ტერმინის დამკვიდრება („ხელისუფლებისა და ხალხის კონსტიტუციით შებოჭვა“ და „ხელისუფლების დანაწილება“) ისე დამკვიდრდა თანამედროვე განათლებული საზოგადოების ლექსიკაში, რომ მას რეალური შინაარსი არ შეუძენია.

### *II. საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის მოდელები. მაიდენტიფიცირებელი და განმასხვავებელი ნიშნები*

უპირველეს ყოვლისა, აღნიშვნის ღირსია, რომ მსოფლიოს სტაბილური დემოკრატიების უმეტესი ნაწილი საპარლამენტო სისტემებს წარმოადგენენ, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება საკანონმდებლო უმრავლესობიდანაა წარმოდგენილი. მოწესრიგების აღნიშნული არგუმენტი ეყრდნობა დემოკრატიის რუსოსეულ ინტერესის კონცეფციას, რომ დემოკრატიის პრინციპი „ხალხის“ იდეაზეა დაფუძნებული, შესაძლოა „ხალხის“ სახელით მოსაუბრედ ელექტორატის მიერ არჩეული ერთი ლიდერი მოვიაზროთ? ასე ინტერესებს ლეგიტიმურობა აკლია, ვინაიდან არსებობს პერსონიფიცირების მეტი ალბათობა.[13]აუცილებელია წარმომადგენლობა, რომელიც თანახმა იქნება აღასრულოს სახალხო ნება.“ თითქმის ასეთივეა ინტერესის ბრიტანული გაგება, რომლის თანახმად დემოკრატია ბუნებრივად მოიცავს ინტერესების შეჯახებას, რაც შესაძლოა საუკეთესოდ რეალიზდეს მასათა იდეურად შემხებლურ დაპირისპირებაში, საპარლამენტო სივრცეში არსებულ ჯგუფებს შორის. საპირისპირო მხარეს დგას საპრეზიდენტო დემოკრატია, რომელიც შემდგარად შესაძლოა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, როდესაც ამის საშუალებას სახელმწიფოებრივი პოლიტიკური კულტურა იძლევა-სამ საუკუნოვანი კონსტიტუციური უწყვეტობით ხასიათდება აშშ-ს საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა. [14]აღსანიშნავია, რომ შტატების გარდა ჩილემ მოახერხა შეენარჩუნებინა საპრეზიდენტო მმართველობა საუკუნე-ნახევრის განმავლობაში, თუმცაღა 1970-იან წლებში აღნიშნულის მცდელობა კრახით დასრულდა. კლასიკური საპარლამენტო მმართველობის მოდელი დემონსტრირებულია გერმანიისა და ფინეთის კონსტიტუციებში, საყურადღებოა პოლონეთისა და საფრანგეთის კონსტიტუციები, რომლებიც

---

[13] ფილიპ ლოვო - თანამედროვე დიდი დემოკრატიები/(მთარგმნელი მ. ბალავაძე, ნ.ცქიტიშვილი;სამეცნ. რედ. ვაჟა კეშელავა) - თბილისი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2002 წ. გვ 90 და შემდგომნი; ასევე - 126-140

[14] Loren J. Simons - Modern america and the religion of Democracy, 2002

უფრო ჰიბრიდული ხასიათის არიან, ვიდრე მყარი საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო მოდელები.[15] პარლამენტარიზმი პოლიტიკური პროცესის მოქნილობას უზრუნველყოფს, საპრეზიდენტო მმართველობა მას მყარ ხასიათს აძლევს. მეცნიერთა ნაწილი, რომლებიც საპრეზიდენტო მმართველობის სისტემის მხარდამჭერთა რიგებში არიან, მიუთითებენ რომ სისტემური სიმყარის შენარჩუნება უპირატესობაა, ვინაიდან იგი იცავს პროცესს არასტაბილურობისა და მოულოდნელობებისაგან.[16] მაგ. ის, რომ რიგით კანონმდებლებს ძალუძთ მიიღონ საკანონმდებლო ცვლილებები, ლიდერებმა განახორციელონ თანამდებობრივი გადაადგილებები და სხვ. მართალია ძალაუფლების ერთგვარი სიმყარე უპირატესობას ანიჭებს საპრეზიდენტო მმართველობას, მაგრამ არსებობს წინასწარ გაუთვლელი და მოულოდნელი გარემოებები, რამაც შესაძლოა საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა კრიზისამდე მიიყვანოს (პრეზიდენტის გარდაცვალება), პრემიერი კი უფრო მაღალი შესაძლებლობებით შესაძლოა შეცვლილი იქნეს პოლიტიკური და ყოველგვარი კრიზისების *გარეშე-კიდევ ერთი არგუმენტი კლასიკური პარლამენტარიზმის სასარგებლოდ, პროცესის ლაბილურობა.* ბრიტანელი პოლიტიკური მოაზროვნის უოლტერ ბეჯეთის აზრით, (XIXს.)-საპრეზიდენტო სისტემა უმაღლეს თანამდებობის პირს აღჭურავს როგორც „ცერემონიული", ისე „ქმედითი" ფუნქციებით (ვინაიდან სახელმწიფოს სახელდებული მეთაურია-მთავარი აღმასრულებელია), ამიტომ ქმნის აურას, ლიდერის ხატს რის გამოც მისი პერსონა ქვეყნის სიმბოლურ სახეს წარმოადგენს, ტრიუმფი და კოლაფსი მხოლოდ მასთანაა კავშირში. ეს კი განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებს პრეზიდენტს საპარლამენტო რეჟიმის მთავრობის მეთაურთან-პრემიერ-მინისტრთან მიმართებაში, იმისდა მიუხედევად თუ რაოდენ პოპულარული თუ ქარიზმატულია ეს უკანასკნელი. ასე, მაგალითად მიუხედავად იმისა, რომ **ამერიკული**[17] პრეზიდენტიალიზმი ერთი შეხედვით დომინანტ პრეზიდენტს გვთავაზობს თავისი ქარიზმატული სახით და პარტიული ფონით, ამერიკული კონსტიტუციონალიზმის თავისებურებად მიიჩნევა, რომ პრეზიდენტი ერთპიროვნულად არ შეიძლება იყოს საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი-პირობითად ეს შესაძლოა განახორციელოს მხარდამჭერი კონგრესმენის სტატუსის გავლით. ასევე საომარი მოქმედებების წამოწყებისას მას ესაჭიროება სენატის თანხმობა, ასევე პრეზიდენტს არა აქვს უფლება ვეტო დაადოს კონსტიტუციურ კანონპროექტს-მიუხედავად ზომიერად შეზღუდული უფლებამოსილებებისა, საზოგადოებრივი აზრი საპრეზიდენტო მოდელის სტტატიკურობიდან გამომდინარე, მისი ლიდერული ხატის ირგვლივ ტრიალებს. რაც შეეხება **რუსულ**[18] მოდელს, რომელიც შერაცხულია, როგორც ნახევრად-საპრეზიდენტო, პრეზიდენტი აქ მეტად ფართოდ

[15] I. Morris & K.Raaflaub (ed.), democracy 2500 questions and challenges, 1998
[16] ვოლფგანგ გაული - კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში, თბილისი, 2002 წ.
[17] ვასილ გონაშვილი - საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, თბილისი, 2008 წ. გვ.15
[18] Конституция России - http://www.constitution.ru/en/10003000-01.htm

პრივილეგირებულია, ქარიზმატულობა აქაც ცალსახად აუცილებელია, გარდა ამერიკულად კლასიკურისა, აქ პრეზიდენტი სხვა ფუნქციებსაც ითავსებს, მაგ. კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობას-შეუძლია შეაჩეროს ფედერაციის სუბიექტების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტების მოქმედება ამ აქტების რუსეთის კონსტიტუციასთან და ფედერალურ კანონებთან, საერთაშორისო ვალდებულებებთან წინააღმდეგობის ან ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში, ასევე მხოლოდ პრეზიდენტს მიუწვდება ხელი ფედერაციის სუბიექტთა სახელების შეცვლის თაობაზე ცვლილების მხრივ კონსტიტუციაში, გარდა ამისა მას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც. ასე, რომ საპრეზიდენტო მოდელები, პრეზიდენტის პორტრეტი და ქარიზმის საჭიროება, როგორც განსაწმენდელი კრიტერიუმისა, განსხვავდება ძირითადად ქვეყნის მენტალურ ბაზაზე ადაპტირებულობის კუთხით-კლასიკური მოდელი გარდაუვალი რეცეპტი არ არის, ქვეყანა თავისი საზოგადოებით, მკვეთრად გამოხატული ინდივიდია.

აღნიშვნის ღირსია ვთქვათ, რომ **პარლამენტარიზმისა** და **პრეზიდენტიალიზმის** შედარებისას ვიღებთ შემდეგს-პირველი უფრო შესაფერისია **სტაბილური დემოკრატიისთვის** (თუმცაღა არსებობს არასტაბილური პარლამენტარიზმის მაგალითები-აფრიკის ქვეყნები, სადაც დგას ეთნიკური წინააღმდეგობების გარემო), სადაც პოლიტიკური კულტურა მწიფეა საამისოდ. ეს მსჯელობა უფრო დიდი დოზით მიემართება სისტემებს, სადაც მულტიპარტიული ვითარებაა-პარლამენტარიზმი დემოკრატიზაციის პროცესს ამგვარად მეტად უზრუნველყოფილს ხდის. ანალიზის შედეგად ცხადი გახდა, რომ კონსტიტუციაში ფრაგმენტული ცვლილებების შეტანა, არც თუ საფუძვლიანი მუშაობა-არაპროდუქტიულია, საჭიროა ფუნდამენტური ცვლილება, რათა არ მივიღოთ ერთპალატიანი საპარლამენტო რესპუბლიკის ავტორიტარული ფორმატი.

### *III. ქართული საკონსტიტუციო სამართლებრივი კულტურა და დეფორმირებული მოდელები.*

საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის ისტორიის მანძილზე მმართველობის არაერთი ფორმის გამოცდა მოხდა-როგორც აღვნიშნეთ. ანალიზის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ 1921 წელს პირველი კონსტიტუცია ესადაგებოდა პარლამენტარიზმის ღირებულებით სისტემას, აქ არანაირი სახით არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი, ხოლო მისი ტრადიციული ფუნქციონალური ასპექტები ნაწილდებოდა ერთპალატიან პარლამენტსა და ერთი წლის ვადით არჩეულ პრემიერს შორის, თუმცაღა სამართლებრივი კულტურის თვალსაზრისით 1992 წლის 6 ნოემბრის „მცირე კონსტიტუცია" მეტყველებდა სამართლებრივი კულტურის დეგრადაციაზე, რაც არც იყო გასაკვირი იმდროინდელი ფონიდან გამომდინარე, აქ არ იყო ნახსენები ხელისუფლების დანაწილების რომელიმე კლასიკური მოდელი-ძნელია მისი ანალოგის მოძიება მსოფლიოში, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე სახელმწიფოს მეთაურიც იყოს-

კვაზიკონსტიტუციური აქტი მორგებული იყო პოლიტიკურ კონიუნქტურებზე. კონსტიტუციის არსებობის პირველსავე ეტაპზე მმართველობის ფორმად განისაზღვრა საპრეზიდენტო რესპუბლიკა. სახელმწიფოს მეთაური და აღმასრულებელი ხელისუფლების „მპყრობელი“ პრეზიდენტი, რომელიც იყო უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში. ის საზღვრავდა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურას, პარლამენტი კი ფორმალური დანიშნულებას ატარებდა მთავრობა მხოლოდ სათათბირო ორგანი იყო, პრეზიდენტი დომინანტი-დამოუკიდებელი პარლამენტისაგან, თავის მხრივ პარლამენტიც დამოუკიდებელი იყო პრეზიდენტისაგან, ვინაიდან მას არ შეეძლო დაეთხოვა ეს უკანასკნელი. **განსაკუთრებით საინტერესოა ზოგადად ქართული დეფორმირებული მმართველობითი მოდელების ფენომენი,** რაც იმთავითვე იჩენდა თავს-კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკისაგან განსხვავებული უფლებამოსილების მინიჭება პრეზიდენტს, რამაც სისტემა ეგოცენტრული პრეზიდენტით წარმოადგინა-კლასიკური საპრეზიდენტო მოდელისაგან განსხვავებით. პრეზიდენტი უფლებამოსილებათა მთელ დამატებით პაკეტს ფლობდა: საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მის მიერ შეტანილი კანონპროექტის რიგგარეშე განხილვის მოთხოვნის უფლება; პრომულგაციამდე ვეტოს უფლება; საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელისა და წარდგინების გამოყენების უფლება. ამ ერთგვარი „ველოსიპედებით“ საქართველოს პრეზიდენტი წარმოდგენილი იყო თითქმის სამრგოლოვან ლიდერად, რაც არადამახასიათებელია კლასიკური პრეზიდენტიალიზმისათვის. ასევე ძირეული განსხვავებით საპრეზიდენტო არჩევნებით-უგულებელყოფილი იქნა „პრაიმერიზი“, ვიცე-პრეზიდენტი, არ იქნა იმპლემენტირებული კონტრასიგნაციის სისტემა, რაც პასუხისმგებლობის და უფლებამოსილებათა გამიჯვნის მექანიზმია. პრეზიდენტის პასუხისმგებლობას კონსტიტუცია იმპიჩმენტით ითვალისწინებდა. 2004 წლამდელი კონსტიტუციის ანალიზის შედეგად აღვნიშნავთ, რომ სრულად იყო დეფორმირებული კლასიკური პრეზიდენტიალიზმი, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. ასევე აღმოჩნდა, რომ საქართველო ერთადერთი საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყო ევროპაში სუპერპრეზიდენტით, რომელიც სრულად აკონტროლებდა ხელისუფლების სამივე რგოლს და რომელმაც ამდენად ვერ გაამართლა, დაიწყო ახალი ღირებულებითი სისტემის ძიება.

2004 წლის საქართველოს კონსტიტუციური კანონით მხარი დაეჭირა მმართველობის ამ უკანასკნელ-ჰიბრიდულ ფორმას-ცვლილებები შეეხო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სისტემას, სახელმწიფო მმართველობის ფორმას-შემოღებული იქნა მმართველობის იმგვარი ფორმა, რომლის კონცეფცია მოცულია ე.წ. **ფრანგული** მოდელით, სადაც წარმოდგენილია მმართველობა ორი ძლიერი სტრუქტურული ერთეულით-პრეზიდენტითა და მთავრობით, რომელთა შრეებზე ფუნქციები არათანაბრად ნაწილდება. 1992 წლის ცვლილების თანახმად საფრანგეთის კონსტიტუციამ არაპირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნებიდან არჩევანი გააკეთა პირდაპირ

არჩევნებზე, რამაც ის კიდევ უფრო დააშორა კლასიკურ პარლამენტარიზმს,[19] მნიშვნელოვანი თავისებურებაა პრეზიდენტის ფართო შემხებლობა რეფერენდუმის თემასთან. პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს მხოლოდ პარლამენტის ქვედა პალატა-ეროვნული კრება, მხოლოდ პრემიერთან და პალატების თავმჯდომარეებთან კონსულტაციის შემდეგ. ასე რომ, ეს სფერო დაცულია პრეზიდენტის პერსონიფიცირებული როლისაგან. საინტერესოა კონტრასიგნაციის ჰიბრიდული მოდელი, სადაც პრეზიდენტი პასუხისმგელობის დელეგირებას ახდენს პასუხისმგებელ (თემატურ) მინისტრზე, ან პრემიერზე. გაქართულებული ფრანგული მოდელის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ პრეზიდენტმა საპრეზიდენტო მოდელით მინიჭებული ყველა უფლება შეინარჩუნა, ზოგი მათგანი კი კიდევ უფრო გაიმყარა, შეიძინა სანქციები დამატებით პარლამენტთან მიმართებაში.[20] თუ კრიტიკულად მივუდგებით ამ მოდელისთვის დამახასიათებელია პრემიერის სტატუსით ერთგვარი მანიპულირება, რომელიც პრეზიდენტის პასუხისმგებლობის ფარად მოგვევლინა, გაფართოვდა 73-ე მუხლი, მის ირიბ დისკრეციაში შევიდა სამი ძალოვანი მინისტრის გადაყენების უფლება(საჭიროებისას), პრეზიდენტს შემორჩა ადმინისტრაციული და კონსტიტუციური იუსტიციის განხორციელების კომპეტენცია, რაც ნეგატიურ შეფასებას იმსახურებს და აკნინებს კონსტიტუციური მართლმსაჯულების როლს. მთავრობამ კი მაინც მნიშვნელოვანი სტატუსი შეიძინა, სახელისუფლებო დამოუკიდებელ შტოდ ჩამოყალიბების შანსი გაუჩნდა. კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი-„მთავრობა უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას". სწორედ ამ მიზეზით, კიდევ ერთხელ დაიწყო ახალი ღირებულებითი სისტემის აქტიური ძიება, რამაც მიგვიყვანა 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით ცვლილებების შეტანის შედეგამდე(მოქმედი რედაქცია) შერეული მმართველობის იმგვარ მოდელზე გადანაცვლდა, რომელიც უხვადაა გაჯერებული საპარლამენტო რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი ელემენტებით, თუმცა კლასიკურ მოდელს არც ამ შემთხვევაში აქვს ადგილი, მაგ: ისევ აქტუალურია საპარლამენტო მმართველობის პრეზიდენტისთვის ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხის მიკუთვნების ფორმად პირდაპირი არჩევნები, კლასიკური პარლამენტარიზმის იმამენტური ნიშანი კი შემდეგია-პრეზიდენტია, რომელიც აირჩევა არაპირდაპირ პარლამენტის ან სპეციალური წარმომადგენლობითი კრების მიერ. ამ იდეის მხარდაჭერა და პრაქტიკაში იმპლემენტაცია ვერ მოახდინა ქართულმა მართლშეგნებამ. ასევე ამგვარი ფორმა დამკვიდრებულია იგივე ბულგარეთში, სლოვენიაში, ავსტრიაში. ამას განაპირობებს კულტურული ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია წინარე ისტორიული განვითარების თავისებურებებთან, როგორც მოგეხსენებათ, მათით რთულია მანიპულირება. ისე კი, საარჩევნო სისტემის და კონსტიტუციური მოწყობის მოდიფიკაციაზე მათ

[19] ო.მ ელქაძე - „კონსტიტუციონალიზმი, თეორიის საკითხები" თბილისი, 2005 წ.

[20] ავტორთა კოლექტივი, საცნობარო სახელმძღვანელო - „საქართველოს კონსტიტუცია და 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა."თბილისი, 2010 წ.

უნდა გადაიტანონ ყურადღება, ვინც ცდილობს, გააძლიეროს დემოკრატია.დამატებითი განმარტებისთვის ღირსია აღვნიშნოთ, რომ არსებობს განსხვავებული თეორიები საპარლამენტო მმართველობის კუთხით, რაც კავშირშია კლასიკური პარლამენტარიზმის მოდელირებასთან. დუალისტური თეორია- კლასიკური ანუ დუალისტური თეორია ეყრდნობა ხელისუფლებების თანასწორობის და თანამშრომლობის პრინციპს, ანუ პარლამენტსა და სახელმწიფოს მეთაურს შორის თანასწორობის პოსტულატს, რომელთა წინაშეც მთავრობაა პასუხისმგებელი, რომლის დაკომპლექტების პროცედურები სახელმწიფოს მეთაურის გარეშე როგორც წესი არ ჩაივლის. ეს არის თეორია „ხელისუფლებებს შორის გარკვეულ კავშირის თაობაზე“[21]. ამ თეორიის თანახმად, თუ მოხდება გადაჭარბებით პარლამენტარიზმში უფლებამოსილებებში ჩარევა, შეუძლებელი გახდება მისი გარჩევა კონვენციონალური მმართველობისაგან, ამდენად ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო იმისათვის, რომ არ მოხდეს დადგეს მოდიფიცირებული პარლამენტარიზმის ტირანია-უფლებამოსილებათა მკაფიო აღრევით. კლასიკურ პარლამენტარიზმში მთავრობა ორმაგ სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს-პარლამენტისა და სახელმწიფო მეთაურის.[22] საპარლამენტო რეჟიმის კრიტერიუმად ითვლება ორი ელემენტის შერწყმა-აღმასრულებელი ხელისუფლების ორად გაყოფა და მთავრობის პასუხისმგებლობა არჩეული ასამბლეის წინაშე, ხოლო დათხოვნის უფლება ძალიან ხშირიც კი, არ არსებობს ჭეშმარიტად საპარლამენტო რეჟიმებში და ვერ ჩაითვლება განსაზღვრის აუცილებელ ელემენტად. ითვლება, რომ სამთავრობო პასუხისმგებლობა არჩეული ასამბლეის წინაშე-პარლამენტარიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია. ეს მექანიზმი ერთდროულად მოიცავს საზოგადოებრივ და მატერიალურ ასპექტებს. როცა ხალხის ნება უდრის პარლამენტართა ნებას, ეს უკვე შედეგად იძლევა წარმომადგენლობით დემოკრატიას. ქართული სახალმწიფო მმართველობის მოდელი ცდილობს დაუახლოვდეს დუალიზმის იდეას და კომპეტენციატა მეტ-ნაკლებად მკვეთრი გამიჯვნით არ აღრიოს სხვადასხვა ორგანიზაციული პრეროგატივები. ამდენად, ახალი მოდელით მთავრობა ჩამოყალიბდა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ და განისაზღვრა აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებლობა, ის ანგარიშვალდებული მხოლოდ პარლამენტის წინაშეა, რითაც პარლამენტი დუალიზმში ცხადია უხეშად არ ერევა, მხოლოდ იჭერს ტავის ღირსეულ ნიშას. მთავრობამ კანონპროექტის წარდგენის ექსკლუზიური უფლებამოსილება მოიპოვა, პრეზიდენტის თანხმობის გარეშე. მთავრობის ფორმირება საპარლამენტო საფუძველზე ხდება. ამ ასპექტში კიდევ ერთი დადებითი ტენდენცია გამოიკვეთა, თუ პარლამენტი ორ მცდელობაზე ვერ დაამტკიცებს მთავრობას, მაშინ პრეზიდენტი დეპუტატთა ორი მეხუთედის მიერ შეთავაზებულ კანდიდატურას წარადგენს დასამტკიცებლად და მხოლოდ მას შემდეგ დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს

[21] G.Burdeau. Le regime parlamentaire dans les constitutions europeannes D'apre's guerre, Paris 1932 p.84

[22] ფილიპ ლოვო - პარლამენტარიზმი /Le Parlamentarizme/; რედაქტორები: ვაჟა კეშელავა, მალხაზ მაცაბერიძე; მთარგმნელები: მ. ბალავაძე, ნ. ცქიტიშვილი. (თბილისი, 2005 წ.) გვ. 34 და შემდგომნი

რიგგარეშე არჩევნებს, თუ ვერც მესამე ცდაზე მოხერხდა მთავრობის ნდობის გამოცხადება. პრეზიდენტი გადანაცვლდა არბიტრის, უმაღლესი მთავარსარდლის და საგარეო ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმომადგენლის ფუნქციებით აღიჭურვა, რაც ასეა გერმანიის კონსტიტუციაში. მოხდა მისი დისტანცირება, ცვლილებამ შეავსო ვაკუუმი, რაც უკავშირდებოდა პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტას და ეს საკითხი დაუკავშირდა ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებას. ხაზი გაესვა მისი ნეიტრალური არბიტრის როლს. მნიშვნელოვნად შეიკვეცა მისი უფლებები საკადრო სფეროში, პრეზიდენტი დისტანცირდა საბიუჯეტო პროცესისაგან. პრეზიდენტმა შეინარჩუნა დისკრეციული უფლებები, თუმცა დაკონკრეტდა პარლამენტის ჩართულობის საჭიროება თანხმობით. მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო იუსტიციის განხორციელების უფლებამოსილების ჩამორთმევა. მნიშვნელოვანი დანამატი იყო პარლამენტარიზმის კიდევ ერთი ნიშნის შემოტანა-კონსტრასიგნაციის ინსტიტუტი. საქართველოს კონსტიტუციაში ეს პასუხისმგებლობის გადაცემის მომენტად ითვლება, კლასიკური პარლამენტარიზმის გერმანიაში კი ეს უფლებამოსილებათა გამიჯვნის საფუძველია(კონტრასიგნატორი მინისტრი ან კანცლერი). მოხდა პარლამენტარიზმის კიდევ ერთი არსებითი ნიშნის დამკვიდრება კონსტიტუციაში-მას გაუჩნდა შესაძლებლობა გადააყენოს მთავრობა.

**დასკვნა -** ***მოსაზრებები ქართული სახელმწიფო მმართველობის ფორმის პერსპექტივებზე***

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დასკვნითი რეზიუმეს სახით მივუთითებთ, რომ სასურველი იქნება კლასიკური პარლამენტარიზმისთვის მახასიათებელი ელემენტების იმპლემენტაცია ქართულ სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემაში. **გერმანული**[23] **საპარლამენტო რესპუბლიკის** მოდელის კვლევის შედეგად უნდა აღინიშნოს იმ უპირატესობებზე, მთავრობასა და პარლამენტს შორის ურთიერთთანამშრომლობის სწორი მექანიზმების მოძიება-საკონტროლო საქმიანობის განხორციელება ნორმატიულ დონეზე გაწერა და დაკონკრეტება. მთავრობის გაკონტროლების მექანიზმი ოპოზიციური ძალების ხელში მეტად მნიშვნელოვანია, რათა ხარვეზები არ მიიჩქმალოს პარტიული ინტერესების იქით. საკონტროლო ხერხები, როგორიცაა კითხვა, შეკითხვა, სამთავრობო საათი უფრო ქმედითი გახდეს და გაჩნდეს მათთან დაკავშირებული ნორმატიული რეგულაციები; დადებითი ტენდენციაა გერმანიის კონსტიტუციის ანალოგიური ინსტიტუტის გადმოღება, კონტრასიგნაციის ფორმა-საპრეზიდენტო აქტების კომპეტენტური მინისტრის მიერ კონტრასიგნაცია, რის შემდეგად პასუხისმგებლობა მასვე უნდა

[23] Germany Constitution - *{ Adopted on: 23 May 1949 } { Last amended on: 11 July 2012 } { Official name: The Basic Law (Grundgesetz) } { ICL Document Status: 8 Oct 2013 };* http://www.servat.unibe.ch/icl/gm00000_.html

ეკისრებოდეს; საპარლამენტო რესპუბლიკებში მეტი დემოკრატიზაციისა და პროცესის მოქნილობისათვის პარლამენტის საგამოძიებო კომისიებისთვის ოპოზიციური ძალების წარმომადგენლების მიერ ხელმძღვანელობა, რაც გერმანული კონსტიტუციონალიზმის თეორიასა და პრაქტიკაში რეალიზებული ინსტიტუტია; საპარლამენტო მოდელის დაგეგმარების და ამუშავებისთვის სასურველია გადაიხედოს ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილების და ტერიტორიული მოწყობის პრინციპები, რეგიონალიზმის მინიმალურ სტანდარტებზე გადასვლა საიმისოდ, რომ შეიქმნას პარლამენტის ზედა პალატა. ბიკამერალური პარლამენტი უნიტარულ რესპუბლიკაშიც წარმატებით ფუნქციონირებს. სასურველი იქნება, თუ გაკეთდება გერმანიის კონსტიტუციის მსგავსი დათქმა, რომლის თანახმად არ შეიძლება გადაისინჯოს კონსტიტუციით აღიარებული პრინციპები: ქვეყნის მოწყობა, ხელისუფლების დანაწილება, დემოკრატიის, სამართლებრივი, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი. ჩემი აზრით ამგვარი მიდგომა და მსგავსი პრინციპების კონსტიტუციის ხარისხში დაცულობა მეტ გარანტირებულობას ჰპირდება დემოკრატიისთვის მახასიათებელ ინსტიტუტებს. კონსტიტუციონალიზმი პოლიტიკური ინსტიტუტების იურიდიული ასპექტების განმსაზღვრელია (მორის დიუვერჟე)[24] და კონსტიტუციური სამართლის ორიენტირია ურთიერთობები, რომლებიც ეხება პოლიტიკური ხელისუფლების ჩამოყალიბებას, განხორციელებასა და გადაცემას(მარსელ პრელო)[25], მაგრამ ამ პროცესის კონსტრუქციულად წარმართვა ხელისუფლების პირდაპირი და გარდაუვალი ვალდებულებაა-წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შედგება მყარი კონსტიტუციური მმართველობა. ძირითადი არსი, რასაც აღნიშნული ნაშრომი ემსახურება არის ის, რომ ერთადერთ და განუმეორებელ პერსპექტივად დასახოს საზოგადოებრივი აზროვნების და მენტალიტეტის მომწიფება სამართლებრივი წინსვლისათვის-ეს საუკეთესო საფუძველიცაა და პერსპექტივაც.

## გამოყენებული ლიტერატურა

### ქართულენოვანი ლიტერატურის ბიბლიოგრაფია

1. გაული, ვ. (2002). კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში, თბილისი.
2. გონაშვილი, ვ. (2008). საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, თბილისი.
3. დემეტრაშვილი, ა., კობახიძე, ი. (2008). კონსტიტუციური სამართალი.
4. ეიდე, ა.; კრაუზე, კ., როსა, ა. (2006). „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები“ (ნაწ. I) - თარგმანი-ნანა ჯაფარიძე-ჭყოიძე - მე-2 განახლ. გამოცემა, თბ.,
5. კანდელაკი, კ. ხმალაძე, ვ. და ავტორთა კოლექტივი – "კონსტიტუციური სისტემები და

---

[24] იხ.ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე კონსტიტუციური სამართალი 2008წ. გვ.12 სქ.Mauris Douverger,Institutions politiques et droit constitutionnel. Paris 1990 p.14
[25] იხ, იგივე სქ.2-precis de droit constitutionnel, par Marsel Prelot, Paris, 1995, p.12

კონსტიტუციური პროცესი საქართველოში (1995-2009წწ.) მისი განვითარების პერსპექტივა" – (თბილისი, 2010).

6. ლინცი ხუან ხოსე, ჰოროვიცი დონალდ,ლიფსეტი სეიმუნ მარტინ - „აქვს თუ არა ინსტიტუტებს მნიშვნელობა?" (Liberum arbitrum)ჟურნალი „სოლიდარობა" #1 (22)
7. ლოვო ფილიპ - თანამედროვე დიდი დემოკრატიები/(მთარგმნელი მ. ბალავაძე, ნ. ცქიტიშვილი; სამეცნ. რედ. ვაჟა კეშელავა) - თბილისი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2002წ.
8. ლოვო ფილიპ - პარლამენტარიზმი /Le Parlamentarizme /; რედაქტორები: ვაჟა კეშელავა, მალხაზ მაცაბერიძე; მთარგმნელები: მ. ბალავაძე, ნ. ცქიტიშვილი. (თბილისი, 2005).
9. მელქაძე ო.- „კონსტიტუციონალიზმი, თეორიის საკითხები" თბილისი, 2005.
10. შვარცი ჰერმან - კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში/ მთარგმ:ქეთევან ალექსიძე; (თბილისი, 2004).
11. ავტორთა კოლექტივი, საცნობარო სახელმძღვანელო - „საქართველოს კონსტიტუცია და 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა." თბილისი, 2010.

**უცხოენოვანი ლიტერატურის ბიბლიოგრაფია**

12. Burdeau G.. Le regime parlamentaire dans les constitutions europeannes D'apre's guerre, Paris 1932 p.84
13. Laselett Ed Peter, (Cambridge: Cambridge University Press, 1991);
14. Locke John, "The Second Treatise of Government" in Two Treatises of Government (London, 1690);
15. Machiavelli Niccolò – "The prince" (1550 edition);
16. Morris I. & K.Raaflaub (ed.), democracy 2500 questions and challenges, (1998);
17. Rousseau Jean-Jacques - Émile, ou De l'éducation (1762);
18. Sajó András - LIMITING GOVERNMENT An Introduction to Constitutionalism (1999) by Central European University Press
19. Simons Loren J. - Modern america and the religion of Democracy, 2002
20. THE FEDERALIST PAPERS-"PUBLIUS"(NEW YORK NEWSPAPER 1787-1788) federalist # 2 John jay 31 October 1787

**ინტერნეტ-რესურსები:**

21. Germany Constitution - *{ Adopted on: 23 May 1949 } { Last amended on: 11 July 2012 } { Official name: The Basic Law (Grundgesetz) } { ICL Document Status: 8 Oct 2013 };* *http://www.servat.unibe.ch/icl/gm00000_.html*
22. ევროპული კომისია „დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით" CDL (2010) 028, 15-16 ოქტომბერი 2010 წ. www.venice.coe.int
23. Конституция России - http://www.constitution.ru/en/10003000-01.htm

# სახელმწიფო მმართველობის ფორმა - შედარებითი კვლევა

*ინგა კობახიძე*
მაგისტრანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

**აბსტრაქტი**

**მიზანი** - კვლევის მიზანია გამოარკვიოს მმართველობის ფორმის თავისებურებები, მათი კლასიფიკაცია მსოფლიო მასშტაბით, მოახდინოს ანალიზი სხვადასხვა ასპექტებისა და განიხილოს მმართველობის მოდელების ცვალებადობა ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. იმსჯელოს ქვეყნის რეალურ საჭიროებებზე და ხაზი გაუსვას სახელმწიფოში წარმომადგენლობითი დემოკრატიის როლს სუვერენიტეტისა და ევროპეიზაციის პროცესში.

**სტრუქტურა, მეთოდოლოგია, მიდგომა** - თემის სტრუქტურა შედგება ზოგადი დებულებების განხილვის, კონკრეტული და დასკვნითი ნაწილებისაგან, კვლევა აგებულია შედარებითი და ანალიტიკური და ისტორიული კვლევის მეთოდებზე, წარმოჩენილია კრიტიკული და პროდუქტიული მიდგომები.

**დასკვნები** - სამეცნიერო მოკვლევის დასკვნაში ნაჩვენებია მიმოხილვისა და საკითხის სიღრმისეული შესწავლის შედეგად მიღებული შედეგები, სამომავლო ხედვა და პერსპექტივები, რაც პრობლემური ასპექტების აღმოფხვრაზეა ორიენტირებული - ფუნდამენტური და ძირეული ცვლილებების შეტანა კონსტიტუციაში და არა ფრაგმენტული სამუშაოების წარმოება, რაც არყევს კონსტიტუციის, როგორც უზენაესი აქტის რეპუტაციას.

**კვლევის შეზღუდვები, გავლენა** - უმთავრესი სისუსტე კვლევის პირობებში არის ის, რომ ქართულმა რეალობამ გამოსცადა მმართველობის თითქმის ყველა ფორმა და ვერც ერთი მათგანზე ვერ მოახდინა სტაბილური ადაპტირება. ძირითადი დატვირთა სტატიისა მდგომარეობს იმაში, რომ ავტორი მხარს უჭერს საზოგადოებრივი კონსესუსის ფონზე ფუნდამენტალური და უკანასკნელი ცვლილების განხორციელებას კონსტუტუციაში, ცვლილების შეტანის გართულებას და ამით კონსტიტუციის შესაბამის რანგში აყვანას.

**ღირებულება** - სტატიის ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ ის კომპლექსურად და სინთეზურად მიმოიხილავს მსოფლიოში სხვადასხვა სამართლებრივი სისტემისა და კულტურის მქონე ქვეყნებში არსებულ მმართველობის ფორმების დიფერენციაციის მაკვალიფიცირებელ ფაქტორებს, ქვეყნების თვისობრივ მახასიათებლებს, სოციუმის მიდგომებსა და მენტალურ მდგომარეობას. ცდილობს პარალელების ფონზე გამოკვეთოს კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმა ქართული სოციალური სივრცისთვის სათანადო მმართველობის ფორმად.

# Forms of Government – Comparative Research

*Inga Kobakhidze*
MA Student
Caucasus university

## Abstract

**Purpose** – This research aims to identify the characteristics of the forms of government, their classification throughout the world. It analyses the various aspects of governance models and considers the variability of government forming experience in Georgian history of constitutionalism. It tries to find out the real necessities of Georgia and accents the role of representative democracy and sovereignty in the process of Europeanization**.**

**Design, methodology, approach** - The structure consists of a topic-discuss in general terms, Thematic part and the final sections, the research is based on comparative and historical research and analytical methods, it includes some critical and productive approaches.

**Findings** - Scientific research has shown the conclusion of the review and study of the deeply obtained results, future prospects, which eliminate the problem-oriented aspects - fundamental and radical changes to the constitution and not fragmented activities, which undermine and humiliate the reputation of constitution and the name of the supreme act of country.

**Research limitations, implications -** The main weakness of the study is that the reality, that was experienced by the Georgian government and society actually, was almost expressed in every form of government and each one has failed and has not been adapted to stability. The spotlight from the author's standpoint is that she supports a public consensus and the last fundamental changes in the Constitution enforce the last amendment about complication of implement changes and thus the rank-taking of the Constitution.

**Value** - The value of the study lies in the fact that it is a complex synthesis and highlights of the different legal systems and cultures of the countries around the form of differentiation of qualifying factors of the characteristic features of the government form, social attitudes and mental state. It is trying to identify parallels from Georgian interests to the classic parliamentary republic type of government as a proper form of government for Georgian society**.**

## რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში განათლების გავლენა სტუდენტი-ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე



**სოფო ამისულაშვილი**

მაგისტრანტი

საქართველო  ძლიერი კულტურული იდენტურობის ქვეყანაა. ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების გავლენა აისახება, მოსახლეობის რეპროდუქციული განათლებისა და ჯანმრთელობის დონეზე. თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, ყურადღების გამახვილება, მეტად პრობლემატურ საკითხზე, როგორიცაა: „რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში განათლების გავლენა სტუდენტი-ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე“.

**პრობლემის აქტუალურობა**

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოზარდთა და ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვა, ეროვნულ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგნეს.მრავალრიცხოვანი კვლევებით გამოვლინდა, რომ მოსახლეობის რეპროდუქციული ჯანმრთელობა 21-ე საუკუნის ერთ-ერთ გამოწვევად რჩება.

გარემოში მიმდინარე პროცესებს ახალგაზრდობა შეცვლილი, განსხვავებული რეპროდუქციული ქცევით პასუხობს. აღნიშნული განპიროებულია იმით, რომ ახალგაზრდებს შორის ჭარბობს ლიბერალური დამოკიდებულება სარისკო ქცევების  მიმართ.

რეპროდუქციული ჯანმრთელობა და დაუცველი სქესობრივი ურთიერთობები, ახალგაზრდების ავადობის ტვირთის განმსაზღვრელი რისკების სტრუქტურაში მეორე ადგილზეა. აღნიშნულიდან გამომდინარე კვლევისთვის არჩეული თემის აქტუალურობა ეჭვს არ იწვევს.

გლობალურად 15-19 წლის ასაკის, ყოველ 1000 გოგონაზე 49 მშობიარე მოდის.  მსოფლიოში ახალგაზრების რაოდენობა 1 მილიარდზე მეტია, ყოველი 6 ადამიანიდან 1 ახალგაზრდაა (საქართველოს მთავრობის 2012წ. 17 აგვისტოს N1608 დადგენილების მიხედვით ახალგაზრდა „განმარტებულია“, როგორც 14-25 წლის პირი.

## კვლევის მიზანი

- რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ სტუდენტი - ახალგაზრდობის ცოდნა-დამოკიდებულების შეფასება.
- რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართ ახალგაზრდების ყურადღების გამახვილება და მათი ინფორმაციის დონის ამაღლება.

## კვლევის ამოცანები

- ახალგაზრდების რეპროდუქციული ჯანმრთელობის თაობაზე უახლესი ინფორმაციის მოძიება და ანალიზი.
- ახალგაზრდების რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ უცხოეთის ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შედეგების გაცნობა.
- რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართ სტუდენტი-ახალგაზრდობის ცოდნა-დამოკიდებულების შესწავლა.

კვლევაში მონაწილეობდა 540 სტუდენტი, შეივსო შესაბამისი რაოდენობის კითხვარი, რომლის შედეგებსაც განვიხილავთ ეტაპობრივად.

კვლევის პერიოდი (21.10.2016 - 14.11.2016).

**კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა მახასიათებლები** - კვლევაში მონაწილეობდნენ 17-დან 31-წლამდე ახალგაზრდები, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ 17-21წლის სტუდენტები. გამოკითხულთა რაოდენობა სქესის მიხედვით თითქმის თანაბარია, სტუდენტთა უმრავლესობა განათლებით ბაკალავრი და უმუშევარია. რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარ ჯანმრთელობას აფასებს, როგორც კარგს და არ აღნიშნავს რაიმე სახის უნარშეზღუდულობას.

რესპოდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ არ გააჩნია საკმარისი ცოდნა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში და მიაჩნია, ინფორმაციის ნაკლებობა და უცოდინრობა მათი ჯანმრთელობისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

სტუდენტთა ინფორმატიულობა რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ (კონტრაცეპცია, აბორტის ოპერაციის საკანონმდებლო რეგულირება). გამოკითხულთა 44%-ს არ სმენია რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. 21-ე საუკუნეში, გამოკითხულთა 52%-ს არაფერი სმენია კონტრაცეპციის შესახებ.







თუმცა უმრავლესობამ იცის ხელოვნური აბორტის საკანონმდებლო რეგულირება. ყოველივე ზემოაღნიშნული კი სრული კატასტროფაა, რადგან ჩვენს რეალობაში, ინფორმაცია აბორტის საკანონმდებლო რეგულაციის შესახებ უმრავლესობისთვის ცნობილია.




გამოკითხულთა უმრავლესობას სმენია აივ/შიდსის ინფექციის შესახებ, თუმცა ზუსტად არ იცის მისი გავრცელების გზები (ჰაერ-წვეთოვანი, კოცნა, სქესობრივი კავშირი, ინფიცირებულ სისხლთან ექსპოზიცია) და განკურნების შესაძლებლობა, სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ მკვეთრად აისახება მოსახლეობაზე სტიგმა – „შიდსი აქვს მოვერიდოთ“...









გამოკითხულთა შეხედულებები სქესობრივი ცხოვრების დებიუტისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ დამაფიქრებელია. გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობ, რომ სქესობრივი კავშირი უნდა დაიწყოს გარდატეხის ასაკიდან, ეტაპობრივად ბავშვობიდან, თუმცა მათი ნაწილი თვლის, რომ სქესობრივი განათლება საერთოდ არ არის საჭირო. რესპოდენტთა უმეტესობა ინფორმაციის მიწოდების ძირითად წყაროდ თვლის ტელევიზიასა და სამედიცინო ლიტერატურას. სამწუხაროდ, გამოკითხულ სტუდენტებს სამედიცინო პერსონალის ჩართულობა მნიშვნელოვნად არ მიაჩნიათ. აღნიშნული მიანიშნებს ნდობის ნაკლებობაზე.









## დასკვნა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხული სტუდენტების ცოდნა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში მინიმალურია. რესპოდენტთა 52% არ ფლობს ინფორმაციას კონტრაცეპტივების თაობაზე, რაც საფრთხეს აყენებს მათ ჯანმრთელობას (დაუცველი სქესობრივი კავშირები და სგგდ გავრცელების საფრთხე).

გამოკითხულთა 65%-მა იცის აბორტის ოპერაციის საკანონმდებლო რეგულაციის შესახებ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საჭიროების შემთხვევაში თავისუფლად მიმართავენ, ამ ჯანმრთელობისთვის მეტად სახიფათო ოპერაციას.

გამოკითხულთა 19%-ს არაფერი სმენია აივ/შიდსის შესახებ, რესპოდენტთა 37% არ ფლობს ინფორმაციას შიდსის გადაცემის გზების შესახებ, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას.

საქართველოში რეპროდუქციული განათლების მინიმალური დონე სახიფათო ზღვარს უახლოვდება. რეპროდუქციული ჯანმრთელობის განათლების გავლენა სამომავლოდ აისახება სტუდენტთა ჯანმრთელობის მაჩვენებელზე.

## რეკომენდაციები

რეპროდუქციული განათლების დონის გაუმჯობესებით მკვეთრად გაიზრდება კონტრაცეფციის მეთოდების სწორად გამოყენება. შემცირდება ხელოვნური აბორტების რიცხვი. ახალგაზრდა თაობა მიიღებს შესაბამის ინფორმაციას თუ როგორ იცხოვრონ სქესობრივად სწორად და როგორ აირიდონ სქესობრივად გადამდები დაავადებები.

უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ჯანდაცვის სისტემის გააქტიურება, რომელიც მიმართული იქნება მოზარდთა რეპროდუქციული განათლების დონის ამაღლებაზე.

## ბიბლიოგრაფია


1. Alan Guttmacher Institute (1999). Sharing Responsibility: Women, Society and Abortion Worldwide. New York,NY: The Alan Guttmacher Institute.
2. Bongaarts J (1991). The KAP-Gap and the Unmet Need for Contraception. Population and Development Review.
3. Cates W, Jr. (1982). Legal abortion: The public health record. Science; 215(4540):1586-1590.
4. Chanturidze T, Ugulava T, Durán A, Ensor T, Richardson E (2009). Georgia: Health System Review. Health Systems in Transition; 11(8):1–116.
5. Hatcher RA, Trussel J, Stewart F, Nelson AL, Cates W, Stewart GK, Guest F, Kowal D (2004). The Essentials of Contraception: Efficacy, Safety, and Personal Considerations. In: Contraceptive Technology, 18th edition. New York, NY (USA): Ardent Media.
6. Popov AA, David HP (1999). Russian Federation and USSR Successor States: Sex and Society. In: From Abortion to Contraception: A Resource to Public Policies and Reproductive Behaviors in Central and Eastern Europe from 1917 to the Present (David HP, ed.). Westport, CT: Greenwood Press.
7. U.S. Agency for International Development (USAID) Georgia, 2009. Tuberculosis Profile. Tbilisi, Geogia, USAID.
8. WHO (2006). Global strategy for the prevention and control of sexually transmitted infections: 2006-2015.

# რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში განათლების გავლენა სტუდენტი-ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე

*სოფო ამისულაშვილი*
მაგისტრანტი

*ვახტანგ სურგულაძე*
თანაავტორი, კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის დეკანი

კავკასიის უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

**კვლევის მიზანი** - რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ სტუდენტი - ახალგაზრდობის ცოდნა-დამოკიდებულების შეფასება, რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართ ახალგაზრდების ყურადღების გამახვილება და მათი ინფორმაციის დონის ამაღლება.

**კვლევის ამოცანები** - ახალგაზრდების რეპროდუქციული ჯანმრთელობის თაობაზე უახლესი ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, ახალგაზრდების რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ უცხოეთის ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შედეგების გაცნობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართ სტუდენტი-ახალგაზრდობის ცოდნა-დამოკიდებულების შესწავლა.

**სტრუქტურა / მეთოდოლოგია / მიდგომა** - აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო , კავკასიის უნივერსიტეტის 540-მა სტუდენტმა. კვლევაში მონაწილეობდნენ ბაკალავრები, მაგისტრანტები და დოქტორანტები. გამოკითხულმა სტუდენტებმა უპასუხეს შესაბამის კითხვებს, რომელიც ასახულ იქნა ცხრილებზე და განვიხილავთ ეტაპობრივად.კვლევის პერიოდი მოიცავდა 21.10.2016 – 14.11.2016

**კვლევის შეზღუდვები** - კვლევაში გამოვლენილ იქნა უმთავრესი ხარვეზი, სისუსტე , რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: კვლევა ჩატარდა მხოლოდ ქ.თბილისის სტუდენტი-ახალგაზრდობის ფარგლებში, მაშინ როდესაც მნიშვნელოვანია რეგიონებში მცხოვრებთა განათლების მაჩვენებელიც.

**სიახლე / ღირებულება** - საქართველოში მსგავსი კვლევა ჩატარდა მხოლოდ ერთხელ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, 2010წ-ს. მას შემდეგ არცერთი უნივერსიტეტი არ დაინტერესებულა ზემოაღნიშნული თემის პრობლემატიკითა და აქტუალურობით.

## The Influence of Reproductive Health Education on Health of Youth-Students

*Sopho Amisulashvili*
MA Student

*Vakhtang Surguladze*
Co-author, Caucasus School of Economics and Healthcare

Caucasus University

### Abstract

**The aim of research** - To estimate the level of knowledge about reproductive health in the youth-students, to increase attention of youth-students towards reproductive health and their awareness raising.

**Research Study** - Gathering information about knowledge of youth in reproductive health and analyzing it, to analyze the researches about youth health performed abroad and to study knowledge and attitude of youth about reproductive health.

**Structure/methods/approach** - In this research participated 540 students of Caucasus University, between them were students of all degrees including bachelor, master and PhD. The students answered corresponding questions and the results were discussed step by step. Period of research was 21.10.2016 – 14.11.2016.

**Restrictions of research** - The major gap or weakness of the research was due to the fact that it was held only between the students who reside in Tbilisi, while it is very important to know the level of knowledge about the corresponding subject in all regions of Georgia.

**Originality/Value** - In Georgia resembling research was held only once by the Tbilisi State University in 2010, after that none of the universities were interested with the actuality of the problem mentioned above.

## კოლხეთი და ეგეოსური სამყარო ბრინჯაოს ხანაში



**ზურაბ ბრაგვაძე**

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

ბრინჯაოს ხანის კოლხეთსა და ეგეოსურ სამყაროს კონტაქტების შესწავლის თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ჯერ-ჯერობით არ არის გამოვლენილი საკმარისი არქეოლოგიური მასალა [ლორთქიფანიძე 2002; 153]. თუმცა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით არაფერი არ გაგვაჩნია. ჩემი აზრით, მასალის ერთგვაროვანი სიმწირე გამოწვეული უნდა იყოს აღნიშნული ეპოქის სამარხეული ძეგლების მცირე რაოდენობით. დღევანდელი მონაცემებით, დასავლეთ საქართველოში შუა ბრინჯაოს ხანის სულ ორი სამაროვანია შესწავლილი და ორივე მათგანი აღმოჩენილია აღმოსავლეთ კოლხეთის მთიანეთსა (ბრილი) [გობეჯიშვილი 1952] და მთისწინა ზოლში (მოდინახე [ლომთაძე 2000, ლომთაძე 2002]). მიუხედავად იმისა, რომ ბრილის სამაროვნის მასალა ფრაგმენტულად არის გამოქვეყნებული, მაინც ხელშესახებ ინფორმაციას იძლევა ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით [ლორთქიფანიძე 2002; 137].

ჩვენი ამჟამინდელი კვლევა შეეხება მოდინახეს შუა ბრინჯაოს ხანის სამაროვანზე აღმოჩენილ რამდენიმე არტეფაქტს. გვიანი შუა საუკუნეების ციხე მოდინახე აღმართულია საჩხერის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს. ციხის სამხრეთი ფერდობი საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა საცხოვრებლად და მიცვალებულთა დასაკრძალავ ადგილად. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია სამი ნამოსახლარი ფენა, რომლებიც შესაბამისად მიეკუთვნება გვიანდელ მტკვარ-არაქსულ პერიოდს, გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანას და წინარე ანტიკურ ეპოქას [ნადირაძე 1975; 13-26]. ნამოსახლარი ფენების გარდა ფიქსირებულია სხვადასხვა ეპოქების სამაროვნები: შუა ბრინჯაოს ხანის [ლომთაძე 2000; 5-18;ლომთაძე 2002; 5-11], გვიან ბრინჯაოს ხანის [ლომთაძე 2004; 48-72], წინარე ანტიკური [მახარაძე. ლომთაძე 2000; 34-42], ადრე ანტიკური და ელინისტური [მახარაძე. წერეთელი 2002; 59-80], გვიანანტიკური [ნადირაძე 1975; 43-75; ბრაგვაძე. ჩიგოგიძე 2002; 91-141] და ადრე შუასაუკუნეების [კაპანაძე 2006; 91-101].

მოდინახეს შუა ბრინჯაოს ხანის სამარხეული კომპლექსები შეისწავლა აწ განსვენებულმა არქეოლოგმა გოჩა ლომთაძემ და შესაბამისად სწორედ მის მიერ იქნა პირველად გამოქვეყნებული ის არტეფაქტები, რომლის შესახებაც ვაპირებთ მჯჯელობას.

მოდინახეს შუა ბრინჯაოს ხანის არც თუ მცირერიცხოვანი მასალიდან ჩვენ ყურადღებას იპყრობს N25, 35 და 40-ე სამარხებში გამოვლენილი ოთხი ნივთი. ესენია: შავპრიალა ფეხიანი კათხა, რომელიც დამზადებილია კარგად განლექილი თიხისგან (სამარხი 25) [სურ.1], შავპრიალა კოჭობი, რომელიც ასევე კარგად განლექილი თიხისგან დაუმზადებიათ (სამარხი 35) [სურ.2], ამავე სამარხში აღმოჩენილი მოვარდისფრო სასმისი, რომელიც დამზადებულია წვრილმარცვლოვანი თიხისგან [სურ.3] და 40-ე სამარხში მიკვლეული ბრინჯაოს სატევარი [სურ.4].

მიუხედავად იმისა, რომ კერამიკული ნაწარმი როგორც ფორმით, ასევე დანიშნულებით განსხვავდება ერთმანეთისგან, მათ მაინც აერთიანებთ საერთო ნიშანი და ესაა ოდნავ ზეაწეული, ე.წ. მინიური ყური. ქართველი არქეოლოგების მიერ დიდი ხანია მიჩნეულია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამდაგვარი ჭურჭლები არ განიხილება ადგილობრივ ნაწარმად და მათ გამოჩენას უკავშირებენ ეგეოსურ სამყაროს [აბრამიშვილი 1978; 71-73]. ანალოგიური მოსაზრებაა გამოთქმული სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც. კიროვაკანის ყორღანში აღმოჩენილ მსგავსი ტიპის კერამიკას ასევე ეგეოსურ სამყაროსთან კავშირში განიხალავენ [Арешиян 1973; 44] და ეჭვს გარეშეა, რომ ზოგადად სამხრეთ კავკასიაში აღნიშნული ტიპის თუნის ნაწარმი სწორედ ეგეოსური სამყაროდან მომდინარეობს.

მოდინახეზე აღმოჩენილ ნიმუშებს გ.ლომთაძე მინაბაძებად განიხილვდა, ითვალისწინებდა რა სამარხთა ზოგად აღნაგობას, არამდიდრულ სამარხეულ ინვენტარს და სამარხში დაკრძალულ მიცვალებულთა არც თუ მაღალ სოციალურ სტატუსს [ლომთაძე 2000; 11]. ამ მოსაზრებას გარკვეულწილად ვიზიარებთ, მაგრამ მაინც გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ 25-ე სამარხში მოპოვებული კათხა შესაძლებელია იმპორტის საგანი იყოს. ყველა შემთხვევაში ამ ნივთების აღმოჩენა გვესახება მნიშვნელოვან ისტორიულ-კულტუროლოგიურ მოვლენად, მიუხედავად იმისა, ისინი ადგილობრივადაა დამზადებული თუ შემოტანილია გარედან. თუ ისინი ადგილზეა დამზადებული, ამ შემთხვევაში ჩვენი აზრით, მათი მეცნიერული მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, რადგან ეგეოსური ფორმები ცნობილი უნდა ყოფილიყო აქ მცხოვრები ხელოსნებისთვის და მათ მიერ ხდებოდა აღნიშნული ფორმების მიბაძვა-გაზიარება. ეს ვითარება კი პირდაპირ ეხმიანება მოსაზრებას ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან შავიზღისპირეთით ეგეოსური სამყაროს მზარდი დაინტერესების შესახებ. ამ ინტერესს კი უპირველეს ყოვლისა, განაპირობებდა სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გამორჩეული სიმდიდრე ლითონის საბადოებით და

ასევე-ბრინჯაოს პროდუქციით [ინაძე 2009; 167]. რა თქმა უნდა, ვეთანხმებით ამ მოსაზრებას და აქვე დავამატებთ, რომ თუ დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები შედიოდა ეგეოსური სამყაროს ინტერესის სფეროში, მაშინ იგი უნდა შეხებოდა აღმოსავლეთ კოლხეთის მთიანეთს და მთის წინა ზოლსაც; კერძოდ, დღევანდელ რაჭა-იმერეთს, რადგან ამ პერიოდში ეს რეგიონი გამოირჩევა ბრინჯაოს მეტალურგიის მაღალი დონით, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ბრინჯაოს ინდუსტრიის განვითარებისთვის. ამ ფაქტს ადასტურებს როგორც იარაღის მრავალფეროვანი ასორტიმენტი, ასევე არაერთი საწარმოო კერის არსებობა [ჯაფარიძე 2003; 183-185]. ზოგიერთი ქართველი მკვლევარი უფრო შორსმიმავალ დასკვნებსაც გვთავაზობს და არ გამორიცხავს კოლხეთის მთიანეთიდან ბრინჯაოს მადნის ზოდების ექსპორტს ეგეოსური სამყაროს მიმართულებით საშუამავლო სავაჭრო ცენტრებისა [ინაძე 2009; 209] თუ პირდაპირი სავაჭრო კონტაქტების გამოყენებით [ზარამიძე 1998; 176]. ბუნებრივია, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ შუა ბრინჯაოს ხანაში ზემო იმერეთსა და ეგეოსურ სამყაროს შორის არსებობდა პირდაპირი და უშუალო კავშირები, მაგრამ არ გამოვრიცხავთ ვარაუდს, რომ ზოგად კოლხურ კონტექსტში ამ რეგიონის მიმართ არსებულიყო გარკვეული ინტერესები.

ოთ.ლორთქიფანიძე აღნიშნავდა, რომ არქეოლოგიური მონაცემები იძლევა საშუალებას, რათა ძვ.წ. II ათასწლეულის დასავლეთ საქართველოში დავადასტუროთ ერთგვაროვანი ბრინჯაოს კულტურის არსებობა და სხვაგან, შავიზღვისპირეთის არც ერთ რეგიონში ასეთი მაღალ განვითარებული საზოგადოება არქეოლოგიურად დადასტურებული არ არის [ლორთქიფანიძე 2002; 139]. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ შუა ბრინჯაოს ხანის მომდევნო ეპოქას მიეკუთვნება კოლხთა პირველი მოხსენიების ფაქტი ძველ აღმოსავლურ წერილობით წყაროებში, რომლებიც დოკუმენტურად ადასტურებენ უკვე ძვ.წ. XIII საუკუნეში კოლხურ ტომთა დიდი გაერთიანების არსებობას [Меликишвили 1959;186].

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ეგეოსური სამყაროს ინტერესის სფეროში უნდა მოხვედრილიყო ბერძნული კოლონიზაციის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ მიკენურ ხანაში. თუმცა, სათანადო არქეოლოგიური არტეფაქტების საკმარისი რაოდენობით უქონლობის გამო ეს საკითხი მხოლოდ მომხიბლავ ჰიპოთეზად შეიძლება დარჩეს [ლორთქიფანიძე 2002; 153]. ცხადია, მოდინახეზე აღმოჩენილი რამდენიმე ნივთი ამ დიდ პრობლემას ვერც დადებითად და ვერც უარყოფითად ვერ გადაჭრის, მაგრამ მათ არსებობას მაინც შეუძლია გარკვეული სიცხადე შეიტანოს საკითხის შემდგომი კვლევის საქმეში. მით უფრო რომ კერამიკის გარდა ასეთი კონტაქტების შესაძლებლობაზე მეტყველებს იარაღიც და კერძოდ, 40-ე სამარხის სატევარი, რომელიც ეჭვს გარეშეა, რომ აშკარად მიკენური იერ-სახის მატარებელია [Kechnscherper 1973; 109-133].

მოდინახეს შუა ბრინჯაოს სამარხები თავიდანვე დათარიღებული იქნა ძვ.წ. XVI-XV საუკუნეებით [ლომთაძე 2000; 18]. შემოთავაზებული თარიღის მიმართ ჩვენ შენიშვნა არ გაგვაჩნია. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ქრონოლოგიურად ეს სამარხები თრიალეთის კულტურის თანადროულია. თუმცა, ისიც ცხადია, რომ მოდინახეს და ზოგადად, დასავლეთ საქართველოს შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებს თრიალეთის კულტურასთან ცოტა რამ თუ აკავშირებს. მსგავსება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ ცალკეულ არტეფაქტებსა და რაღა თქმა უნდა, ქრონოლოგიაში. თრიალეთური კულტურისადმი სხვაობის მიუხედავდ, ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისთვისაც საერთოა საგარეო კონტაქტების ის იმპულსები, რაც დამახასიათებელია თრიალეთური კულტურისთვის.

მოდინახეს სამარხები ქრონოლოგიურად ემთხვევა თრიალეთური კულტურის განვითარების მესამე ფაზას და სწორედ ეს ფაზა გამოირჩევა ეგეოსურ სამყაროსთან განსაკუთრებული ინტენსიური ურთიერთობებით [Abramishvili 2010; 173]. ამ პროცესში კი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ასირიული სავაჭრო კოლონიის (ქიულ-თეფეს) გააქტიურება [Abramishvili 2010; 173]. ეს მოსაზრება ჩვენი ამჟამინდელი კვლევისთვის შეიძლება ითქვას, რომ ამოსავალი წერტილია, რადგან თუ გავითვალისწინებთ სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ფინალური ეტაპის ძეგლების ეგეოსურ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ინტენსიურ ხასიათს, დასაშვები იქნება, ვივარაუდოთ, რომ ეს იყო ზოგადი სამხრეთ კავკასიური პროცესი, რომელშიც თავისი წილი უნდა ჰქონოდა დასავლეთ საქართველოსაც და კერძოდ, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებს. ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ სწორედ ამ დროიდან იღებს სათავეს კოლხურ-ეგეოსური ურთიერთობები, რომელიც შემდგომ ხანაში, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებისთვის აღწევს თვისობრივად ახალ საფეხურს. თუმცა, ეს უკვე ცალკე კვლევის საგანია.

## გამოყენებული ლიტერატურა

აბრამიშვილი, რ. (1978). თრელის შუა და გვიან ბრინჯაოს ხანის სამაროვანი. თბილისი I. თბილისი;

ბარამიძე, მ. (1998). აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბილისი;

ბრაგვაძე, ზ. ჩიგოგიძე, ქ. (2002). მოდინახეს სამაროვანი. არქეოლოგიური ჟურნალი II. თბილისი;

გობეჯიშვილი, გ. (1952). არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში.

თბილისი;

ინაძე, მ. (2009). ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები. თბილისი;

კაპანაძე, ნ. (2006). საჩხერის ადრეული შუასაუკუნეების სამაროვანი. არქეოლოგიური ჟურნალი IV; თბილისი;

ლომთაძე, გ. (2000). მოდინახეს შუა ბრინჯაოს ხანის სამარხები. არქეოლოგიური ჟურნალი I. თბილისი;

ლომთაძე, გ. (2002). მოდინახეს შუა ბრინჯაოს ხანის სამარხები. არქეოლოგიური ჟურნალი II. თბილისი;

ლომთაძე, გ. (2004). მოდინახეს გვიან ბრინჯაოს ხანის სამაროვანი. არქეოლოგიური ჟურნალი III. თბილისი;

ლორთქიფანიძე, ო. (2002). ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი;

მახარაძე, გ. ლომთაძე, გ. (2000). მოდინახეს წინარეანატიკური ხანის სამაროვანი, არქეოლოგიური ჟურანალი I; თბილისი;

მახარაძე, გ. წერეთელი, მ. (2002). მოდინახეს ძ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრის სამარხები, არქეოლოგიური ჟურნალი II; თბილისი;

ნადირაძე, ჯ. (1975). ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი;

ჯაფარიძე, ო. (2003). საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი;

Abramishvili, M. (2010). In search of the origins of metallurgy-An overview of South Caucasian evidence. Von Majkop bis Trialeti. Gewinnung und Verbreitung von Metallen und Obsidian in Kaukasien im 4-2 Jt. V. Chr. Bonn;

Kechnscherper, K (1973). Kreta, Mykene, Santorin. Leipzig;

Арешиян,Е. (1973). Малоазиатские формы в керамике Армении среднего бронзового века. Советская Археология №4. Москва;

Меликишвили, Г. (1959). К истории Древней Грузии. Тбилиси.

# კოლხეთი და ეგეოსური სამყარო ბრინჯაოს ხანაში

*ზურაბ ბრაგვაძე*
პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი
კავკასიის უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

**მიზანი** – ბრინჯაოს ხანის კოლხეთსა და ეგეოსურ სამყაროს კონტაქტების შესწავლის თავლსაზრისით დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ჯერ-ჯერობით არ არის გამოვლენილი საკმარისი არქეოლოგიური მასალა. თუმცა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით არაფერი არ გაგვაჩნია.

**სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა** – მოდინახეს შუა ბრინჯაოს ხანის მასალიდან ჩვენ ყურადღებას იპყრობს N25, 35 და 40-ე სამარხებში გამოვლენილი ოთხი ნივთი.

**დასკვნები** – რა თქმა უნდა, რამდენიმე არტეფაქტი ამ დიდ პრობლემას ვერც დადებითად და ვერც უარყოფითად ვერ გადაჭრის, მაგრამ მათ არსებობას მაინც შეუძლია გარკვეული სიცხადე შეიტანოს საკითხის შემდგომი კვლევის საქმეში.

**კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა** – სათანადო არქეოლოგიური არტეფაქტების საკმარისი რაოდენობით უქონლობის გამო დასავლეთ საქართველოსა და ეგეოსური სამყაროს ურთიერთობის პრობლემა მხოლოდ მომხიბლავ ჰიპოთეზად შეიძლება დარჩეს.

**სიახლე/ღირებულება** - მოდინახეს სამარხები ქრონოლოგიურად ემთხვევა თრიალეთური კულტურის განვითარების მესამე ფაზას და სწორედ ეს ფაზა გამოირჩევა ეგეოსურ სამყაროსთან განსაკუთრებული ინტენსიური ურთიერთობებით. ამ პროცესში კი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ასირიული სავაჭრო კოლონიის (ქიულ-თეფეს) გააქტიურება. ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ სწორედ ამ დროიდან იღებს სათავეს კოლხურ-ეგეოსური ურთიერთობები, რომელიც შემდგომ ხანაში, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებისთვის აღწევს თვისობრივად ახალ საფეხურს.

# Colchis And Aegean World in the Bronze Age

*Zurab Bragvadze*
Professor, PhD
Caucasus University

## Abstract

**Purpose** –From the standpoint of relations between Colchis and Aegean world in the Middle Bronze Age not enough archeological materials are revealed from the Western Georgian archeological monuments. But we cannot say either that regarding to this particular problem we have nothing. In my opinion the lack of materials can be explained by insufficient burial grounds from the Middle Bronze Age.

**Design/methodology/approach** –According to the latest data in the western Georgia only two cemeteries are studied that date back to the Middle Bronze age and all of them are discovered in Eastern Colchis mountains (Brili) and in the foothill trail (Modinakhe).

**Findings** –From the numerous materials from the Modinakhe middle Bronze Age our attention are drawn to four objects that were discovered in the tombs N25, N35 and N40.

**Research limitations/implications** –According to the views expressed in Georgian historiography eastern black sea cost must have caught interest of Aegean world long before the beginning of the Greek colonization, back in the Mycenaean era.

**Originality/value** – Chronologically Modinakhe tombs coincide with the third development phase of Trialeti culture and this phase is distinguished with the intensive relations with Aegean world. In this process activation of Assyrian trade colony (Kiul Tepe) was an important event. Because if we take in consideration the intensity of trade relations of the middle Bronze Age South Caucasus with Aegean world we can assume that it was a general South Caucasian process in which Western Georgia and its North-Eastern regions to be precise played their part.

*დანართი*



1



2



3



4

## „ტრადიცია - ეს მე ვარ“ პიუს IX-ს სილაბუსი



**ტერეზა ჯაფარიძე**

დოქტორანტი

XIX საუკუნის მეორე ნახევარი პოლიტიკური მნიშვნელობით გარდამტეხ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ. საერთაშორისო ასპარეზზე ერთიანი, ცენტრალიზებული იმპერიების ჩამოყალიბების პროცესი გარდაუვალი აღმოჩნდა. გერმანიამ 1871 წელს მოახერხა გაერთიანება, იტალიაში კი ერთიანობისთვის ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით XIX საუკუნის დასაწყისიდან მიმდინარეობდა. იტალიის საბოლოო გაერთიანებისთვის საჭირო იყო რომის შემოერთება, რაც შესაძლებელი გახდა კიდეც 1870 წელს. ცხადია, ამ პერიოდის იტალია ყველაზე დაქსაქსული, რვა ნაწილად გახლეჩილი იყო, თუ არ ჩავთვლით აგრეთვე მონაკოსა და სან-მარინოს. ამავდროულად, ანგარიშგასაწევი ძალა იყო პაპის ოლქიც, რომელიც სამი მილიონი მაცხოვრებლისგან შედგებოდა.
ვენის კონგრესმა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა ნაპოლეონის ომების ეპოქა, თუმცა ამის შემდგომ იტალიის რუკამ განიცადა არაერთი გარკვეული ცვლილება. ავსტრიის მფლობელობაში გადავიდა ვენეცია და ლომბარდია. ხოლო ჰაბსბურგებს გადაეცათ პარმის, ტოსკანას და მოდენას საჰერცოგოები. სარდინიის სამეფო აღდგა. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში სავოია, ნიცა და გენუა შევიდა. პაპის ხელისუფლებამ სარგებელიც კი ნახა გადანაწილების შემდეგ - გარდა იმისა, რომ პაპის ხელისუფლება აღდგა, მისი სამფლობელო გაიზარდა რავენას, ფერარას და ბოლონიის ხარჯზე. რესტავრაციის პროცესი მხოლოდ პიემონტსა და ნეაპოლიტანიის სამეფოს შეეხო - პიემონტს ისევ სავოიას დინასტია მართავდა, ხოლო ნეაპოლიტანიის სამეფოს - ბურბონები. მიუხედავად ასეთი გახლეჩილი მდგომარეობისა, მაინც არ გამართლდა მეტერნიხის სიტყვები, იტალია უნდა დარჩეს მხოლოდ „გეოგრაფიულ გამონათქვამად“... [1]

იტალიის ზოგიერთ რეგიონში, როგორიცაა პიემონტი, ნეაპოლი, სიცილია და პაპის ოლქი, კვლავ იყო მცდელობა დესპოტური მმართველობის დამყარებისა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ იტალიაში განლაგებული იყვნენ ავსტრიის ჯარები, რომლებიც უმნიშვნელო აჯანყებასაც კი დიდი წარმატებით ახშობდნენ. ავსტრიელთა მხრიდან იტალიელების მიმართ შეურაცხმყოფელმა

---

[1] Родригес А.М., Пономарев М.В. (Ред.). (2008). Новая история стран Европы и Америки. XVI - XIX века. Москва: Владос. გვ. 366

დამოკიდებულებამ, რა თქმა უნდა, უარყოფითი განწყობა გამოიწვია ხალხში. ისინი ოცნებობდნენ დამოუკიდებლობასა და პროგრესზე და ასეთი მეოცნებე ხალხის რიცხვი დღითიდღე განუხრელად იზრდებოდა. როგორც ზემოთ ითქვა, გაერთიანებისთვის ბრძოლა XIX საუკუნის დასაწყისიდან გარდამავალი წარმატებით მიმდინარეობდა, რადგანაც რევოლუციონერების მხარდამჭერთა რიცხვი დაბალი იყო. ეს ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ მებრძოლებს ერთიანი სამოქმედო გეგმა არ ჰქონდათ შემუშავებული.[2]

1848 წლის რევოლუციის დროს, იტალიელები იმედის თვალით პიემონტის მეფეს კარლ ალბერტსა და ახლად არჩეულ პაპს პიუს IX-ს უყურებდნენ. მათ ღრმად სწამდათ, რომ იტალიის გამაერთიანებელი და ავსტრიული ბატონობისგან განმათავისუფლებელი ლიბერალური რევოლუციის საპირწონე ლიდერობა მხოლოდ მათ ეხელწიფებოდათ.

ასეთ რთულ და დაძაბულ პერიოდში, 1846 წელს რომის 255-ე პაპად არჩეული იქნა პიუს IX, ერისკაცობაში ჯოვანი მარია მასტაი-ფერეტი, რომელიც დაიბადა 1792 წელს სინიგალიაში. ის იყო პაპი, რომელიც მიუხედავად გარეგნული დამოკიდებულებისა, შინაგანად ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა იტალიის გაერთიანებას, ის იყო სილაბუსის ავტორი, სადაც ანათემას გადასცა კაცობრიობის აზროვნების პროგრესული მიმდინარეობა, მან მოიწვია ვატიკანის პირველი კრება, სადაც პაპის უცოდველობის შესახებ დოგმატი იქნა მიღებული. ის იყო პაპი, რომელმაც თავი ვატიკანის ტყვედ გამოაცხადა 1870 წელს.[3]

ჯოვანი მარია მასტი-ფერეტი გრაფის ოჯახიდან იყო წარმოშობით, იგი სამხედრო საქმიანობისთვის ემზადებოდა, მაგრამ ავადმყოფობამ (ეპილეფსია) ხელი შეუშალა დასახული გეგმების განხორციელებაში. ამიტომ მან გეზი შეცვალა და მისიონერის სტატუსით ცხოვრება საეკლესიო სამსახურს დაუკავშირა. 1823 წელს ჩილეში იყო წარგზავნილი პაპის ლეგატთან ერთად, 1827 წელს სპოლეტოს არქიეპისკოპოსი იყო, შემდგომ იმოლის, 1840 წელს კარდინალის ლაბადა მოირგო, 1846 წელს კი პაპად იქნა არჩეული. მისი პონტიფიკატი იყო არა მხოლოდ ყველაზე ბობოქარი, არამედ ყველაზე ხანგრძლივიც. მისი ერთ-ერთი ბიოგრაფი წერს: „მისი ქადაგება განსაკუთრებული იყო ღამით ფანტასტიკურ გარემოში, მაგალითად უკუნეთში ჩაფლულ ეკლესიაში, სადაც კათედრაზე მხოლოდ რამდენიმე სანთელი ბჟუტავდა და უნათებდა პაპს ფერმკრთალ სახეს. უფრო ეფექტური იყო ღამის წარმოდგენები ქალაქის მოედანზე. ათასობით სანთელი ელვარებდა სახლების ფანჯრებში, სცენაზე კი იდგა ახალგაზრდა მქადაგებელი,

[2] Китс Дж. (2012). История Италии. Москва: Астрель. გვ. 141-142

[3] Григулевич И. (2003). Папство, Век двадцатый. Москва: Терра-Книжный Клуб. http://www.lib.ru/HRISTIAN/ATH/papacy.txt_with-big-pictures.html

რომელიც თავისი ამაღელვებელი მონოლოგით მიმართავდა თავის ქალას, რომელშიც სანთელი ენთო. მასტაი არ ქადაგებდა, იგი თამაშობდა."[4]

პიუს IX-ის პაპობით დაიწყო ყველაზე ხანგრძლივი პონტიფიკატი პაპობის ისტორიაში, რომელიც გაგრძელდა 32 წელს. იგი გამალებით ეწინააღმდეგებოდა ეპოქას და ეპოქის იდეებს, მაგრამ ამავდროულად სათავე დაუდო ახალი დროის პაპობას. მიქელანჯელო პინტო შემდეგნაირად ახასიათებს პიუს IX-ს: „ის არის ის, ვისაც ჩვეულებრივ ენაზე უწოდებენ კეთილ ადამიანს".[5] „ის მგრძნობიარეა, ცრუმორწმუნეობამდე კეთილსინდისიერია და საოცრად ეჭვიანია. გონებრივად შეზღუდულია, ფლობს მხოლოდ ზედაპირულ ცოდნას და არ გამოირჩევა არც ადმინისტრაციული უნარ-ჩვევებით, არც დიპლომატიური მოქნილობით. რაც შეეხება პოლიტიკურ შეხედულებებს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ისინი მას საერთოდ არ გააჩნია".[6]

გრიგოლ XVI-სგან მას არასახარბიელო მდგომარეობა ერგო: პაპების სახელმწიფო ყველაზე ჩამორჩენილი იყო ევროპაში. გრიგოლ XVI კრძალავდა, რკინიგზის სადგურიც მშენებლობასაც კი, იმ დასაბუთებით, რომ გარე სამყაროსთან დაკავშირება არ მოხერხებულიყო.[7] პაპად არჩევისას მას არ ჰქონდა არანაირი პროგრამა, მაგრამ ჰქონდა ლიბერალის რეპუტაცია, რაც ავტომატურად გულისხმობდა, რომ თავად იყო პროგრამა.

პიუს IX-ის პაპობის დასაწყისში ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ პაპი იყო ლიბერალიზმის მომხრე. ენგელსი წერდა: „იტალიაში ჩვენ ვართ მოწმე საოცარი წარმოდგენისა: ადამიანი, რომელიც იკავებს ყველაზე რეაქციულ მდგომარეობას ევროპაში, წარმომადგენელი შუა საუკუნეების გაქვავებული იდეოლოგისაა - რომის პაპი ჩაუდგა ლიბერალურ მოძრაობას სათავეში".[8] თუმცა მასტაი-ფერეტიმ მალე მოიხსნა ნიღაბი.

ახალ პაპზე დიდ იმედებს ამყარებდა ხალხი. მათი მოლოდინით პაპი მონაწილეობას მიიღებდა იტალიის გაერთიანებაში, ავსტრიის წინააღმდეგ ომში, ისინი ითხოვდნენ კონსტიტუციის მიღებას, იეზუიტების განდევნას მმართველობიდან.[9] მაგრამ, პიუს IX არ იყო რეფორმების მომხრე, თუმცა მდგომარეობის გასამყარებლად იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო. რეალურად, პაპის ლიბერალიზმი იძულებითი იყო. თავდაპირველად პაპმა ლიბერალურ-კონსტიტუციური რეფორმების გატარება დაიწყო. ამის მეშვეობით ეკლესია დაუახლოვდა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. 1847 წელს პაპმა შეასუსტა საეკლესიო ცენზურა და სამოქალაქო პრესის ბეჭდვის ნებართვა გასცა. ამავდროულად, პიუს IX-მ რომს დაუბრუნა თვითმმართველობა.

[4] Шейнман М.М. (1979). От Пия IX до Павла VI. Москва: Наука. გვ. 3
[5] Шейнман М.М. (1979). От Пия IX до Павла VI. Москва: Наука. გვ. 4
[6] Шейнман М.М. (1979). От Пия IX до Павла VI. Москва: Наука. გვ. 4
[7] Шейнман М.М. (1979). От Пия IX до Павла VI. Москва: Наука. გვ. 4
[8] Григулевич И. (2003). Папство, Век двадцатый. Москва: Терра-Книжный Клуб. http://www.lib.ru/HRISTIAN/ATH/papacy.txt_with-big-pictures.html
[9] Шейнман М.М. (1959). Папство. Москва: Изд. Академии Наук СССР. გვ. 132

იგი ყოველ ხუთშაბათს ატარებდა ღია აუდიენციას. ამ რეფორმებმა საპირისპირო რეაქცია გამოიწვია ავსტრიაში. დამსჯელი ღონისძიების მიზნით, მეტერნიხის ბრძანებით საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა ფერერაში. აქამდე ეს უკანასკნელი მხოლოდ ფორმალურად ეკუთვნოდა ავსტრიას. პიემონტი და ტოსკანა საბაჟო კავშირში გაწევრიანდნენ, რომელსაც პაპიც შეუერთდა. მაშინიმ სწორედ, რომ პიუს IX-ს მოუწოდა, თავისუფლებისთვის ბრძოლას ჩადგომოდა სათავეში. როგორც ჩანს, იმ პერიოდში პიუს IX ყველაზე პოპულარული ადამიანი იყო იტალიაში.[10]

1846 წლის 16 ივლისს პაპმა პიუს IX-მ გამოსცა დეკრეტი პოლიტიკური პატიმრების ამნისტიის შესახებ. ხალხის დიდი ფენა დადებითად შეხვდა ამ მოვლენას, რამაც პაპს მოუტანა ლიბერალის სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ პაპი არ აპირებდა თავისი პონტიფიკატის დროს ლიბერალური იდეების გაფართოებას, გარკვეული დათმობების შედეგად, სახელმწიფო საბჭო იქნა მოწვეული ეროვნული გვარდიის შექმნის თაობაზე და რომიდან იეზუიტების გაძევების შესახებ. პირველად მინისტრთა საბჭო 1847 წლის ივნისში შეიკრიბა, რომელსაც ძირითადად სასულიერო პირები შეადგენდნენ. 1848 წლის თებერვალში რომში დაიწყო სახალხო მღელვარება. ხალხი პაპისგან დაჟინებით ითხოვდა კონსტიტუციას და საერო პირებისგან მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებას. მმართველობის მისაღები ფორმა მათთვის რესპუბლიკა გახლდათ. ამ აჯანყების საერთო ლოზუნგი იყო: „კარდინალებსა და პაპებს სიკვდილი, გაუმარჯოს დროებით მმართველობას".[11] პაპის მხრიდან ყველაზე დიდ დათმობად უნდა მივიჩნიოთ კონსტიტუციის გამოქვეყნება 1848 წლის 14 მარტს.

თუმცა ყველაფერი ასე ჰარმონიულად არ მიმდინარეობდა. პაპის ოლქში კლერიკალებმა ტირანია დაამყარეს. პროვინციების მმართველობა კარდინალებისა და ეპისკოპოსების ხელში გადავიდა. სასულიერო პირები პოლიციის ფუნქციას ასრულებდნენ. სრულიად აიკრძალა მეცნიერება. გამომცემლობა პაპის ცენზურას დაექვემდებარა. სასამართლოებში, სადაც ეპისკოპოსები და მღვდლები იყვნენ უკანონობა სუფევდა. ხალხი საოცარ სიღარიბეში ცხოვრობდა. ამ სურათის ფონზე, პაპის სამფლობელოებში ხშირად ხდებოდა აჯანყებები, რომლებიც მკაცრად იხშობოდა უცხოური ძალის დახმარებით. პაპების ძალაუფლების წინააღმდეგ ხალხის ბრძოლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული იტალიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომთან. გარიბალდი - იტალიის გათავისუფლებისა და გაერთიანებისთვის თავგანწირული მებრძოლი, პიუს IX-ის პაპობას „საცოდავ მმართველობას" უწოდებდა. იგი პაპს მოიხსენებდა, როგორც „იტალიის ყველაზე მკაცრ მტერს".[12] ეროვნული მასები მოითხოვდნენ პაპისგან არა მხოლოდ მმართველობის დემოკრატიზაციას და კონსტიტუციას, არამედ მონაწილეობას იტალიის გაერთიანებაში.

[10] Гергей Е. (1996). История папства. Москва: Республика. გვ. 308

[11] Попов А. (1871). Рим в 1847 и 1848 годах. Санкт-Петербург: тип. Майкова. გვ. 89

[12] Шейнман М.М. (1959). Папство. Москва: Изд. Академии Наук СССР. გვ. 133

საბოლოო განხეთქილება პაპსა და იტალიის განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის მოხდა 1848 წელს, როცა პაპმა კარდინალებთან შეთანხმებით გამოაცხადა ნეიტრალიტეტი პიემონტსა და ავსტრიას შორის ომში და პაპის ჯარს მოუწოდა დაბრუნებულიყვნენ ფრონტიდან. მიუხედავად იმისა, რომ ჯარები არ დამორჩილდნენ პაპს, პეიმონტელები მაინც დამარცხდნენ 1848 წლის 22 ივლისს კუსტოცთან. განმათავისუფლებლებმა პაპს მოღალატე უწოდეს და ეს დამოკიდებულება მის სიკვდილამდე არ შეიცვალა. პაპის საქციელს ერთგვარი ახსნა აქვს, იგი შეაშინა მასშტაბურობამ, მას უნდა ეტვირთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობა, რაც დიდ სირთულეს წარმოადგენდა პაპისთვის. პაპის სიბეცე გამოჩნდა იმაშიც, რომ იგი დაარწმუნეს რევოლუციური მოვლენების გამომწვევი მიზეზი ლიბერალიზმი იყო. პაპი ლიბერალიზმისგან მხოლოდ ნგრევას ელოდა. ამიტომ, მას სხვა არა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ დახმარებისთვის მიემართა საერთაშორისო დონის კონტრრევოლუციისთვის. შედეგმაც არ დააყოვნა, ფრანგული ჯარის დახმარებით, რომში კვლავ აღდგა პაპის მონარქია.[13]

1848 წელს პაპი იძულებული გახდა გაქცეული რომიდან, რასაც მოჰყვა რესპუბლიკის გამოცხადება რომში. 1849 წლის 9 თებერვალს ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებით გამოიცა დეკრეტი, რომელიც ათავისუფლებდა პაპს ხელისუფლებისგან.[14] ეს დეკრეტი ქვემოთ მოცემულ ორ მუხლს მოიცავდა, რაც არსებითი მნიშვნელობის გახლავთ:

„მუხლი 1. პაპი ფაქტობრივად და იურიდიულად ჩამოშორებულია საერო ხელისუფლებას;

მუხლი 2. რომის უმაღლეს სასულიერო პირს ექნება ყოველგვარი გარანტია იმისა, რომ თავისუფლად აღასრულოს სასულიერო საქმიანობა....“[15]

1850 წელს პაპი დაბრუნდა რომში, ნიღბის გარეშე, რეალური სახით, რაც ნიშნავდა რომ იგი გახდა შეუცვლელი მტერი ყოველი ახლისა და პროგრესულისა. მმართველობა ისევ იეზუიტებს გადაეცა. პოლიტიკური და სასულიერი რეაქცია უფრო და უფრო გაიზარდა. სასულიერო მხარე წინააღმდეგი იყო ყოველგვარი გაერთიანებისა, რაც თავისთავად გულისხმობდა მათი უფლებამოსილების შემცირებას. 1860 წელს პაპმა გამოსცა ენციკლიკა, რომლის თანახმად ყველა, ვინც სასულიერო ხელისფულების დაუპირისპირდება, იქნება დაწყევლილი. თუმცა, ამან ვერ გაჭრა და ხალხმა მაინც მოახერხა 1860 წლისთვის იეზუიტების განდევნა მმართველობიდან.[16]

პაპის ტერიტორიები ნელ-ნელა მცირდებოდა, 1860 წელს კი პაპს დარჩა მხოლოდ რომი და კამპანია, დანარჩენი ტერიტორია გადაეცა იტალიის სამეფოს. მაგრამ, იტალიის საბოლოო გაერთიანებისთვის საჭირო იყო რომის შეერთებაც. პიუს IX და მისი მომხრეები შეეცადნენ

[13] Гергей Е. (1996). История папства. Москва: Республика. გვ. 310
[14] Шейнман М.М. (1959). Папство. Москва: Изд. Академии Наук СССР. გვ. 133
[15] Mattei Roberto De. (2004). Pius IX. UK: Gracewing Publishing. გვ. 35
[16] Шейнман М.М. (1959). Папство. Москва: Изд. Академии Наук СССР. გვ. 134

რელიგიური ფანატიზმის გაძლიერებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ამას ემსახურებოდა „სილაბუსის" გამოცემა და საეკლესიო კრების მოწვევა.[17]

სილაბუსი (Syllabus) ლათინურად სიას, ნუსხას ნიშნავს. ამ კერძო შემთხვევაში შეცდომების, მტკიცებულებების სიას. სილაბუსის დაწერის იდეა პიუს IX-ს გაუჩნდა 1852 წელს, საბოლოო სახის მისაღებად კი 12 წელი დასჭირდა. 1864 წლის 8 დეკემბერს კი პიუს IX-მ გამოაქვეყნა ენციკლიკა „Quanta Cura", სადაც გადმოცემული იყო სრული ანტაგონიზმი ბურჟუაზიული სამყაროს მიმართ.[18] იმავე დღეს პაპის დავალებით კარდინალმა ანტონელიმ ყველა ეპისკოპოსს შეცდომების ნუსხა გაუგზავნა. დოკუმენტის სახელწოდება შემდეგნაირად ჟღერდა: „ჩვენი დროის უმთავრესი შეცდომების სია" – „სილაბუსი, რომელიც შეიცავს ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვან შეცდომებს, რომელიც ამხილა ჩვენმა პაპმა პიუს IX-მ თავის მიმართვებში, საეკლესიო სასამართლოებზე, ენციკლიკებსა და წმინდა წერილებში".[19] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ენციკლიკაში პაპის მიერ არცერთი სიტყვა არ არის დაწერილი. დამოწმების წყაროდ, პაპი ყველა თეზისის ბოლოს უთითებს ენციკლიკებს, საიდანაც ამოღებულია ესა თუ ის შეცდომა. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, თუ ვინ არის „შეცდომათა სილაბუსი"-ის ავტორი. ცალსახაა, რომ პაპ პიუს IX-ს არ მიეწერება ავტორობა. ზოგიერთი თეოლოგი თვლის, რომ აღნიშნული დოკუმენტი ანტონელის ქმნილებაა, რაც აგრეთვე საეჭვოა.

„შეცდომათა სილაბუსი" (Syllabus Errorum) რეალურად პიუს IX-ის იდეოლოგიურ კრედოს წარმოადგენდა. იგი ერთგვარად გადმოცემულია პაპის მხრიდან თანამედროვეობისადმი დაპირისპირება. ენციკლიკაში პაპმა დაწყევლა არა მარტო კომუნიზმი და სოციალიზმი, არამედ მთლიანად თანამედროვე ცივილიზაცია. პაპმა გაკიცხა ბურჟუაზიული პროგრესის იდეები. ცრუსწავლების წყაროდ დაასახელა მატერიალიზმი, საზოგადოების სეკულარიზაცია, ათეიზმი. მისთვის ყველაზე დიდ ზიანს წარმოადგენდა რაციონალიზმი, გალიკანიზმი, ლიბერალიზმი, კომუნიზმი და ნატურალიზმი.[20] პაპის წყევლას არ გადაურჩა ყველა, ვინც ფიქრობდა, რომ საერო ხელისუფლება უპირატესია სასულიეროზე [SE: 24]; ყველა, ვისაც ჰგონია, რომ ეკლესიას არ აქვს ბუნებრივი და კანონიერი უფლება მიიღოს და განკარგოს უძრავი ქონება [SY:26]; ყველა, ვინც ემხრობა, იმას რომ პაპი უნდა შეურიგდეს და დათანხმდეს პროგრესს, ლიბერალიზმსა და თანამედროვე ცივილიზაციას [SY:80]. [21]

[17] Шейнман М.М. (1979). От Пия IX до Павла VI. Москва: Наука. გვ. 10
[18] Quanta Cura. Condemning Current Errors. Encyclical of Pope Pius IX promulgated on December 8, 1864. http://www.papalencyclicals.net/Pius09/p9quanta.htm
[19] The syllabus of Pius IX. The Catholic Encyclopedia. http://www.newadvent.org/cathen/14368b.htm
[20] Michaud D. Pius IX (1792-1878). Boston Collaborative Encyclopedia of Western Theology. http://people.bu.edu/wwildman/bce/piusix.htm
[21] The Syllabus. Pope Pius IX. https://www.ewtn.com/library/papaldoc/p9syll.htm

პიუს IX-მ ენციკლიკა „Quanta Cura"-ს დანართად გამოსცა ენციკლიკა „სილაბუსი" (შეცდომათა სილაბუსი, 1864). სილაბუსში პაპი თავს ესხმოდა მეცნიერებას - როგორც რწმენის მოწინააღმდეგეს, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას, სინდისის თავისუფლებას - როგორც დიდ საფრთხეს კათოლიკური ეკლესიისა, დემოკრატიას - როგორც ეკლესიასა და მონარქიულ რეჟიმებს შორის კავშირის მოწინააღმდეგეს.[22] „სილაბუსის" თანახმად შეცდომაა კათოლიკეებისა და პროტესტანტების პოლიტიკური უფლებების გათანაბრება „პროტესტანტიზმი სხვა არაფერია თუ არა ჭეშმარიტი ქრისტიანული რელიგიის სხვა ფორმა" [SY:18].[23] ენციკლიკაში პაპი ცალსახად აღნიშნავს სასულიერო ხელისუფლების უპირატესობას საერო ხელისუფლებაზე, რამდენადაც შეცდომად მიიჩნევს „კანონთა კონფლიქტის შემთხვევაში ორ ხელისუფლებას შორის უპირატესობა საეროს ენიჭება" [SY:42][24].

სილაბუსში პიუს IX-მ შემდეგი სახის მოთხოვნები წამოწია: ეკლესიის უპირატესობის აღიარება საერო ხელისუფლებაში [SY:24], პაპის საერო ხელისუფლების დამყარება პაპის ოლქში [SY:76] და საღმრთო გამოცხადება, როგორც ფილოსოფიის საფუძველი [SY:14].[25] სილაბუსში იმდენად მტრული დამოკიდებულება იყო წარმოჩენილი პაპის მხრიდან ეპოქის მიმართ, რომ ევროპის რიგ ქვეყნებში აიკრძალა მისი დაბეჭდვა. სილაბუსი შედგება 80 შეცდომისგან, ანტონელიმ დააჯგუფა ისინი ათი საკითხის გათვალისწინებით.[26]

1. პანთეიზმი, ნატურალიზმი და აბსოლუტური რაციონალიზმი;
2. ზომიერი რაციონალიზმი;
3. ინდეფერენტულობა, ლატიტუდინარიზმი;
4. სოციალიზმი, კომუნიზმი, საიდუმლო საზოგადოებები, ბიბლიური საზოგადოებები, კლერიკალურ-ლიბერალური საზოგადოებები;
5. ეკლესიის შესახებ შეცდომები და მისი უფლებები;
6. სამოქალაქო საზოგადოების შეცდომები, როგორც მასში, ასევე ეკლესიასთან ურთიერთობისას;
7. შეცდომები, რომელიც ეხება ბუნებრივ და ქრისტიანულ ეთიკას;
8. ქრისტიანული ქორწინების შეცდომები;
9. რომის პაპის საერო ხელისუფლების შესახებ შეცდომები;
10. თანამედროვე ლიბერალიზმის შესახებ შეცდომები.[27]

---

[22] Шейнман М.М. (1979). От Пия IX до Павла VI. Москва: Наука. გვ. 10
[23] The Syllabus of Errors Condemned by Pius IX. http://www.papalencyclicals.net/Pius09/p9syll.htm
[24] The Syllabus of Errors Condemned by Pius IX. http://www.papalencyclicals.net/Pius09/p9syll.htm
[25] Винтер Э. (1964). Папство и царизм. Москва: Прогресс. გვ. 317
[26] Dwyer John C. (1998). Church History: Twenty Centuries of Catholic Christianity. New Jersey: Paulist Press. გვ. 337
[27] Гергей Е. (1996). История папства. Москва: Республика. გვ. 315

რაც შეეხება სილაბუსის შინაარსს, პირველ ორ ნაწილში პაპი განიხილავს პანთეიზმს, ნატურალიზმსა და რაციონალიზმს. აქ გადმოცემულია რამდენიმე ძირითადი პოსტულატი, კერძოდ ღმერთისა და მსოფლიოს ცნებების იდენტურობის შესახებ, ფილოსოფიისა და რელიგიის დამოუკიდებელ დისციპლინებად სწავლების შესახებ, დროისა და პროგრესის მოთხოვნებთან სქოლასტიკის შეუსაბამობის შესახებ. სილაბუსი აზრობრივად მიმართული იყო კაცობრიობის გონების წინააღმდეგ, იგი ითხოვდა რელიგიისადმი მეცნიერების დაქვემდებარებას. [28]

მესამე ნაწილში პაპი აცხადებს, რომ „ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიიღოს და ირწმუნოს ის რელიგია, რომელსაც კარნახობს მისი გონება, რომელსაც ცნობს მართლად" [SY:15], „ნებისმიერი რელიგიის შეცნობით ადამიანი იპოვის თავის ჭეშმარიტ და სამუდამო გადარჩენის გზას" [SY:16]. [29] სილაბუსის მეოთხე საკითხი დათმობილია სოციალიზმისა და კომუნიზმს შორის დაპირისპირებას. მეხუთე ნაწილში პაპი საუბრობს ეკლესიის მხრიდან დაშვებულ შეცდომებზე - კერძოდ იგი განსჯის სასულიერო და საერო ხელისუფლების თანამოქმედებას - „ეკლესია არ წარმოადგენს ჭეშმარიტ და სრულყოფილ საზოგადოებას, იგი არ იყენებს თავის კუთვნილ შეუცვლელ უფლებებს, მაგრამ საერო ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს ეკლესიის უფლებები, აგრეთვე ამ უფლებების მოქმედების საზღვრები" [SY:19]. ამავდროულად მას შეცდომად მიაჩნია სასულიერო პირთა ჩამოშორება საერო ხელისუფლებას [SY:27].[30]

მეექვსე ნაწილში კი უკვე საუბარია საერო და სასულიერო ხელისფლებაში დაშვებულ შეცდომებზე. შეცდომად მიიჩნევა, საერო პირების ჩარევა სასულიერო საქმიანობაში, „საერო ხელისუფლებას უნდა ექვემდებარებოდეს ყველა საზოგადოებრივი სკოლა, სადაც სწავლობს ახალგაზრდობა, ზოგიერთი სემინარიის გარდა..." [SY:45],[31] სასულიერო და საერო ხელისუფლების განცალკევება ერთმანეთისგან.

მეშვიდე ნაწილი ეთმობა ზნეობის საკითხებს, პაპის ღრმა რწმენით ზნეობის კანონები საჭიროებენ საღვთო კურთხევას - "ზნეობრივი კანონები არ საჭიროებენ საღვთო სანქციებს და საერთოდ არ არის აუცილებელი კაცობრიობის კანონები ესადაგებოდეს ბუნებრივ კანონს..." [SY:56].[32]

მერვე საკითხში მიჩნეულია შეცდომად ის, რომ ქორწინება ქრისტეს მიერ არაა დამკვიდრებული, რომ ქორწინება შეიძლება გაუქმდეს და იგი მხოლოდ საერო ხელისუფლების

[28] Шейнман М.М. (1979). От Пия IX до Павла VI. Москва: Наука. გვ. 10
[29] The Syllabus of Errors Condemned by Pius IX. http://www.papalencyclicals.net/Pius09/p9syll.htm
[30] The Syllabus of Errors Condemned by Pius IX. http://www.papalencyclicals.net/Pius09/p9syll.htm
[31] The Syllabus of Errors Condemned by Pius IX. http://www.papalencyclicals.net/Pius09/p9syll.htm
[32] The Syllabus of Errors Condemned by Pius IX. http://www.papalencyclicals.net/Pius09/p9syll.htm

კომპეტენციაა - "ქორწინების გაუქმება შესაძლებელია და ხშირ შემთხვევაში განქორწინების სანქციონირება სამოქალაქო ხელისფლების მიერ ნებდართულია" [SY: 67]. [33]
მეცხრე საკითხი ეთმობა რომის პაპების ჩარევას საერო ხელისუფლებაში. პაპს მცდარად მიაჩნია პაპებისთვის საერო ხელისუფლების ჩამორთმევა, იმ მიზეზით რომ იგი ხელს შეუწყობს თავისუფლებას და აყვავებას.

ბოლო მეათე საკითხი დაეთმო ლიბერალიზმთან დაკავშირებულ შეცდომებს. დასკვნითი ნაწილი სრულად გადმოცემს ამ თეზისის დედააზრს, ეს შეცდომა ასე არის ფორმულირებული: „რომის პაპს სურს და შეუძლია შეურიგდეს და თანხმობაში იყოს პროგრესთან, ლიბერალიზმთან, თანამედროვე ცივილიზაციასთან" [SY: 80].[34]

პიუს IX-ის პონტიფიკატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ვატიკანის პირველი საეკლესიო კრების მოწვევა. ორი დღით ადრე ვიდრე გამოვიდოდა სილაბუსი, კარდინალთა კოლეგიის თათბირზე პაპმა განაცხადა, რომ სურს მოიწვიოს საეკლესიო კრება (ტრიდენტის კრებიდან ზუსტად 300 წლის შემდეგ).[35] პაპს აღნიშნული კრებით სურდა პოზიციების გამყარება. საეკლესიო კრება ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა - გასტანა 10 თვე.

საეკლესიო კრება ვატიკანში 1869 წლის 8 დეკემბერს გაიხსნა. ამ დღეს მოსალოდნელი 1087 პრელატიდან მხოლოდ 766 ჩავიდა. 766 პრელატიდან კი 541 ევროპული ქვეყნებიდან იყვნენ. საკმაოდ წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებდა აღნიშნული კრება. მარტო ხორვატიის ეპისკოპოსის იოსეფ შტროსმაერის სიტყვები რად ღირს: „ტიბრის მთელი წყალი არ ეყოფა, რომ ჩამორეცხოს ჭუჭყი პაპობის სამარცხვინო ისტორიის, თუნდაც სულ პატარა ფურცელს".[36]
1870 წლის 18 ივლისს კრებაზე მიიღეს პაპის უცოდველობის შესახებ დოგმატი. ეს ტექსტი შედგება 4 პარაგრაფისგან.[37] ამ დოგმატის ჩამოყალიბების დროს, კრებაზე იმყოფეობდა მხოლოდ 535 ადამიანი. დანარჩენებმა დატოვეს კრება, რადგან არ ეთანხმებოდნენ მიღებულ გადაწყვეტილებას, თუმცა მის წინააღმდეგ ხმის მიცემაც არ სურდათ.

I. ეკლესიის პირველობა გადმოცემული და მიღებულია პეტრეს მიერ, ვინც ამას უარყოფს გადაეცემა ანათემას.

II. პეტრე იყო რომის ეპისკოპოსი და ვინც უარყოფს, რომ რომის ეპისკოპოსები არ არიან პეტრეს მემკვიდრეები, გადაეცემა ანათემას.

III. რომის ეკლესიას ყველაზე დიდი ძალაუფლება აქვს, ყველა უნდა ემორჩილებოდეს რომის ეპისკოპოსს, ვინც არ ცნობს პაპის ძალაუფლებას გადაეცემა ანათემას.

---

[33] The Syllabus of Errors Condemned by Pius IX. http://www.papalencyclicals.net/Pius09/p9syll.htm
[34] The Syllabus of Errors Condemned by Pius IX. http://www.papalencyclicals.net/Pius09/p9syll.htm
[35] Шейнман М.М. (1959). Папство. Москва: Изд. Академии Наук СССР. გვ. 138
[36] Bishop Strossmayer's Speech. In The Vatican Council Of 1870. Papal Errors And Contradictions. http://www.mtc.org/bishop_s.html
[37] Collins P. (1997). Papal Power. New York: Harper Collins. http://www.churchauthority.org/resources1/coll2.asp

IV. პაპი, როცა ასრულებს თავის მოვალეობას, ფლობს უცოდველობას და ვინც ამას შეეწინააღმდეგება, გადაეცემა ანათემას.[38]

პაპის უცოდველობის შესახებ დოგმატი უარყოფილი იქნა ბაზელისა და კონსტანტის კრებაზე, ხოლო ტრიდენტის კრებაზე ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა. [39]

ვატიკანის პირველი საეკლესიო კრების დაწყებიდან მეორე დღეს, დაიწყო საფრანგეთსა და პრუსიას შორის ომი. პაპის საყრდენი - ფრანგული ჯარები გაყვანილი იქნა პაპის ოლქიდან და რომში იფეთქა აჯანყებამ. იტალიაში განუხრელად მიმდინარეობდა სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევების პროცესი. 1865 წელს სამეფოს დედაქალაქი ფლორენცია გახდა. იტალიის ერთიანობისთვის საჭირო იყო მხოლოდ რომი.[40] იტალიის მეფეს შეეშინდა, რომ გარიბალდი დაასწრებდა შესვლას და პირველი მან გაგზავნა ჯარები. პაპის საერო ხელისუფლება ლიკვიდირებული იქნა. 1871 წელს იტალიის დედაქალაქი გახდა რომი.[41]

პიუს IX გამალებით ითხოვდა, რომ მისთვის დაებრუნებინათ კუთვნილი ტერიტორია. მიზნის მიუღწევლობის გამო, 1870 წელს გადავიდა ვატიკანის სასახლეში, თავი გამოაცხადა „ვატიკანის ტყვედ“ და ანათემას გადასცა ყველა, ვინც კი მონაწილეობდა რომის აღებაში. 1870 წლის 20 სექტემბერს პაპის სახელმწიფო ლიკვდირებული იქნა, მისი ტერიტორია იტალიის სამეფოს ნაწილი გახდა. იტალიის სამეფოს ინტერესებში არ შედიოდა პაპის საქმიანობის ხელის შეშლა. პირიქით, გამოიცა კანონი პაპის ხელშეუხებლობის გარანტიის შესახებ. პაპის პიროვნება ცხადდებოდა წმინდად და ხელშეუხებლად. კანონი ითვალისწინებდა პაპისთვის ყოველწლიურად 3225000 ლირის გადახდას სუბსიდიის სახით, ყოველგვარ ხელშეწყობას საერთაშორისო დიპლომატიაში თავისუფალი ურთიერთობების ფორმირებისთვის.[42]

1871 წელს რომის პაპმა თავის ენციკლიკაში „Ubi nos“ გააკრიტიკა გარანტიების შესახებ კანონი. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი პაპს აძლევდა დიდ თავისუფლებას და ყოველ წლიურ სუბსიდიას, მან უკუაგდო ეს შემოთავაზება. ეს უარი უსაფუძვლო არ გახლდათ, იმ შემთხვევაში თუ პაპი დაწესებულ სუბსიდიას მიიღებდა, ეს ავტომატურად გულისხმობდა პაპის მხრიდან იტალიის სახელმწიფოს აღიარებას.[43] ასე ჩაეყარა საფუძველი „რომის საკითხს“ - იტალიის ხელისუფლებასა და ვატიკანს შორის კონფლიქტს, რომლის საბოლოო გადაწყვეტა მოხერხდა 1929 წელს.[44]

---

[38] Decrees of the First Vatican Council. http://www.papalencyclicals.net/Councils/ecum20.htm

[39] Гергей Е. (1996). История папства. Москва: Республика. გვ. 316

[40] Гергей Е. (1996). История папства. Москва: Республика. გვ. 315

[41] Шейнман М.М. (1959). Папство. Москва: Изд. Академии Наук СССР. გვ. 141

[42] Шейнман М.М. (1979). От Пия IX до Павла VI. Москва: Наука. გვ. 17

[43] Григулевич И. (2003). Папство, Век двадцатый. Москва: Терра-Книжный Клуб. http://www.lib.ru/HRISTIAN/ATH/papacy.txt_with-big-pictures.html

[44] Шейнман М.М. (1959). Папство. Москва: Изд. Академии Наук СССР. გვ. 141

პაპ პიუს IX-ის პონტიფიკატის შეფასებისას რამდენიმე დასკვნის ჩამოყალიბება შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით პაპი იძულებული გახდა მოჩვენებითი ერთგულება გამოეჩინა ყოველგვარი თანამედროვესა და ლიბერალურის მიმართ, რეალურად იგი წინააღმდეგი იყო იტალიის გაერთიანებისა და გამოდის, რომ მან იტალიის სახელმწიფოს მტრის სახელი მიიღო. გასაკვირი არ არის პროგრესისადმი ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება, პაპი ხომ ძირითადად იმ იდეებით და შეგნებით ცხოვრობდა, რომელიც დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების ეპოქისთვის. ყველაზე ხანგრძლივი პონტიფიკატის დროს პიუს IX-სთვის მოსახერხებელი აღმოჩნდა პაპისთვის ჩვეული ბრწყინვალების, საერთაშორისო და ლოკალური მნიშვნელობით გავლენისა და ზემოქმედების დაკარგვა. კერძოდ, ვატიკანის პირველი საეკლესიო კრებისა და სილაბუსის წყალობით პაპმა როგორც ლიბერალური ინტელიგენციის დიდი ნაწილის, ასევე მუშათა კლასის მხარდაჭერა დაკარგა. სილაბუსის გამოქვეყნება პაპის უკანასკნელი მცდელობა იყო დაეპირისპირებინა შუა საუკუნეების ეკლესია და თანამედროვე ცივილიზაცია და პროგრესი. ეს სილაბუსი იდეალური იარაღი იქნებოდა ადრეულ პერიოდში, მაგრამ არა XIX საუკუნეში. როგორც ცხადი აღმოჩნდა, პიუს IX-ის ამ პოლიტიკას მომავალი არ ეწერა.

პიუს IX-მ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე პაპობას: მან სათავე დაუდო კომუნიზმის, სოციალიზმის, განმათავისუფლებელი მოძრაობის, სამეცნიერო აღმოჩენების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებასა და სიძულვილს. პიუს IX-ის პონტიფიკატმა ერთგვარი როლი შეასრულა ფეოდალური ეკლესიის მართვის დასასრულში. ამიერიდან ბურჟუაზია მოიწევდა წინ. ის ბურჟუაზია, რომლის მიმართაც პაპს ორმაგი დამოკიდებულა ჰქონდა. ერთის მხრივ სძულდა, მეორეს მხრივ კი შურდა ამ ახალი მოვლენის. პიუს IX-ის მემკვიდრეები არ წყვეტდნენ ბრძოლას და ცდილობდნენ წარსული დიდების დაბრუნებას, თუმცა მათ კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ შუა საუკუნეობრივ ბრწყინვალებას ვერ მიაღწევდნენ და საჭირო იყო ამ შეკრული წრიდან თავის დაღწევა. ამისთვის ერთადერთ გადაწყვეტილებად ისახებოდა კაპიტალიზმთან შეგუება. პრინციპში, ეს გააკეთა პიუს IX-ს მემკვიდრემ ლეო XIII-მ.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. Bishop Strossmayer's Speech. In The Vatican Council Of 1870. Papal Errors And Contradictions. http://www.mtc.org/bishop_s.html
2. Collins P. (1997). Papal Power. New York: Harper Collins. http://www.churchauthority.org/resources1/coll2.asp
3. Decrees of the First Vatican Council. http://www.papalencyclicals.net/Councils/ecum20.htm
4. Dwyer John C. (1998). Church History: Twenty Centuries of Catholic Christianity. New Jersey: Paulist Press. http://people.bu.edu/wwildman/bce/piusix.htm
5. Mattei Roberto De. (2004). Pius IX. UK: Gracewing Publishing.
6. Michaud D. Pius IX (1792-1878). Boston Collaborative Encyclopedia of Western Theology.
7. Quanta Cura. Condemning Current Errors. Encyclical of Pope Pius IX promulgated on December 8, 1864. http://www.papalencyclicals.net/Pius09/p9quanta.htm
8. Robert P. Lockwood. The Syllabus, the Controversy, and the Context. Catholic Answers Magazine. http://www.catholic.com/magazine/articles/the-syllabus-the-controversy-and-the-context
9. The Syllabus of Errors Condemned by Pius IX. http://www.papalencyclicals.net/Pius09/p9syll.htm
10. The syllabus of Pius IX. The Catholic Encyclopedia. http://www.newadvent.org/cathen/14368b.htm
11. The Syllabus. Pope Pius IX. https://www.ewtn.com/library/papaldoc/p9syll.htm
12. Винтер Э. (1964). Папство и царизм. Москва: Прогресс.
13. Гергей Е. (1996). История папства. Москва: Республика.
14. Григулевич И. (2003). Папство, Век двадцатый. Москва: Терра-Книжный Клуб. http://www.lib.ru/HRISTIAN/ATH/papacy.txt_with-big-pictures.html
15. Китс Дж. (2012). История Италии. Москва: Астрель.
16. Кривогуз И.М. (Ред). (2005). Новая история стран Европы и Америки. Москва: Дрофа.
17. Попов А. (1871). Рим в 1847 и 1848 годах. Санкт-Петербург: тип. Майкова.
18. Родригес А.М., Пономарев М.В. (Ред.). (2008). Новая история стран Европы и Америки. XVI - XIX века. Москва: Владос
19. Шейнман М.М. (1959). Папство. Москва: Изд. Академии Наук СССР.
20. Шейнман М.М. (1979). От Пия IX до Павла VI. Москва: Наука.

# „ტრადიცია - ეს მე ვარ“ პიუს IX-ს სილაბუსი

*ტერეზა ჯაფარიძე*
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

XIX საუკუნის ბოლოს ისევ პრობლემად რჩებოდა ეთნიკური ჯგუფების, ტერიტორიული და ნაციონალური წარმონაქმნების მოქცევა ერთიანი სახელმწიფოს ან თანამეგობრობის ჩარჩოებში. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სივრცის მართვის პრობლემა ნაციონალური სახელმწიფოების ეროზიის ფონზე სულ უფრო მწვავედ სვამდა დღის წესრიგში სახელმწიფოთა გაერთიანების იდეებს. მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო საერთაშორისო ასპარეზზე იმპერიალიზმის გამოჩენასთან. 1871 წელს ოფიციალურად გამოცხადდა გერმანიის გაერთიანება, 1870 წელს კი რომის შეერთებით მოხერხდა იტალიის გაერთიანებაც.

პიუს IX-ის პონტიფიკატი წინააღდმეგობრივ ხასიათს ატარებდა. პოლიტიკური გაუბედაობის გამო პაპი იძულებული გახდა ჯერ რომიდან გაქცეულიყო, შემდგომ პაპის ოლქის ირგვლივ ტერიტორიების დაკარგვას შეგუებოდა და თავი ვატიკანის ტყვედ გამოეცხადებინა. თუმცა, მისი კონფესიური მოღვაწეობა ერთობ წარმატებული იყო. პაპი აქტიურად იბრძოდა ლიბერალიზმის წინააღმდეგ, რასაც მოწმობს ენციკლიკა „Quanta Cura” და მისი დანართი “Syllabus of Errors”, სადაც კრიტიკის ქარცეცხლში გაახვია რელიგიური ლიბერალიზმის ფორმები, მოიწვია ვატიკანის პირველი საეკლესიო კრება და მიიღო პაპის უცოდველობის შესახებ დოგმატი. ერთი რამ ცალსახად შეიძლება ითქვას, პაპიზმის „კანონიზაცია“ პიუს IX-ის დროს დიდ წინააღმდეგობად იქცა საეკლესიო ერთიანობის გზაზე.

**„Tradition – It is Me" Syllabus of Pius IX**

*Tereza Japaridze*

PhD Student

Ivane Jvakhishvili Tbilisi State University

## Abstract

At the close of the 19th century consolidation of ethnic groups, territorial and national formations in the frames of united state or commonwealth still remained problem. A problem of managing political, economic and social areas in the light of national states erosion increasingly railed an idea for putting states' unification in the agenda. World faced new challenges, mainly related to the appearance of imperialism on the international arena. In 1871, officially was announced the unification of Germany, in 1870 Italy also reached unification after capturing Rome.

The pontificate of Pius IX carried a resistant disposition. Due to the lack of courage of the Pope, he was obliged to run from Rome, endured losing territories around the Papal States and referred himself as the "prisoner of the Vatican". However, his religious actions were successful. Pius IX actively fought against liberalism his encyclical „Quanta Cura" and its appendix "Syllabus of Errors" testifies it. He criticized forms of religious liberalism harshly, convened the First Vatican Council and decreed dogma of papal infallibility. It has to be noticed unambiguously that "canonization" of papism during the pontificate of Pius IX has become a major obstacle on the way to the unity of the Church.

## გეოეკონომიკური კოლიზია
## ქეისი: რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობები



**გიორგი კვინიკაძე**

დოქტორი

**შესავალი.** რუსეთ-ჩინეთის პარტნიორობას (ეს ქვეყნები ერთმანეთთან ურთიერთობაში გაურბიან სიტყვა „კავშირის ხსენებას“ და უპირატესობას შედარებით შეზღუდულ ტერმინს „სტრატეგიულ პარტნიორობას“ ანიჭებენ) საფუძვლად უდევს ქვეყნების საგარეო კურსი, რომლის ორიენტირებულია დამოუკიდებელი და მრავალვექტორული გეოეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე. თუმცა, მსგავსი ურთიერთობა არ ჩაივლის კონფლიქტების გარეშე. კონფლიქტების უმეტესობა დაკავშირებული იქნება ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობასთან. ამასთან, ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიის და აზიურ-წყნაროკეანურ რეგიონში საკუთარი პოზიციების გაძლიერებისათვის ბრძოლაში ისინი გეოეკონომიკურ მეტოქეებად მოგვევლინებიან. ცენტრალური აზია არის რეგიონი სადაც რუსეთ-ჩინეთის მომავალი დაპირისპირების კონტურები ყველაზე უფრო კარგად იკვეთება. საქმე იმაშია, რომ რუსეთს არ სურს პოსტსაბჭოთა სივრციდან გასვლა და „როგორც წესი არანაირად არ ითვალისწინებს მოცემული რეგიონის სახელმწიფოებისა და ხალხების ინტერესებს“ (ისმაილოვი, პაპავა, 2012,79).

ჩინეთის გეოეკონომიკური გაძლიერება დღეს სამი მიმართულებით ხდება - ეკონომიკა, სამხედრო ძლიერება და პოლიტიკურ - დიპლომატიური აქტივობა. ეს მოცემულობა რასაკვირველია უსასრულოდ ვერ გაგრძელდება და აუცილებლად მივა თავის ლოგიკურ დასასრულამდე, რასაც ცნობილი ამერიკელი სტრატეგი ე. ლუტვაკი სტრატეგიის უნივერსალურ ლოგიკას უწოდებს (Luttwak, 2002). კერძოდ, მსგავსი მოცემულობა სხვა ქვეყნების მხრიდან გამოიწვევს საპასუხო მოქმედებებს, რათა არ დაუშვას მისი ბატონობა რეგიონულ და გლობალურ დონეზე.

**ძირითადი ნაწილი.** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე გაჩენის (1949 წ.) შემდგომ მისი ეკონომიკური სისტემის ფორმირება მოხდა საბჭოთა ეკონომიკური მოდელის მსგავსად, რომელსაც ბუნებრივია მხარს უჭერდა საბჭოთა იმპერია. შედეგად, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები სწრაფად განვითარდა. 1950 წელს ჩინეთის წილი საბჭოთა იმპერიის საგარეო ვაჭრობაში 15-20% შეადგენდა. ასევე სწრაფად იზრდებოდა იმპერიის წილი, რომელმაც 1960-იან წლებში 40% მიაღწია. ამის მიუხედავად, ორმხრივი ეჭვები, კონკურენცია

კომუნისტური ბლოკის შიგნით და ნდობის უქონლობა რუსეთისა და ჩინეთის ლიდერებს შორის გახდა პოლიტიკური განხეთქილების და ეკონომიკური კავშირების კრახის კატალიზატორი, უკვე 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან. 1969 წელს კი სასაზღვრო კონფლიქტის გამო სავაჭრო კავშირები პრაქტიკულად შეწყდა. ძალზედ დაბალ ნიშნულზე იყო ეს კავშირები 1980-იან წლებშიც. საბჭოთა იმპერიის პოლიტიკური რუკიდან გაქრობის მომენტში კი იმპერიის წილი ჩინეთის საგარეო ვაჭრობაში მხოლოდ 3% შეადგენდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ (1991) ეს ქვეყნები ერთმანეთთან ურთიერთობას უკვე არ განიხილავდნენ პრიორიტეტად. რუსეთი ებრძოდა გაჩენილ უკონომიკურ სირთულეებს, ცდილობდა შეექმნა სახელმწიფო ინსტიტუტები და იბრძოდა ჩეჩნეთში.

რაც შეეხება ჩინეთს, ის ცდილობდა რა შეიძლება მეტი უცხოური ინვისტიციების მოზიდვას და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის შექმნას ისეთი მოდელით, როცა ეკონომიკის წამყვან დარგებში შენარჩუნებული იქნებოდა კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან (იხ. დანართი 3).

ფაქტიურად ამ პერიოდში ორი ქვეყნის გეოპოლიტიკური თანამშრომლობა ძირითადად ხორციელდებოდა რეგიონულ დონეზე (მაგალითად, „შანხაის ხუთეულის“ პირველი სამიტი 1996 წელს).

იმის მიუხედავად, რომ 2000-ანი წლების დასაწყისში შედარებით გაიზარდა ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვა. თუმცა, ის მაინც ძალიან დაბალ ნიშნულზე რჩებოდა. 2009 წლის მდგომარეობთ მათ შორის ვაჭრობის მოცულობამ შეადგინა 39 მილიარდი აშშ დოლარი, რაც უმნიშვნელოდ აღემატებოდა ჩინეთ-ტაილანდის ანალოგიურ მაჩვენებელს და ჩინეთ ევროკავშირის სავაჭრო მოცულობის მხოლოდ 1/10 -ს შეადგენდა. ჩინეთის ინტერესებში ძირითადად შედიოდა რუსეთიდან ბუნებრივი რესურსების (ენერგეტიკული, ხეტყე და ფერადი ლითონები) ექსპორტი (MOFCOM’s Market access Report on Russian Federation, 2010).

პოსტკრიზისულ 2010-2012 წლებში ორმხრივი სავაჭრო ბრუნვის ტემპები გაიზარდა. თუმცა, მალევე შემცირდა 2013 წელს მან 1,2 % შეადგინა ამის მიზეზი, კი ისაა, რომ ერთი მხრივ, ამ პერიოდში ძალზედ „ნელა მიმდინარეობდა გლობალური ეკონომიკის აღდგენა“, ხოლო, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ბუნებრივ რესურსებზე ფასების ვარდნა. მაგალითად, 2013 წელს ჩინეთში რუსული ნავთობის ექპორტი გაიზარდა, ღირებულება კი შემცირდა.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, რასაც სრულად ვეთანხმები, რუსეთი ჩინეთთან ურთიერთობაში რაღაც ნეოკოლონიანური ეკონომიკური ურთერთობების პოზაში იმყოფება (მაგალითად, Mankoff 2009:195). მსგავსი ურთიერთობები კი ძალიან შორს არის სანიმუშო სტრატეგიული თანამშრომლობისაგან.

გეოეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთს, არსებული მოცემულობა არ უნდა აწყობდეს, ვინაიდან ამ ქვეყნის ჩინეთისაკენ საბოლოოდ მიბრუნება მის გეოეკონომიკურ პერსპექტივას

მნიშვნელოვნად შეასუსტებს. კერძოდ, სიტუაციის მსგავსი სცენარით განვითარების შემთხვევაში, რუსეთი კიდევ დიდხანს დარჩება სანედლეულო და არა ინოვაციურ, მაღალი ტექნოლოგიების მქონე სახელმწიფოდ (კვინიკაძე, 2016).

ამის მიუხედავად, მუდმივად არსებობს ჩინეთის ინტერესი რუსეთის მზარდი სამომხმარებლო და სამრეწველო ბაზრისადმი, მაგრამ რუსეთი ჩინეთისათვის მუდმივად იმყოფებოდა მარგინალურ პოზაში, დასავლეთისა და აზია-წყნარი ოკეანის უდიდეს ბაზრებთან შედარებით.იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას თითოეული ქვეყნის თანამედრო გეოეკონომიკურ პოტენციალზე სასარგებლოა იმ მაჩვენებლების ანალიზი, რომელიც მეტნაკლებად ახასითებს მათ გეოეკონომიკურ პოტენციალს (ცხრ. 1). რუსეთისა და ჩინეთის გეოეკონომიკური პოტენციალი ცხრ 1.

| ინდექსები | ჩართულობა გლობალურ ვაჭრობაში[1] | კორუფციის აღქმა[2] | გლობალური კონკურენტუნარიანობა[3] | პირდაპირი უცხოური ინვესტიციები[4] | ეკონომიკური თავისუფლება[5] | განათლების დონე[6] | ინოვაციები[7] | ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ინდექსი[8] | სახელმწიფო სექტორის წილი ეკონომიკაში[9] | მილიტარიზაციის ინდესი [10] | მთლიანი შიდა პროდუქტი[11] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეყანა | რეიტინგი | | | | | | | | | | |
| ჩინეთი | 54 | 83 | 28 | 1 | 144 | 107 | 29 | 82 | 30-40 % | 2.0 | მილიარდი $ 11,384.8 |
| რუსეთი | 105 | 119 | 45 | 3 | 153 | 55 | 49 | 45 | 65-70 % | 4.4 | მილიარდი $ 1,235.9 |

1 *The Global Enabling Trade Index* (2014), http://www.weforum.org/getr
2 *Corruption Perceptions Index* (2015), http://www.transparency.org/cpi
3 *The Global Competitiveness Report* (2015–2016), http://www.weforum.org/issues/global-competitiveness
4 *Foreign Direct Investment* (2014), http://datacatalog.worldbank.org/;
5 *The Index of Economic Freedom* (2016), http://www.heritage.org/index/
6 *Education Index* (2015), http://hdr.undp.org/
7 *The Global Innovation Index* (2014), http://www.globalinnovationindex.org/
8 *ICT Development Index* (2015), http://www.itu.int/;
9 *Russian Federation* (2014), https://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2014/cr14134.pdf; *China*, (2014);
10 http://www.indexmundi.com/g/r.aspx?v=132
11 *IMF, World Economic Outlook*. https://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2015/02/weodata/index.aspx

წარმოდგენილი ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ამ ქვეყნების რეიტინგები არც თუ სახარბიელოდ გამოიყურება, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლება, ჩართულობა გლობალურ ვაჭრობაში, ეკონიმიკური თავისუფლების ინდექსი. რაც შეეხება ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა განათლების დონე და ინფორმაციული ტექნოლოგიები აქ რუსეთის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება ჩინეთის ანალოგიურ მაჩვენებლებს. მიუხედავად წერა-კითხვის ცოდნისა,ჩინეთის მოსახლეობა განათლების დონით ძალიან ჩამორჩება სხვა ქვეყნებს. გლობალური კონკურენტუნარიანობს მხრივ ჩინეთი ბევრად კარგ მდგომარეობაში იმყოფება. კორუფციის მხრივ რუსეთი რთულ სიტუაციაში იმყოფება ჩინეთთან შედარებით,ხოლო უცხოური ინვესტიციების მხრივ მართლაც რომ სახარბიელო მდგომარეობა აქვს ორივე ქვეყანას. თანამედროვე მსოფლიოში რუსეთისა და ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობა ხშირად განიხილება, როგორც ამერიკისა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ერთგვარი საპირწონე, თუმცა, თუ სიღრმისეულად შევისწავლით ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას, ნათელი გახდება, რომ სინამდვილეში მათ შორის სულაც არ არის ისეთი თბილი და კეთილმეგობრული დამოკიდებულება, როგორც ეს, შესაძლოა, ერთი შეხედვით ჩანდეს, სამომავლო პერსპექტივაში კი მათი ურთიერთობა კიდევ უფრო ბუნდოვანია. გამომდინარე იქიდან, რომ ორ ქვეყანას შორის იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, და ისინი უკვე ერთმანეთს უყურებენ არა მხოლოდ როგორც პარტნიორს, არამედ როგორც პოტენციურ საფრთხეს.

დღეისათვის ჩინეთმა მოახერხა გეოეკონომიკურად აქტიური ბიუროკრატიის ფორმირება. იმავდროულად, დაიწყო არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სამხედრო პოტენციალის გაძლიერება. ჩინეთის ლიდერებს უჭირთ არჩევანის გაკეთება ეკონომიკურ კეთილდღეობასა და სამხედრო ძლიერების ზრდას შორის. ჩინეთი ზრდას განაგრძობს, ხოლო აშშ პირველობას ასე უბრალოდ არ დაუთმობს. ორივე მხარე შეეცდება, ახალი მოკავშირეების შეძენას. ყველაზე დიდი ბრძოლა კი რუსეთისთვის გაჩაღდება (Luttwak,2012).

მსოფლიოს გეოეკონომიკური (არა მარტო) უსაფრთხოების თვალსაზრისით, დასავლეთისათვის ძალზედ უარყოფითი შედეგი ექნება, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ინტეგრაცია არა იაპონიის ან აშშ-ის, არამედ ჩინეთის გარშემო მოხდება. თუმცა, მოვლენების ბოლო სცენარით განვითარება საკმაოდ რთული იქნება, ვინაიდან მსოფლიო შეშინებულია ჩინეთის მზარდი სამხედრო ძლიერებით (მათ შორის მძლავრი სამხედრო საზღვაო ფლოტის მშენებლობა), რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის საყოველთაო შეიარაღების პრეცედენტს ბადებს. აღნიშნულის გამო, როგორც ცნობილია, ჩინეთის წინააღმდეგ ინდოეთი, იაპონია, ვიეტნამი, ტაივანი და სამხრეთი კორეა ქმნიან კოალიციას. ამ კოალიციას მთლიანობაში მეტი ადამიანი, ტექნოლოგია და ფული აქვს, ვიდრე ჩინეთს.

ჩინეთის გეოეკონომიკური უპირატესობა კი ისაა, რომ მან მომავალი კოალიციის ქვეყნებთან შედარებით (ბუნებრივია აქ არ ვგულისხმობ აშშ-ს და იაპონიას) გაცილებით უკეთ აითვისა ახალი გეოეკონომიკური თამაშების წარმართვის ტაქტიკა. მაშინ როცა, რუსეთი სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისში იმყოფება. ის ცდილობს აღადგინოს გეოპოლიტიკური სივრცე, რომელიც დასაწყისში ეკუთვნოდა მეფის, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიას. სამხრეთ კავკასიაში და შუა აზიაში მან ეს ნაწილობრივ მოახერხა. შედარებით წარმატებით ბელორუსიაში. რუსეთის ჯარი იცავს ბელორუსის დასავლეთ საზღვრებს პოლონეთთან და ლიტვასთან. იცავს ტაჯიკეთში ავღანეთის საზღვარს. რუსეთის აღმოსავლეთ ციმბირის ნაწილში იზრდება ჩინეთის დემოგრაფიული დაწოლა. მოსკოვში კი დაძაბული პოლიტიკური ბრძოლაა გაჩაღებული. რუსეთი უფრთხის აღმოსავლეთით ისეთი მძლავრი დასავლური ინსტიტუტების გაფართოებას, როგორიც ევროკავშირი და ნატოა. ასეთ გაფართოებას მინიმუმამდე დაჰყავს რუსეთის გავლენა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. თუმცა, მიუხედავად ენერგობერკეტებისა, იგი უძლურია წინ აღუდგეს ამ პროცესს. თუ კონფრონტაცია ამ ფლანგზე დაიწყება, რუსეთის დღევანდელი ეკონომიკა დიდი ალბათობით ვერ გაუძლებს ახალ „ცივ ომს“. თუ მის დღევანდელ განვითარებას დავაკვირდებით, ეს ქვეყანა გარკვეულ დაბნეულობაშია, რადგან ჩინეთის მსგავსად ვერ აკეთებს არჩევანს ძლიერებასა და კეთილდღეობას შორის. რუსეთი გადარჩება იმ შემთხვევაში, თუ მოახერხებს პოტენციურ არასტაბილურობაზე კონტროლს, რისთვისაც იგი დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერას საჭიროებს. იმპერიის აღდგენა როგორც მხარეთა შეთანხმებით (ბელორუსი, ყაზახეთი და სომხეთის ვარიანტი), ასევე სამხედრო ძალით (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი), საკმაოდ ძვირი დაუჯდება რუსეთს, რომელსაც მოსკოვი ისე ვერ გადაიხდის, თუ საშიშროება არ შეექმნა მის ეკონომიკას, რაც მისთვის შეიძლება კატასტროფით დამთავრდეს. აღნიშნულის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფო ცდილობს კვლავ განამტკიცოს თავისი გავლენის სფეროები მსოფლიოში. რაც საფრთხეს უქმნის გლობალურ უსაფრთხოებას. მაგალითად, უკრაინის კრიზისის შედეგად წარმოქმნილი რუსეთის გეოპოლიტიკის დღემდე გაურკვეველი მდგომარეობა ძირს უთხრის ბიზნესსდა მომხმარებელთა ნდობას. ნდობის კრიზისი გამოიხატება ასევე რუსეთიდან კაპიტალის გადინებაშიც. რუსეთის ცენტრალური ბანკის მონაცემებით ეს მაჩვენებელი $ 128 მილიარდ დოლარს შეადგენს (Russell, 2015).

თანმედროვე მსოფლიო გეოეკონომიკურ წესრიგში რუსეთის დამკვიდრება ხდება ქვეყნის საბჭოთა მემკვიდრეობის განმტკიცების ხარჯზე. მხედველობაში მაქვს, საბჭოთა მემკვიდრეობის ყველაზე ძლიერი მხარეები - ბუნებრივი გაზი, ნავთობი, ხეტყე, შავი და ფერადი ლითონები, ზღვის პროდუქტები, სამხედრო და აეროკოსმოსური ტექნიკა, ბირთვული ენერგეტიკა (იხ.დანართი2). ამავდროულად ამ იმპერიამ ვერ შეძლო საქონლისა და მომსახურების გლობალურ ბაზარზე გარკვეული ახალი ნიშის მოგება. თუ მისი ეკონომიკის ამჟამინდელი მდგომარეობიდან ამოვალთ

საშუალოვადიან პერსპექტივში რუსეთის მონაწილეობა მსოფლიო გეოეკონომიკურ პროცესებში სერიოზულ ცვლილებებს არ განიცდის (იხ.დანართი2).

მსგავსი მოცემულობა, დასავლეთის მხრიდან რუსეთისათვის შემოღებულ სანქციებთან სინერგიაში წარმოადგენს გლობალურ ეკონომიკაში საერთო ინტერესების სფეროს რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებში. ამასთან, მათ შორის პოტენციური გეოეკონომიკური კონფლიქტი შეიძლება აღმოცენდეს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ჩინეთთან გააფორმებს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას. თუ ეს მოხდა, მაშინ რუსეთი ჩინეთიდან შემოსულ საქონლის და შრომითი რესურსების არაკონტროლირებად მობილობას მიიღებს (მსგავსი საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი მყიფე ეკონომიკის ქვეყანა). ეს არის სცენარი რისთვისაც, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, რუსეთი ჯერ მზად არ არის (მაგალითად, Kuzik & Titarenko 2006, 389). ზოგიერთი კი პირდაპირ მიუთითებს, რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში არსებობს დაფარული ქსენოფობია ჩინეთის მიმართ. ეს განსაკუთრებით რუსეთის შორეულ აღმოსავლეთთან მიმართებაში ჩანს, სადაც ჩინეთი განიხილება როგორც პოტენციური საფრთხე (მაგალითად, Larin, 2015). როგორც ჩანს, აღნიშნული საკითხისადმი რუსეთს ჯეჯერჯერობით ჩამოყალიბებული პოზიცია არ გააჩნია.

ჩინეთი სულ უფრო მეტად ირჩევს აგრესიულ სტრატეგიას საერთაშორისო პოლიტიკაში. მას უკვე გაურთულდა ურთიერთობები მეზობლებთან (სხვა ქვეყნებთან ტერიტორიული პრეტენზიების გამო). ბოლო წლებში ეკონომიკის და გეოეკონომიკის სფეროებში ის უფრო ხშირად შედის კონკურენტულ ურთიერთობაში აშშ-ან.

2008 წლიდან ჩინეთის პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა. შეიძლება ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა ჩინეთის როლი, რისი პროვოცირებაც მოახდინა ამ დროს დასავლეთში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც ერთი შეხედვით თითქოს დაამტკიცა ჩინეთის ეკონომიკური პოლიტიკის (პეკინის კონსენსუსი) მართებულობა. ამასთან, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კონფლიქტი აშშ-სა და ჩინეთს შორის გარდაუვალია, რასაც, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მიზეზები განაპირობებს. ჩინეთი ზრდას განაგრძობს, ხოლო აშშ პირველობას ასე უბრალოდ არ დაუთმობს. ორივე მხარე შეეცდება, ახალი მოკავშირეების შეძენას. ყველაზე დიდი ბრძოლა კი რუსეთისთვის გაჩაღდება (მაგალითად, Luttwak,2012).

აშშ იმით არის დაინტერესებული, რომ რუსეთმა მინიმუმ ნეიტრალიტეტი დაიცვას მაგრამ, როგორც ჩანს რუსეთმა უკვე გააკეთა არჩევანი ჩინეთის სასარგებლოდ, რაც გეოეკონომიკის პოზიციიდან რუსეთისათვის სტრატეგიული შეცდომაა და, აი, რატომ: ჯერ ერთი, ჩინეთი რუსეთს ვერ შეუცვლის დანარჩენ, თანამედროვე ტექნოლოგიებით საკმაოდ ძლიერ პოსტინდუსტრიულ მსოფლიოს; მეორე მხრივ, რუსეთს კარგად უნდა ესმოდეს, რომ ჩინეთი არ ყიდულობს მზა პროდუქციას. ის მხოლოდ ნედლეულისა და სამეცნიერო პროდუქციის მყიდველია. ფაქტობრივად,

ამ მიმართულებით მზა პროდუქციის გასაღების ბაზარი რუსეთს დაეხურება. ჩინეთის მხარდაჭერის გამო, ის სერიოზულად გაიფუჭებს ურთიერთობას ჩინეთის წინააღმდეგ გაერთიანებული კოალიციის ქვეყნებთან. ამის მაგალითები უკვე გვაქვს. მაგალითად, ინდოეთმა უარი განაცხადა გარკვეული სახეობის რუსული იარაღის შესყიდვაზე, ვიეტნამი ატომურ ენერგეტიკაში იაპონიასთან თანამშრომლობაზე გადადის და ა.შ (კვინიკაძე,2014).

კიდევ ერთი და შეძლება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც რუსეთ-ჩინეთის გეოეკონომიკურ ურთიერთობებზე შეიძლება მოახდინოს გავლენა ესაა ჩინეთის ეკონომიკის გაურკვეველი მომავალი. ცნობილი ამერიკული კომპანიის JP Morgan-ის, გათვლებით ჩინეთის საერთო ვალმა 2015 წლისათვის შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის 211 %. ეს მაჩვენებელი 2014 წელს 201, ხოლო 2007 წელს 136 % შეადგენდა. ჩინეთის მთავრობამ შეიმუშავა სპეციალური პროგრამა ამ პრობლემის მოგვარებისათვის გაცილებით დაბალი ფასის ობლიგაციების მეშვეობობით გრძელვადიან პერსპექტივაში. თუმცა, როგორც ფინანსისტ-ანალიტიკოსები ვარაუდობენ ეს დროებთი ზომებია, რომელის შედეგები მომავალში აუცილებლად იჩენს თავს.

აბრეშუმის გზა და მისი ფინანსური ფონი კიდევ ერთი მიზეზია, რომელსაც ძალზედ უფრთხის რუსეთი. კერძოდ, ჩინეთის მცდელობა შანხაის ორგანიზაციის (SCO) ჩარჩოებში შექმნას ინფრასტრუქტურის განვითარების ბანკი და ამ ბაზაზე აზიის საინვისტიციო ბანკის (The Asian Infrastructure Investment Bank) დაფუძნებას რუსეთი დიდ წინააღმდეგობას უწევს. ფაქტია, რომ რუსეთი თავდაპირველად არ იყო ბანკის დამფუძნებელ ქვეყანებს შორის (2014 წლის ოქტომბერი) და მხოლოდ 2015 წლის აპრილში გადაწყვიტა მასში მონაწილეობა. ამ პროექტს რუსი ანალიტიკოსები განიხილავენ როგორც შუა აზიის რუსეთისაგან მოწყვეტის მცდელობას იმ დროს როცა რუსეთი სერიოზულ ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის (Denyer, 2015).

### დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ რეალურად ამ ქვეყნების ურთიერთობებში არის საკითხები სადაც პროგრესის მიღწევა ძალზედ ძნელი იქნება. ეს უპირველესად ეხება ეკონომიკურ, ენერგეტიკულ და სამხედრო საკითხებს. მაგალითად, ჩინეთი ეკონომიკის და სამხედრო შესაძლებლობების ზრდისას ისე ირჩევს საკუთარ პოლიტიკას, რომ ნაკლებად ითვალისწინებს რუსეთის პრეფერენციებს. მხარეები სადაო საკითხებზე მხარს არ უჭერენ ერთმანეთს (მაგალითად, რეინტეგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა სივრცეში, პოზიციები აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, ტაივანის, სინძიანის პროვინციის პრობლემა და ა.შ.), მაგრამ თანახმანი არიან დაიცვან ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

რუსეთ-ჩინეთის გეოეკონომიკური თანამშრომლობა გარკვეულად შეზღუდულია საქონლით ვაჭრობაში. რაც შეეხება თანამშრომლობას ენერგეტიკის სფეროში, ჩინეთმა ამ მხრივ, გაცილებით ადრე დაიწყო აქტიურობა ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, ვიდრე რუსეთთან.

ის ფაქტი, რომ ჩინეთ-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობებში ძირითადი აქტორები სახელმწიფო კომპანიებია და ისინი ხშირად სახელმწიფო და არა ბიზნეს ინტერესებით მოქმედებენ მომავალში კიდევ უფრო გაართულებს სიტუაციას. ეს განსაკუთრებით რუსეთს ეხება, ვინაიდან ეკონომიკის ავტარქიული მოდელი და პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკა გეოეკონომიკური კოლიზიის მაპროვოცირებელი სერიოზული ფაქტორია, რომლის გაგრძელებაც უკვე გეოეკონომიკური ომის სტრატეგიის რეალიზაცია იქნება.

## ციტირებული და გამოყენებული ლიტერატურა


1. ისმაილოვი, ე., პაპავა, ვ. (2012). *ცენტრალური ევრაზია. ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება.* თბ. ინტელექტი.

2. კვინიკაძე, გ. (2014). *გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები.* თბ: თსუ გამომცემლობა.

3. კვინიკაძე, გ. (2016*). გეოეკონომიკური ნარკვევები.* თბ: თსუ გამომცემლობა.

4. Denyer, S., (2015). *In Central Asia, Chinese Inroads in Russia's Back Yard,* Washington: Washington Post, December 27.

5.Kuzik, B.N & M.L. Titarenko (2006), *Kitai-Rossia 2050 – Strategia Rozvitia*, Rosiiskaya Akademia Nauk.

6. Larin, V., (2015) *"Russia Pacific policy in the 21st century"*, December 7, 10:00-12:00
Venue: Tokyo Station Conference, 5th Floor, Sapia tower, 1-7-12 Marunouchi,
Chiyoda-ku,Tokyo.

7. Luttwak,E., (2012). *The rise of China vs. the logic of strategy.* Cambridge, MA: The Belkhap
Press of Harvard University Press, 310 pp.

8. Luttwak,E., (2002). *Strategy The Logic of War and Peace, Revised and Enlarged Edition.*
Harvard: Harvard Universiti Press.

9. MOFCOM's Market access Report on Russian Federation (2010)

10. Mankoff, Jeffrey (2009), *Russian Foreign Policy – The Return of Great Power Politics*,
Rowman & Littlefield Publishers Inc.

11. Russell, M. (2015). *The Russian economy - Will Russia ever catch up?,* In- depth analysis.
European Parliamentary Research Service. March 2015 — PE 551.320.

*დანართი 1*

ჩინეთის გეოეკონომიკური პოტენციალის SWOT ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები | შესაძლებლობები | საფრთხეები |
|---|---|---|---|
| -გეოსტრატეგიული მდებარეობა<br><br>-მაღალი სამრეწველო პოტენციალი<br><br>-დემოგრაფიული პოტენციალი და იაფი შრომითი რესურსები<br><br>-საკუთარი საინვესტიციო რესურსები<br><br>-სახელმწიფო მართვის ეფექტური სისტემა<br><br>-დიდი ზომის შიდა ბაზარი | -სამეცნიერო პოტენციალი<br><br>-ენერგეტიკული და სანედლეულო რესეურსები<br><br>-არასაბაზრო სეგმენტი ეკონომიკაში<br><br>-მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემა<br><br>-მოსახლეობის განათლება<br><br>-შეიარაღების ხარჯების ზრდა<br><br>-ესპორტის წარმოების ნაკლები გამოცდილება<br><br>-სამხედრო ხარჯების ზრდა | -სამეცნიერო პოტენციალის დაჩქარებული გაზრდა<br><br>-ეკონომიკის ინოვაციური მოდერნიზაცია<br><br>-უცხოური ინისტიციების მოზიდვა<br><br>-უცხოეთიდან მოზიდული ენერგეტიკული სანედლეულო რესურსების გამოყენებისათვის ინფრასტრუქტურის განვითარება<br><br>-საბაზრო სეგმენტის წილის ზრდა ეკონომიკაში<br><br>-მსოფლიო კაპიტალის დაინტერესება იაფი მუშახელით | -სამეცნიერო პოტენციალის ზრდაში მიზნის მიუღწევლობა<br><br>-შრომითი პოტენციალის სტრუქტურის გაუარესება<br><br>-ენერგეტიკულ და სანედლეულო რესურსებზე მოთხოვნილების არასრული რეალიზაცია<br><br>-<br>ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა<br><br>-უცხოელი კონკურენტების გაჩენა, რომლებიც გაცილებით მაღალი ტექნოლოგიებით გავლენ მსოფლიო ბაზარზე<br><br>-ეკონომიკური ზრდის შეჩერების მიზნით კოალიციის შექმნა<br><br>-დიდი საერთო ვალი, რაც გაურკვეველს ხდის ჩინეთის ეკონომიკურ მომავალს |

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

*დანართი 2*

რუსეთის გეოეკონომიკური პოტენციალის SWOT ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები | შესაძლებლობები | საფრთხეები |
|---|---|---|---|
| -გეოსტრატეგიული მდებარეობა<br>-მაკროეკონომიკური გარემო<br>-ბაზრის ზომა<br>-ბუნებრივი რესურსები<br>-კვალიფიციური კადრები<br>-საგარეო ვალი<br>-სავალუტო რეზერვები | -სახელმწიფო მოწყობის ავტარქიული მოდელი<br>-ჩართულობა გლობალურ ვაჭრობაში<br>-სახელმწიფო ბიუროკრატია<br>-საფინანსო სისტემა<br>-ინოვაციური პოტენციალი<br>-კორუფცია<br>-საკუთარი საინვესტიციო რესურსები<br>-საგადასახდო სისტემა<br>-ბიზნესის კეთება<br>-ინფრასტრუქტურა<br>-ჩრდილოვანი ეკონომიკა<br>-არასაბაზრო სეგმენტის წილი ეკონომიკაში<br>-ეკონომიკის დივერსიფიკაცია<br>-კაპიტალის გადინება<br>-კანონის უზენაესობა<br>-გეოპოლიტიკური რისკები<br>-დემოგრაფია | -საინვესტიციო მიმზიდველობის აქტიური პროპაგანდა<br><br>-სახელმწიფო მართვის ეფექტურობის გაზრდა გეოეკონომიკური მოდელზე გადასვლის გზით<br><br>-ეკონომიკის საბაზრო სეგმენტის წილის გაზრდა<br><br>-ეკონომიკური ბაზის დივერსიფიკაცია<br><br>-საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარება<br><br>-გამჭვირვალობის ზრდა ეკონომიკის მართვაში<br><br>-კორუფციის მასშტაბების შემცირება | -ფინანსური სექტორის დამოკიდებულება ენერგეტიკულ ბაზარზე<br><br>-საინვესტიციო პოლიტიკის არასწორად შერჩეული პრიორიტეტები<br><br>-უცხოელ ინვესტორთა მიერ კაპიტალდაბანდებების უდიდესი ნაწილის სანედლეულო დარგებში აკუმულირება<br><br>-საინვესტიციო პოტენციალის შემცირება<br><br>-სამეცნიერო პოტენციალის დაკარგვა<br><br>-შრომითი რესურების დეფიციტი<br><br>-დაბალი ფასები ენერგომატარებლებზე<br><br>-ტექნოლოგიური ჩამორჩენა<br><br>-<br>კონკურენტუნარიანობის დაკარგვა<br><br>-მოსახლეობის შემცირება |

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

*დანართი 3*

რუსეთ-ჩინეთის გეოეკონომიკური ურთიერთობების SWOT ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები | შესაძლებლობები | საფრთხეები |
|---|---|---|---|
| საერთო საზღვარი სასაზღვრო ტერიტორიული დავების არ არსებობა<br><br>პოლიტიკური კავშირები თნამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში<br><br>სამხედრო სფეროში თანამშრომლობა<br><br>საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობა | ეკონომიკური ინტეგრაციის დაბალი დონე ქვეყნების ეკონომიკების მოცულობასთან შედარებით<br><br>დაბალი საინვესტიციო აქტიობა<br><br>არალეგალური ვაჭრობა და კონტრაბანდა<br><br>ჩინური საქონლის დაბალი ხარისხი<br><br>მოძველებული რუსული ტექნოლოგიები<br><br>ორმხრივი ბარიერები იმპორტზე<br><br>კონკურენცია გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის | საგარეო ვაჭრობის სტრუქტურის ოპტიმიზაცია<br><br>ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის განვითარება და შორეული აღმოსავლეთის რუსეთის ნაწილის ერთოლივი ათვისება<br><br>ბანკებს შორის კავშირების თანამშრომლობის გაძლიერება ენერგეტიკის სფეროში<br><br>საინვესტიციო საქმიანობის გაფართოება<br><br>ჩინური კომპანიების შესვლა რუსეთში საამშენებლო და აგრარულ ბაზარზე | რუსეთის დამოკიდებულების ზრდა ჩინურ ექსპორტზე<br><br>ინტერესთა კონფლიქტი ენერგეტიკის სფეროში (განსაკუთრებით აზიის რეგიონში)<br><br>კონკურენცია სანედლეულო ბაზრებზე<br><br>რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსიის პოზიციების შესუსტება ჩინეთის ბაზარზე<br><br>ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებიდან გამომდინარე, რუსეთის ენერგო რესურსების ექსპორტის შემცირება<br><br>ჩინეთის მხრიდან არალეგალური მიგრაციის გაძლიერება |

წყარო: 1. http://www.wikiwealth.com/swot-analysis:china;
2. http://www.worldbank.org/en/country/china.
3 .http://thediplomat.com/2013/02/china-america-and-the-wto/;
4. https://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2015/02/pdf/text.pdf.
5. Luttwak,E., (2012). *The rise of China vs. the logic of strategy*. Cambridge, MA: The Belkhap Press of Harvard University Press.

# გეოეკონომიკური კოლიზია
# რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობები

*გიორგი კვინიკაძე*
დოქტორი
კავკასიის უნივერსიტეტი

## ანოტაცია

**კვლევის მიზანი** - კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს გეოეკონომიკის თეორიის წარმოდგენა და მისი შემდგომი სრულყოფა რუსეთ ჩინეთის გეოეკონომიკური ურთიერთობების საფუძველზე.

**ძირითადი ტექსტი** - გეოეკონომიკური კოლიზიის კვლევაში ქეისად გამოყენებულია ჩინეთ-რუსეთის გეოეკონომიკური ურთიერთობები. ამჟამად, რუსეთ-ჩინეთის პარტნიორობას საფუძველად უდევს ქვეყნების საგარეო კურსი, რომლიც ორიენტირებულია დამოუკიდებელი და მრავალვექტორული გეოეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე. თუმცა, მსგავსი ურთიერთობა არ ჩაივლის კონფლიქტების გარეშე. კონფლიქტების უმეტესობა დაკავშირებული იქნება ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობასთან. ამასთან, ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიის და აზიურ-წყნაროკეანურ რეგიონში საკუთარი პოზიციების გაძლიერებისათვის ბრძოლაში ისინი უკვე გეოეკონომიკურ მეტოქეებად მოგვევლინებიან. წინამდებარე კვლევაში SWOT საფუძველზე გამოვლენილია ამ სახელმწიფოთა გეოეკონომიკური პოტენციალი და გაანალიზებულია მათი ურთიერთობების გეოეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივა.

**კვლევის დიზაინი** - კვლევაში გამოყენებულია თეორიულ დიზაინი, რომლიც ეფუძვნება SWOT ანალიზის მეთოდს.

**მეთოდოლოგია** - ნაშრომი მეთოდოლოგიურად თვისებრივი კვლევების კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად შემთხვევების შესწავლის (Case-study) მეთოდია გამოყენებული.

**დასკვნები** - კვლევით დადგინდა, რომ ჩინეთ-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობებში ძირითადი აქტორები სახელმწიფო და სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიებია, რომლებიც ხშირად სახელმწიფოებრივი და არა ბიზნეს ინტერესებით მოქმედებენ. ავტორის აზრით, მსგავსი მოცემულობაში კი აშკარად გამოიკვეთება გეოეკონომიკური კოლიზიის ნიშნები.

**საკვანძო სიტყვები:** გეოეკონომიკა, გეოეკონომიკური კოლიზია, გეოეკონომიკური ომები, სტრატეგიული პარტნიორობა.

## Geo-Economic Collisions
## Briefcase: Russia-China relations

*Giorgi Kvinikadze*
PhD
Caucasus University

### Summary

**Purpose** - The main purpose of research - to develop a theory of geo-economics. On the basis of Russian-Chinese geo-economic relations.

**Basic briefcase** - A good example of is the emergence of geo-economic clashes of Russian-Chinese relations. At the moment, Russian-Chinese relations entered a new phase of geo-economic partnership. However, such cooperation is unlikely to be totally without conflict. Most of the areas of concern of mutual relations in the future will be connected with energy cooperation. At the same time, they will compete on the growing influence in the region of Central Asia and South Caucasus On the basis of the SWOT-analysis revealed a geo-economic potential of these countries. The study analyzes the the geo-economic problems and prospects of their relationship.

**Design** - The study utilized theoretical design, which is based on the method of SWOT analysis.

**Methodology** - The work methodolodically is considered to be qualitative research and case study is being considered to be basic methodological approach.

**Findings** - The fact that China-Russia economic relations are often built in the state and not business interests takes precedence over this fact will further complicate the situation. In this author sees the ghost of of the future geoeconomical Collision in relations between the two countries

**Key words:** Geo-economics, Geoeconomical collision, Geoeconomic war, strategic partnership.

# მოდერატორი  და მედიატორი: თეორიული და  მეთოდოლოგიური საფუძვლები



**თამარ ქობულაძე**

დოქტორანტი

## შესავალი

ფსიქოლოგიის სფეროს მკვლევარები აღარ შემოიფარგლებიან მხოლოდ ასახსნელ (დამოკიდებულ) ცვლადებზე პრედიქტორი (დამოუკიდებელი) ცვლადების ძირითადი ეფექტების შესწავლით. ისინი, სულ უფრო და უფრო მეტად ამოწმებენ  მოდერატორი და მედიატორი ცვლადების როლს, რათა უკეთ შეისწავლონ საკვლევ ცვლადებს შორის არაპირდაპირი კავშირები. ამგვარი კვლევების პროგრესი ასევე დამოკიდებულია კვლევის ახალი მეთოდების უწყვეტ განვითარებაზე. მოდერაციული და მედიაციური ეფექტების გამოვლენისა და შეფასების მეთოდები დაიხვეწა და მეტად ხელმისაწვდომი გახდა სოციალური მეცნიერებების მკვლევართათვის (Aiken & West, 1991; Baron & Kenny, 1986; Bobko & Russell, 1994; Collins *& al*. 1998; Cortina *& al*., 2001; Kenny & Judd, 1984; MacKinnon *& al*., 1995; Ping, 1996c).

მოდერატორი და მედიატორი ცვლადების ანალიზის მეთოდების გავრცელების მიუხედავად, ბევრი ავტორი განაგრძობს სოციალურ მეცნიერებებში ამ ცვლადების შესწავლის ტერმონილოგიური, კონცეპტუალური და სტატისტიკური პრობლემების წინ წამოწევას (Aguinis, 1995; Holmbeck, 1997; McClelland & Judd, 1993; Moosbrugger *& al*., 1997). ამ მხრივ, ზოგიერთი ტერმინი მართლაც გაურკვეველია, იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა თვალსაზრისით არის გამოყენებული მედიატორის როლის (მაგ.: არაპირდაპირი ეფექტი; გამაშუალებელი ეფექტი, სუბსტიტუციური ეფექტი; პროცესის ეფექტი) და მოდერატორის როლის (მაგ.: ინტერაქციის, იგივე ურთიერთქმედების ეფექტი, მულტიპლიკაციური ეფექტი, ,,კვადრატული და პოლინომიალური” ეფექტი; ჰომოგენიზაციის ეფექტი; არაწრფივი ეფექტი) აღსაწერად (MacKinnon & al. 2002; Sharma *& al*., 1981) [1]. კონცეპტუალური შეცდომები, პირველ რიგში გამაშუალებელი ცვლადების როლის გაურკვევლობას, ორაზროვნებასა და გადაფარვას იწვევს. ზოგიერთ ავტორს ერთმანეთში ერევა და მოდერატორსა და მედიატორს შეცდომით, როგორც ურთიერთჩანაცვლებად ტერმინებს, ისე იყენებს (Vollrath & al., 1994; Holmbeck, 1997).

გამაშუალებელი ეფექტები, როგორიც არის მოდერაციული მედიაციისა და მედიაციური მოდერაციის ეფექტები რთული და კომბინირებულია (Baron & Kenny, 1986). ამგვარ გადაფარვას შეუძლია გამაშუალებელი ცვლადების როლების აღმოჩენა და შეფასება გაართულოს. ამ ცვლადების ანალიზის კლასიკურ მეთოდებს სხვადასხვა სტატისტიკური შეზღუდვა ახასიათებს, მათ შორის მაღალი I გვარის შეცდომა (Error I Type) და სუსტი სტატისტიკური სიმძლავრე, რაშიც მოაზრება ის, რომ ხშირად არ შეუძლია რეალურად არსებული მოდერაციული და მედიაციური ეფექტების აღმოჩენა საკვლევ პოპულაციაში. ეს სტატისტიკური შეზღუდვები ძირითადად გვხვდება, როდესაც დარღვეულია ნორმალური განაწილების პრინციპი; როდესაც ადგილი აქვს გაზომვის ცდომილებას, მოდერაციული ეფექტებისთვის არაწრფივი კავშირების არსებობას, ასევე მცირე მოცულობის შერჩევის გამო, საკვლევ ცვლადებს შორის მულტიკოლინიალურობის გამო (Aguinis, 1995; Busemeyer & Jones, 1983; Cortina, 1993; MacKinnon & al. 2002; Moosbrugger *& al.*, 1997).

ზოგიერთი ავტორის აზრით (Cortina *& al.*, 2001; Holmbeck, 1997; Jaccard & Wan, 1995; Moulder & Algina, 2002; Shrout & Bolger, 2002), სტრუქტურული განტოლების მეთოდები აუმჯობესებს მედიატორი და მოდერატორი ცვლადების როლის ანალიზს, აგვარებს რა გაზომვის ცდომილებასთან, მულტიკოლინიალურობასთან და არაწრფივობასთან დაკავშირებულ პრობლემას. ის ასევე ამცირებს ნორმალური განაწილების დარღვევასთან და საზომი სკალების ხასიათთან დაკავშირებულ პრობლემებს. სტრუქტურული განტოლების მეთოდები ხელს უწყობს ლატენტური შუალედური ცვლადების გამოვლენას. პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების (,,სოფტების'') განვითარება-დახვეწა მკვლევარებს წაახალისებს გამოყენონ ეს მეთოდები [2].

სტრუქტურული განტოლების გამოყენებით, გამაშუალებელი, განსაკუთრებით - მოდერაციული ეფექტების ანალიზმა, კენისა და ჯუდის (Kenny & Judd, 1984) სტატიის გამოქვეყნებისთანავე მოიპოვა მხარდაჭერა. კენისა და ჯუდის მოდელი გვთავაზობს, დაკვირვებად მაჩვენებლებზე დაყრდნობით გაზომილ ლატენტურ ცვლადებს შორის ინტერაქციის (ურთიერთქმედების) ეფექტების ანალიზის მიდგომას. ბარონმა და კენიმ (Baron & Kenny, 1986; Kenny & al.) მედიაციური ეფექტებისთვის შემოგვთავაზეს სტრუქტურული განტოლების მეთოდების გამოყენებით ანალიზის თანმიმდევრული მიდგომა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამაშუალებელი ცვლადების ანალიზის მიდგომები გაფართოვდა და გაუმჯობესდა (Collins & al. 1998; Cortina & al., 2001; Moulder & Algina, 2002; Schumacker & Marcoulides, 1998), თუმცა მკვლევარები ჯერ კიდევ ნაკლებად იყენებენ მოდერატორი და მედიატორი ცვლადების ანალიზის ამ მეთოდებს, რადგან ზოგიერთი მათგანი საკმაოდ რთული და კომპლექსურია შესასრულებლად, განსაკუთრებით არაწრფივი ეფექტების შესამოწმებლად (მაგ.: Jöreskog და Yang (1996)-ის მეთოდი). ამასთან, ზოგიერთ მკვლევარს საკუთარი კვლევისთვის შესაბამისი მეთოდის შერჩევის კრიტერიუმი არ გააჩნია. არსებული კონცეპტუალური და თეორიული დაბნეულობა ასევე ამლიერებს მედიატორი

და მოდერატორი ცვლადების ანალიზის მეთოდოლოგიურ სირთულეებს. უნდა გვახსოვდეს, რომ რაც არ უნდა დახვეწილი იყოს სტატისტიკური მეთოდი, კონცეპტუალური და თეორიული სიცხადე და სიზუსტე გადამწყვეტია.

## I. მოდერატორი და მედიატორი ეფექტები

სოციალურ მეცნიერებებში *„ექსპერიმენტზე დაფუძვნებული საველე კვლევები, კორელაციის საკვლევი ტესტები, ინტერვიუები თუ კითხვარები, გაცილებით მეტს გვთავაზობს, ვიდრე ეს მოვლენების არსებობის უბრალო ჩვენებაა. ისინი კონტექსტების ძალზედ სასარგებლო მიგნებებს გვაწვდიან, რომელშიც ეს მოვლენები მიმდინარეობს, ისინი აფასებენ ამ მოვლენების სიძლიერესა და ცვლადებს შორის ურთიერთკავშირს, მათ შეუძლიათ აღმოაჩინონ მედიაციური ეფექტები და აგრეთვე, ისინი ძალიან მნიშვნელოვანია ინდივიდუალური და კონტექსტუალური ცვლადების იდენტიფიცირებისთვის, რომელთაც შესასწავლ მოვლენებზე მოდერაციული ეფექტები გააჩნიათ"* (Taylor, 1998, გვ. 84).

გამაშუალებელი ცვლადები ხელს უწყობს პრედიქტორ (მაგ. ანაზღაურების ახალი პრაქტიკა) და დამოკიდებულ ცვლადს (მაგ. წარმატებული ორგანიზაციული ქცევა) შორის კავშირის გაგებას. მოდერაციულ და მედიაციურ ეფექტებს შორის განსხვავება ყოველთვის ნათელი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ შუალედური ცვლადები ყოველთვის ჩართულია დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადს შორის კავშირში, მედიაციური ეფექტები კონცეპტუალურადაც და ანალიტიკურადაც განსხვავებული უნდა იყოს მოდერაციული ეფექტებისგან. ბარონმა და კენიმ (Baron & Kenny, 1986) დიდი წვლილი შეიტანეს მოდერატორისა და მედიატორის განსხვავების საკითხში. როგორიც არ უნდა იყოს ანალიზის მეთოდი, გადაწყვეტილება იმის შესახებ, ცვლადი განხილება, როგორც მოდერატორი თუ როგორც მედიატორი, პირველ რიგში, აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის კონცეპტუალურ არგუმენტებსა და მყარ თეორიულ ჩარჩოს.

### I. 1. მოდერატორი ცვლადი

ბარონისა და კენის (Baron & Kenny, 1986) განმარტების თანახმად, მოდერატორი არის *„თვისებრივი (მაგ: სქესი, რასა, საზოგადოებრივი კლასი) ან რაოდენობრივი (ჯილდოს დონე) ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს დამოუკიდებელ ან პრედიქტორ და დამოკიდებულ ან მოპასუხე (კრიტერიალურ) ცვლადებს შორის კავშირის მიმართულებასა და/ან სიძლიერეზე (...) ელემენტარული მოდერაციული ეფექტი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ძირითად დამოუკიდებელ ცვლადსა და იმ ფაქტორს შორის ინტერაქციით, რომელიც დამოკიდებულ ცვლადზე ზეგავლენის შესაბამის პირობებს განსაზღვრავს (...)"* [4] .

კიდევ ერთი განმარტების თანახმად, მოდერატორი ცვლადი სისტემურად ცვლის დამოუკიდებელი ცვლადის დამოკიდებულ ცვლადზე გავლენის ეფექტის ზომას, ინტენსივობას, მიმართულებას ან/და ფორმას (Sharma & al., 1981). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორ ცვლადს შორის შესამჩნევი კავშირი განსხვავებული იქნება განსხვავებული დონის მესამე, ე.წ. მოდერატორი ცვლადის გათვალისწინებით (ნახაზი 1). ეს კავშირი შესაძლოა გაძლიერდეს ან შესუსტდეს ან გახდეს უარყოფითი თუკი მოდერატორი ცვლადის ჩარევამდე იყო დადებითი. მაგალითად, ფოქსმა (Fox & al, 2001) აჩვენა, რომ შფოთვა აძლიერებდა სტრესის გამომწვევ ფაქტორებსა და შრომის ნაყოფიერებას შორის კავშირს. Allen & Griffeth (2001) აღმოაჩინეს, რომ შესრულების აღქმასა და სამუშაოთი კმაყოფილებას შორის კავშირი დადებითიდან უარყოფითისკენ იცვლებოდა, იმის მიხედვით, შემთხვევითი იყო თუ არა ჯილდოები. მოდერატორი ცვლადი განსაზღვრავს, როდის და რა პირობებში, რა ვითარებაში ხდება ორ ცვლადს შორის კავშირი ( X-Y ეფექტი).

ამგვარად, მოდერატორი ცვლადი ურთიერთქმედებს დამოუკიდებელ ცვლადთან, იმისთვის, რომ ზეგავლენა მოახდინოს დამოკიდებულ ცვლადზე (მაგ.: კომპეტენციასა და მოტივაციას შორის ურთიერთქმედება განსაზღვრავს შესრულების დონეს). ეს არის სტატისტიკური ურთიერთქმედების პრინციპი, სადაც დამოუკიდებელ ცვლადებს იზოლირებულად (ცალ-ცალკე) შესაძლოა ქონდეთ მათი კომბინირებული ეფექტისგან განსხვავებული ეფექტი [3]. ელისა და სხვების (Ell & al., 1992) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მკერდის კიბოთი დაავადებული ქალებისთვის, მათ მიერ დამაკმაყოფილებელ დონეზე აღქმული სოციალური მხარდაჭერა მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორს წარმოადგენდა. სოციალური მხარდაჭერა პაციენტებში ამცირებდა დისტრესს, დაძაბულობას, გავლენას ახდენდა მკურნალობის მეთოდების მიმღეობაზე ან ცვლიდა მათ ნეირო-იმუნო-ენდოკრინულ ფუნქციონირებას.

ნახაზი 1.




მოდერაციული ეფექტების შესამოწმებლად, ბარონსა და კენის (Baron & Kenny, 1986) ძირითად მაგალითად მოყავთ გლასისა და სინგერსის (Glass & Singer's; 1972) აღმოჩენა, რომელიც ეხებოდა სტრესორის ინტენსიურობისა (ხმაურის დონე) და მართვადობის (პერიოდული – აპერიოდული

ხმაური) ფაქტორებს შორის კავშირს. დავალების შესრულებაზე საზიანო (უარყოფითი) გავლენა აღმოცენდა მხოლოდ მაშინ, როცა ხმაურის დაწყება იყო აპერიოდული ან გაუფრთხილებელი. ამგვარი მიდგომის გამოყენებით, მოდერატორი ცვლადის არსებითი თვისებები შეჯამებულია ნახაზზე 2.

ნახაზი 2.




ნახაზზე 2 ასახული მოდელის დიაგრამას სამი კაუზალური ტრაექტორია აქვს, რომლებიც ავსებენ შედეგის ცვლადს (შესრულებული დავალება): ხმაურის ინტენსიურობის გავლენა, როგორც პრედიქტორი (ტრაექტორია a), მართვადობის გავლენა, როგორც მოდერატორი (ტრაექტორია b) და ამ ორის ინტერაქცია ან ,,პროდუქტი'' (ტრაექტორია c). მოდერაციული ჰიპოთეზა გამყარებულია იმ შემთხვევაში, თუ ინტერაქცია (ტრაექტორია c) არის გამოხატული. ძირითად განხილვებზე დამატებით, სასურველია რომ მოდერატორი ცვლადი კორელაციაში არ იყოს პრედიქტორ და იმავდროულად დამოკიდებულ ცვლადებთან, რათა უზრუნველყოს ნათლად ინტერპრეტირებადი ურთიერთქმედების პირობა. მოდერატორი ცვლადის სხვა თვისება, რომელიც აშკარად ჩანს ნახაზზე 2 არის ის, რომ პრედიქტორ-მედიატორს შორის კავშირისგან განსხვავებით (სადაც პრედიქტორი მედიატორის კაუზალური წინამორბედია), მოდერატორები და პრედიქტორები ერთ დონეზე არიან თავიანთი როლების თვალსაზრისით. მოდერატორი ცვლადები ყოველთვის ფუნქციონირებენ, როგორც დამოუკიდებელი ცვლადები, მაშინ როცა მედიატორული მოვლენები იცვლიან როლებს ეფექტებიდან მიზეზებამდე, ანალიზის ფოკუსის მიხედვით.

### I. 2. მედიატორი ცვლადი

ფსიქოლოგებმა მედიატორი ცვლადების მნიშვნელობა დიდი ხანია აღიარეს. მანამდე მკვლევარები კმაყოფილდებოდნენ მარტივი მოდელის ,,სტიმულ – რეაქციის'' შემოწმებით, სადაც

ერთი ცვლადი, პირდაპირ და უნიკალურად წინასწარმეტყველებს მეორე ცვლადს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კონტექსტსა თუ ინდივიდუალურ მახასიათებლებთან, რომელიც წინასწარმეტყველებს ქცევას. ვუდვორთსის (1928) S-O-R მოდელი, რომელიც აღიარებს, რომ სტიმულსა და რეაქციას შორის აქტიური ორგანიზმი ერთვება, ალბათ, მედიაციური ჰიპოთეზის ყველაზე უნივერსალური ფორმულირებაა. ამ მოდელის ცენტრალური იდეა არის ის, რომ სტიმულები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქცევაზე, გაშუალებულები (მედიაცია) არიან ორგანიზმის შიგნით მიმდინარე სხვადასხვა ტრანსფორმაციული პროცესებით. მედიატორი ჩართულია პროცესში, რომლის დროსაც დამოუკიდებელი X ცვლადი, გავლენას ახდენს დამოკიდებულ Y ცვლადზე (ნახაზი 3).

ნახაზი 3.




ბარონისა და კენის (Baron & Kenny, 1986, გვ. 1173-1176) თანახმად, მედიატორი განისაზღვრება, როგორც ,,გენერატიული მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ძირითად დამოუკიდებელ ცვლადს შეუძლია გავლენა მოახდინოს მოცემულ დამოკიდებულ ცვლადზე (...)''. ცვლადი ფუნქციონირებს, როგორც მედიატორი მაშინ, როცა ის ხვდება შემდეგ პირობებს: (ა) ვარიაციები დამოუკიდებელი ცვლადის დონეებში მნიშვნელოვნად გულისხმობს ვარიაციებს სავარაუდო მედიატორში (მაგ: ტრაექტორია a), (ბ) ვარიაციები მედიატორში მნიშვნელოვნად გულისხმობს ვარიაციებს დამოკიდებულ ცვლადში (მაგ: ტრაექტორია b), (გ) როცა ტრაექტორიები a და b კონტროლდება, დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის მანამდე საგულისხმო კავშირი აღარ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, ყველაზე ძლიერი მედიაციის დემონსტრირების შემთხვევაში, რომელიც აღმოცენდება მაშინ, როცა ტრაექტორია c არის ნულის ტოლი. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ცალკეული, დომინანტი მედიატორის ძლიერი სამხილი. თუ დარჩენილი ტრაექტორია c არ არის ნული, ეს მიუთითებს მრავლობითი მედიაციური ფაქტორების ფუნქციონირებაზე. იქიდან გამომდინარე, რომ ფსიქოლოგიის უმეტესი მიმდინარეობები, ამუშავებენ ფენომენებს, რომლებსაც მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვთ, უფრო რეალისტური მიზანი იქნებოდა იმ მედიატორების ძებნა, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ ტრაექტორია c – ს, ვიდრე დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის კავშირის ერთმნიშვნელოვნად გაწყვეტაა. თეორიული პერსპექტივიდან თუ ვიმსჯელებთ, საგულისხმო შემცირება აჩვენებს, რომ მოცემული მედიატორი ნამდვილად ძლიერმოქმედია.

მაშინ, როცა მოდერატორი ცვლადები განსაზღვრავენ რა შემთხვევებში აქვს ადგილი ზოგიერთ ეფექტს, მედიატორი ცვლადები ხსნიან, როგორ და რატომ აღმოცენდებიან ისინი (საუბარია X-Y ეფექტზე). მოდერატორისგან განსხვავებით, მედიატორი და პრედიქტორი X ცვლადი, კონცეპტუალური თვალსაზრისით ერთსა და იმავე მიზეზობრივობის დონეზე არ არიან: X არის მედიატორი ცვლადის წინაპირობა და ეს უკანასკნელი არის Y-ის წინაპირობა. ამიტომაც, ანალიზის მიხედვით, მედიატორმა ცვლადმა, შესაძლოა, როგორც დამოუკიდებელი, ისე დამოკიდებული ცვლადის სტატუსი მიიღოს, მაშინ როცა მოდერატორი დამოუკიდებელ ცვლადად რჩება. როდესაც X-Y კავშირი გაშუალებულია მედიატორი ცვლადით, ვამბობთ, რომ X-ს არაპირდაპირი ეფექტი (გავლენა) აქვს Y ცვლადზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, X-ის Y-ზე გავლენის ნაწილი, მედიატორ ცვლადზე გადის. ამიტომ, თუ მედიატორი ცვლადის გავლენა სტატისტიკურად გაკონტროლებულია, X-Y კავშირი სუსტდება ან ქრება (Baron et Kenny, 1986 ; Brauer, 2000 ; James et Brett, 1984 ; Kenny, kashy et Bolger, 1998).

აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე ტიპის მედიატორი და მოდერატორი ცვლადი არსებობს. ამ ტიპებს შორის განსხვავების დაზუსტება, კონცეპტუალური და ანალიტიკური თვალსაზრისით გამაშუალებელი ცვლადების ეფექტების უკეთ გაგების საშუალებას იძლევა. ეს განსხვავებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც ისინი სტატისტიკური ანალიზის განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებს.

**II. მედიატორი და მოდერატორი ცვლადების ტიპოლოგია**

შუალედური ცვლადები განსხვავებული ეფექტებისა და დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებთან ჰეტეროგენული კავშირების მქონე სპეციციფიური ცვლადების მრავალფეროვან ნაკრებს წარმოადგენენ. მედიატორ ცვლადებს შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ ჩაერიონ დამოუკიდებელი ცვლადის დამოკიდებულ ცვლადზე გავლენის გადმოსაცემად (Baron & Kenny, 1986). მოდერატორი ცვლადები შესაძლოა განსხვავდებოდნენ ერთის მხრივ, დამოუკიდებელ ცვლადთან ინტერაქციის მნიშვნელობით, ხოლო მეორეს მხრივ, დამოკიდებულ ცვლადთან ურთიერთკავშირის ხასიათის მიხედვით (Sharma & al., 1981). არსებობს სხვა ჰიბრიდული და რთული ეფექტები (ე.წ. მოდერაციისა და მედიაციის შერწყმული, კომბინირებული მოდელები), როგორიც არის მოდერაციული მედიაცია, რომელშიც მეოთხე ცვლადი W ერთვება მედიატორ $X_M$-სა და Y ცვლადს შორის კავშირში და მედიაციური მოდერაცია, რომელშიც $X_P$ და Y-ს შორის კავშირის Z ცვლადით მოდერაცია გაშუალებულია - მედიაციური მეოთხე W ცვლადით (Ambler, 1998; Baron & Kenny, 1986). მოდერატორისა და მედიატორის ერთ კაუზალურ სისტემაში მოთავსება მოდერატორების საპირისპიროდ მედიატორების უფრო დინამიური როლის გამოკვეთაში გვეხმარება (Finney, Mitchell, Cronkite & Moos, 1984).

ბარონი და კენი (Baron & Kenny, 1986) განასხვავებენ ორი სახის - სრულ და ნაწილობრივ მედიაციას. იმ შემთხვევაში, თუ მედიატორი ($X_M$) ცვლადის არსებობის პირობებში $X_P$-ის Y ცვლადზე პირდაპირი ეფექტი (c') მთლიანად გაქრა ე.წ. სრული მედიაციის შემთხვევასთან გვაქვს საქმე. როდესაც $X_P$-ის Y-ზე გავლენა უბრალოდ მცირდება, მაგრამ მთლიანად არ ქრება და პოტენციური მედიატორის გავლენა გაკონტროლებულია, ვამბობთ, რომ ნაწილობრივ მედიაციასთან გვაქვს საქმე (Baron & Kenny, 1986 ; Brauer, 2000 ; kenny, kashy & bolger, 1998) ნახაზი 4. სრული მედიაცია ნიშნავს ერთადერთი დომინანტი შუალედური ცვლადის არსებობას.

ნახაზი 4.




აგრეთვე განასხვავებენ ,,ქვაზი'' მოდერატორსა და ,,სუფთა'' (სრულყოფილ) მოდერატორს. პირველი მათგანი არის ცვლადი, რომელიც იმავდროულად გავლენას ახდენს დამოკიდებულ (Y) ცვლადზე და ურთიერთქმედებს ძირითად დამოუკიდებელ ($X_P$) ცვლადთან. ხოლო სუფთა მოდერატორ ცვლადს არავითარი პირდაპირი კავშირი არ უნდა ქონდეს დამოკიდებულ (Y) ცვლადთან. ის ურთიერთქმედებს მხოლოდ ძირითად დამოუკიდებელ $X_P$ ცვლადთან (Ambler, 1998; Baron et Kenny, 1986; Sauer et Dick, 1993).

სტრესისა და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის მულტიფაქტორული მოდელების ფარგლებში, ორი ტიპის მოდერატორს განასხვავებენ (Taylor & Aspinwall, 1996): შინაგანი მოდერატორები, როგორიც არის პიროვნული მახასიათებლები და გარეგანი მოდერატორები, მაგ.: დრო, სქესი, სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური მხარდაჭერა და სხვა [3].

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, მოდერაციული და მედიაციური ეფექტების მრავალფეროვნება, მათი შეფასებისა და ანალიზის მეთოდების უწყვეტ ადაპტაციას მოითხოვს.

### III. მედიაციური და მოდერაციული ეფექტების ანალიზის მიდგომები

მედიაციური და მოდერაციული ეფექტების გამოვლენისა და შეფასებისთვის სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომები შემუშავდა. სტრუქტურული განტოლების მეთოდებმა ხელი შეუწყო, როგორც მანამდე არსებული პროცედურების განვითარებასა და დახვეწას, ასევე ანალიზის ახალი პროცედურების შემუშავებას (Collins & al., 1998; Cortina & al., 2001; Li & al., 1998; Moulder & Algina, 2002; Shrout & Bolger, 2002; Schumacker & Marcoulides, 1998). შუამავალი ცვლადების შესწავლის მეთოდები მრავალგვარია, თუმცა ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევეხებით.

### III. 1. მედიაციური ეფექტების ანალიზის მიდგომა: ბარონისა და კენის მოდელი

ანალიზის ახალი მიდგომების განვითარების მიუხედავად (Collins & al., 1998), ,,კაუზალური'' მეთოდები კვლავაც რჩება მედიაციური ეფექტების შემოწმების ყველაზე გავრცელებულ მეთოდად. ისინი ბარონისა და კენის (Baron & Kenny, 1986) მოდელზეა დაფუძნებული და განახლებულია კენისა და სხვების მიერ (Kenny & al., 1998)[1]. ამ მოდელის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ არის მარტივი, ნათელი და საკმარისად ფართო იმისათვის, რომ მოიცვას დანარჩენი - კოეფიციენტების წარმოქმნისა (,,Product of coefficients approach'') და კოეფიციენტების დიფერენცირების (,,Difference in coefficients methods'') მეთოდებიც.

ბარონმა და კენიმ (Baron & Kenny, 1986) მოგვინებით კი, კენიმ და კოლეგებმა (Kenny & al., 1998) დამოუკიდებელი X ცვლადის დამოკიდებულ Y ცვლადზე ურთიერთქმედების პროცესში მედიაციური ეფექტის შესამოწმებლად, ოთხი თანმიმდევრული ეტაპისგან შემდგარი მიდგომა წარმოადგინეს.

ეტაპი 1. გულისხმობს საწყის დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის კავშირის (X → Y) სტატისტიკურად მნიშვნელოვნების შემოწმებასა და დადასტურებას;

ეტაპი 2. გულისხმობს საწყის დამოუკიდებელ ცვლადსა და მედიატორ ცვლადს შორის კავშირის (X → M) მნიშვნელოვნების დადასტურებას;

ეტაპი 3. გულისხმობს დამოუკიდებელი ცვლადის გაკონტროლების პირობებში მედიატორსა და დამოკიდებულ ცვლადს (M|X → Y) შორის კავშირის მნიშვნელოვნების დადასტურებას;

ეტაპი 4. გულისხმობს მედიატორის გაკონტროლების პირობებში საწყის დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს (X|M → Y) შორის კავშირის სტატისტიკურად არაარსებითობის (ან ეფექტის მნიშვნელოვანი შემცირების) დადასტურებას;

კენისა და სხვების (Kenny & al., 1998; გვ. 260) თანახმად, იმისათვის, რომ ცვლადის სრული მედიაციური როლის არსებობა ვაჩვენოთ, აღნიშნული ოთხი ეტაპი თანმიმდევრულად უნდა

[1] ანალიზის ეს მიდგომა თავდაპირველად შემუშავდა ექსპერიმენტული კვლევებისთვის C.M. Judd და D.A. Kenny (1981)-ის მიერ, «Process analysis: Estimating mediation in treatment evaluations », Evaluation Review, Vol. 5, pp. 602-619.)

შესრულდეს. თუ მხოლოდ პირველი სამი ეტაპი შემოწმდება, მედიატორის როლი იქნება მხოლოდ ნაწილობრივი. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სრული მედიაციის დასადასტურებლად კოეფიციენტი (c') უნდა გახდეს ნულოვანი, წინააღმდეგ შემთხვევაში მედიაცია ნაწილობრივი იქნება.

იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ მედიაციური ეფექტის სტატისტიკურად მნიშვნელოვნებაში და შევამოწმოთ (a) და (b) კოეფიციენტები, კენი და მისი კოლეგები (Kenny & al., 1998) არაპირდაპირი ეფექტის (ab) სტანდარტული ცდომილების ($S_{ab}$) გამოსათვლელად სობელის (Sobel, 1982) ტესტის გამოყენებას გვირჩევენ. $S_{ab}$ ცდომილება მიიღება (a) და (b) კოეფიციენტების სტანდარტული $S_a$ და $S_b$ ცდომილებებისგან [4].

$$S_{ab} = ab / \sqrt{S_a{}^2 S_b{}^2 + b^2 S_a{}^2 + a^2 S_b{}^2}$$

კენი კოლეგებთან ერთად (Kenny & al., 1998) რამდენიმე სირთულეზე (მაგ. მედიატორი ცვლადის პროქსიმალური და დისტალური ბუნება; ინდივიდუალური და ორგანიზაციული ცვლადების მრავალდონიანი ხასიათი) მიუთითებს, რომელიც მედიაციური ეფექტების ანალიზის დროს მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს. მთავარი სირთულე უკავშირდება დამოუკიდებელ და მედიატორ ცვლადს შორის მულტიკოლინიალურობას, გაზომვის ცდომილებასა და სხვა ამხსნელი ცვლადების გაუთვალისწინებლობას (მხედველობაში ვერ მიღებას). ამ სირთულეების დასაძლევად რეკომენდებულია ბარონისა და კენის (Baron & Kenny, 1986) ,,კაუზალური'' მიდგომა. MacKinnon & al. (2002) თვლის, რომ აღნიშნულ მიდგომას სხვა მიდგომებთან შედარებით, I გვარის შეცდომის საკმაოდ დაბალი ალბათობა აქვს. იმისთვის, რომ ამ მიდგომის სიძლიერე გაუმჯობესდეს, მრავალი ავტორი რეკომენდაციას უწევს სანდოობის მკაცრ ზომებს - დიდი ზომის (500 რესპოდენტზე მეტი) შერჩევებსა და ლატენტური ცვლადებისთვის სტრუქტურული განტოლების მეთოდების სისტემატურ გამოყენებას (Kenny & al., 2002; MacKinnon & al., 1995; 2002; Shrout & Bolger, 2002).

## III. 2. მოდერაციული ეფექტების ანალიზის მიდგომები

ცვლადის მოდერაციული როლის შესამოწმებლად რამდენიმე მეთოდი გამოიყენება, მათ შორის კორელაციათა შედარება, ვარიაციული ანალიზი ANOVA, მრავალ-ჯგუფური ანალიზი (,,multi-group analysis'') და მრავლობითი იერარქიული რეგრესია (Aiken & West, 1991). ზოგმა ავტორმა შეიმუშავა ინტერაქციის ეფექტების ანალიზზე მორგებული მრავლობითი იერარქიული რეგრესიული ანალიზის მეთოდები, ე.წ. "moderated multiple regression" (Aiken & West, 1991; Jaccard & al. 1990; Saunders, 1956; Zedeck, 1971). ძირითადი პრინციპი დამოკიდებულ ცვლადზე ორი დამოუკიდებელი ცვლადის, ასევე მათ შორის ინტერაქციის ძირითადი ეფექტების შეფასებაში მდგომარეობს,

რომელიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უნდა იყოს. სტრუქტურული განტოლების მეთოდების სპეციალისტების მიერ, კენისა და ჯუდის (Kenny & Judd,1984) მოდელის მიხედვით, შემუშავებული იქნა ინტერაქციის ეფექტების ანალიზის რამდენიმე პროცედურა. მათ შორის გამოვყოფთ პინგის (Ping; 1995, 1998) შრომებზე დაფუძვნებულ პროცედურას, რომელსაც რამდენიმე უპირატესობა გააჩნია. კერძოდ, შესაფასებელი პარამეტრების რაოდენობას ზღუდავს ($X_P$*Z) ინტერქაციის ეფექტის გაზომვით, $X_P$ და Z მაჩვენებლების ნამრავლით მიღებული მხოლოდ ერთი მაჩვენებლის საშუალებით. მისი გამოყენება შესაძლებელია სტრუქტურული განტოლების მეთოდების ისეთ მოსახერხებელ პროგრამებთან ერთად, როგორიც არის Lisrel, Amos და EQS, რამდენადაც, წინასწარ ჩატარებული კონფირმატორული ფაქტორული ანალიზის (CFA) შედეგებიდან გამომდინარე ფიქსირებული მაჩვენებლებით ანაცვლებს არაწრფივობის შეზღუდვებს [2]. პინგის (Ping; 1995, 1998) მეთოდი ეფუძნება ანდერსონისა და გერბინგის (Anderson & Gerbing; 1988) ორი ეტაპისგან შემდგარი ანალიზის მიდგომას: პირველი - ეს არის კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა დავრწმუნდეთ საკვლევი მოდელის ვალიდურობაში, მეორე გულისხმობს ლატენტურ ცვლადებს შორის კავშირის შემოწმებას.

და ბოლოს, მოდერაციული, მედიაციური და მათი კომბინირებული ეფექტები შესაძლებელია შემოწმდეს SPSS-ში, რეგრესიის მენიუში სპეციალურად გამაშუალებელი ეფექტების შესასწავლად შემუშავებული მოსახერხებელი ,,პროცესის'' - PROCESS, by Andrew F. Hayes (http://www.afhayes.com) საშუალებით.

ამგვარად, წინამდებარე ნაშრომით შევეცადეთ მკითხველისთვის უკეთ გაგვეცნო მოდერატორისა და მედიატორის განსხვავებული შინაარსი, მათი ფუნქციები და ანალიზის ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომები.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. El Akremi, A. (2005). Analyse des variables modératrices et médiatrices par les méthodes d'équations structurelles. Management des ressources humaines, 12, 325 – 348.
2. El Akremi, A. & Roussel, P. (2003). Analyse des variables modératrices et médiatrices par les méthodes d'équations structurelles : Application en GRH; 1063 – 1096.
3. Rascle, N. & Irachabal S. (2001). Médiateurs et modérateurs : implications théoriques et méthodologiques dans le domaine du stress et de la psychologie de la santé. Le travail humain, 2 (64), 97 – 118.
4. Baron, R.M. & Kenny, D.A. (1986). The Moderator-Mediator Variable Distinction in Social Psychological Research: Conceptual, Strategic, and Statistical Considerations. Journal of Personality and Social Psychology, 6 (51), 1173 –1182.
5. Fairchild, A.J. & MacKinnon, D.P. (2009). A General Model for Testing Mediation and Moderation Effects. Prevention Science, 10 (2) 87 – 99.

# მოდერატორი და მედიატორი: თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

*თამარ ქობულაძე*
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

**მიზანი** - ბოლო პერიოდში, ფსიქოლოგიის სფეროში ჩატარებულ ემპირიულ კვლევებში შუამავალი - ,,მოდერატორი'' და ,,მედიატორი'' ცვლადების მიმართ მზარდი ინტერესი შეინიშნება, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი მათ, როგორც ურთიერთჩანაცვლებად ტერმინებს, ისე იყენებს. პუბლიკაცია მიზნად ისახავს მოდერატორი და მედიატორი ცვლადების შინაარსის უკეთ გაცნობას, მათ შორის განსხვავების ხაზგასმასა და მოდერაციული და მედიაციური ეფექტების ანალიზის ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომების მიმოხილვას.

**სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა** – წინამდებარე პუბლიკაცია მთლიანად თეორიული ხასიათისაა და მოდერატორი და მედიატორი ცვლადების შესახებ გამოქვეყნებული უცხოენოვანი შრომების მიმოხილვასა და ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს.

**სიახლე/ღირებულება** - ნაშრომის ძირითადი ღირებულება ისაა, რომ გამოიკვეთება "მოდერატორსა" და "მედიატორს" შორის შინაარსობრივი სხვაობა, რომელიც ჯერ კიდევ ბუნდოვანია ზოგი თეორეტიკოსისა და მკვლევარისათვის. ამას გარდა, იგი წაახალისებს კვლევის ჰიპოთეტურ მოდელებში აღნიშნული ცვლადების ინტეგრირებასა და მათი ეფექტების შესწავლას. იმედს ვიტოვებთ, რომ სტატია დაეხმარება სოციალური მეცნიერებებისა და მარკეტინგის სპეციალისტებსაც.

# Moderators and Mediators: Theoretical and Methodological Principles

*Tamar Kobuladze*
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

## Abstract

**Purpose** – recently an increasing awareness is observed towards moderator and mediator variables in empirical studies executed in psychology field. However, some researchers use them as interchangeable terms.
The publication sets itself as an object to reference the content of moderator and mediator variables, underline the distinction between these two types of variables and main methodological approaches survey of moderation and mediation effects analysis.

**Design/methodology/approach** – in the present publication carries a theoretical framework entirely and represents summation and reviews on foreign published works concerning moderator and mediator variables.

**Originality/value** – the main value of the publication is to distinguish substantive differences between moderator and mediator, as they are obscure for some theorists and researchers. Besides that, it will encourage integrating these variables in the hypothetic models of the research and studying the effects. We hope this publication will assist specialists of social sciences and marketing as well.

## ქართული ენის მოდელირების თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივა






**ლალი ეზუგბაია**
პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

**მარიამ მანჯგალაძე**
პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი





**რატი სხირტლაძე**
პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

**თედო უთურგაიძე**
პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი


### შესავალი

21-ე საუკუნეში ნათლად არის გამოკვეთილი კომპიუტერული ტექნოლოგიების როლი ეროვნული ენების შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში. ბუნებრივ ენათა სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის კი, ცხადია, აუცილებელი პირობაა ენობრივ მონაცემთა დამუშავება თანამედროვე ტექნოლოგიებით. ელექტრონულ სივრცეში ქართული ენის სრულფასოვანი ჩართვა: ტექსტური კორპუსების, ელექტრონული ბიბლიოთეკების, ენის ელექტრონული სწავლებისა და სათარგმნი პროგრამების შექმნა გადაუდებელი ამოცანაა, ინფორმაციის ახალი ტექნოლოგიების საშუალებით მიღება კი ახალი დროის ადამიანის მთავარი მოთხოვნა.

ენის (და მისი ქვესისტემების) მასშტაბური დამუშავება, მოდელირება, დოკუმენტირება, კვლევა და თეორიული საკითხების ინტეგრირება გამოყენებითი ლინგვისტიკის უმთავრესი ამოცანაა, აქედან გამომდინარე, ბუნებრივ ენათა შენარჩუნება და განვითარება დიდად იქნება დამოკიდებული ერთი ენიდან მეორე ენაზე შესამლო ავტომატურ თარგმანზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, დომინანტური ენებით ჩანაცვლების საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება ისეთი დიდი ტრადიციის მქონე მწიგნობრული ენა, როგორიცაა ქართული სალიტერატურო ენა.

სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება ქართული სახელმწიფოსთვის სათარგმნი პროგრამის შექმნას რამდენიმე ფაქტორის გამო: 1. ქართული სახელმწიფო ენის სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველყოფა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ; 2. ქართული ენის თანასწორუფლებიან წევრად ჩართვა საინტერნეტო სივრცეში, რომელიც გაჯერებულია ევროპული ენების სათარგმნი პროგრამებით.

ქართული ენის სათარგმნი პროგრამის შესაქმნელად გადასაჭრელია შემდეგი ამოცანები: განმარტებითი და თარგმნითი ელექტრონული ლექსიკონების კორპუსის შექმნა; ქართული ენის ორთოგრაფიული, სინტაქსური და სემანტიკური ანალიზის ელექტრონული პროგრამების შექმნა. ეს ამოცანები მოითხოვს როგორც ადამიანურ, ისე ტექნიკურ და მატერიალურ რესურსს და მათი განხორციელება მხოლოდ ეტაპობრივადაა შესაძლებელი.

საქართველოში ამ მიმართულებით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება არსებობს: მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან სხვადასხვა ჯგუფის მიერ მუშავდება ქართული ენის მოდელირების თეორიული საკითხები და იქმნება ქართული ენის (ყველა ქვესისტემის გათვალისწინებით) მონაცემთა კომპიუტერული ბაზები.

2004 წლიდან ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლინგვისტთა ერთი ჯგუფი შეუდგა ქართული ენის მოდელირებას პროფ. თედო უთურგაიძის კონცეფციისა და მათემატიკოს რატი სხირტლაძის კომპიუტერული პროგრამების მიხედვით. ამ ჯგუფის პირველი ერთობლივი პროექტი იყო ფონდ ”ღია საზოგადოება - საქართველოს” მიერ დაფინანსებული პროექტი ”ქართული ენის მართლწერის შესამოწმებელი კომპიუტერული პროგრამა”. ამ პროექტის საფუძველზე ჩამოყალიბდა კავშირი ”ენის მოდელირების ასოციაცია”, რომელიც განაგრძობს მუშაობას ქართული ენის მოდელირების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე, რომელთა ახლებური გააზრების მცდელობაა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი: ”ქართული ენის გრამატიკის ელექტრონული სისტემა” (იხ. ვებ გვერდი: www.ena.ge). ჩატარებული სამუშაოების მიუხედავად, გადაუჭრელია არაერთი თეორიული და პროგრამული ამოცანა, რაც აფერხებს კიდეც ქართული ენის სრულყოფილი მოდელირების პროცესს. ვეცდებით წარმოვადგინოთ როგორც შესრულებული საკითხები, ასევე სამომავლოდ შესასრულებელი მნიშვნელოვანი ამოცანები.

**ძირითადი ნაწილი**

ენის მოდელირების ასოციაციის მიერ შექმნილი ქართული ენის ფორმალიზებული მოდელის პროგრამული პაკეტი მოიცავს ქართული ენის „სპელჩეკერსა“ და ანალიზატორს. ანალიზატორის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია მორფემებად დაშალოს სიტყვაფორმა, დაადგინოს მისი გრამატიკული კატეგორია (რომელი მეტყველების ნაწილია, სახელის შემთხვევაში რომელ ბრუნვაშია, ზმნის შემთხვევაში - უღლების რომელი ფორმაა და ა.შ). ავაგეთ 592 ზმნური და 72 სახელური მო–

დელი, რომლებიც, შესაბამისად, 28,982,157 და 108,761,163, სულ 137,743,320 განსხვავებულ სიტყვა-ფორმას აწარმოებს. თითოეული მოდელი წარმოდგენილია ფუძეებისა და პრეფიქს-სუფიქსთა წყვილების ბაზით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ენის ფორმალიზებული მოდელის პროგრამის კონცეპტუალური საფუძველი ემყარება თედო უთურგაიძის ხედვას, რომლის თანახმადაც:

1. მოდელი ვარაუდობს პარადიგმატული მორფოლოგიური ერთეულების რანგობრივ მიმართებათა ფორმულირებას;

2. მოდელის ფარგლებში მორფოლოგიურ ერთეულთა (მორფემათა) სინტაგმატური ურთიერთობის ამსახველ ფონემატურ წინააღმდეგობებს ენა აგვარებს მორფონოლოგიურ ცვლილებათა გზით, რაც ფონემატურად პროგნოზირებადია და ქმნის განსაზღვრულ მორფონოლოგიურ ტიპებს;

3. ერთი მოდელის ფარგლებში სახელთა და ზმნათა ფორმაცვალებაში (ბრუნებასა და უღლებაში) რამდენიმე მორფონოლოგიური ტიპი წარმოიქმნება. მათი გათვალისწინება აუცილებელია ენობრივად სწორი ფორმების დასადგენად როგორც ნორმირებულ სალიტერატურო ენაში, ისე ამა თუ იმ დიალექტში.

ჩვენს ანალიზატორში სახელური ბაზები აერთიანებს არსებითი სახელის, ზედსართავი სახელის, რიცხვითი სახელისა და ნაცვალსახელის 72 მორფონოლოგიურ ტიპს. სახელების თითოეული ტიპი ერთი ნიშნით მაინც განსხვავდება მეორისგან, მაგალითად, მრავლობითი რიცხვის ქონა-არქონა, კუმშვისა და კვეცის თავისებურება. ნაცვალსახელები საერთოდ დამოუკიდებელ მორფონოლოგიურ ტიპებს ქმნიან. რაც შეეხება რიცხვით სახელებს, მათი ნაწილი არსებით სახელთა შესაბამის ტიპებთან გაერთიანდა, ნაწილი კი დამოუკიდებელ ჯგუფებად გამოიყო. ამავე დროს, აიგო მხოლოდ თანდებულიან და ნაწილაკიან სახელთა ბრუნების პარადიგმები, ასევე აღიწერა სახელზე თანდებულისა და ნაწილაკის ერთდროულად დართვით მიღებული ყველა შესაძლო ვარიანტი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელის რომელიმე მორფონოლოგიური ტიპის ერთი ლექსიკური ერთეული წარმოგვიდგენს 1600-მდე განსხვავებულ ფორმას.

გათვალისწინებულია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებასთან დაკავშირებული თავისებურებანი, კერძოდ, ნებისმიერი აბსტრაქტული თუ სუბსტანტიური მსაზღვრელის ბრუნება არსებით სახელთან ერთად პირდაპირი და ინვერსიული ფორმით. აუცილებელი გახდა სახელის დაფიქსირება ფუძის სახით, ნულოვანი ალომორფით, მაგალითად, „**მეგობარ** თამაზს გადავეცი წიგნი“. შეიძლება ითქვას, რომ ბრუნვათა პარადიგმაში აღდგენილია წრფელობითი ბრუნვა.

ზემოთ აღნიშნული კონცეფციის მიხედვით ჩვენს უღლების სისტემაში წარმოდგენილია 12 მწკრივი - დაემატა მეორე ბრძანებითი. პირიან ფორმათა რაოდენობაც განსხვავებულია სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული რაოდენობისაგან, რადგან ფორმას განსაზღვრავს გამოხატულებისა და

შინაარსის პლანის ერთობლიობა. შესაბამისად, ორპირიან აქტივთა ერთ მწკრივში, ნაცვლად 18-ისა, არის 32 ფორმა, სამპირიანში კი - 64 ან 128. ეს უკანასკნელი მაშინ, თუ ზმნას პირცვალებადი პირდაპირი ობიექტიც ეწყობა.

ამ ცვლილების გათვალისწინებით აიგო ზმნის უღლების პარადიგმები, რომლებიც, თავის მხრივ, დაემყარა ზმნურ ფუძე-ძირთა მორფონოლოგიურ ტიპებს (პირობითი სახელწოდებით _ stem). თავდაპირველად ანალიზატორში განთავსდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით 1055-მდე ბაზა. ესაა ძირითადად ზმნური ძირები და გაზმნურებული სახელური ფუძეები, საერთო რაოდენობით - 5457. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ იგულისხმება განსხვავებული მორფონოლოგიური ფუძეები და არა ლექსიკური ძირები, რომელთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია. მაგალითად, **ტეხ-ს** და **ტყ-დ-ება** ფორმათა ძირები მორფონოლოგიურად სხვადასხვაა, მაგრამ ლექსიკურად - არა. ასევე: **დრეკ-ს** და **დრიკ-ა**, **ა- ნგრევ-ს** და **ა-ნგრი-ა**, ვ-**კლ-ავ** და **(მო)-ვ-კალ-ი** და სხვ. ამდენად, 1055-მდე ფუძე-ძირი წარმოქმნის მილიონობით სიტყვაფორმას, მათ შორის ზმნისწინიან ფორმებსაც.

ზმნათა გენერაცია ამავე დროს გულისხმობს სახელურ ფუძეთაგან ზმნის წარმოებასაც. შესაბამისად, უხეშად, შიდა გადამუშავების გარეშე, ზმნურ ბაზებში დამატებით გადანაწილდა 50.000-ზე მეტი სახელური ძირი, სულ გვაქვს 57.231 ერთეული. მათი გენერაციის საფუძველზე ზმნურ სიტყვაფორმათა რაოდენობა 83.466.170-ს აღწევს, მათ შორის მხოლოდ ფორმალურად განსხვავებულია 28.928.303. გენერაციის პროცესში თავი იჩინა არაერთმა პრობლემამ, რომელთა საბოლოო გადაწყვეტა სამომავლო ამოცანად რჩება. მაგალითად, ა) შესაძლოა, სახელურმა ფუძემ ზმნის უღლების ახალი მორფონოლოგიური ტიპი წარმოქმნას; ბ) როგორ განისაზღვროს ე. წ. ვირტუალური ზმნური ფორმების დასაშვები ზღვარი; გ) რთული და შრომატევადია ახალ ზმნურ ფორმებთან დასაშვებ ზმნისწინთა ინდექსაცია და სხვ. აღსანიშნავია, რომ პრეფიქსებისა და სუფიქ-სების ბაზისაგან განსხვავებით დგას ზმნისწინები, რომელთა განაწილება ხდება სათითაოდ ზმნური ფუძეების, გვარისა და ვერსიის გრამატიკული კატეგორიების გათვალისწინებით. პირველ ეტაპზე გარდაუვალი იყო პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა, რადგან უმთავრეს ამოცანად იყო დასახული ზმნური ფორმაწარმოების სრული აღწერა ზმისწინისგან დამოუკიდებლად მორფოლოგიური და ფონოლოგიური ცვლილებების გათვალისწინებით. მეორე მხრივ, თეორიულად არ არის ბოლომდე შესწავლილი ზმნისწინთან დაკავშირებული პრობლემატიკა. **შესაბამისად, აქტუალურია ყველა იმ ზმნური სემანტიკური ქვესისტემის აღწერა, რომელიც ზმნისწინის დართვით წარმოიქმნება.**

ზმნისწინის ადგილი და მნიშვნელობა ზმნის უღლების პარადიგმაში პრობლემური საკითხია შემდეგი მიზეზის გამო: უნდა განიხილებოდეს თუ არა ზმნისწინი პარადიგმის შემადგენელ ელემენტად, თუ გაიმიჯნოს ზმნური პარადიგმები მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სემანტიკურ პარადიგმებად და, შესაბამისად, მიეჩინოს ზმნისწინს ადგილი. გამოდის, რომ ფლექსიური

ზმნისწინის ადგილი იქნება მორფოლოგიურ პარადიგმაში, ხოლო დერივაციული ზმნისწინები გადანაწილდებიან სინტაქსურ და სემანტიკურ პარადიგმებში, მაგრამ ამგვარი პარადიგმები ვერ აიგება, სანამ ყველა ზმნური ფუძისთვის არ განისაზღვრება ოდენ ფლექსიური ან ოდენ დერივაციული ზმნისწინი შესაბამისი სემანტიკური ჯგუფით.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ **ზმნისწინთა თეორიაში სისტემური სახით ეს ცვლილებები თითქმის არ არის წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით. ეს შეუძლებელიც იყო ტრადიციული მეთოდებით კვლევისას. მხოლოდ მანქანური დამუშავების შემდეგ გახდა თვალსაჩინო ზმნისწინის ეს თავისებურებები, რადგან რეალურად არც ერთი ფუძე არ დაირთავს ერთსა და იმავე ზმნისწინს ისეთივე დანიშნულებით, როგორც ნებისმიერი სხვა ზმნური ფუძე. ჩანს, რომ ქართულ ზმნათა უმრავლესობა თავისებურია ზმნისწინთა სისტემასთან მიმართებით.** ამიტომაც გასაგებია ის პრობლემა, რასაც ქართული ენის სწავლებისას აწყდება არაქართველი: როგორც წესი, უჭირს ზმნისთვის სათანადო ზმნისწინის შერჩევა. მაგალითად, ინგლისური **write** ფორმა გადმოიცემა ქართულში რამდენიმე სახით: **წერა, დაწერა, ჩაწერა, გაწერა, გამოწერა** ... მაგრამ **დაწერა** არასწორად იქნება გამოყენებული, თუ **მონაცემების შეტანა** იგულისხმება, ანუ ინგლისური შესიტყვება **write down** უნდა გადმოიცეს **ჩა**- ზმნისწინიანი ფორმით **ჩაწერა.**

აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, ქართული ზმნის სრულყოფილი მოდელირებისათვის საჭიროა:

1. თითოეული ზმნური ფუძისთვის სემანტიკური ჯგუფისა და ქვეჯგუფის მინიჭება;
2. ზმნურ ფუძესთან ზმნისწინის დართვით მიღებული სემანტიკური მნიშვნელობის აღწერა;
3. მოდელური და სემანტიკური თავისებურებების მიხედვით ზმნათა პარადიგმების სრულყოფა;
4. ამგვარი მოდელირების პროცესში დღის წესრიგში დგება ზმნურ ფუძე-ძირთა სემანტიკური ჯგუფების გამოყოფის საკითხი, რაც დამოუკიდებლად მოითხოვს თეორიული საკითხების დამუშავებას ქართული ზმნის იდეოგრაფიული ლექსიკონის არარსებობის პირობებში.

აღნიშნული ამოცანების განხორციელება მოემსახურება როგორც მორფოლოგიური სპელჩეკერის სრულყოფას, ასევე სინტაქსური კომპიუტერული პროგრამის შექმნას. გარდა ამისა, დღის წესრიგში დგება მორფოსინტაქსური ამოცანებიც, კერძოდ, მოდელის ფარგლებში სახელთა და ზმნათა პირველადი ფორმები; ძალიან ხშირად მორფონოლოგიური ცვლილების გზით მიღებული მეორადი ფორმებიც ფორმალურად ვერ უპირისპირდებიან ერთმანეთს და ირღვევა პარადიგმის წევრთა ურთიერთმიმართების პრინციპი. ასეთ შემთხვევაში დაპირისპირებულ ფორმათა ღირებულების დადგენა მხოლოდ მორფოსინტაქსური ანალიზის გზით არის შესაძლებელი. ქართული ენის მორფოსინტაქსური და წმინდა სინტაქსური მოდელირება მომავლის საქმეა, თუმცა ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს ჩვენი ასოციაციის მიერ

განხორციელებული მეორე პროექტი „ქართული ენის გრამატიკის ელექტრონული ცნობარი“. პროდუქტში ინტეგრირებულია მარტივი გაუვრცობელი წინადადების სტრუქტურული ანალიზის მოდული. იგი მომხმარებელს საშუალებას აძლევს მიიღოს ინფორმაცია როგორც სიტყვის მორფოლოგიური მახასიათებლების, ასევე მარტივი გაუვრცობელი წინადადების სინტაქსური ანალიზის შესახებ.

პროგრამა საშუალებას იძლევა: ა. მორფოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით: გამოიყოს სიტყვის ფუძე, ბრუნვის ნიშანი, ნაწილაკი და დადგინდეს, თუ რომელი მეტყველების ნაწილია საძიებელი სიტყვა და ა.შ. ბ. სინტაქსური თვალსაზრისით: დადგინდეს წინადადების წევრების სტატუსი, რომელია **შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი და ირიბი დამატება.**

მარტივი გაუვრცობელი წინადადების სინტაქსურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ფორმალური ნიშნები, იგივე მორფოლოგიური მარკერები არასაკმარისია, მაგალითად, პირმიმართ აქტანტებში პრობლემურია პირველი სერიის მიხედვით სამპირიანი გარდამავალი ზმნის პირდაპირი და ირიბი აქტანტების ფორმობრივი გარჩევა, რადგან ორივე მიცემით ბრუნვაში დგას. საჭირო გახდა სემანტიკური ჯგუფების შექმნა. მაგალითად, ერთ-ერთი მარკერია ის, რომ სულიერი სახელით გადმოცემული აქტანტი ძირითადად იქნება ირიბი დამატება, ხოლო უსულო სახელით გადმოცემული - პირდაპირი დამატება და ა. შ. (თუმცა, რასაკვირველია, ეს კლასიფიკაცია არ არის სანდო და საკმარისი); პირმიუმართავი აქტანტიც შეიძლება იდგეს მიცემით ბრუნვაში, ისევე როგორც გარემოება და სხვ. მაშასადამე, საჭიროა სახელთა სემანტიკური ჯგუფების შექმნა ისეთი მნიშვნელობით, როგორიცაა **დრო-ჟამის სახელები, გეოგრაფიული სახელები, სივრცითი ორიენტაციის** სახელები და ა.შ.

აღმოჩნდა, რომ **სახელთა სემანტიკური ჯგუფების გამოყოფა ჯერ კიდევ არაა საკმარისი პირობა სახელთა სინტაქსური ანალიზისთვის.** ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია ზმნით გადმოცემული ლექსიკური მნიშვნელობაც. მაგალითად, მოქმედებით ბრუნვაში დასმული უსულო სახელი თუ უკავშირდება გრძნობა-ემოციების აღმნიშვნელ ზმნას, ვითარების გარემოებაა: **,,გულით წუხდა**’’; სხვა შემთხვევაში მოქმედებითბრუნვიანი სახელი უბრალო დამატებაა (პირმიუმართავი აქტანტი): ,,**თოფით მოკლა.”** შესაბამისად, აუცილებელია **ზმნათა სემანტიკური ჯგუფების** გამოყოფა მათი ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით.

**დასკვნა**

ამგვარად, წარმოდგენილი ელექტრონული პროდუქტები და მათი თეორიული წანამძღვრები, ჩვენი აზრით, ქმნის რეალურ პლატფორმას ქართული ენის სრულყოფილი მოდელირებისათვის. მეორე მხრივ, მოდელირების პროცესში წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს უფრო მასშტაბურ სამუშაოებს, რაც დამატებით ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს საჭიროებს. ეს არის

რთული, მაგრამ სწორი გზა ქართული ენის თარგმნითი პროგრამის შექმნის გზაზე. მართალია, სტატისტიკაზე დაფუძნებული მანქანური თარგმანი დღეისათვის წესებზე დაფუძნებულ მანქანურ თარგმანზე მეტად ეფექტურად მიიჩნევა და ეს გზა აირჩია Google-მა, თუმცა მან 2010 წელს მეტად მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა[1]: რამდენიმე ენისათვის მან დაამუშავა არსებული ბილინგვური ტექსტების 10% და შექმნა სტატისტიკაზე დაფუძნებული მანქანური თარგმანის შესაბამისი პროგრამები, მაგრამ დამუშავებული ტექსტების გაორმაგების შემდეგ, თარგმანის ხარისხი მხოლოდ 0.5%-ით გაიზარდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თარგმანის ხარისხის გასაუმჯობესებლად საკმარისი არაა სტატისტიკური მეთოდების გამოყენება. გარდაუვალია წესებზე დაფუძნებული სათარგმნი მოდულების შექმნა, რაც, თავის მხრივ, ერთიან კონცეპტუალურ ხედვაზე დაფუძნებულ მორფოლოგიურ და სინტაქსურ პროგრამულ პაკეტს ემყარება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ეზუგბაია, ლ., უთურგაიძე, თ., მანჯგალაძე, მ., სხირტლაძე, რ. (2013). ზმნის სემანტიკური მოდელირება: პრობლემები და გადაწყვეტის გზები, საერთაშორისო კონფერენციის „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები - 2013 ” მასალები.

2. ეზუგბაია ლ., უთურგაიძე თ., სხირტლაძე რ. (2008).ზმნურ ფორმათა გენერაციის საკითხები, კონფერენციის „ბუნებრივ ენათა დამუშავება - VI” მასალები.

3. ეზუგბაია ლ., უთურგაიძე თ., სხირტლაძე რ. (2006) ქართული ენის ზმნათა ფორმების ელექტრონული ვერსია, კონფერენციის „ბუნებრივ ენათა დამუშავება - IV” მასალები.

4. მანჯგალაძე მ., ვაშაკიძე თ., ტეტელოშვილი თ., სხირტლაძე რ. (2006), ქართული ენის სახელთა ელექტრონული ვერსია, კონფერენციის „ბუნებრივ ენათა დამუშავება - IV” მასალები.

5. სხირტლაძე, რ. (2013). ქართული ენის მანქანური თარგმანის პროგრამა - პრობლემები და პერსპექტივები, საქართველოს პარლამენტის კონფერენციის „ქართული ენა და XXI საუკუნე“ მასალები.

6. Collins Michael, Language Modeling. http://www.cs.columbia.edu/~mcollins/lm-spring2013.pdf

7. Волкова И. А., (2006), Введение в компьютерную лингвистику. Практические аспекты создания лингвистических процессоров. http://cmcmsu.no-ip.info/download/computational.linguistics.pdf


[1] http://www.andovar.com/blog/machine-translation/

# ქართული ენის მოდელირების თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივა

**ლალი ეზუგბაია** - პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
**მარიამ მანჯგალაძე** - პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, კავკასიის უნივერსიტეტი
**რატი სხირტლაძე** - პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტი
**თედო უთურგაიძე** - პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

## აბსტრაქტი

**მიზანი** -ქართული ენის მოდელირების ენობრივი და პროგრამული საკითხების კვლევა, თეორიული პრობლემების პრაქტიკულად განხორციელების გზების ძიება კომპიუტერული ლინგვისტიკის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად.

**სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა** - კვლევა ემყარება სტრუქტურულ და ფუნქციურ-სემანტიკურ ანალიზს. მოდელირების კონცეპტუალური საფუძველია თ. უთურგაიძის ხედვა, რომლის თანახმად მოდელი ვარაუდობს პარადიგმატული მორფოლოგიური ერთეულების რანგობრივ მიმართებათა ფორმულირებას; მოდელის ფარგლებში მორფემათა სინტაგმატურ ურთიერთობაში ფონემატურ წინააღმდეგობებს ენა აგვარებს მორფონოლოგიურ ცვლილებათა გზით, რის გამოც წარმოიქმნება განსაზღვრული მორფონოლოგიური ტიპები. შესაბამისად, ჩვენს გრამატიკულ ანალიზატორში ბრუნებისა და უღლების პარადიგმები წარმოდგენილია სახელისა და ზმნის მორფონოლოგიური ჯგუფების მიხედვით.

**დასკვნები** - ქართული ენის მოდელირება გადაუდებელი ამოცანაა და ის ეტაპობრივად, მაგრამ დროის მოთხოვნის შესაბამისად უნდა განხორციელდეს. არსებული სახელური და ზმნური ბაზები უნდა შეივსოს და დაიხვეწოს. აიგოს ზმნის სრულყოფილი ფორმალური და სემანტიკური უღლების პარადიგმები, რაც უზრუნველყოფს მორფოლოგიური და სინტაქსური კომპიუტერული პროგრამების შექმნას. თავის მხრივ, ეს პროგრამული პაკეტი უნდა გახდეს საბაზისო პლატფორმა მანქანური თარგმანის განსახორციელებლად.

**კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა** - უმთავრესი სირთულე/შეზღუდვა არის ქართული ენის მასშტაბური, ინტერდისციპლინარული (კორპუსის ლინგვისტიკა, კომპიუტერული ლინგვისტიკა, ტიპოლოგიური ლინგვისტიკა, ელექტრონული ლექსიკოგრაფია...) კვლევის თანამედროვე ეტაპზე შესუსტება. ამ პროცესის სასიკეთოდ შემოტრიალების გარეშე გლობალური მასშტაბით ჩამოვრჩებით ენის თანამედროვე კვლევის დონეს.

**სიახლე/ღირებულება** - ნაშრომში ახლებურადაა წარმოდგენილი ქართული ენის მოდელირების კონკრეტული საკითხები, კერძოდ: ზმნისწინების მიხედვით ზმნური პარადიგმების სრულყოფასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული სამუშაოები, ზმნის სემანტიკური ჯგუფების შესწავლისა და, შესაბამისად, იდეოგრაფიული ლექსიკონის პრობლემატიკა, ზმნის გენერირების გზები და პრობლემები, სინტაქსური ანალიზატორის ქვაკუთხედის - მარტივი გაუვრცობელი წინადადების სრულყოფილი ანალიზის პრობლემები და სხვ. გამოკვეთილია ადეკვატური კომპიუტერული აღწერის პრაქტიკული გზები.

# Current State, Problems and Perspectives of Georgian Language Modeling

**Lali Ezugbaia** - Professor, PhD, Free University
**Mariam Manjgaladze** - Professor, PhD, TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics
**Rati Skhirtladze** - Professor, PhD, Caucasus University
**Tedo Uturgaidze** - Professor, PhD, TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics

## Abstract

**Purpose –** Investigation of linguistic and software issues of Georgian language modeling, search for practical solutions of theoretical problems in order to cope with current objectives of computational linguistics.

**Design methodology approach –** The study is based upon structural and functional-semantic analyses. The conceptual background of modeling is T. Uturgaidze's approach, in accordance with which the model assumes formation of ranking relations of paradigmatic morphological items; phonemic controversies, occurring in syntactic relationships of morphemes within the model, are settled by the language by means of morphonological changes, owing to which certain morphological types emerge. Hence, our parser presents paradigms of declension and conjugation according to morphonological groups of the noun and the verb.

**Conclusions** - Georgian language modeling is an urgent objective, and it should be solved gradually, however, to meet requirements of the times. The existing nominal and verbal bases should be completed and refined; paradigms of the perfect formal and semantic conjugation of the verb should be designed, providing for development of morphological and syntactic software. In its turn, the software toolkit should become a base platform for the implementation of machine translation.

**Research limitations/implications** - The principal difficulty is the weakening of large-scale, interdisciplinary (corpus linguistics, computational linguistics, typological linguistics, electronic lexicography...) research of the Georgian language at the current stage. Without a turn in this process, globally we are lagging behind the state-of-the-art of language studies.

**Originality/value** - The paper provides a novel presentation of specific issues of Georgian language modeling; viz., theoretical and practical activities associated with the perfection of verbal paradigms in accordance with preverbs, problems of the study of semantic groups of the verb and, hence, of an ideographical dictionary, ways and problems of verb generation, problems of the complete analysis of a simple unexpanded sentence as a cornerstone of a syntactic parser, etc. Practical ways for an adequate computational description have been outlined.

# მიგრაცია, როგორც ლიტერატურული რეცეფცია თანამედროვე ქართულ პროზაში



**ნინო პოპიაშვილი**

დოქტორი

ტოტალიტარიზმიდან თავდაღწევისა და განრიდების, ხშირ შემთხვევაში, გაქცევის მცდელობა გლობალიზაციის თანმდევი პროცესია, რაც განსაკუთრებულად აისახება კულტურაზე როგორც იდენტობის, ასევე შემოქმედებითი კუთხით. პოლიტიკური და სოციალური ემიგრაციის ინტელექტუალური ნაწილისათვის კულტურათშორისი ურთიერთობები და მიგრაციის, გადასახლების პრობლემები მუდმივად აქტუალურ საკითხებს წარმოადგენდა. მიგრაციულ პროცესებს თან ახლავს ისეთი ფსიქო-სოციალური საკითხები, როგორებიცაა კულტურული ადაპტაცია, იდენტობის პრობლემები, ენობრივი, კულტურული, ზოგ შემთხვევაში, რელიგიური ფაქტორები. მიგრაციაში ყოფნა ხშირად გულისხმობს იმედებისა და ილუზიების მსხვრევას, რაც გარკვეულ განცდებთან არის კავშირში. ასეთ დროს ბუნებრივად ჩნდება ნოსტალგიური განწყობილებები, რომლის ფონზეც იწყება ფიქრების ქაღალდზე გადატანის სურვილი. ცნობილია, რომ ემიგრაციაში მშობლიურ ენობრივ ველს განსაკუთრებულად მძაფრი დატვირთვა გააჩნია. ემიგრაციაში მშობლიურ ენობრივ ველს განსაკუთრებულად მძაფრი დატვირთვა გააჩნია. გლობალიზაციის ეპოქაში მიგრაციული მწერლობა უკვე იქცა განხილვის საგნად. მიგრაციაში შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები წარმოადგენს ერთგვარ საზღვარს ენებსა და კულტურებს შორის. ჰომი კ. ბჰაბჰას მოსაზრებით, კულტურა ყოველთვის არის ჰიბრიდული, რომ მას მრავალ ენაში, კულტურაში, ლიტერატურაში აქვს ფესვები (Bhabha 1990; Bhabha 2000).

პოსტმოდერნიზმის ეპოქაში მიგრაციული პროცესების ფონზე განსაკუთრებით გააქტიურდა ტრადიციებისა და მიღებული ნორმების დრკონსტრუქციის მცდელობა. თანამედროვე პროზაიკოსი აკა მორჩილაძე (გიო ახვლედიანი) რამდენიმე წელია ლონდონში ცხოვრობს. საქართველოში, კარიერის საწყის ეტაპზე, იყო სპორტული ჟურნალისტი, პარლამენტის სხდომების მიმომხილველი და სხვ., ფსევდონიმით გამოცემულ პირველივე რომანებს მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღება და ლიტერატორთა აღიარება მოჰყვა. კრიტიკოსთა შეფასებით, "საქართველოში ყველაზე წარმატებულმა მწერალმა აკა მორჩილაძემ თავის რომანებში ცნობილი სიუჟეტები და ისტორიული ფაქტები დაამონტაჟა და მათგან ახალი ამბები შექმნა. მისი რომანები და მოთხრობები, ენობრივი ვირტუოზობის დათხრობის ხელოვნების გამო, ქართველ მკითხველებს შორის ყველაზე მოთხოვნადი გახდა" (ლომიძე 2016: 65).

ა. მორჩილაძეს ეკუთვნის როგორც პოსტმოდერნისტული რომანები და მოთხრობები, ასევე დეტექტიური ჟანრის, როგორც თვითონაც უწოდებს, „ბულვარული რომანები", ასევე ესეები სხვა-დასხვა მწერლის შესახებ. შესაბამისად, აკა მორჩილაძის შემოქმედება რამდენიმე ეტაპად, ანუ რამ-დენიმე ციკლად იყოფა: ე. წ. „მადათოვის" ციკლის რომანები და „სანტა ესპერანსას" ციკლის პროზა ერთგვარად პირველ და მეორე ციკლს წარმოადგენს. მწერლის შემოქმედების მესამე ეტაპია ემიგ-რაციაში შექმნილი რომანები. უნდა ითქვას, რომ განსხვავება ა. მორჩილაძის სხვადასხვა ციკლის რომანებს შორის აშკარა და თვალსაჩინოა. "მადათოვის" ციკლის რომანებს ახასიათებს მეცხრამეტე საუკუნის ესთეტიკა, არქაიზმები. "სანტა ესპერანსას" ციკლს - ჟარგონი და 90-იანების ესთეტიკა თუ ანტიესთეტიკა.

ემიგრანტული ციკლი სრულიად განსხვავდება დანარჩენი საეტაპო ტექსტებისგან და ქმნის მწერლობის ახლებურ, ინტერკულტურულ მოდელს. განსხვავების ერთი ასპექტი ორ ენას შორის არსებული ლინგვისტური საზღვრების მოშლას გულისხმობს. ხშირად გვხვდება ინგლისური სიტ-ყვები და გამოთქმები, რომლებიც ქართული ასოებით არის დაწერილი. ეს ტენდენცია სხვა თანა-მედროვე ქართველი ავტორების შემოქმედებაშიც შეინიშნება. ვფიქრობთ, ეს არის თავისებური გაგ-რძელება მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლების ტენდენციისა (გიორგი ერისთავის "გაყრა", სოლომონ არდაზიანის "სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" და სხვა.)

"შეგახსენებ ჯეკ დონაჰიუს სიტყვებს: ტჰე ნიგჰტ აირ ტოუცჰედ მყ ბოდყ წიტჰ ტოუცჰ წჰიცჰ წას ნე-იტჰერ წარმ ორ ცოლდ, ონლყ ვერყ სოფტ ანდ უნეხპეცტედ"...

რა საინტერესოა, რაღა ინგლისში ჩამოეხეტე, ვერ წახვედი, ვთქვათ, იტალიაში? იქ ლუდი არ უყ-ვართ...

– იქ ჩემნაირი ძალიან ბევრია... თან, იტალიური საერთოდ არ ვიცოდი, ინგლისურად კიდევ ვიცო-დი... თეიბლ, გუდ მორნინგ, გარდენინგ იზ დილაითფულ ოქუპეიშენ... იტალიურად ვიცოდი ჩაო..." (მორჩილაძე 2012, გვ. 38)

აკა მორჩილაძის მოთხრობაში "ტერცო მონდო" ბერლინში ერთი ღამით დარჩენილი ქართველი ჟურნალისტი ნაცნობ ქართველს ურეკავს და ატყობინებს, რომ გერმანიაშია. ოთხმოცდაათიანის თბილისიდან ემიგრაციაში წასული ქართველი მამაკაცი ცდილობს თბილისელ ჟურნალისტს კარგი მასპინძლობა გაუწიოს. ჯერ ერთ ბარში წაიყვანს, შემდეგ ინტერნაციონალურ ბარში "ტერცო მონ-დო", რაც მესამე მსოფლიოს ნიშნავს.

"დიდ ხვევნასა და ჭიქების წკრიალში ვიყავით....

– გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოოოს! – ვიღაცამ ჩამყვირა ყურში.

შევხტი და ავიხედე.

დაბალი, ჭაღარა კაცი, შავი, გადაბმული წარბებით. შავი კოსტიუმი, შავი პერანგი. პატარა ღიპი და სქელი, რაღაცნაირად მომღიმარი ტუჩები.

– კოსტას! ჩემი ძმა თბილისიდან, – და მე მომიბრუნდა, – ძმაა-მეთქი.

– მივხვდი, ხო. დებილი კი არა ვარ, – და ხელი გავუწოდე.

– ტიფლიდა, თესალონიკი, ძმა, – ეს "ძმა" ტყვიასავით გაისროლა...." (მორჩილაძე "ტერცო მონდო"[1]) მულტიენობრივი გარემო და ენობრივი ექსპერიმენტები თხრობას დამაჯერებელს, დინამიურს ხდის. ავტორი არ ცდილობს კიდევ უფრო მეტი დეტალი ან მეტი პირადი ინფორმაცია შეიტანოს ტექსტში. ასეთი ისტორია მრავალი შეიძლება იყოს, ეს კი მრავალთაგან ერთ-ერთია, რადგან მთელ მსოფლიოში არსებობს მსგავსი მულტიკულტურული ადგილები, კაფე-ბარები თუ ინტერნაციონალური შეხვედრის ადგილები.

თვალსაჩინოა აკა მორჩილაძის ემიგრანტული პროზის სხვა ტენდენციებიც, პირველ რიგში კი, მძლავრი ინტერკულტურული ნაკადი: სიტუაციებისა და პერსონაჟების, ასევე მათი მეტყველების ორპლანიანობა, მუდმივი კონტრასტი. ემიგრანტულ თემაში თხრობის მულტიკულტურული ტოპოსი მჭიდროდ უკავშირდება ტრავმულ ცნობიერებას. აკა მორჩილაძის "შობა ღამის ალქაჯების" ერთი ეპიზოდი რეპრეზენტირებულია ემიგრანტული ყოფის ერთგვარი ალეგორიული და სარკასტული ელემენტებით. „კოკას დამ, მაკუჭამ ჰამბურგიდან გამოატანა ლევანა ჩუბინიშვილს შვიდი მსუბუქი კონვერტი – სულ თვალცრემლიანი ჩვენებური გოგოების წერილები შინაურებთან: ვართ ამ მშვენიერ და საზიზღარ გერმანიაში და მანდაურობას მონატრებულები თბილისობანას ვთამაშობთ. თბილისობანა იქ მოღვაწე ჩვენებური გოგოშკების ნოსტალგიური თამაში ყოფილა. შუქს გამორთავენ, სიგარეტებს მოუკიდებენ, სანთლებს აალიცლიცებენ და სავარძლებში მიიკუნჭებიან საბან-გობანში გამოხვეულები. ჭორაობენ და ჭორაობენ ნაჩვევ ვითარებაში. აი, ამას რქმევია თბილისობანა. კოკამ რომ დუბლინობანა ამოიჩემა, დაახლოებით ისე." („შობა ღამის ალქაჯები").

აკა მორჩილაძის შემოქმედება პოსტმოდერნულია. ეს არის ეპოქის პროდუქტი, პოსტმოდერნული ტექსტისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი ასპექტი აკა მორჩილაძის ემიგრანტული ციკლის ტექსტებშიც აშკარაა. ნაწარმოებები შეიცავს ქვეტექსტებს, რომელთა ცოდნისა და გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ტექსტების "წაკითხვა". ამბებისა და ისტორიების დიდი ნაწილი უკავშირდება საქართველოსა და მსოფლიოს ბოლო ოცწლეულის ისტორიებს: საბჭოთა

[1] უნდა ითქვას, რომ მოთხრობაში ნახსენები რესტორიანი `ტერცო მონდო˜ (Terzo Mondo) მართლაც არსებობს გერმანიის დედაქალაქში. მისი კონცეფცია ენათა და კულტურათა შეხვედრაა. რესტორანი აერთიანებს გალერეას, მცირე სცენას თეატრის, კონცერტისა და სხვა წარმოდგენებისთვის. მეპატრონე, კოსტას პაპანასტასი და მისი ოჯახი კი სტუმრების განწყობილებისათვის დღემდე აქტიურად ზრუნავენ. ეს ადგილი ნამდვილად წარმოადგენს ხელოვნებისა და მულტიკულტურალიზმის თავისებურ მიქსს. მისი მეპატრონე, კოსტას პაპანასტასი, ყოფილი მსახიობი, მომღერალი და პოეტია.

კავშირის ნგრევა, მეოცე საუკუნის 80-იანი წლები, საქართველოს დამოუკიდებლობა, მეოცე საუკუნის 90-იანი წლები, ხშირი ემიგრაცია საქართველოდან, ტერაქტი ამერიკაში, 2001 წლის 11 სექტემბერს, აგვისტოს ომი საქართველოში 2008 წელს და სხვა. ეს მოვლენები ჩართულია გმირების ცხოვრებაში, რომანებისა და მოთხრობების სიუჟეტური განვითარება, კონფლიქტები და პერსონაჟთა ურთიერთობა სწორედ ამ მოვლენების ფონზე, პარალელურად და თვით ამ მოვლენებში მიმდინარეობს, სინამდვილე და გამონაგონი ხშირად კვეთს ერთმანეთს, ზოგჯერ ემიჯნება და ზოგჯერ – იმეორებს კიდეც. თხრობის შესანიშნავად დამაჯერებელი და დინამიური სტლი კი მკითხველს მოწყენისა და გადართვის დროს არც უტოვებს.

უთუოდ საინტერესოა, რომანების: “ტავერნა ათი სექტემბერი” და “მელიების ქვეყანა” პირველი პუბლიკაციის ფორმატი. ორი რომანი ერთ წიგნში წაღმა-უკუღმაა დაბეჭდილი, ფორმატით, ორი წიგნი ერთად. ეს ფორმატი საგამომცემლო ინდუსტრიაში საკმაოდ ცნობილი და აპრობირებულია. ასე გამოსცემენ ერთი წიგნის ორენოვან ვერსიას, ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ, მაგრამ მაინც განსხვავებულ ნაწილებსა და თავებს. მაგალითად, ასეა გამოცემული ცნობილი სერბი მწერლის, მილორად პავიჩის, “ხაზარული სიტყვის კონის” მდედრობითი და მამრობითი ნაწილები, ასევე ფანტასტიკის ჟანრის რუსი მწერალი და თანაავტორი ძმების, არკადი და ბორის სტრუგაცკების, წიგნი და სხვ. ჩანს, რომ აკა მორჩილაძე განზრახ მიჰყვება ამ ექსპერიმენტულ ტრადიციას. ორი რომანი ორი წიგნია, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული.

აკა მორჩილაძის ემიგრანტული ციკლის წიგნებში “ქალაქის მელიები” და “ტავერნა 10 სექტემბერი” ინტერკულტურული სიუჟეტური განვითარება გარკვეულ სიახლესა და მასშტაბურობას სძენს თხრობას. 2001 წლის 11 სექტემბრის ამერიკის ტერაქტი ქართულ რეალობას ერწყმის. რომანის პერსონაჟები, მათ შორის, გმირების იგავური და სიმბოლურ-ალეგორიული სახეები ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცესთან ჰარმონიზდება. მელია მერლინი ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის,  ედუარდ შევარდნაძის, თავისებურ ალეგორიად შეიძლება ჩაითვალოს. როგორც ცნობილია, ე. შევარდნაძემ თავისი კარიერის საწყის ეტაპზე სწრაფად დაიწყო წინსვლა, მიზნის მისაღწევად ხშირად მიმართავდა გარკვეულ ეშმაკობებს, რის გამოც “თეთრი მელა” შეარქვეს. ეს მეტსახელი მოხსენიებულია ე. შევარდნაძის შესახებ გამოქვეყნებულ არაერთ ქართულ და უცხოურ სტატიაში.

რომანის, “ტავერნა ათი სექტემბერი” შენიღბვა ავტორმა ყდის პირველი გვერდიდანვე დაიწყო და საკუთარ ფსევდონიმთან ერთად ტექსტის სავარაუდო ავტორად პიტერ ჯეფერსი მიაწერა. ვინ არის პიტერ ჯეფერსი? - იკითხავს მკითხველი. ეს არის ემიგრანტი ქართველი, პეტრე ჯაფარიძე. სახელისა და გვარის ევროპული, ბრიტანული დაწერილობა ქართული სახელისა და გვარის ანალოგიით ერთ-ერთი სიმბოლური ხერხია, როთაც ავტორი ტექსტის გაუცხოებას ცდილობს, თან ეთნი-

კურ იდენტობაზე მკვეთრი ხაზგასმით. ეს ერთგვარი პოსტმოდერნული ხერხია, რასაც ავტორი რომანში გარკვეული ინტენსივობით მიმართავს.

„ტავერნა ათი სექტემბერი" იწყება ლონდონის ჰოლანდ პარკში მომლოდინე პერსონაჟის მონაყოლით. ის მერლინ მონროს ელოდება. ესეც პოსტმოდერნული თამაშია. მოქმედება ოცდამეერთე საუკუნეში ხდება, მერლინ მონრო აღარ არსებობს, ის მხოლოდ ლამაზი არსების სიმბოლოა. და ეს სულაც არ არის ადამანი. მერლინი მელიაა... რომანის დასაწყისშივე გამჟღავნებული სიმბოლო დიდხანს რჩება გამოცანად, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, ვიდრე ტექსტს ბოლომდე არ წაიკითხავ. ემიგრაციის თემა ნაწარმოების დასაწყისშივე გამოჩნდება. ჩანს, რომ მთხრობელი ემიგრანტია და რომანიც ემიგრანტის თავგადასავალია. ნემისმიერი ემიგრანტისთვის ყველაზე მთავარი საკითხი პასპორტს უკავშირდება. პასპორტი იდენტობის ყველაზე ბიუროკრატიული, შეიძლება ითქვას, ოფიციალური მარკერია. ემიგრაციაში წასული მთხრობელიც პასპორტის შესახებ ყვება: "პასპორტი უკვე ჩაბარებული მქონდა, საკუთარი ქვეყანა უკანასკნელი სიტყვებით გავლანძღე იმ წერილში, რომლის შედგენაც სალტოლვილო სამსახურებმა მთხოვეს. წერილი სათარგმნი იყო, რადგან ინგლისურად წერა მაშინ გამართულად არ შემეძლო.

შორეული ქვეყნიდან გადმოხვეწილი წესიერი ახალგაზრდა კაცი ვიყავი. ის ქვეყანა ევროპას მიაკუთვნეს ღვინის სიყვარულის გამო, თორემ ღვინო რომ გამოგეკლო, იმის ევროპელობიდან მაშინ აღარაფერი დარჩებოდა.

სალტოლვილო სამსახურის ოფიცრები მაღალ-მაღალი, გრძელნაბიჯიანი ქალები და კაცები იყვნენ. ერთბაშად ვერც კი გაარჩევდი, რომელი კაცი იყო და რომელი – ქალი. ....ჩემს მშობლიურ ენაზე შედგენილი წერილის მთარგმნელი მაინც სამ თვეს ეძებეს. ეეეჰ, როდის იყო ესა, აღარც კი მახსოვს.

იმის შემდეგ ბევრი დრო გავიდა და შეიძლება ბრიტიც კი დამერქვას. კარგა ხანია, ისეთი საბუთი მომცეს, რომელიც ძალიან ჰგავს ბრიტანულ პასპორტს. თუ არ გადაშალე, ნამდვილი პასპორტი გეგონება. იმ ნამდვილ პასპორტამდეც არ ჩანდა შორი. სურვილის ამბავი იყო" (მორჩილაძე 2012, გვ. 5-6).

თვითირონია და სარკაზმი რომანს ბოლომდე მიჰყვება, ემიგრანტობა პეტრე ჯაფარიძის სულიერი მდომარეობაა. სამშობლო ის რეფრენია, რომლის მოშორებასაც მუდმივად ცდილობს განვითარებად ქვეყანაში დაბადებული და განვითარებულ ქვეყანაში არალეგალურად მყოფი ადამიანი.

"დიდება იმ კაცს, ვინც იოლად, ხალისით იხსენებს წარსულის პირქუშ დღეებს. დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს, ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა. მგონი ეს ლექსი იყო და სკოლაშიც გვასწავლიდნენ. დიდება იმ კაცს, ვინც, სამშვიდობოს გასული, წამოყოლილ შხამებით სავსე აბგას მოისვრის" (მორჩილაძე 2012, გვ. 15-16).

თუმცა იქვე, რამდენიმე გვერდის შემდეგ, კვლავგაცნობიერებული იდენტობა ახსენებს თავს: "მე ბრიტი ვერასდროს გავხდები, იდუმალება მაკლია. ალბათ, იმიტომ, რომ ისეთი ქვეყნიდან ვარ, სადაც სასწაულებისა კი სჯერათ, მაგრამ კაცის სიტყვისა – არა. ჩემთვის სიტყვებიდან არანაირი ძალა არ გამოსჭვივის, მათ უკან არანაირი საიდუმლო არ იმალება". ეს ის შეგრძნებაა, რომელიც აიძულებს მუდმივად ფიქრებსა და განცდებში მყოფ ინდივიდს, არასოდეს დაივიწყოს თავისი პირველადი, ან, ძირითადი იდენტობა. აღნიშნული კონცეპტი საერთოა როგორც ე. წ. პირველი და მეორე ტალღის ქართული ემიგრაციისთვის (მეოცე საუკუნის 20-იანი, 40-იანი წლების პოლიტიკური ემიგრაცია), ისე თანამედროვე ქართული მიგრანტებისათვის (მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე).

მნიშვნელოვანია სამშობლოდან წასვლის მოტივაცია. პეტრე ჯაფარიძეს ერთი სული აქვს, როდის გააღწევს საქართველოდან. "მიმოწერა მქონდა გაჩაღებული ჩემი ქიმიური კვლევების თაობაზე და დიდი ბრიტანეთიდან სამთვიან მიწვევას ველოდი... აბა როგორია, სამშობლოდან გაღწევას აპირებდე და ეს ვიღაც, თუნდაც კეთილი პროფესორის ხელმოწერაზე ეკიდოს?" (მორჩილაძე 2012, გვ. 25). წარმოსახვაში თავისი ქვეყნის უმოქმედო პრეზიდენტს პოლიტიკური უმოქმედობის გამო საჯაროდ შეურაცხყოფს. თუმცა მალევე აღმოჩნდება, რომ ეს სრული ილუზიაა, ფიქცია, რომელიც არალეგალი ემიგრანტისათვის მხოლოდდამხოლოდ კარგად მოფიქრებული ემიგრაციის პოლიტიკური მიზეზი შეიძლება იყოს, რითაც ემიგრაციის მიზეზს კარგად დაასაბუთებს. „ალალად რომ ვთქვა, ეს ამბავი კარგად მოვიგონე, ისე ცხადლივ წარმოვიდგინე ამგვარი გმირობა, რომ მთელი ღამე ბორგვაში გავატარე. დიდებული სცენები გავითამაშე სიბნელეში და იმგვარად გავითამაშე, რომ ვეღარაფრით დავივიწყე." თუ აღნიშნულ კონტექსტს - სამშობლოდან გაქცევა, ნებაყოფლობითი მიგრაცია - ისტორიულ კონტექსტს შევადარებთ, აშკარაა, რომ მეოცე საუკუნის ემიგრაციაში ეს კონცეპტი არ არსებობს, რადგან ეს იყო იძულებული გაქცევა. თანამედროვე ემიგრაციაში ნებაყოფლობითია ემიგრაცია, ამიტომ ყალიბდება გარკვეული განსხვავებული გამოცდილება.

რა შეიძლება ითქვას პიტერ ჯეფერსის, იმავე პეტრე ჯაფარიძის ამ ქვეშეცნეულ ფიქრებზე? თუ ფსიქოანალიზს მივმართავთ, ვნახავთ, რომ ყოველივე, რაც ნაფიქრი და განსჯილია, შესაძლებელია მართლაც მოემოქმედა ადამიანს, მას რომ ამისი საშუალება მისცემოდა. იმას, რაზეც ინდივიდს უფიქრია და რაზეც დადებითი აზრი შეუქმნია წარმოსახვაში,ა უცილებლად გაიმეორებს რეალობაში, როგორც კი შესაძლებლობა ექნება. საქართველოს უპერსპექტივო მდგომარეობის განცდა ის წინაპირობაა, რომელიც მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ყველა ემიგრანტისათვის ამოსავალ წერტილად იქცა. აკა მორჩილაძის რომანის გმირი ჯერ გვაჯერებს თავისი წარმოსახვის რეალობაში, ვირტუალურად განცდილ ამბავს პოსტმოდერნული თამაშის ხერხით გვაწვდის "ამგვარ დაშვების სანაცვლოდ სთავაზობს ნამდვილ განცდებს'' (წიფურია 2006: 231). ამ წარმოსახვით იგი თავის ახლადგაცნობილ ინგლისელ მეგობრებსაც ასაზრდოებს. ბრიტანელებიც

უჯერებენ მის ისტორიას, უჯერებენ იმდენად, რომ ათი სექტემბრის საღამოს, ცნობილი თერთმეტი სექტემბრის ტერაქტის წინა დღეს გადაწყვეტენ, ჩართონ ლონდონის გადარჩენის ოპერაციაში.

პეტრე ჯაფარიძე რომანიდან რომანში მოგზაურობს. „პეტრე ჯაფარიძის ცხოვრების აღწერილობამ შეადგინა ოთხი წიგნი: პირველი სანახევროდ დაწერილი და დაკარგული, მეორე გაზეთ "ქომაგში" გამოქვეყნებული, მესამე თითქოს მის მიერვე დაწერილი "ძირს სიმინდის რესპუბლიკა!" და მეოთხე, ამ დროისთვის სანახევროდ დაწერილი". ("შენი თავგადასავალი", გვ. 7-8). რამდენიმე რომანის ერთი გმირი და თანაც პროტოტიპი ასევე პოსტმოდერნული მეთოდია. საკუთარ თავზე საუბარი რთულია, სხვაზე _ ადვილი. იმისათვის, რომ მკითხველმა ბოლომდე დაიჯეროს ავტორისა და პროტოტიპის იგივეობა, მწერალი საუბრობს პროტოტიპზე, როგორც საკუთარ თავზე: "უნდა მოგახსენოთ, რომ პეტრე ჯაფარიძეს პროტოტიპი არ ჰყავს, დიდად ჩამოქნილი ტიპიც არ ბრძანდება. მის გონებაში კიდევ საშინელ ნახატებად არის დალექილი განვლილი საბჭოთა ცხოვრება და ჰგონია, რომ თუ სხვა კაცად არ გადაიქცა, არაფერი ეშველება." ("შენი თავგადასავალი", გვ. 7-8).

აკა მორჩილაძის "შენი თავგადასავალი" წიგნის გადაშლამდეც ბადებს ალუზიას აკაკი წერეთლის მოთხრობასთან "ჩემი თავგადასავალი", რომელიც მწერლის ბავშვობას აგვიწერს. აკა მორჩილაძის ტექსტში პოსტმოდერნული გადათამაშების წყალობით კიდევ უფრო ღრმად ეჯაჭვება ერთმანეთს საქართველოს უკანასკნელი წლების ისტორიას ემიგრაცია და ერთობლიობაში წარმოგვიდგენს სხვადასხვა დროს დაწერილ ტექსტებს ერთ წიგნად. "მართლაც, პოსტმოდერნიზმი თავისი ეკლექტურობით, შემოქმედებითი თავისუფლებით, სიტყვებით, იდეებით, სტილებით თამაშისკენ მიდრეკილებით, ძველი ლიტერატურული ტექსტების ახლებური (გა)დამუშავებით, მათი მახვილგონივრული კომენტირებით და ზოგჯერ პაროდირებითაც, ხალისით მიიღო ჩვენმა მკითხველმა." (ბრეგაძე 2005).

"შენი თავგადასავალი" მრავალგვარი გავლენებისაგან შედგება, თუმცა ეს არ არის მხოლოდ ლიტერატურული გავლენები. რომანის ერთ ნაწილში ქართველი ემიგრანტების ცხოვრება დრამატულად და ირონიულად არის წარმოდგენილი. "დასავლეთის, უპირატესად კი, ახლოს მდებარე ევროპის კარები ლეგალური თუ არალეგალური გზით ბევრმა ქართველმა შეაღო, თუმცა ეს იძულებითი ნაბიჯები, მიგრანტების რთული და მძიმე, სრულად არარომანტიკული და უფრო მეტა, დამამცირებელი ხვედრი სხვა მოლოდინებით აღსავსე ქართველებს მტკივნეულ განცდებთან აზიარებდა" (პოპიაშვილი 2011, გვ. 199) ავტორი ქართველ სპორტსმენებს გვაცნობს, "ოდესღაც მოჭიდავენი ყოფილიყვნენ, თავიანთ მწვრთნელთან ერთად წასულიყვნენ საშოვარზე... ტაილანდში მტვირთავებად მუშაობის შემდეგ ვიღაც გაქნილ კაცს მათგან პროფესიული ჭიდაობის, ჩვენში კიტჩად ცნობილი საცირკო წარმოდგენის დასი შეუდგენია და პატარა დარბაზებში გამოსვლით აშოვნინებდა ფულს" (მორჩილაძე 2002, გვ. 57).

აკა მორჩილაძის რომანის ერთი ეპიზოდის მთავარი თემა შრომითი მიგრაციაა, რომლის დრამატიზირება და თხრობისთვის ირონიული ელფერის მინიჭება მოთხრობის ერთგვარ ლაიტმოტივად არის ქცეული. ემიგრაციაში მცხოვრები პერსონაჟები, სრულიად დამოკიდებულნი ქართული ყოფა-ცხოვრებისა და წეს-ჩვეულებების ელემენტებზე, ყოვლად არაევროპული საქციელით უცნაურ, ჰიბრიდულ სუბიექტებს ჰგვანან. „ერთი დიდი შუშის ბოთლი აქვთ, ასე თხუთმეტგალონიანი. აიღებენ ამ დიდ ბოთლს და იოგურტის ცარიელ ქილაში ჩამოასხამენ. მერე დაჰყვირებენ და რიგრიგობით სვამენ. ბოთლი შემოწნულია, ქილა _ გაუმჭვირვალე. ამიტომ, რას სვამენ, არ ვიცი“ (მორჩილაძე 2002, გვ. 53). „სწორედ ასეთ „ქართულ“ გარემოში ცხოვრობენ აკა მორჩილაძის „შენი თავგადასავალი“-ს სპორტსმენი გმირები, რაც დასავლურ ტრადიციებს მიჩვეული ადამიანის გაკვირვებასა და შოკს იწვევს“ .

აკა მორჩილაძის რომანი „Obole“ ემიგრაციაში დაიწერა, 2012 წელს მიიღო ლიტერატურული პრემია „საბა“ წლის საუკეთესო რომანისათვის. „ერთი ამოსუნთქვით დაწერილი რომანია, თუმცა კითხვისას აუცილებლად იფიქრებთ, რომ დიდი ხნის მანძილზე დიდი სიყვარულით ნაგროვები მასალა გადმოალაგა აკა მორჩილაძემ. ეს რომანი ზოგჯერ სენტიმენტალური, ცრემლისმომგვრელიც კია, ალაგ-ალაგ კი ჩახვეული და ჩახლართული... რა თქმა უნდა, სამშობლოდან წასულ მწერალს შეიძლება პირველ რიგში მონატრება და ნოსტალგია დააბრალო, მაგრამ არა მხოლოდ ნოსტალგიური ტექსტია Oბოლé. ვიღაცისთვის შეიძლება ეთნოგრაფიული რომანიც იყოს, ქცევების რომანი, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებების გაბმული ენციკლოპედია. რომანი კიარა, ჩვეულებების და ურთიერთობების მუზეუმია.“ (ხარბედია 2013) რომანის დრო მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეული და ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულია. ეს აკა მორჩილაძის შემოქმედებისთვის ტრადიციული დროა, მუდმივად ახლადგააზრებული, მრავალი ახალი ელემენტის, ფორმისა და შინაარსის შეტანას რომ ცდილობს მწერალი. მკიტხველი კი, რომანიდან რომანში რომ მიჰყვება მწერალს, მუდმივად ფიქრობს: კიდევ 90-იანები? კიდევ დარჩა მოსაყოლი? მწერალი კი ყოველ ახალ ნაწარმოებში არწმუნებს მკითხველს, რომ კიდევ დარჩა და ასეთივე დამაჯერებლობით გვიყვება დეტალებს, ფრაგმენტებსა და მთელ ისტორიებს. მიუხედავად იმისა, რომ რომანში მოქმედება საქართველოში, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში მიმდინარეობს, ემიგრანტის მზერა და შთაბეჭდილებები სამშობლოს, მშობლიური მხარის აღქმის, განცდისა და დახასიათებების დროს აშკარად იგრძნობა. შრომითი ან ინტლექტუალური მიგრანტი, სასწავლებლად წასული თუ მოსაპარად. „Obole“-ს შემთხვევაში ემიგრაციაშია მთავარი გმირის ძმა. ის ინტელექტუალური ემიგრაციის წარმომადგენელია: „ჩემი ძმა სანტა ბარბარაში ცხოვრობს. ახლა ნუ იცინებთ. მართლა სანტა ბარბარაში ცხოვრობს. გახსოვთ, სერიალი რომ იყო, სანტა ბარბარა, არასდროს რომ არ მთავრდებოდა? დედაჩემი უყურებდა. სახაროვი გამოუშვეს და დაიწყო და მერე ჯაბა დაიჭირეს, მეორედ რომ დაიჭირეს, და დედაჩემი კიდევ ამ სანტა ბარბარას უყურებდა. ჰოდა,

იმ სანტა ბარბარაში ცხოვრობს ჩემი ძმა“. თხრობა იწყება ტიპური ქართული სურათით: დედაქალაქში მცხოვრები ოჯახი არ კარგავს თავის ფესვებს, რომელიც რომელიმე რაიონის რომელიმე სოფლიდან მოდის, ოჯახის ემიგრანტი წევრი კი სოფელთან კავშირის თავისებური დამცველი და შემნარჩუნებელია. რომანის მთავარი გმირიც, სახელოვანი ოჯახის შთამომავალი, მიდის სახლის შესაკეთებლად. ეს მოტივი, წინაპრების აშენებული და მემკვიდრეობით მიღებული სახლის გამაგრება თავისებურ ალუზიას ბადებს ჩამონგრეული სამშობლოს ერთგვარ გამაგრებასთან, გაძლიერებასთან.

შეიძლება სულაც არ არის საჭირო, წახვიდე ემიგრაციაში, რომ განიცადო ტრადიციისა და წეს-ჩვეულებების განუმეორებლობა, რომ მოგენატროს და სწორედ ეს პერსპექტივა იყოს ქართული ყოფის სურათების მთავარი რეპრეზენტატორი, მაგრამ ემიგრანტის პერსპექტივა აშკარად იკვეთება თხრობის ესთეტიკაში: "ჭური მოვხადეთ. და ამოვარდა. დალევა კი არ არის მთავარი. მთავარია, რაც ამოვარდება. საქართველო ამოვარდება ხოლმე. თუ იკადრებს და მოეწონება ღვინო" („Obole“).
აკა მორჩილაძის შემოქმედების უმთავრესი და ყველაზე მტკივნეული თემა მაინც ემიგრაციაა. მისთვის ემიგრაცია სულიერ მდგომარეობას ჰგავს, ემიგრანტული შემოქმედება, სულ ერთია, რომელ ქვეყანაში მიმდინარეობს მოქმედება, საერტო ნიშანს ატარებს. ისევე როგორც დოსტოიევსკის შემოქმედებაში თითოეულ რომანში ერთი გმირი მაინც არის, ვისაც დოსტოიევსკვით თანდაყოლილი დაავადება, ეპილეფსია აქვს და ავტორი ხშირად გვიხასიათებს ამ დაავადებას, მისი გამოვლინების სხვადასხვა ფორმებს, ასევე, აკა მორჩილაძის ბოლოდროინდელი ნაწარმოებების დიდ უმრავლესობაში ერთი პერსონაჟი მაინც არის ემიგრანტი.

აკა მორჩილაძის ემიგრანტული ციკლის ნაწარმოებები: რომანები და მოთხრობები, სხვასახვა სიუჟეტების, ლიტერატურული გავლენებისა და წერის განსხვავებული მანერის მიუხედავად, საერთო ნიშან-თვისებებსითაც ხასიათდება. პირველ რიგში, ეს არის ლიტერატურული პროტოტიპი, რომელიც რომანიდან რომანში, მოთხრობიდან მოთხრობაში, ამბიდან ამბავში მოგზაურობს, მოაქვს ახალი თემა, სახე, ისტორია, მაგრამ მუდმივად მონაწილეობს თხრობაში. საერთოა ემიგრანტების ყოფის დეტალიზაციისას თხრობის ირონიული და სარკასტული მანერაც.

## გამოყენებული ლიტერატურა

ბრეგაძე, ლ. ( 2005). ჟურნ. კრიტიკა, #1.

ლომიძე, გ. (2016). „პოსტსაბჭოთა ქართული ლიტერატურა კულტურული გლობალიზაციის პირისპირ“, წიგნში: ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე, თბ.,აკა

მორჩილაძე, ა. (2002). ტავერნა ათი სექტემბერი, ქალაქის მელიები, თბ.,

მორჩილაძე, ა. (2002). შენი თავგადასავალი, თბ.,

პოპიაშვილი, ნ. (2011). ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურა კულტურული იდენტობის დისკურსში, თბ.,

წიფურია, ბ. (2016). ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხარბედია, მ. (2013). თანამედროვე ქართული პროზა სიმართლის ძიებაში, ჟურნ. „არილი“, ნომერი 6.

Homi K. Bhabha, (1990 ). (Ed.) Nation and Narration, London, Routledge.

Homi K. Bhabha, (2000). On Cultural Choice, New York, Routledge.

## მიგრაცია, როგორც ლიტერატურული რეცეფცია თანამედროვე ქართულ პროზაში

*ნინო პოპიაშვილი*
დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ანოტაცია

ტოტალიტარიზმიდან თავდაღწევისა და განრიდების, ხშირ შემთხვევაში, გაქცევის მცდელობა გლობალიზაციის თანმდევი პროცესია, რაც განსაკუთრებულად აისახება კულტურაზე როგორც იდენტობის, ასევე შემოქმედებითი კუთხით. პოლიტიკური და სოციალური ემიგრაციის ინტელექტუალური ნაწილისათვის კულტურათშორისი ურთიერთობები და მიგრაციის, გადასახლების პრობლემები მუდმივად აქტუალურ საკითხებს წარმოადგენდა. მიგრაციულ პროცესებს თან ახლავს ისეთი ფსიქო-სოციალური საკითხები, როგორებიცაა კულტურული ადაპტაცია, იდენტობის პრობლემები, ენობრივი, კულტურული, ზოგ შემთხვევაში, რელიგიური ფაქტორები.

პოსტმოდერნიზმის ეპოქაში მიგრაციული პროცესების ფონზე განსაკუთრებით გააქტიურდა ტრადიციებისა და მიღებული ნორმების დრკონსტრუქციის მცდელობა. თანამედროვე პროზაიკოსი აკა მორჩილაძე (გიო ახვლედიანი) რამდენიმე წელია ლონდონში ცხოვრობს. საქართველოში, კარიერის საწყის ეტაპზე, იყო სპორტული ჟურნალისტი, პარლამენტის სხდომების მიმომხილველი და სხვ., ფსევდონიმით გამოცემულ პირველივე რომანებს მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღება და ლიტერატორთა აღიარება მოჰყვა. აკა მორჩილაძის პროზაში გამოიყოფა სამი ციკლი. მათ შორის მნიშვნელოვანია ემიგრანტული ციკლის პროზა. ავტორი ახერხებს თემატური, ჟანრობრივი და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით ახალი, განსხვავებული და ორიგინალური ხაზი შექმნას. ნაშრომში საუბარია აკა მორჩილაძის ემიგრანტული ციკლის რომანებსა და მოთხრობებზე.

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრაცია, პოსტმოდერნიზმი, თანამედროვე ქართული პროზა, აკა მორჩილაძე.

# Migration as a Literary Reception in Modern Georgian Prose

*Nino Popiashvili*
PhD
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

## Abstract

The attempt of escape and freeing one's self from Totalitarianism is an inevitable process of Globalization, which is well reflected in culture from individual as well as creative point of view. For the intellectual part of the political and social emigrants, the literary, cultural relations as well as migration and resettlement has always been an important issue. Migration processes are accompanied with such psychological and social issues as cultural adaptation, problem of identity, linguistic, cultural or religious factors.

In the post-modernist epoch due to the emigrational processes the attempt of deconstructing traditions and norms has become rather important. Modern writer Aka Morchiladze (GioAkhvledini) is currently living in London. In Georgia, at the dawn of his career, he was a journalist, reviewer, etc. He started publishing novels under a pen name, and the books had an instant success. The settings of his books take place in Georgia at the end of the XX century and the beginning of XXI. The author manages to create new and original style (he uses jargon).
The paper deals with the novels and short stories, which Aka Morchiladze created during Emigration.

**Key Words:** Emigrtion, Post-Modernism, modern Georgian Prose, Aka Morchiladze

# უმაღლესი განათლების ხარისხი როგორც საქართველოს მომავალი განვითარების გარანტი



**თათია ღერკენაშვილი**

მაგისტრი

## შესავალი

ხარისხიანი უმაღლესი განათლება თანამედროვე, კონკურენტუნარიანი და სამართლიანი სახელმწიფოს შენების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საქართველოს მომავალი განვითარება სწორედ განათლების ხარისხსა და მის ხელმისაწვდომობაზეა დამოკიდებული.

დღეისდღეობით არავინ დავობს განათლების მნიშვნელობაზე, ვინაიდან დროთა მსვლელობამ და კაცობრიობის ისტორიის ანალიზმა ცხადყო, რომ განათლება სახელმწიფოსა და ზოგადად მსოფლიოს მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

უმაღლესი განათლების სისტემური სახის რეფორმა საქართველოში დაიწყო 2005 წლიდან, ბოლონიის პროცესთან ქვეყნის მიერთების შემდეგ. აღნიშნული რეფორმით საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ვინაიდან, შეიცვალა სისტემის, დაფინანსებისა და ხარისხის მართვის მოდელები და განათლების სისტემის სტრუქტურა, ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ფარგლებში კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდის აღიარების გზით გაიზარდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა მობილობის შესაძლებლობები.

**უნივერსიტეტის ავტონომია და აკადემიური თავისუფლება**

ლუკ ვებერი (Weber, 2006) აღნიშნავს, რომ *„უნივერსიტეტის ავტონომიურობა მაღალი ხარისხის განათლებისა და კვლევის განხორციელების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა".*[1] ცხადია, ასევე მნიშვნელოვანია ადამიანური და მატერიალური რესურსები და მათი გონივრული მართვა მაგრამ, თუ ეს პროცესი მიმდინარეობს შეზღუდული ავტონომიის პირობებში, იგი ეფექტური ვერ იქნება, შესაბამისდ დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან და სხვა ინსტიტუციებისაგან უნივერსიტეტს აძლევს თავისუფლად მოქმედების საშუალებას და ზრდის მის კონკურენტუნარიანობას.

[1] Weber, L. (2006). *University autonomy,* a necessary, but not sufficient condition for excellence– being a paper presented at IAU/IAUP Presidents' symposium. Chiang Mai, Thailand

და მაინც რას ნიშნავს უნივერსიტეტის ავტონომიურობა და აკადემიური თავისუფლება? თუკი უნივერსიტეტს შეუძლია საკუთარი სტრატეგიის ჩამოყალიბება, სწავლებასა და კვლევებში პრიორიტეტების არჩევა, თავისი რესურსების გადანაწილება, კურიკულუმის შემუშავება და პროფესორებისა და სტუდენტების მიღების საკუთარი კრიტერიუმების დაწესება გარე ჩარევების გარეშე ე.ი ის ავტონომიურია.

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის[2] ლისაბონის დეკლარაცია (Lisbon Declaration, 2010) [3] განსაზღვრავს ავტონომიის ოთხ ძირითად განზომილებას:[4]

- აკადემიური ავტონომია (კურიკულუმი, პროგრამები და კვლევა);
- ფინანსური ავტონომია (ერთჯერადი დაფინანსება);
- ორგანიზაციული ავტონომია (უნივერსიტეტების სტრუქტურა);
- პერსონალით უზრუნველყოფის ავტონომია (კადრების შერჩევა, ხელფასები და დაწინაურება).

ცხრილი 1 – ში მოცემულია ზემოაღნიშნული კლასტერების მიხედვით ევროპის 28 ქვეყნის შედარებითი ანალიზი შემდგომ კი წარმოდგენილია ასეთივე ანალიზი საქართველოს მაგალითზე და შემუშავებულია რეკომენდაციები არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

თითოეულ მიმართულებას შეფასების 4 დონე აქვს, რათა გაადვილდეს უნივერსიტეტების შედარება.

ესენია:

1. **მაღალი** 100% – 81%

2. **საშუალოზე მაღალი** 80% – 61%

3. **საშუალოზე დაბალი** 60%– 41%

4. **დაბალი** 40% – 0%

---

[2] ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია, წარმოადგენს 47 ქვეყნის 850-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანებას, სთავაზობს რა მათ თანამშრომლობის, ასევე უმაღლესი განათლების და კვლევითი პოლიტიკის ინფორმაციის გაცვლის არენას. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან გაერთიანებულნი არიან: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

[3] The Lisbon Declaration. *Europe's Universities beyond 2010.* Diversity with a Common Purpose. 2007.

[4] Estermann, T., Nokkala, T., & Monika Steinel. (2010). *University Autonomy in Europe II*. Brusels, Belgium. pp. 53-64.

ცხრილი 1

*ევროპის ქვეყნების შედარებითი ანალიზი*

I. ორგანიზაციული ავტონომია

| № | ქვეყანა | შეფასება |
|---|---|---|
| 1. | დიდი ბრიტანეთი | 100 % |
| 2. | დანია | 94 % |
| 3. | ფინეთი | 93 % |
| 4. | ესტონეთი | 87 % |
| 5. | ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია | 84 % |
| 6. | ირლანდია | 81% |
| 7. | პორტუგალია | 80 % |
| 8. | ავსტრია | 78 % |
| 9. | ჰესსენი | 78 % |
| 10. | ნორვეგია | 78 % |
| 11. | ლიტვა | 75 % |
| 12. | ნიდერლანდები | 69 % |
| 13. | პოლონეთი | 67 % |
| 14. | ლატვია | 61 % |
| 15. | ბრანდენბურგი | 60 % |
| 16. | საფრანგეთი | 59 % |
| 17. | უნგრეთი | 59 % |
| 18. | იტალია | 56 % |
| 19. | საფრანგეთი | 55 % |
| 20. | შვედეთი | 55 % |
| 21. | შვეიცარია | 55 % |
| 22. | ჩეხეთი | 54 % |
| 23. | კვიპროსი | 50 % |
| 24. | ისლანდია | 49 % |
| 25. | სლოვაკეთი | 45 % |
| 26. | საბერძნეთი | 43 % |
| 27. | თურქეთი | 33 % |
| 28. | ლუქსემბურგი | 31 % |

II. ფინანსური ავტონომია

| № | ქვეყანა | შეფასება |
|---|---|---|
| 1. | ლუქსემბურგი | 91 % |
| 2. | ესტონეთი | 90 % |
| 3. | დიდი ბრიტანეთი | 89 % |
| 4. | ლატვია | 80 % |
| 5. | ნიდერლანდები | 77 % |
| 6. | უნგრეთი | 71% |
| 7. | იტალია | 70 % |
| 8. | პორტუგალია | 70 % |
| 9. | სლოვაკეთი | 70 % |
| 10. | დანია | 69 % |
| 11. | ირლანდია | 66 % |
| 12. | შვეიცარია | 65 % |
| 13. | ავსტრია | 59 % |
| 14. | ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია | 58 % |
| 15. | ფინეთი | 56 % |
| 16. | შვედეთი | 55 % |
| 17. | ესპანეთი | 55 % |
| 18. | პოლონეთი | 54 % |
| 19. | ლიტვა | 51 % |
| 20. | ნორვეგია | 48 % |
| 21. | ჩეხეთი | 46 % |
| 22. | საფრანგეთი | 45 % |
| 23. | თურქეთი | 45 % |
| 24. | ბრანდენბურგი | 44 % |
| 25. | ისლანდია | 43 % |
| 26. | საბერძნეთი | 36 % |
| 27. | ჰესენი | 35 % |
| 28. | კვიპროსი | 23 % |

III. პერსონალით უზრუნველყოფის ავტონომია

| № | ქვეყანა | შეფასება |
|---|---|---|
| 1. | ესტონეთი | 100 % |
| 2. | დიდი ბრიტანეთი | 96 % |
| 3. | ჩეხეთი | 95 % |
| 4. | შვედეთი | 95 % |
| 5. | შვეიცარია | 95 % |
| 6. | ფინეთი | 92% |
| 7. | ლატვია | 92 % |
| 8. | ლუქსემბურგი | 87 % |
| 9. | დანია | 86 % |

IV. აკადემიური ავტონომია

| № | ქვეყანა | შეფასება |
|---|---|---|
| 1. | ირლანდია | 100 % |
| 2. | ნორვეგია | 97 % |
| 3. | დიდი ბრიტანეთი | 94 % |
| 4. | ესტონეთი | 92 % |
| 5. | ფინეთი | 90 % |
| 6. | ისლანდია | 89% |
| 7. | კვიპროსი | 77 % |
| 8. | ლუქსემბურგი | 74 % |
| 9. | ავსტრია | 72 % |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10. | ლიტვა | 83 % | 10. | შვეიცარია | 72 % |
| 11. | ირლანდია | 82 % | 11. | ჰესენი | 69 % |
| 12. | პოლონეთი | 80 % | 12. | ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია | 69 % |
| 13. | ავსტრია | 73 % | 13. | ბრანდენბურგი | 67 % |
| 14. | ნიდერლანდები | 73 % | 14. | შვედეთი | 66 % |
| 15. | ისლანდია | 68 % | 15. | პოლონეთი | 63 % |
| 16. | ნორვეგია | 67 % | 16. | იტალია | 57 % |
| 17. | უნგრეთი | 66 % | 17. | ესპანეთი | 57 % |
| 18. | პორტუგალია | 62 % | 18. | დანია | 56 % |
| 19. | ჰესენი | 61 % | 19. | სლოვაკეთი | 56 % |
| 20. | ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია | 61 % | 20. | ლატვია | 55 % |
| 21. | თურქეთი | 60 % | 21. | პორტუგალია | 54 % |
| 22. | ბრანდენბურგი | 55 % | 22. | ჩეხეთი | 52 % |
| 23. | სლოვაკეთი | 54 % | 23. | ნიდერლანდები | 48 % |
| 24. | იტალია | 49 % | 24. | უნგრეთი | 47 % |
| 25. | კვიპროსი | 48 % | 25. | თურქეთი | 46 % |
| 26. | ესპანეთი | 48 % | 26. | ლიტვა | 42 % |
| 27. | საფრანგეთი | 43 % | 27. | საბერძნეთი | 40 % |
| 28. | საბერძნეთი | 14 % | 28. | საფრანგეთი | 37 % |

აღნიშნული ცხრილიდან შესაძლოა გამოვყოთ ისეთი ქვეყნები, რომელთაც ოთხივე სფეროში მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვთ. ესენია: დიდი ბრიტანეთი, ესტონეთი, და ფინეთი. მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ ეს ქვეყნები თავისუფალნი არიან უმაღლესი განათლების ავტონომიის თითოეულ ჭრილში.

საინტერესოა საქართველოს ანალიზი ზემოაღნიშნული ჭრილების ფარგლებში.

**ორგანიზაციული ავტონომია**

ორგანიზაციული ავტონომია გულისხმობს უნივერსიტეტების უფლებას მიიღონ შიდა საორგანიზაციო გადაწყვეტილებები, რაც შეეხება მაგალითად რექტორის არჩევას, იურიდიული პირებს, შიდა აკადემიურ სტრუქტურებს და ა.შ.

საქართველოში კანონი აწესებს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტის რექტორის შერჩევის წესსა და კონკრეტულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მისი საქმიანობის ვადას (კერძო უნივერსიტეტებს ეს რეგულაცია არ ეხება) და ასევე რექტორის უფელბამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესს (კერძო უნივერსიტეტებს ეს რეგულაცია არ ეხება). უნივერსიტეტების მიერ კომერციულ და არაკომერციული პირების შექმნასთან დაკავშირებით შეზღუდვა მხოლოდ სსიპ–ებზე ვრცელდება, ხოლო აიპ-ებსა და კერძო უნივერსიტეტებს კი ფაქტობრივად, შეზღუდვების გარეშე შეუძლიათ იურიდიული პირების (სამეწარმეო და არასამეწარმეო) დაფუძნება. მაღალი ავტონომია აქვთ უსდ.ებს აკადემიური სტრუქტურების შექმნის სფეროში. იმისათვის, რომ უნივერსიტეტს მაღალი ორგანიზაციული ავტონომია ჰქონდეს:

• მიზანშეწონილია, რექტორის შერჩევის წესს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მისი საქმიანობის ვადას და შეწყვეტის წესს ადგენდეს უნივერსიტეტის წესდება, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს თავად უნივერსიტეტი მისივე ფართო წარმომადგენლობისაგან შემდგარი საარჩევნო ორგანოს მიერ;
• კანონით უნდა განისაზღვროს უნივერსიტეტების უფლებამოსილება, შექმნან იურიდიული პირები.

**ფინანსური ავტონომია**

ევროპის უნივერსიტეტები სახსრების მნიშვნელოვან წილს სახელმწიფოდან იღებენ, იქნება ეს ბლოკ გრანტების[5] სახით თუ სხვა. უნივერსიტეტებს მაღალი ავტონომია აქვთ როგორც საჯარო დაფინანსების ნამატის შენარჩუნების ასევე, სწავლის საფასურის დადგენის შესაძლებლობის თვალსაზრისით.[6]

საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში კი, არ არსებობს პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმი, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ისე სამეცნიერო ღონისძიებების განსახორციელებლად. უნივერსიტეტები ამისათვის სახელმწიფო დაფინანსებას ე.წ. ვაუჩერული (გრანტი სტუდენტს) მოდელის მიხედვით იღებენ. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უნივერსიტეტებს, ფაქტობრივად, არ აქვთ სწავლის საფასურის დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლებამოსილება, კერძო უნივერსიტეტებს კი შეუძლიათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ სწავლის საფასური ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის.
იმისათვის, რომ უნივერსიტეტებს მაღალი ფინანსური ავტონომია ჰქონდეთ:

• კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს უნივერსიტეტების პირდაპირი დაფინანსება ბლოკ-გრანტების სახით. უნივერსიტეტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ბლოკ-გრანტის გამოყენების/განაწილების მიმართულებებს;
• უნდა დაინერგოს შესაბამისი ანგარიშვალდებულების მექანიზმები. უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც მას საკუთარი შემოსავლების სტრუქტურის დივერსიფიცირების შესაძლებლობას მისცემს;

---

[5] ბლოკ-გრანტები დაყოფილია ფართო კატეგორიებად შემდეგ ქვეყნებში: საფრანგეთი (შრომის ანაზღაურება, საოპერაციო ხარჯები, ინვესტიციები. ამასთან, კატეგორიებს შორის დაფინანსების გადანაწილება შესაძლებელია, გარდა ხელფასისა), უნგრეთი, ისლანდია (სასწავლო და კვლევითი, რომელთა შორის გადანაწილება ფორმალურად ნებადართულია უნივერსიტეტებისთვის, მაგრამ პარაქტიკულად არ ხორციელდება), ლიტვა (სასწავლო, კვლევითი, ინფრასტრუქტურული), ლატვია (სასწავლო, კვლევითი, ინფრასტრუქტურული), პორტუგალია (შრომის ანაზღაურება, საოპერაციო ხარჯები), სლოვაკეთი, შვეცია (სასწავლო და კვლევითი). კატეგორიებს შორის დაფინანსების გადანაწილება, როგორც წესი, უნივერსიტეტებს ეკრძალებათ

[6] ევროპაში არსებობს სწავლის საფასურის განსაზღვრის 4 ძირითადი მოდელი:
1. უნივერსიტეტები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ სწავლის საფასურს
2. საფასურს უნივერსიტეტები და გარე მმართველობის ორგანო ერთობლივად განსაზღვრავენ
3. საფასურის ჭერს განსაზღვრავს კანონი ან გარე მმართველობის ორგანო
4. საფასურს განსაზღვრავს კანონი ან გარე მმართველობის ორგანო

- უნივერსიტეტებს უნდა მიეცეთ უფლებამოსილება, დამოუკიდებლად განსაზღვრონ სწავლის საფასური ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

**პერსონალით უზრუნველყოფის ავტონომია**

საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში კანონითაა გათვალისწინებული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის არჩევის პროცედურები. აქ უნივერსიტეტებს მაღალი ავტონომია აქვთ კადრების დაწინაურების სფეროში, შესაბამისად კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული შეზღუდვები. თუმცა, არც უნივერსიტეტების წესდებები აწესრიგებს შესაბამის ურთიერთობებს.

იმისათვის, რომ უნივერსიტეტებს (სსიპ–ებს) მაღალი ავტონომია ჰქონდეთ პერსონალით მართვის ავტონომიის სფეროში:

- ✓ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კონკურსის პირობები და პროცედურა უნდა განისაზღვროს უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიმღები კოლეგიური ორგანოს მიერ;
- ✓ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი უნდა შეირჩეს ღია კონკურსით წესით და კანონით უნდა განისაზღვროს მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ✓ უნივერსიტეტებს უნდა ჰქონდეთ აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალისათვის ხელფასების დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა ასევე, კადრების დაწინაურების დამოუკიდებლად განხორციელების უფლება.

**აკადემიური ავტონომია**

ევროპის რიგი ქვეყნები თავისუფალნი არიან სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის, მათი უნივერსიტეტში დაშვების კრიტერიუმების დადგენისა[7] და სწავლების ენის არჩევაში როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის დონეზე.[8]

საქართველოში არსებული რეალური ვითარებიდან გამომდინარე უნივერსიტეტები არ არიან დამოუკიდებელი, განსაზღვრონ სტუდენტთა რაოდენობა. მათ ავტორიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე უწესდებათ შეზღუდვები. როგორც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ, ისე კერძო უნივერსიტეტებს შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად დაადგინონ აბიტურიენტებისათვის წაყენებული კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმების შემოწმების წესი. უნივერსიტეტებს დაწესებული აქვთ შეზღუდვა ასევე სწავლების ენის არჩევის სფეროში. მათ

[7] 1. უნივერსიტეტები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ სტუდენტთა საერთო რაოდენობას 2. კოოპერაციული (ერთობლივი) მოდელი, რომელიც მოიცავს მოლაპარაკებებს უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის. 3. სტუდენტების რაოდენობა ექსკლუზიურად განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ. 4. ეფუძნება სტუდენტთა თავისუფალ მიღებას, საშუალო განათლების მიღების საფუძველზე.

[8] თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში კერძოდ: კვიპროსში, საფრანგეთსა და საბერძნეთში გამოიყენება სხვადასხვა სახის შეზღუდვები, როგორიცაა მაგალითად: ბაკალავრიატის პროგრამების განხორციელება უნივერსიტეტებს შეუძლიათ მხოლოდ სახელმწიფო ენაზე. სამაგისტრო პროგრამების განხორციელება არასახელმწიფო ენაზე საბერძნეთსა და საფრანგეთში შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული პროგრამებზე და ა.შ.

სწავლების ენის არჩევა დამოუკიდებლად შეუძლიათ ინდივიდუალური სასწავლო კურსების შემთხვევაში, ასევე, საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნების შემთხვევაში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით.

იმისათვის, რომ უნივერსიტეტებს მაღალი აკადემიური ავტონომია ჰქონდეთ:

✓ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს კოოპერაციული (ერთობლივი) მოდელით, რომელიც დაფუძნებულია უნივერსიტეტსა და სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებაზე;
✓ აბიტურიენტების მიღების კრიტერიუმები ერთობლივად უნდა იქნას რეგულირებული გარე მმართველობის ორგანოსა და უნივერსიტეტის მიერ.

**უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება**

გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) 1999 წლის ანგარიში გამაფრთხილებელ ცნობას ავრცელებს: *„როცა ბაზარი საკმარისზე შორს მიდის სოციალურ და პოლიტიკურ შედეგებზე გავლენის თვალსაზრისით, გლობალიზაციის სარგებელი არათანაბრად და არაადეკვატურად ნაწილდება ის თავს იყრის ცალკეული ადამიანების, ერებისა და კორპორაციების ხელში და იწვევს დანარჩენთა მარგინალიზებას"* (1999, Human Development Report )[9] მოსახლეობის მარგინალიზაციის ერთ-ერთი უპირველესი ნიშანი კი განათლების დონის დაქვეითებაა.
ცხრილი 2–ში მოცემულია უმაღლესი განათლებისა და კველვის დაფინანსების დინამიკა 2010–2015 წლებში.[10]

**ცხრილი 2**

*უმაღლესი განათლებისა და კველვის დაფინანსების დინამიკა საქართველოში*

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მშპ** | 20,743.4 | 24,344.0 | 26,167.3 | 26,847.4 | 29,150.5 | 31,691.6 |
| უმაღლესი განათლების დაფინანსება/ათასი ლარი | 61,731.9 | 60,880.9 | 88,332.9 | 81,100 | 88,455 | 94,555 |
| კვლევის დაფინანსება, ათასი ლარი | 28,428.9 | 20,442.30 | 27,793 | 27,115.1 | 32,410.1 | 60,417.4 |
| **ჯამი** | 90160.8 | 81323.2 | 116125.9 | 116832 | 138162 | 154972.4 |
| უმაღლესი განათლების დაფინანსების % მშპ-ში | 0.30% | 0.25% | 0.34% | 0.30% | 0.30% | 0.30% |
| კვლევის დაფინანსების % მშპ-ში | 0.14% | 0.08% | 0,07% | 0.10% | 0.11% | 0.16% |
| ჯამური დაფინანსების წილი მშპ-ში | 0.44% | 0.33% | 0.44% | 0.40% | 0.41% | 0.49% |

[9] (1999). *Human Development Report*. New York: Oxford University Press.p.2
[10] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და სახელმწიფო ბიუჯეტი

2016 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით უმაღლეს განათლებაზე გამოყოფილია 106.6 მილიონი ლარი, ხოლო მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისათვის კი 66.7 მილიონი ლარია გათვალისწინებული, რაც გასულ წელთან შედარებით 18.3 მლნ. ლარით მეტია თუმცა ბევრად ჩამორჩება სხვა ქვეყნების მაჩვენებელს.

როგორც ცხრილიდან ჩანს 2015 წლის მონაცემებით, საქართველოში უმაღლეს განათლებაზე გაღებულმა თანხებმა მთლიანი შიდა პროდუქტის 0,30% შეადგინა, რაც ბევრად ჩამოუვარდება Eurostat-ის მიერ გამოქვეყნებულ მაჩვენებლებს: შვედეთი (2.0%); დანია (2.4 %); ფინეთი (2,3%); ბულგარეთი (1,8%); ბელგია (1,5%); დიდი ბრიტანეთი (1,5); საფრანგეთი (1.3%); ლიტვა (1.3%); პოლონეთი (1.2%); ჩეხეთი (1,1%); ლატვია 1,0%.[11]

რაც შეეხება მეცნიერებას, 2015 წლის მონაცემებით, საქართველოში მეცნიერებაზე გაღებულმა თანხებმა მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0,19% შეადგინა. ამით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც მსოფლიოს (1,7%), ასევე ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს: ბელგია (2.04%); ბულგარეთი (0.57%); ჩეხეთი (1.85%); დანია (3.09%); გერმანია (2.84%); ესტონეთი (2.38%); ირლანდია (1.72%); უნგრეთი (1.21%). რაც შეეხება განვითარებულ სახელმწიფოებს: დიდი ბრიტანეთი სამეცნიერო კვლევებზე ხარჯავს მშპ–ს 1.75%; საფრანგეთი 2.24%; შვედეთი 3.37%; ფინეთი 3.78%.[12] ,,ამერიკის შეერთებული შტატები სამეცნიერო კვლევებზე ხარჯავს მთლიანი შიდა პროდუქტის 2,55%, დანია 2,70%, ნორვეგია და ფინეთი 3%-ზე მეტს, იაპონია 3,15%-მდე, ისრაელი 4,50%-ს. ერთ ადამიანზე გადაანგარიშებით, საქართველოში სამეცნიერო კვლევებზე 6,2 აშშ დოლარი იხარჯება, მაშინ როცა მსოფლიოში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 17,6 დოლარს შეადგენს, ხოლო განვითრებულ ქვეყნებში დაახლოებით ერთი თანრიგით მეტს'' (მაჭავარიანი, 2013).[13]

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში მეცნიერებისა და კვლევების დაფინანსების მხრივ სავალალო მდგომარეობაა, რამაც მრავალი პრობლემა შეიძლება წარმოშვას.

თუკი რომელიმე სახელმწიფოს აქვს იმის პრეტენზია, რომ მოწინავე ქვეყნების კოჰორტას შეუერთდეს, მან ცალსახად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ამ სფეროს, აგრეთვე იზრუნოს მეცნიერების იმ მიმართულებების დაფუძნება-განვითარებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეკონომიკურ წინსვლას, სტაბილური სოციალური გარემოს შექმნას და ერის ეთნიკურ - კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

---

[11] Eurostat, *Expenditure on higher education.*

[12] Datas from Eurostat

[13] მაჭავარიანი, შ. (2013). *სამეცნიერო შრომების კრებული.* თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 7–16.

IV. კვლევისა და სწავლების ინტეგრაცია და სადოქტორო განათლება საქართველოში

უნივერსიტეტის, როგორც სასწავლო და კვლევითი კომპონენტების თვისობრივი ერთიანობით შექმნილი ინსტიტუციის როლი ძალზე დიდია არამარტო მეცნიერების, ან ბიზნესის წინსვლის, არამედ მთელი საზოგადოების კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებისათვის. უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ღირებული ინტელექტისა და შემოქმედებითი უნარის მქონე, გონებრივი შრომით დაკავებული სპეციალისტი, ითვლება თანამედროვე ორგანიზაციის ძირითად კაპიტალად (Drucker, 1999).[14] მნიშვნელოვანწილად თანამშრომლების ცოდნაზე, შემოქმედებით პოტენციალზე და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობა. ბოლონიის პროცესის თანახმად, ევროპის პროგრესი და მისი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა, განპირობებულია საუნივერსიტეტო განათლებისა და კვლევების მაღალი ხარისხით. ანალოგიური ხედვა ჩამოყალიბებულია საქართველოშიც, სადაც სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების პრიორიტებულობა დადგენილია მოქმედი კანონდებლობით, მაგრამ ვერ ხერხდება ამ ხედვის პრაქტიკაში რეალიზაცია.

ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკური აღმასვლით გამოირჩევიან, ბოლო წლებში (ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი), თავიანთ პრიორიტეტად ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნას ასახელებენ. ამ გზისკენ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი არის სადოქტორო განათლების განვითარება, რადგან დოქტორანტურა სწორედ ის საფეხურია, სადაც იქმნება ახალი ცოდნა, ინოვაციები.

ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციამ შეისწავლა სადოქტორო განათლება აღმოსავლეთ აზიაში, ევროპაში, სამხრეთ ამერიკასა და აფრიკაში პროექტით CODOC[15] კვლევის მიხედვით მინიჭებული დოქტორის ხარისხის რაოდენობა როგორც ევროპასა და შეერთებული შტატებში, ისე სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში იზრდება (იხ. გრაფიკი 1). ცხადია, ეს არ იყო რაოდენობის მექანიკური ზრდა, ამ ზრდას თან ახლდა შესაბამისი დაფინანსებაც.

**გრაფიკი 1**




*მინიჭებული დოქტორის ხარისხის რაოდენობა ევროპის, შეერთებული შტატებისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში*

[14] Peter F. Drucker, Management Challenges for the 21st Century. R&I Enterprises Int., New York, 1999
[15] Jorgensen, T. E. (May 11, 2015). Fostering attrective research careers. *Strong Universities for EU*, p.p 2-13

რა ხდება ამ კუთხით საქართველოში?

საქართველოში კვლევისა და სწავლის ერთიანი სივრცის შექმნის მიმართულებით დღეისათვის კვლავ მნიშვნელოვანი პრობლემებია. კერძოდ, არაეფექტიანად ხორციელდება სწავლებისა და კვლევის პროცესი სადოქტორო საფეხურზე, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული აკადემიური პერსონალის კვლევითი დატვირთვა და უნივერსიტეტებში ინტეგრირებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პასუხისმგებლობები სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში, დოქტორანტების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებულ რესურსებს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2012 წლიდან მნიშვნელოვნად იზრდება დოქტორანტების რაოდენობა (2012 წელს 3040, 2013 წელს – 3213, 2014 წელს – 3410, 2015 წელს – 3765) კვლევაზე დახარჯული თანხები კი კვლავ მიზერული რჩება. რაც შეეხება დოქტორანტურაში სწავლის გადასახადს, *„საქართველოში სადოქტორო საფეხურზე სწავლის გადასახადი საშუალოდ მერყეობს 300-დან 7000 ლარამდე სემესტრში*" (ფატმან წერეთელი, 2012)[16] (სწავლის საფასური განსხვავდება პროგრამების მიხედვით). ქვეყანაში არ არსებობს დოქტორანტურის დაფინანსების სახელმწიფო მექანიზმი, თუმცა შესაძლებელია, დოქტორანტებმა დაფინანსება მიიღონ სხვადასხვა წყაროდან, როგორიცაა მაგალითად, საპრეზიდენტო ფონდის გრანტი ახალგაზრდა მეცნიერებისათვის, სახელმწიფო გრანტები დოქტორანტებისათვის, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამები (Erasmus Mundus და სხვა.), ეს ყოველივე კი სტუდენტის მოტივაციაზეა დამოკიდებული. რომ შევადაროთ სხვა ქვეყნებს დაფინანსების მხრივ, კემბრიჯის უნივერსიტეტში (University of Cambridge) (დიდი ბრიტანეთი) დოქტორანტს უფინანსდება სწავლების სამი წელიწადი; მიუნხენის უნივერსიტეტში (Ludwig Maximilians University of Munich) - საჯარო კვლევითი უნივერსიტეტი (მიუნხენი, გერმანია) დოქტორანტს უფინანსდება ასევე 3 წელიწადი, ამის შემდგომ კი დოქტორანტი იხდის 500 ევროს; პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქოტორო საფეხურზე სწავლა უფასოა და ფინანსდება ერთობლივად უმაღლესი სკოლისა და იმ პროგრამის მიერ, რომელსაც სტუდენტი ირჩევს.

სადოქტორო განათლების ხანგრძლივობა კიდევ ერთი საინტერესო პარადოქსია. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში დოქტორანტი სტუდენტები სტიპენდიას იღებენ, რაც საშუალებას აძლევს მათ, დრო სრულად დაუთმონ კვლევას და სწავლას, არ ეძებონ სხვა სამუშაო და დაამთავრონ სწავლა 3 ან 4 წელიწადში. ამავე დროს, უნივერსიტეტებს არ სურთ სწავლის ხანგრძლივობის გაზრდა, რადგან ეს მათი ხარჯების ზრდას გულისხმობს: რაც მეტს სწავლობენ სტუდენტები, მით მეტს იხდიან უნივერსიტეტები, შესაბამისად, გასაგებია 4 წლიანი ლიმიტი

[16] წერეთელი, ფ., ხუჯაძე, თიაბაშვილი, თ. (2012). *სადოქტორო განათლება საქართველოში.* თბილისი. გვ.31

პროგრამის ხანგრძლივობაზე. თუმცა, ამგვარი ზღვარი გაუგებარია საქართველოში. დოქტორანტი სტუდენტები სტიპენდიას ძალიან იშვიათად იღებენ რომელთა რაოდენობაც 3%-ზე ნაკლებია. დანარჩენ შემთხვევაში როგორც ზემოთ აღინიშნა სტუდენტები იხდიან განათლების თანხას, შესაბამისად, რაც მეტს სწავლობენ ისინი, მეტი თანხა შესდის უნივერსიტეტს.

უდავოა, რომ საქართველოში საჭირო სამეცნიერო გარემოს შექმნა მცირე ფინანსების და მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების პირობებში ძალიან რთულია და შესაბამისი ინტელექტუალური პოტენციალიც ლოგიკურად იკარგება განვითარებული ქვეყნებისაკენ "გონების გადინების" პროცესში. დიდი მცდელობაა საჭირო, რომ კვლევისათვის აუცილებელი თუნდაც მინიმალური პირობები ადგილზევე შეექმნათ მეცნიერებს. საქართველომ მკვეთრად უნდა განსაზღვროს საჭირო გზა ევროპულ სივრცეში გაერთიანების მცდელობისას, უნდა შეძლოს სისტემის შექმნა, რომლის უნივერსიტეტების ქსელშიც სადოქტორო პროგრამებით თუნდაც მინიმალური რაოდენობის, მაგრამ ხარისხიანი კვლევა განხორციელდება სახელმწიფო დაფინანსებით. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს რამდენიმე კვლევითი ფუნქციის მქონე უნივერსიტეტის შექმნას და ამ კვლევების დაფინანსებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, არის საფრთხე, ჩამოვყალიბდეთ პერიფერიულ სისტემად, რომლის უნივერსიტეტებიც ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურების შემდეგ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების შეთავაზებას ვერ მოახერხებს. ეს კი ისევ გონებრივი რესურსების კარგვას და ქვეყნის ინტელექტუალური განვითარების შეფერხებას გამოიწვევს, მაშინ როცა ინტელექტუალური რესურსები ალბათ ძირითადია, რაზეც დღეს ქვეყანაში განვითარებისათვის ყურადღების კონცენტრაცია შეიძლება.

აუცილებელია ასევე, განისაზღვროს ქვეყნის სამეცნიერო პრიორიტეტები და დაიგეგმოს მშპ-თან მიმართებაში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების სტაბილური ზრდა. მეცნიერებისათვის ევროპული ორიენტირი მშპ-ს 3% 2020 წლისთვის საქართველოსთვის მიუღწეველია, თუმცა 2020 წლისთვის საქართველოში კვლევების წილი სულ მცირე მშპ-ს 1%-ს უნდა შეადგენდეს, სხვა შემთხვევაში სერიოზული პრობლემა ექმნება როგორც სამეცნიერო კვლევას, ასევე სადოქტორო განათლებას და მომავალში არა მარტო ახალი ცოდნის შექმნა, არამედ არსებულის შენარჩუნება და გადაცემაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

**გამოყენებული ლიტერატურა**

მაჭავარიანი, შ. (2013). *სამეცნიერო შრომების კრებული.* თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ.7–16.

წერეთელი, ფ., ხუჯაძე, თიაბაშვილი, თ. (2012). *სადოქტორო განათლება საქართველოში.* თბილისი. გვ. 31.

Drucker, P. F. (1999). *Management Challenges for the 21st Century*. R&I Enterprises Int., New York, Routledge Publishing.

Estermann, T., Nokkala, T., & Monika Steinel. (2010). *University Autonomy in Europe II* . Brusels, Belgium. pp. 53-64.

Jorgensen, T. E. (May 11, 2015). Fostering attrective research careers. *Strong Universities for EU* , p.p 2-13.

Salmi, J. (2009). *The Challenge of establishing world-class universities.* Washington: The world bank.

Weber, L. (2006). *University autonomy,* a necessary, but not sufficient condition for excellence–being a paper presented at IAU/IAUP Presidents' symposium. Chiang Mai, Thailand.

*Human Development Report.* (1999). New York: Oxford Univeristy Press. p.2.

*Global Competitiveness Report.* (2015-2016). Geneva: World Economic Forum.

*Tertiary education governance and financing in Georgia,* (2013). *World bank.*

*Annual Report, Eurosystem.* (2008). Germany: European Central Bank, Association Nationale Recherche Technologie.

# უმაღლესი განათლების ხარისხი როგორც საქართველოს მომავალი განვითარების გარანტი

*თათია ღერკენაშვილი*
მაგისტრი
კავკასიის უნივერსიტეტი

## ანოტაცია

სამწუხარო რეალობაა, რომ დღეს საქართველოს განათლება და მეცნიერება არ მიიჩნევა პრიორიტეტულ დარგად. უარყოფილია მათი მნიშვნელობა და როლი საზოგადოებისა და ერის განვითარებაში. ელიტარული პრინციპები, რომლებიც მიზანმიმართულად ინერგება განათლების სისტემაში, ლახავენ ქვეყნის მოქალაქეების უმეტესობის ერთ-ერთ ძირითად უფლებას შეიძინონ ცოდნა და ამის მეშვეობით დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი საზოგადოებაში. სისტემის მართვის ავტორიტარული და ხისტი სტილი მიზნად ისახავს საგანმანათლებლო დაწესებულებების მკაცრ კონტროლს იმისათვის, რომ სრულიად დაუმორჩილონ ისინი ხელისუფლებას.

მეცნიერების სიმბოლური დაფინანსება და მთლიანად გეზი, რომელსაც ხელისუფლება ამ სფეროში ადგას, არათუ ვერ უზრუნველყოფს მის განვითარებას, არ იძლევა უკვე შექმნილისა და მიღწეულის გადარჩენის საშუალებას. განათლებისა და მეცნიერების დარგის დღევანდელი სახელმწიფო პოლიტიკა ეწინააღმდეგება საქართველოს ხალხის ეროვნულ მიზნებს, ხელს უშლის ქვეყანაში სამართლიანი საზოგადოების მშენებლობას.

დღეს საზოგადოების განვითარება შეუძლებელია, თუ იგი ცოდნასა და მეცნიერებაზე არ არის დაფუძნებული. ამიტომ ხალხის განათლება ქვეყნის კეთილდღეობის ზრდის უპირველესი პირობაა. განათლების თანამედროვე სისტემა პირველ რიგში გულისხმობს იმას, რომ იგი აგებულია ჰუმანისტურ პრინციპებზე, რომლებიც კაცობრიობის უძვირფასეს მონაპოვარს წარმოადგენენ. იგი ადამიანებში და მთლიანად საზოგადოებაში პიროვნების უმთავრესი უფლებების პატივისცემას, ურთიერთთანადგომისა და სოლიდარობის გრძნობას უნდა ნერგავდეს. სწორედ ასეთი განათლებისა და მეცნიერების სისტემა სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას იმისათვის, რომ მან პრობლემები დაძლიოს.

ნაშრომი ასახავს საქართველოს განათლების სისტემის დღევანდელ მდგომარეობას, წარმოაჩენს სისტემაში არსებულ ხარვეზებს და რეკომენდაციებს მათ გამოსასწორებლად.

# Higher Education Quality as Future Development Guarantee of Georgia

*Tatia Gherkenashvili*
Magistrate
Caucasus University

## Abstract

It’s sad reality that nowadays Georgian education and science is not being considered prioritized. Their importance and role in the development of society and the nation is rejected. Elite principles that are deliberately implemented into the education system, derogates one of the fundamental right of most of the citizens – to acquire knowledge and thereby take worthy place in society. Authoritarian and rigid style of system management aims the strict control of educational institutions in order to completely subordinate it government.

Symbolic funding of science and entire path that authorities follow, can’t allow it’s development even not saving already created and achieved one.

Current science and education policy is against to Georgians national objectives, disturbs building fair society in the country.

Today, the society can’t develop without bases on science and knowledge. Therefore education of people is one of the conditions for human well-being. Modern education system firstly means that it is built on humanistic principles that are the most valuable achievements of humanity. It should implement respectfulness of people’s fundamental rights, supportiveness and sense of solidarity. That's the kind of education and science system our country needs in order to overcome the problems.

The paper describes the current situation in the education system, its gaps and gives recommendations to remedy them.

კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა

Caucasus University Publishing House

WWW.CU.EDU.GE

კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა

Caucasus University Publishing House

WWW.CU.EDU.GE